საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ანგარიში
26 მაისი

აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში
ადამიანის უფლებათა დარღვევის
ფაქტების ანალიზი

2011

კვლევა მომზადებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**Sida**) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

ანგარიშში გამოყენებული ფოტო მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი გ. აბდალაძისა და ჯეფრი კ. სილვერმანის მიერ არის გადაღებული, რისთვისაც საია მათ განსაკუთრებულ მადლობას უხდის. ამასთან, ანგარიშში გამოყენებულია ღია წყაროებში გავრცელებული და სხვადასხვა ვიდეო მასალიდან ამოჭრილი ფოტოები.

ავტორები: სოფო ვერძეული
გიორგი გოცირიძე
თამთა მიქელაძე
ნინო ჯომარჯიძე
ნონა ქურდოვანიძე
ვახუშტი მენაბდე
გიორგი ნარმანია
თინათინ ავალიანი
სულხან სალაძე

გარეკანის დიზაინი: გესიკ დანელია

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ ჩუგოშვილი

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

ISBN 978-9941-0-3993-5

© 2011, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 6

თავი I. 26 მაისამდე აქციებთან კავშირში მყოფი პირების დაკავებების პრაქტიკის ანალიზი

შესავალი 11

1.1. 2011 წლის 7 მაისს რუსთავში მიმდინარე აქციის მონაწილეების დაკავების ფაქტები 13

1.2. 21 მაისს ბათუმში მიმდინარე აქციის მონაწილეების დაკავების ფაქტები 14

1.3. იმ პირთა დაკავება, რომლებიც სარგებლობდნენ აქციის ორგანიზების უფლებით 16

1.4. დაკავებისას დაფიქსირებული უფლებათა დარღვევის ფაქტები 17

1.5. სასამართლო განხილვისას გამოვლენილი უფლებების დარღვევის ფაქტები 18

1.6. არასათანადო მოპყრობა დროებითი მოთავსების იზოლატორებში 20

1.7. დაკავებული პირების სხვადასხვა იზოლატორში ხშირი ადგილმონაცვლეობის შემთხვევები 22

დასკვნა 23

მე-2 თავი. აქციის დაშლის ფორმალური საფუძველი

შესავალი..... 24

2.1. სარგებლობდნენ თუ არა 2011 წლის 25 მაისს რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის მონაწილეები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით 25

2.1.1 შეფიცულების ჯგუფის საქმიანობისა და ქცევის აღწერა 25

2.1.2. ძალადობრივი აქციის დეფინიცია 27

2.1.3. იყო თუ არა 25 მაისის აქცია ძალადობრივი, პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად? 28

2.2. 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის დაშლასთან დაკავშირებით, ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერების შეფასება 32

2.2.1. აქციის დაშლის თაობაზე სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფორმალურ მართლზომიერებასთან დაკავშირებით მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები 32

2.2.2. 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის დაშლასთან დაკავშირებით, ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია 34

2.2.3. რამდენად შესაძლებელია ტრანსპორტის სავალ ნაწილზე მიმდინარე აქციის შეწყვეტის კუმულატიური საფუძვლებიდან ერთ-ერთი იყოს აღლუმის ჩატარების საჭიროება? 36

1. აღლუმი, როგორც შეკრების თავისუფლებაში ჩარევის ლეგიტიმური საფუძველი 37

2. აქციის დაშლა, როგორც შეკრების თავისუფლებაში ჩარევის პროპორციული საშუალება 37

დასკვნა 40

მე-3 თავი. აქციის დაშლის მომზადების და მისი განხორციელების საწყის ეტაპზე პოლიციის მიერ გამოყენებული ტაქტიკისა და ტექნიკების ანალიზი

შესავალი 41

3.1. ვითარების ანალიზი, რომელშიც პოლიციას უწევდა ოპერირება აქციის დაშლის დროს 41

3.2. დემონსტრანტებისთვის აქციის დაშლამდე აქციის ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობების შეზღუდვა 42

3.3. პოლიციის მიერ აქციის დაშლის დროს გამოყენებული ძალის მართლზომიერების საკითხის შეფასება 44

3.4. აქციის დაშლის დროს გამოყენებული პოლიციური ძალის არაპროპორციულობა 50

3.4.1. აქციის დაშლის პროცესში მონაწილე პოლიციელების ოდენობა, შემადგენლობა 51

3.4.2. აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ გამოყენებული სპეციალური საშუალებების სახეები და მათი გამოყენების ინტენსივობა 52

დასკვნა 56

მე-4 თავი. ძალის გადამეტება საპროტესტო აქციის დაშლისას

შესავალი ... 57
4.1. სპეციალური საშუალებების გამოყენება ... 57
4.1.1. ხელკეტის არაპროპორციული გამოყენება ... 58
4.1.2. რეზინის ტყვიების გამოყენება ... 60
4.2. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევა ... 62
4.3. დემონსტრანტების მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია ... 63
4.3.1. ზოგადი ანალიზი ... 63
4.3.2. „სირცხვილის კორიდორი“ ... 64
4.3.3. არასათანადო მოპყრობა რუსთაველის გამზირზე ... 65
4.4. თავისუფლების აღკვეთის სავარაუდოდ დაუსაბუთებელი და უკანონო შემთხვევები ... 69
4.4.1. ადამიანების დაკავება, რომელთა განცხადებითაც ისინი აქციის დაშლის დროს შემთხვევით მოხვდნენ აქციის მიმდებარე ტერიტორიაზე ... 69
4.4.2. ადამიანების დაკავება, რომლებიც მონაწილეობდნენ აქციაში, თუმცა, აქცია დატოვეს 25 მაისის 24:00 სთ-მდე ... 70
4.4.3. უკანონო დაკავება ... 70

მე-5 თავი. აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში დაფიქსირებული სიცოცხლის ხელყოფის საქმეების ანალიზი

შესავალი ... 72
5.1. მეთოდოლოგია ... 72
5.2. სიცოცხლის უფლების დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები ... 73
5.3. ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეები ... 74
5.3.1. შესავალი ... 74
5.3.2. წყაროები, რომლებსაც სამუშაო ჯგუფი ეყრდნობა აღნიშნული საქმეების შეფასების პროცესში ... 75
5.3.3. გამოძიების პირველადი და საბოლოო ვერსიების ანალიზი მოცემულ საქმეებზე ... 76
5.3.4. ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმის ფაქტობრივი ანალიზი ... 80
5.3.5. ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის შეფასება ... 84
5.3.6. მოცემულ საქმეზე სახელმწიფოს მიერ მისი პოზიტიური ვალდებულების დარღვევა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით ... 88
5.3.7. დასკვნა ... 90
5.4. ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმე ... 90
5.4.1. შესავალი ... 90
5.4.2. კვინტრაძისა და ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები ... 91
5.4.3. ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმის სამართლებრივი ანალიზი ... 95
5.4.4. დასკვნა ... 98
5. 5. აქციის მონაწილის თემურ კაპანაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმე ... 99
5.5.1. აქციის დაშლის დროს თემურ კაპანაძის ცემასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები ... 99
5.5.2. თემურ კაპანაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება 26 მაისის შემდეგ ... 100
5.5.3. თემურ კაპანაძის გარდაცვალების მიზეზების შეფასება ... 102

მე-6 თავი. შსს-ს მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის სავარაუდო დარღვევა

შესავალი ... 104

6.1. უდანაშაულობის პრეზუმფცია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად 104
6.2. შსს-ს ოფიციალური განცხადებები 105
6. 3. შსს-ს ოფიციალური განცხადებების შეფასება 106

მე-7 თავი. აქციის დაშლის პროცესში და მას შემდეგ სამართალდამცავთა მიერ მედიის საქმიანობისთვის ხელშეშლა

შესავალი 108
7.1. ჟურნალისტებისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა 108
7.2. ჟურნალისტების სხეულის დაზიანება (რეზინის ტყვიებით ან სხვა საშუალებით), ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება 110
7.3. ჟურნალისტებისთვის კამერების ან ჩაწერის სხვა საშუალებების წართმევა ან დაზიანება, ასევე, ჩანაწერის წაშლა და მეხსიერების ბარათების განადგურება 112
7.4. ჟურნალისტებისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების სხვაგვარი ხელშეშლა, რაც, ამ შემთხვევაში, გულისხმობს ჟურნალისტისთვის მოვლენების გადაღების ხელშეშლას 113
დასკვნა 114

მე-8 თავი. დაკავების შემდეგ აქციის მონაწილეების სავარაუდო წამებისა და მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტები

შესავალი 115
8.1. რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა 115
8.2. მოწმეთა ახსნა-განმარტებები, რომლებიც არაპირდაპირ მიუთითებენ სამმართველოში დაკავებული პირების წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე 116
8.3. დაკავებული პირების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ინდივიდუალური შემთხვევები 117
8.3.1. მურმან დუმბაძის საქმე 117
8.3.2. ბიძინა გეგიძის საქმე 118
8.3.3. ნიკა სამხარაძის საქმე 118
დასკვნა 119

მე-9 თავი. 26 მაისის შემდეგ აქციის მონაწილეთა სავარაუდო გაუჩინარების შემთხვევების ანალიზი

შესავალი 120
9.1. პირის დაკავებისას მისი ოჯახის წევრისა ან მესამე პირისათვის დაკავების ფაქტის შეტყობინების უფლების შეზღუდვა 121
9.2. დაკავებისას და პატიმრობის პირველ ეტაპზე ადვოკატთან შეხვედრის უფლების შეზღუდვა 122
9.3. დაკავებული პირების ხშირი ადგილმონაცვლეობა სხვადასხვა დროებითი მოთავსების იზოლატორში 124
დასკვნა 124

მე-10 თავი. აქციის დაშლის შემდეგ დაკავებული პირების სასამართლო პროცესების ზოგადი მიმოხილვა 125

თავი მე-11. დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პატიმრობის პირობების შეფასება

შესავალი 127
11. 1. დაკავებულებისთვის ნათესავებსა და ადვოკატებთან კომუნიკაციის შეზღუდვა 127
11. 2. არასათანადო პირობები დროებითი მოთავსების იზოლატორებში 128
11.3. პატიმრების გადაყვანა დროებითი მოთავსების ერთი იზოლატორიდან მეორეში 131
დასკვნა 132

ბოლოთქმა 133

დანართები 135

შესავალი

მოცემული ანგარიში 2011 წლის 26 მაისს საქართველოს პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციის დაშლის დროს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს შეეხება. ამ თემაზე შუალედური ანგარიში საიამ 2011 წლის 6 ივნისს გამოაქვეყნა.[1] პირველად ანგარიშში საიამ შეაფასა ადამიანის უფლებათა დარღვევის ის ძირითადი ტენდენციები, რომელსაც ადგილი ჰქონდა 26 მაისს აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში. შუალედური ანგარიშის შემდეგ საკითხების დეტალური ანალიზი მოითხოვდა დამატებითი ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიებასა და მათ დამუშავებას.

კვლევის პროცესში გამოვლინდა ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევის ფაქტები, რომლებიც დეტალურ განხილვასა და დასაბუთებას მოითხოვდა. შესაბამისად, მოცემულ ანგარიშში საია შეეცადა შეეტანა ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველა ის ტენდენცია და ინდივიდუალური შემთხვევა, რომელსაც აქციის დაშლის დროს ან მანიფესტაციის უფლების გამოყენებასთან კავშირში ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, იმ საკითხების ჩამონათვალი და სტრუქტურა, რომელსაც ანგარიში ფარავს, შემდეგია:

1. ანგარიშის პირველი თავი შეეხება 26 მაისამდე მასობრივი დაკავებების პრაქტიკის ანალიზს, რომელსაც კავშირი ჰქონდა მანიფესტაციის უფლებით სარგებლობასთან. კვლევის პროცესში დაფიქსირდა 100-მდე პირის დაკავების ფაქტი, რომლებიც 21-25 მაისს დაგეგმილ აქციებთან კავშირში სარგებლობდნენ მანიფესტაციის უფლებით ან სხვაგვარად იყვნენ დაკავშირებულნი მიმდინარე აქციებთან. აღნიშნული პირების დაკავება, ისევე როგორც მათ საქმეებზე სასამართლო განხილვის პროცესი, სერიოზული დარღვევებით ჩატარდა. პატიმრობის პერიოდში მათ მიმართ დაფიქსირდა არაადამიანური მოპყრობის შემთხვევები, რაც სათანადო გამოძიებას მოითხოვს.

2. ანგარიშის მეორე თავი 26 მაისს აქციის დაშლის შესახებ ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერების შეფასებას ეთმობა.

ამასთან დაკავშირებით, საია მიუთითებს, რომ 25 მაისს მიმდინარე აქცია მთლიანობაში მშვიდობიანი იყო, რაც სახელმწიფოს აკისრებდა ვალდებულებას, შეკრების თავისუფლებაში ჩარევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეხელმძღვანელა შეკრების თავისუფლების დაცვის შესახებ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით დადგენილი სტანდარტებით. მოცემულ თავში ცალკეა შეფასებული ე.წ. „შეფიცულების“ ქცევა, მათი განზრახვის ხასიათი და მათ მიმართ კონვენციის მე-11 მუხლის გამოყენების საკითხი.

აქციის შეწყვეტის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებასთან დაკავშირებით, საია მიუთითებს: იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივიჩნევთ, რომ კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინებით, აღლუმის ჩატარება შეიძლება მიჩნეულ იქნეს ლეგიტიმურ საჯარო ინტერესად და მისი ჩატარების ინტერესი შეიძლება აღემატებოდეს აქციის გამართვის ინტერესს, იმის გამო, რომ 25 მაისს მიმდინარე აქციის დროს სახელმწიფომ არ გამოიყენა ეფექტური მოლაპარაკებების მექანიზმი (აღლუმისა და აქციის პარალელურ რეჟიმში ჩატარების შესაძლებლობა) და, შესაბამისად, არ მიმართა უფლების შეზღუდვის უფრო მსუბუქ საშუალებას, აქციის დაშლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არაპროპორციული იყო. ამასთან, საია მიუთითებს, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილება, დაეშალა 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქცია, ფორმალური თვალსაზრისით, შეიძლება გამართლებულად იქნეს მიჩნეული, თუმცა, აქციის დაშლის აღსრულების პროცესში გამოყენებული არაპროპორციული ძალის ფონზე, აღნიშნული საკითხი უმნიშვნელო ხასიათს იძენს. შესაბამისად, საია მიიჩნევს, რომ აქციის მშვიდობიანი მონაწილეების მიმართ ადგილი ჰქონდა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას.

3. ანგარიშის მესამე თავი პოლიციის მიერ აქციის დაშლის დროს გამოყენებული ტაქტიკისა და ტექნიკის ანალიზს ეთმობა. როგორც ფაქტობრივი გარემოებების ანალიზმა აჩვენა, აქციის

[1] იხ. საიას ვებ-გვერდზე: http://საია.ge/index.php?option=com_content&view=article&id=935%3A2011-26-&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang=ka.

დაშლის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე პოლიციას გადაკეტილი ჰქონდა აქციის ტერიტორიის მიმდებარე ძირითადი გასასვლელები. უშუალოდ აქციის დაშლის ოპერაცია კი პოლიციამ განახორციელა ისე, რომ აქციის მონაწილეებს არ მისცა აქციის ტერიტორიის დატოვების რეალური შესაძლებლობა. მეტიც, ძალის გამოყენებით, პოლიცია განზრახ უშლიდა ხელს აქციის მონაწილეებს, დაეტოვებინათ აქციის ტერიტორია. პოლიციის მიერ გამოყენებული ძალის (e.g. სამართალდამცავი პირების ოდენობა, გამოყენებული სპეციალური საშუალებების გამოყენების ტაქტიკა, თანმიმდევრულობა, ინტენსივობა, ინდივიდუალურ შემთხვევებში, ძალის გამოყენების პირობები) ანალიზის გათვალისწინებით, საია უთითებს, რომ პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა აშკარად არაპროპორციული იყო. ამავე თავში წარმოდგენილია სპეციალური საშუალებების გამოყენების კუთხით საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების ანალიზი, რაც პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენების ეფექტიან პრევენციასა და რეგულირებას უშლის ხელს.

4. ანგარიშის მეოთხე თავი პოლიციის მიერ აქციის დაშლის დროს არაპროპორციული ძალის გამოყენების ინდივიდუალური შემთხვევების ანალიზს მოიცავს. მოცემულ თავში განხილულია აქციის დაშლის დროს სპეციალური საშუალებების გამოყენების ინტენსივობა და მათი არაპროპორციულობის აშკარა მაგალითები. ამავე თავში განხილულია აქციის დაშლის დროს რუსთაველის ქუჩაზე და კინოთეატრ „რუსთაველში“ განხორციელებული ოპერაციის დროს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების ანალიზი.

5. აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში დაფიქსირდა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის 5 შემთხვევა. კერძოდ, აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში გარდაიცვალა აქციის 4 მონაწილე – ნოდარ ცხადაძე, ნიკა კვინტრაძე, სულიკო ასათიანი და თემურ კაპანაძე და პოლიციელი ლ. მასურაშვილი. ანგარიშის მეხუთე თავი მოიცავს აღნიშნული საქმეების დეტალურ ფაქტობრივ და სამართლებრივ ანალიზს. სიცოცხლის ხელყოფის არც ერთ საქმეზე დაზარალებული პირების უფლებამონაცვლეები თანახმა არ იყვნენ, რომ საიას (ან ნებისმიერ სხვა უფლებადამცველ ორგანიზაციას) წარმოედგინა მათი ინტერესები გამოძიების წინაშე. მეტიც, ისინი თავს იკავებდნენ საიასთან რაიმე კომუნიკაციისგან/კოოპერაციისგან საქმის ირგვლივ ინფორმაციის მოძიების მიზნით. სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე მუშაობა ჯგუფისთვის რთული იყო სისხლის სამართლის საქმის მასალებზე დაშვების არარსებობისა და გამოძიების მიერ მნიშვნელოვანი მტკიცებულებების გაუსაჯაროებლობის პირობებში. შესაბამისად, საქმეების შეფასება სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ეფუძნება (მოწმეთა ჩვენებები, შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნები, გამოთხოვნილი სამედიცინო დოკუმენტაცია, ვიდეო და ფოტო მასალა და ა.შ.). ცხადია, ამ მოცემულობაში, გამორიცხულია კონკრეტულ საქმეებზე მომხდარის სრული სურათის აღდგენა. თუმცა, საქმეებზე მოპოვებული მასალები აჩენს დასაბუთებულ ეჭვებსა და შეკითხვებს გამოძიების ოფიციალურ ვერსიებთან დაკავშირებით, რაც გამოძიების მხრიდან სათანადო რეაგირებას მოითხოვს. სიცოცხლის ხელყოფის თითოეულ საქმესთან დაკავშირებით, საია მიიჩნევს, რომ ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით, სახელმწიფომ დაარღვია მისი პოზიტიური ვალდებულება, ისე დაეგეგმა და განეხორციელებინა აქციის დაშლის ოპერაცია, რომ მოეხდინა აქციის მონაწილეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა. ამასთან, საია მიიჩნევს, რომ სიცოცხლის ხელყოფის ყველა საქმესთან დაკავშირებით, არსებითად სადავოა გამოძიების დამოუკიდებლობა, ეფექტურობა და ობიექტურობა.

6. ანგარიშის მეექვსე თავი ეთმობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ ოფიციალურ განცხადებებს, რომლებიც სიცოცხლის ხელყოფის საქმეებთან დაკავშირებით გაკეთდა. აღნიშნული განცხადებების შინაარსისა და კონტექსტის ანალიზი იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაარღვია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ფუნდამენტური მოთხოვნა უდანაშაულობის პრეზუმფციაზე.

7. ანგარიშის მეშვიდე თავი აქციის დაშლის დროს ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვის ფაქტების ანალიზს შეეხება. საიას მიერ დაფიქსირდა ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვის 29 შემთხვევა. აქციის დაშლის დროს ადგილი ჰქონდა პოლიციის მიერ ჟურნალისტების მიმართ ძალის გამოყენების ან/და მათი დაკავების ფაქტებს იმ პირობებში, როდესაც პოლიციისთვის ცხადი იყო/უნდა ყოფილიყო, რომ აღნიშნული პირები ჟურნალისტები იყვნენ. ჟურნალისტები-

სთვის პროფესიული მოვალეობის ხელშეშლის ფაქტების პარალელურად, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტების ერთი ნაწილი (უმეტესად ტელეჟურნალისტები) ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ახორციელებდნენ საკუთარ საქმიანობას და სამართალდამცავები მათ ხელს არ უშლიდნენ. სამუშაო ჯგუფის ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალები არ იძლევა ამგვარი დიფერენცირებული მოპყრობის ახსნის შესაძლებლობას.

8. ანგარიშის მერვე თავში მიმოხილულია ე.წ. გაუჩინარებული პირების საკითხი, რომელიც აქციის დაშლის პირველივე დღეებში განსაკუთრებული სიმწვავით დადგა საზოგადოებაში. როგორც ფაქტების ანალიზმა აჩვენა კონკრეტული პირების ადგილსამყოფლის დადგენა რამდენიმე დღის განმავლობაში შეუძლებელი გახდა იმის გამო, რომ სამართალდამცავი ორგანოები მათ არ აძლევდნენ ოჯახის წევრებთან დაკავშირების შესაძლებლობას. ამასთან, ოჯახის წევრებისა და უშუალოდ დაკავებული პირების/მათი ადვოკატების ინფორმირების გარეშე ხდებოდა დაკავებულთა გადაყვანა სხვადასხვა იზოლატორში, რაც წარმოშობდა ერთგვარ გაურკვევლობას მათ ბედსა და ადგილსამყოფელთან დაკავშირებით. ამგვარი სირთულეები ცხადია, ასევე, ქმნიდა პრობლემებს დაკავებული პირების სათანადო დაცვის კუთხით.

9. ანგარიშის მეცხრე თავში განხილულია დაკავების შემდეგ სამმართველოებსა და იზოლატორებში აქციის დაშლის დროს დაკავებული პირების მიმართ არაადამიანური მოპყრობის აშკარა შემთხვევები, რომელიც ეფექტურ და დროულ გამოძიებას მოითხოვს.

10. ანგარიშის მეათე თავი აქციის დაშლის დროს დაკავებული პირების მიმართ მიმდინარე სასამართლო განხილვის პროცესების ანალიზს და ამ მიმართებით სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევის შეფასებას ეთმობა.

11. ანგარიშის მეთერთმეტე თავში წარმოდგენილია დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პატიმრობის პირობების ანალიზი, რომელშიც აქციის დაშლის შემდეგ დაკავებული პირები იმყოფებოდნენ. დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობა გულისხმობს არა მხოლოდ იმ ზოგად პრობლემას, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პირობები არასათანადოა ხანგრძლივი ადმინისტრაციული პატიმრობისთვის, არამედ არასათანადო მოპყრობის კონკრეტულ შემთხვევებსაც, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აქციის დაშლის დროს დაკავებული პირების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ მოცემული ანგარიში არ ფარავს 26 მაისის შემდეგ ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წესით დაფიქსირებული დაკავებების შემთხვევებს. ეს საკითხი საიას ცალკე ანგარიშის საგანი გახდება, რომელიც სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივის მქონე დაკავებების ფაქტებს შეაფასებს.

მეთოდოლოგია

ანგარიშის მომზადების მიზნით, განისაზღვრა თანამშრომლების სამუშაო ჯგუფი, რომელიც ინფორმაციის მოპოვებაზე, დოკუმენტირებასა და ანალიზზე მუშაობდა. კვლევის პროცესში ჯგუფმა გამოკითხა 70-მდე დაზარალებული პირი და სავარაუდო მოწმე. რიგ შემთხვევებში, სამუშაო ჯგუფს უწევდა დაზარალებულ პირებთან რეგიონებში ჩასვლა. საიას რეგიონული ოფისების ადვოკატების მეშვეობით სამუშაო ჯგუფმა ახსნა-განმარტებები მიიღო დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებული პირებისგან. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულთა მოძიებისა და მათთან კომუნიკაციის პროცესში სამუშაო ჯგუფს დახმარება გაუწიეს პოლიტიკურმა პარტიებმა და მონიტორინგის პროცესში ჩართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ამ კუთხით საია განსაკუთრებულ მადლობას უხდის არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივ დამცველს“.

რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით კი, სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე მუშაობის დროს, სამუშაო ჯგუფი წააწყდა სერიოზულ პრობლემებს დაზარალებულ პირებსა და სავარაუდო მოწმეებთან კომუნიკაციის კუთხით. უსაფრთხოების ინტერესებზე მითითებით, ისინი უარს ამბობდნენ რაიმე თანამშრომლობასა ან მათი ინტერესების წარმოდგენაზე გამოძიების წინაშე. სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე მუშაობის დროს რთული იყო შესაბამისი მოწმეებისგან ახს-

ნა-განმარტებების მოპოვებაც – ხშირად ისინი ინფორმაციის გაცემისგან თავს იკავებდნენ. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში, მოწმეთა ინტერესების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფს მოუწია მათი ვინაობის გასაიდუმლოება.

ანგარიშზე მუშაობის პროცესში შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან საიამ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია. მათ შორის, საჯარო ინფორმაციის გაცემა ეთხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მთავარ პროკურატურას, მერიას, საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სასამართლო(ებ)ს. რიგ შემთხვევებში სახელმწიფო უწყებებმა მოთხოვნილი ინფორმაცია გასცეს, თუმცა, არსებითი მნიშვნელობის საკითხებზე ინფორმაციები ვერ მივიღეთ. მათ შორის, შსს-მ არ გაასაჯაროვა არც ერთი არსებითი ხასიათის მტკიცებულება სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე, არ გასცა ინფორმაცია აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ გამოყენებული სპეციალური საშუალებების სახეებისა და ოდენობის შესახებ, ასევე, იმ პირების ვინაობის შესახებ, რომელთაც დისციპლინური წესით პასუხისმგებლობა დაეკისრათ *სავარაუდოდ* აქციის დაშლის დროს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე. აღნიშნულ სახელმწიფო უწყებებთან საია ამ დრომდე აწარმოებს ადმინისტრაციულ და სასამართლო დავებს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით.

საქმეებზე სპეციფიკური საკითხების შეფასებისთვის სამუშაო ჯგუფმა კონსულტაციებისთვის მიმართა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს, ექსპერტებს. მათგან მიღებული ინფორმაცია და დასკვნები, რიგ შემთხვევებში, ზეპირი ხასიათის იყო, რიგ შემთხვევებში კი, სამუშაო ჯგუფმა შესაბამისი წერილობითი დასკვნები მოიპოვა.

ანგარიშის მომზადების ეტაპზე სამუშაო ჯგუფმა მოიძია და დაამუშავა ის ფოტო და ვიდეო მასალა, რომლებიც აქციის დაშლის დროს მედია საშუალებებმა გადაიღეს. აღნიშნულ მასალებს პირდაპირი მტკიცებულებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა კონკრეტული დარღვევის ფაქტებზე.

მტკიცების სტანდარტი

კონკრეტულ შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების დადასტურებისთვის სამუშაო ჯგუფი იყენებდა *გონივრულ ეჭვს მიღმა* მტკიცების სტანდარტს. შესაბამისად, ანგარიშში შეტანილია ადამიანის უფლებათა დარღვევის მხოლოდ ის ფაქტები, რომლებიც სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციებით ერთდროულად და ერთობლიობაში დასტურდებოდა. კონკრეტულ გარემოებებს, ადამიანის უფლებათა დარღვევის ტენდენციებს სამუშაო ჯგუფი დადგენილად მიიჩნევდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა დაზარალებული პირი და მოწმე გამოკითხვის პროცესში თანხვედრ და ერთი და იმავე შინაარსის გარემოებებს ადასტურებდა და, ამასთან, თუ მოიპოვებოდა დამატებითი მტკიცებულებები (*მათ შორის,* ვიდეო და ფოტო) სადავო ფაქტის დასადგენად.

ცხადია, ფაქტების დადგენისა და შესაბამისი მტკიცებულებების მოძიების პროცესში სამუშაო ჯგუფის რესურსები შეზღუდული იყო, რის გამოც, *მაგალითად,* სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე, პოზიტიური მტკიცებების განვითარების შესაძლებლობა არ არსებობდა. შესაბამისად, სამუშაო ჯგუფი დასაბუთებული ეჭვებისა და ვარაუდების დაფიქსირებით შემოიფარგლა.

ანგარიშის მიზანი

მოცემული ანგარიშის მიზანია აქციის დაშლის დროს და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობასთან კავშირში გამოვლენილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების დოკუმენტირება და გამოვლენილი დარღვევების ფაქტებზე სახელმწიფოსა და საზოგადოების ყურადღების გამახვილება. მონიტორინგის საბოლოო მიზანი სადავო საქმეებზე ეფექტური გამოძიების ჩატარება და პასუხისმგებელი პირების დასჯაა.

როგორც კონკრეტული საქმეების და უფლებათა დარღვევის ტენდენციების ანალიზმა აჩვენა, აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ ძალის გამოყენების პროცესში არ იყო დაცული

კანონიერების, პროპორციულობისა და წინდახედულობის (პოზიტიური ვალდებულებების) მოთხოვნები, რომლითაც სახელმწიფო შებოჭილი უნდა იყოს ამგვარი ოპერაციების ჩატარების დროს. წინდახედულობისა და პროპორციულობის მოთხოვნები არ იყო დაცული აქციის დაშლის ოპერაციის მომზადებისა და დაგეგმვის ეტაპზე. აქციის დაშლა პოლიციამ მოახდინა ისე, რომ აქციის მონაწილეებს არ მისცა ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა და მათ მიმართ აშკარად არაპროპორციული ძალა გამოიყენა. პოლიცია მასობრივად იყენებდა გადამეტებულ ძალას აქციის მონაწილეების მიმართ მათი დაკავების შემდეგაც, როცა ისინი უკვე მთლიანად მოქცეულნი იყვნენ სამართალდამცავების ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აქციის დაშლის დროს პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტები არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სპორადული და ინდივიდუალური გადაცდომის შემთხვევები. შესაბამისად, ოპერაციის ამგვარად ჩატარებაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ თანამდებობის პირებს, რომლებმაც მიიღეს აქციის დაშლის გადაწყვეტილება და ხელმძღვანელობდნენ ოპერაციას.

აღსანიშნავია, რომ აქციის დაშლის დროს სამართალდამცავი პირების მიერ ჩადენილ უფლებათა დარღვევის ფაქტებზე საგამოძიებო ორგანოების რეაგირება არ იყო საკმარისი და ეფექტიანი. როგორც ცნობილია, დისციპლინური დარღვევის ფაქტებზე შს სამინისტრომ დასაჯა 16 თანამშრომელი, მათ შორის, 4 თანამშრომელი დაითხოვა დაკავებული თანამდებობიდან.[2] თუმცა, შსს-ს არ გაუსაჯაროებია აღნიშნული თანამშრომლების ვინაობა, მათი თანამდებობები და უფლებათა დარღვევის ის კონკრეტული ფაქტები, რის გამოც მათ აღნიშნული პასუხისმგებლობა დაეკისრათ. ამასთან, შს სამინისტროს არ გაუკეთებია განცხადება, აღნიშნულ პირებს შორის იყვნენ თუ არა ის მაღალი თანამდებობის პირები, რომლებმაც დაგეგმეს და ხელმძღვანელობდნენ აქციის დაშლის ოპერაციას. საზოგადოებისთვის ასევე არ არის ცნობილი ინფორმაცია იმის შესახებ, მიმდინარეობს თუ არა გამოძიება აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენების კონკრეტულ შემთხვევებზე, რომელსაც ჯანმრთელობის დაზიანებები მოჰყვა.

კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზმა აჩვენა, რომ აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენების პრევენციისა და კონტროლის მიზნით, მოქმედ კანონმდებლობაში არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც სათანადო მოწესრიგებას მოითხოვს. განსაკუთრებით, ეს შეეხება სპეციალური საშუალებების გრადაციისა და მათი გამოყენების წინაპირობების შეზღუდვის აუცილებლობას, რაც დეტალურად ანგარიშის მესამე თავშია განხილული.

[2] იხ. შსს-ს ოფიციალური ვებ-გვერდი: http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=2649

თავი I. 26 მაისამდე აქციებთან კავშირში მყოფი პირების დაკავებების პრაქტიკის ანალიზი

შესავალი

ანგარიშის მოცემული თავი მიმოიხილავს 2011 წლის 7 მაისიდან 26 მაისამდე იმ პირების დაკავებების პრაქტიკას, რომლებიც ამ დროის განმავლობაში სარგებლობდნენ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით ან სხვა ფორმით იყვნენ დაკავშირებულნი დაგეგმილ და მიმდინარე აქციებთან და რომელთა დაკავებაც სწორედ მანიფესტაციის უფლებით სარგებლობის ხელშეშლას უნდა უკავშირდებოდეს. ის ობიექტურად გაზომვადი კრიტერიუმები, რომლებსაც სამუშაო ჯგუფი იყენებდა დაკავების კონკრეტული შემთხვევის მანიფესტაციის უფლებით სარგებლობასთან კავშირის დასადგენად, იყო: 1. *დაკავებული პირის ვინაობა, სტატუსი და მისი პოლიტიკური აქტიურობა; 2. მისი როლი აქციის დაგეგმვისა და მომზადების ეტაპზე; 3. დაკავების დრო, ადგილი და ვითარება.* 26 მაისს აქციის დაშლის დროს აქციის მონაწილეთა დაკავების ფაქტები ანგარიშის სხვა თავებშია შეფასებული. ამ თავში კი მიმოხილულია მხოლოდ დაკავების ის ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 26 მაისამდე და, რომელთა შემთხვევაშიც, ობიექტურად მოცემული რამდენიმე გარემოების კუმულატიურად არსებობა მიუთითებს მათ კავშირზე 21 მაისიდან 25 მაისამდე დაგეგმილ საპროტესტო აქციასთან. ამასთან, აღნიშნული თავის ფარგლებში განხილულია დაკავების ის ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 7 მაისს რუსთავში და 21 მაისს ბათუმში მიმდინარე აქციების დაშლის დროს, ან მალევე აქციის დაშლის შემდეგ, რაც, თავის მხრივ, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებაში უხეშ ჩარევას წარმოადგენს.

26 მაისამდე განხორციელებული დაკავებების აღწერა საინტერესო გახდა მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა იმ პირთა დაკავების შემთხვევები, რომლებიც „სახალხო კრების" მხარდამჭერები იყვნენ და დაკავებამდე სხვადასხვაგვარად იყვნენ ჩართულნი 21 მაისისთვის დაგეგმილი აქციის მზადების პროცესში. „სახალხო კრების" აღმასრულებელმა საბჭომ საპროტესტო აქციების დაწყების თარიღად 21 მაისის 15:00 საათი დაადგინა.[3] აღნიშნული გადაწყვეტილება ოფიციალურად გამოცხადდა 2 მაისს.[4] ამავე გადაწყვეტილების მიხედვით, „სახალხო კრების" შტაბი უზრუნველყოფდა 2 მაისიდან 21 მაისამდე დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას, რაც, სავარაუდოდ, გულისხმობდა როგორც მხარდამჭერთა აქტიურ მობილიზებას 21 მაისს გასამართი აქციისთვის, ისე აქციისთვის საჭირო ტექნიკური საკითხების მოგვარებას აქციის ორგანიზებაში ჩართული პირების მხრიდან. აქციის მზადების მთელი პერიოდის განმავლობაში აქციის ორგანიზატორები და აქტივისტები ახორციელებდნენ შესაბამის ღონისძიებებს აქციის მომზადებისთვის, რაც მანიფესტაციის უფლების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და ეს საქმიანობა ექცევა საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის დაცვის ქვეშ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ *„შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ეფექტური განხორციელება გულისხმობს როგორც შეკრებაში მონაწილეობის, ასევე, მისი ინიცირებისა და ორგანიზების უფლებას."*[5] შესაბამისად, 21 მაისამდე აქციის ინიციატორები და ორგანიზატორები სარგებლობდნენ ისეთივე კონსტიტუციური გარანტიებით, როგორც მანიფესტაციაში უშუალოდ მონაწილე პირები. ამიტომაც, 21 მაისს დაგეგმილი აქციის გამართვამდე რამდენიმე დღით ადრე, იმ პირთა გახშირებული დაკავების შემთხვევები, რომლებიც იყვნენ აქციის ორგანიზატორები ან აქციის გამართვაზე პასუხისმგებლები პირები, შეიძლება განვიხილოთ როგორც შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობაში ჩარევა, რასაც ხელისუფლების მხრიდან ლეგიტიმურობისა და პროპორციულობის ტესტით ისეთივე გამართლება სჭირდება, როგორც უშუალოდ მანიფესტაციის უფლებით სარგებლობაში ჩარევას.

---

[3] სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს 2011 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება: http://www.democrats.ge/ka/siaxleebi/akhali-ambebi/1142-sakhalkho-krebis-gadatsyvetileba.html

[4] 2 მაისის საინფორმაციო გამოშვება კურიერი, http://www.myvideo.ge/?video_id=1306816

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=640&action=show

26 მაისის აქციის დაშლის დროს დაკავებული პირებისთვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის მიზნით, საიას ადვოკატებს უწევდათ მათი ძებნა სხვადასხვა დროებითი მოთავსების იზოლატორში. იქიდან გამომდინარე, რომ იზოლატორების ადმინისტრაციისგან რთული იყო კონკრეტული დაკავებული პირის იზოლატორში შეყვანის შესახებ ინფორმაციის მიღება/დადასტურება, საიას ადვოკატებს უწევდათ, თავად შესულიყვნენ იზოლატორებში და დაედგინათ დაკავებული პირების ადგილსამყოფელი. ამ მიზნით, ადვოკატები ხვდებოდნენ თითოეულ იზოლატორში დაკავებულ პირებს და იღებდნენ ინფორმაციას მათი ვინაობის, დაკავების დროისა და ვითარების შესახებ. სწორედ ასეთი აღწერების დროს გამოიკვეთა, რომ მაისის აქციებთან კავშირში მყოფი პირების დაკავება დაიწყო ჯერ კიდევ 26 მაისამდე. იზოლატორებში მოთავსებული პირების გარკვეული ნაწილი სწორედ მანამდე იყო დაკავებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, ანგარიშის მომზადების დროს სამუშაო ჯგუფი შეეცადა, დაედგინა იმ პირების საერთო რაოდენობა, რომლებიც 26 მაისამდე დააკავეს და რომლებიც სხვადასხვა ფორმით სარგებლობდნენ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით ან სხვაგვარად იყვნენ დაკავშირებულნი დაგეგმილ/მიმდინარე აქციებთან (*შემდგომში* 26 მაისამდე დაკავებული პირები).

მოცემულ ანგარიშში 26 მაისამდე დაკავებულ პირთა საერთო რაოდენობაში გათვალისწინებულნი არიან ის პირებიც, რომლებიც უშუალოდ არ იყვნენ ჩართულნი აქციის ორგანიზებაში, თუმცა, შეუძლებელია მათი დაკავებების განხილვა საერთო სიტუაციიდან იზოლირებულად, მათი დაკავების დროისა და ვითარების გათვალისწინებით. *მათ შორისაა, მაგალითად,* იმ სამარშრუტო ტაქსების მძღოლების დაკავების შემთხვევები, რომელთა მეშვეობითაც „სახალხო კრების“ მხარდამჭერებს გადაჰქონდათ აქციის გამართვისთვის საჭირო სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობა. მათი დაკავება და, შემდგომში, ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება მოხდა „სახალხო კრების“ მხარდამჭერებთან ერთად.

სამუშაო ჯგუფის მიერ ვითარების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ *სავარაუდოდ* შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული დაკავებები ფიქსირდებოდა როგორც მაისის დასაწყისში, ისე უშუალოდ 21 მაისის აქციის გამართვამდე რამდენიმე დღით ადრე. დაკავებების ინტენსივობა განსაკუთრებულად მაღალი სწორედ 21 მაისის აქციამდე 2-3 დღით ადრე იყო. დაკავებულთა რიცხვის დადგენისას სამუშაო ჯგუფი 4 ძირითად წყაროს ეყრდნობოდა. მათ შორის, უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა საიას ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაცია სხვადასხვა იზოლატორში მოთავსებული პირების შესახებ. ამას გარდა, გამოყენებულ იქნა არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოებრივი დამცველის“, პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოსა“ და, ასევე, ღია წყაროებიდან (სხვადასხვა ინტერნეტ-საიტიდან) მიღებული ინფორმაცია. მოპოვებული მასალების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაკავებულ პირთა რაოდენობა შეადგენდა 96-ს (აქედან, 42 შემთხვევა საიას ადვოკატების მიერ დაფიქსირდა, 54 – სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია). დაკავებულთაგან, ნაწილი სარგებლობდა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით, ნაწილი კი სხვაგვარად იყო დაკავშირებული დაგეგმილ/მიმდინარე აქციებთან.[6]

სამუშაო ჯგუფმა ანგარიშის მომზადების პროცესში გამოკითხა 26 მაისამდე დაკავებული 18 პირი და მათგან ახსნა-განმარტებები აიღო. ვითარების ანალიზის მიზნით, ასევე გამოყენებულ იქნა აქციის ორგანიზატორებისა და „სახალხო კრების“ მხარდამჭერების მიერ ზეპირსიტყვიერად მოწოდებული ინფორმაცია. დაკავებულთა განსაკუთრებულად დიდი რაოდენობა, რა თქმა უნდა, იმთავითვე გამორიცხავდა ყველა საქმის დეტალურ ანალიზს, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ გამოკვლეულ რამდენიმე საქმეში დაფიქსირებული გარემოების ერთგვაროვნება და ფაქტების თანხვედრა საკმარისია იმის მტკიცებისთვის, რომ აღნიშნული დაკავებები შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობასთან იყო დაკავშირებული. ამასთან, საქმეების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ ადამიანის უფლებათა დარღვევის იმ საერთო ტენდენციებზე, რაც იმ პერიოდში დაკავების შემთხვევებს ახასიათებდა. *მათ შორის,* აღნიშნული პირების მიმართ, სავარაუდოდ, ფიქსირდებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლების, სათანადო მოპყრობის, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევის ფაქტები.

---

[6] შენიშვნა: ამ რიცხვში შედიან 7 მაისს და 21 მაისს რუსთავსა და ბათუმში დაკავებული პირები და ასევე „სახალხო კრების“ ის მხარდამჭერები, რომლებიც 26 მაისამდე დააკავეს.

1.1. 2011 წლის 7 მაისს რუსთავში მიმდინარე აქციის მონაწილეების დაკავების ფაქტები

მშვიდობიანი აქცია რუსთავში

მანიფესტაციის უფლებაში ჩარევისა და დაკავების პირველი ფაქტები დაფიქსირდა მაისის დასაწყისში, კერძოდ, 7 მაისს, რუსთავში, სადაც რუსთავის პოლიციის პირველი განყოფილების უფროსის, ვალერი დუღაშვილის სახლთან „ამხილე ჯალათის“ ფარგლებში აქციას მართავდნენ „სახალხო კრების“ ახალგაზრდული ორგანიზაციისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „არა“-ს წევრები. აღნიშნული დაკავებების ანალიზისას, საია დაეყრდნო 7 დაკავებული პირის მიერ სამუშაო ჯგუფისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებას, ასევე ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ გადაღებულ ვიდეო მასალას, რომელიც აქციის დაშლას ასახავს.[7]

როგორც ორგანიზაცია „არა“-ს თავმჯდომარე და აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ლევან ჩიტაძე განმარტავს, აქცია გრძელდებოდა დაახლოებით 15 წუთის მანძილზე. აქციის დასასრულ, მან შენიშნა საპატრულო პოლიციის პიკაპის მარკის ავტომობილი, რომელიც ერთ-ერთი ვიწრო ქუჩიდან მიუახლოვდა აქციის ტერიტორიას. მას უკან კიდევ 3 საპატრულო პოლიციის ავტომობილი მოჰყვებოდა. ლევან ჩიტაძის ახსნა-განმარტებით: *„ერთმა პიროვნებამ, რომელიც არ არის და არ ყოფილა არც მოძრაობა „არა“-ს და არც სახალხო კრების წევრი, პოლიციელ ქალებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ერთ-ერთ მათგანს ფიზიკურადაც შეეხო (ხელი გაარტყა). შემდეგ გაიქცა იმ ვიწრო ქუჩაზე სადაც საპატრულო პოლიციის ავტომობილები იყვნენ გაჩერებულები... გაქცევისას კი საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მას დერეფანი გაუკეთეს და გაატარეს, მისი შეჩერებაც კი არ უცდიათ, არც უკან გაჰყოლიან გამოდევნების მიზნით.“* აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს ტელეკომპანია “მაესტროს” ეთერში გასული ვიდეო მასალაც[8].

ლ. ჩიტაძის განმარტებით, აღნიშნულ ინციდენტს მოჰყვა პოლიციის ფორმაში ჩაცმული ადამიანების გამოჩენა აქციის მიმდებარე კიდევ ერთი ქუჩიდან, რისი დაფიქსირებისთანავე, მან ხმის გამაძლიერებლის მეშვეობით მომიტინგეებს განუცხადა, რომ აქცია დასრულებულია და აქციის მონაწილეებს პოლიციის გასაგონად რამდენჯერმე მოუწოდა დაშლისკენ, რასაც მოჰყვა კიდეც აქციის მონაწილეების დაძვრა ჩიტაძის მიმართულებით, რათა ერთად დაეტოვებინათ აქციის ტერიტორია. თუმცა, ამ დროს პოლიციელებმა დემონსტრანტთა ნაწილი ალყაში მოაქცია და დააკავა.

სავარაუდო პროვოკატორის ამსახველი ფოტო მასალა.
მარჯვენა სურათზე ასახულია პოლიციის მიერ აქციის დაშლა

ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ გავრცელებულ ვიდეო მასალაში, სადაც დაფიქსირებულია აქციის დაშლა და მონაწილეთა დაკავება, არ ჩანს აქციის მონაწილეთა მხრიდან არც ჯგუფური და არც ინდივიდუალური წინააღმდეგობის გაწევის არც ერთი შემთხვევა. მიუხედავად ამისა, ვიდეო მასალაში ისმის პოლიციის წარმომადგენლების სიტყვები „ნუ იგინები“, რომლითაც ისინი დაკავებულ პირებს მიმართავენ. ვიდეო მასალაში ასევე ჩანს, რომ დაკავებულები, რომ-

[7] http://www.maestro.ge/?address=uc&id=20872&page=1

[8] http://maestro.ge/?address=uc&id=20901&page=1

ლებიც გარშემორტყმულნი არიან სამართალდამცავებით, წინააღმდეგობის გარეშე მიჰყვებიან მათ პოლიციის მანქანებისკენ.[9]

როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, პოლიციის მხრიდან *სავარაუდოდ* ადგილი ჰქონდა *agents provocateurs*-ის გამოყენებას, რასაც მოჰყვა აქციის მონაწილეების უკანონო დაკავება. იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას მშვიდობიანი აქციის მონაწილეები კონტრ-დემონსტრანტებისა და პროვოკატორებისგან, პოლიციის მხრიდან *სავარაუდოდ* პროვოკატორი აგენტის გამოყენება აქციის ჩაშლის (ხელშეშლის) მიზნით, არღვევს კონსტიტუციის 25-ე მუხლს.[10]

პოლიციამ 7 მაისს აქციის 13 მონაწილე დააკავა, კერძოდ, **გოჩა თედორაძე**, **ლევან ჩიტაძე**, **ვასილ ბალახაძე**, **გია ნოზაძე**, **გელა ნაკაშიძე**, **ოთარ ყავლაშვილი**, **ნიკა სამხარაძე, დავით დალაქიშვილი, შალვა მახარაშვილი, კახა სალუქვაძე, გიორგი ფარესაშვილი, ლევან მთივლიშვილი, მირიან ჯაშიაშვილი.** აქციის მონაწილეების დაკავება მოხდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (*წვრილმანი ხულიგნობა*) და 173-ე (*სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა*) მუხლების საფუძველზე. სახდელის სახით კი გამოყენებული იქნა როგორც ჯარიმა, ისე პატიმრობა სხვადასხვა ვადით (7 დღე, 15 დღე, 30 დღე).

7 მაისს დაკავებული აქციის მონაწილეების მიმართ დაკავების, სასამართლო განხილვისა და იზოლატორში მოთავსების განმავლობაში ფიქსირდებოდა ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის ფაქტები, მათ შორის, მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკური ხელშეუხებლობის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისაგან თავისუფლების, სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელყოფას, რაც დეტალურად ქვემოთ იქნება მიმოხილული.

1.2. 21 მაისს ბათუმში მიმდინარე აქციის მონაწილეების დაკავების ფაქტები

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობის დროს თავისუფლების შეზღუდვის ფაქტები დაფიქსირდა 21 მაისს ბათუმში, სახალხო კრების მიერ გამართული აქციის დროს. აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლები შეხვდნენ „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ბათუმის ორგანიზაციის წარმომადგენლებს და მათგან მიიღოს ინფორმაცია. ვინაიდან ანგარიშის ამ ნაწილის მომზადების ეტაპზე დაკავებული პირები ჯერ კიდევ რჩებოდნენ დროებითი მოთავსების იზოლატორებში, რაც ართულებდა მათთან კომუნიკაციას, სიტუაციის ანალიზისთვის გამოვიყენეთ მათი თანაპარტიელების მიერ ზეპირი და წერილობითი ფორმით მოწოდებული ინფორმაცია და ახსნა-განმარტებები.

21 მაისს აქცია დაიწყო ევროპის მოედანზე, საიდანაც აქციის მონაწილეებმა, დაახლოებით 17:30 საათიდან, აჭარის ტელევიზიასთან გადაინაცვლეს და სატელევიზიო ეთერის დათმობა მოითხოვეს. თუმცა, როგორც აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე გურამ ხოზრევანიძე განმარტავს, იმის გამო, რომ ტელევიზიის კარი მათი მისვლის შემდეგ ჩაიკეტა, აქციის ლიდერებს არ მიეცათ საშუალება, აჭარის ტელევიზიის კანცელარიაში ჩაებარებინათ განცხადება, რომელშიც აქციის მონაწილეთა მოთხოვნები იყო ასახული. აქციის ლიდერებმა ტელევიზიის ხელმძღვანელობას განცხადების მიღებისთვის 15 წუთიანი ულტიმატუმის ვადა მისცეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, *„მომიტინგეები კარს თავისი ძალებით გააღებდნენ.“*[11] აღნიშნული ულტიმატუმის გაცხადებიდან რამდენიმე წუთში, აქციის ლიდერებთან შეუთანხმე-

[9] http://www.maestro.ge/?address=uc&id=20872&page=1

[10] მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, § 31. ეუთო და ევროპის საბჭოს ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია), 2010, ხელმისაწვდომია: http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)020-e.pdf

[11] საიას მიერ გურამ ხოზრევანიძისგან აღებული ახსნა-განმარტება

ბლად და მათთვის მოულოდნელად, აქციის მონაწილეების გარკვეულმა ნაწილმა დაიწყო ქვების სროლა ტელევიზიის შენობის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ სწორედ ტელევიზიის შენობის ამ ნაწილში იდგნენ აქციის ლიდერები, რომლებსაც მოხვდათ კიდეც ნასროლი ქვები. თავის ახსნა-განმარტებაში გურამ ხოზრევანიძე იხსენებს: *„მას შემდეგ, რაც გამოცხადდა ე.წ. 15 წუთიანი ულტიმატუმი, დაახლოებით 3-4 წუთის გასვლის შემდეგ შევნიშნე, თუ როგორ შეერია 15-20 კაციანი ორგანიზებული ბრიგადა [სამოქალაქო პირები] აქციის მონაწილეებს. ამ ხალხიდან მე ვერც ერთი ვიცანი, თუმცა, სახით მახსოვს და რამდენიმე მათგანის ამოცნობაც შემიძლია. ჯერ კიდევ არ იყო გასული 15 წუთი ულტიმატუმის დაყენებიდან, მოულოდნელად ამ 20 კაციანმა ბრიგადამ დაიწყო ქვების სროლა ტელევიზიის შენობის შესასვლელისკენ.“* ქვების სროლას მოჰყვა ტელევიზიის ვიტრინის ჩამსხვრევა. ნასროლი ქვები მოხვდათ პოლიციის წარმომადგენლებსაც, რის შემდეგაც სამართალდამცავთა ჩარევით მოხდა აქციის დაშლა. თუმცა, აქციის დაშლის დროს შემთხვევის ადგილზე არც ერთი პირის დაკავება არ მომხდარა, გარდა აქციის ერთ-ერთი მონაწილისა, რომელიც რეალურად ტელევიზიიდან ევროპის მოედანზე აქციის გადანაცვლების შემდეგ დააკავეს.

რაც შეეხება 21 მაისის აქციაში მონაწილე „სახალხო კრების“ სხვა მხარდამჭერების დაკავების ფაქტებს, აღნიშნული განხორციელდა მოგვიანებით, სახალხო კრების ოფისში, სადაც დაახლოებით ღამის პირველ საათზე შევიდა სპეციალური დანიშნულების რაზმი. როგორც „სახალხო კრების“ მხარდამჭერი და აქციის ერთ-ერთი მონაწილე ნოდარ ცინცაძე განმარტავს, სპეცდანიშნულების რაზმი ოფისში შესული იყო სპეციალური სიით, სადაც მითითებული იყო იმ ადამიანთა გვარები, რომლებიც უნდა დაეკავებინათ.[12] დაკავების დროს ოფისში მყოფი პირების განმარტებით, სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენლები მათ ეკითხებოდნენ გვარებს, შემდეგ ამოწმებდნენ ასეთი გვარების არსებობას სიაში, ხოლო გვარების დამთხვევის შემთხვევაში ასეთი პირებს აკავებდნენ. ამ პერიოდში მოხდა რამდენიმე პირის, *მათ შორის,* **დიმიტრი ჭეიშვილის, თემურ ჭანტურიშვილის, დავით სამნიძის, ანზორ სოლომონიძის და ჯამბულ შარაბიძის დაკავება.** როგორც დაკავებულთა სიიდან ჩანს, მათი უმრავლესობა არის სახალხო კრების სხვადასხვა რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. მაგალითად, თემურ ჭანტურიშვილი არის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, დავით სამნიძე – „სახალხო კრების“ ხელვაჩაურის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ჯამბულ შარაბიძე – ქედის ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

ამ მიმართებით საინტერესოა **ემზარ ქადიძის** დაკავების ფაქტობრივი გარემოებები. როგორც გურამ ხოზრევანიძე თავის ახსნა-განმარტებაში იხსენებს, მას შემდეგ, რაც სპეცრაზმმა ოფისი დატოვა, პარტიის წევრებმა და მხარდამჭერებმა დაიწყეს მსჯელობა შემდეგი დღის აქციის ორგანიზებაზე. მათთან ერთად იყო ემზარ ქადიძეც, რომელიც სამართალდამცავებს არ დაუკავებიათ. თანაპარტიელებთან ემზარ ქადიძემ განაცხადა, რომ მას შეეძლო, მომდევნო დღეს ქედის რაიონიდან რამდენიმე ათეული მხარდამჭერის მობილიზება მოეხდინა. გურამ ხოზრევანიძის განმარტებით, სწორედ ამის შემდეგ, რამდენიმე წუთში, ქადიძეს ტელეფონზე დაუკავშირდა პოლიციის წარმომადგენელი და დაიბარა პოლიციის განყოფილებაში, რასაც მისი დაკავება მოჰყვა.

21 მაისს ბათუმში გამართული აქციის მონაწილეთაგან სულ 16 ადამიანი დააკავეს, მათ შორის, ნაწილი 21 მაისს პარტიის ოფისში სპეცდანიშნულების რაზმის შესვლის დროს, ნაწილი კი – მეორე დღეს, 22 მაისს. აღნიშნული პირების დაკავება სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფაქტობრივ გარემოებაში მოხდა. მოგვიანებით, 7 ივნისს განხორციელდა აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ცოტნე ანანიძის დაკავება.

21 მაისს და შემდგომ დღეებში ბათუმში დაკავებული პირებიდან ნაწილს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა სხვადასხვა ვადით, მათ შორის: თემურ ჭანტურიშვილს – 45 დღე, დავით სამნიძეს – 45 დღე, ჯამბულ შარაბიძეს – 45 დღე, როლანდ ხოზრევანიძეს – 60 დღე, მარადი

[12] საიას მიერ ნოდარ ცინცაძისგან აღებული ახსნა-განმარტება

სოლომონიძეს – 60 დღე, როლანდ აბულაძეს – 60 დღე, ემზარ ქადიძეს – 60 დღე, ხამზა გიორგაძეს – 60 დღე. ნაწილის წინააღმდეგ კი, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მათ შორის არიან: დიმიტრი ჭეიშვილი, გოჩა მუხაშავრია, ანზორ სოლომონიძე, ხვიჩა გამარჯობაძე, დავით ფანტერაძე, ტარიელ ფუტკარაძე, ცოტნე ანანიძე, ვახტანგ სიორიძე, ნუგზარ გიორგაძე.

1.3. იმ პირთა დაკავება, რომლებიც სარგებლობდნენ აქციის ორგანიზების უფლებით

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაკავების შემთხვევები გახშირდა 21 მაისის აქციამდე რამდენიმე დღით ადრე. კერძოდ, 18-21 მაისს დააკავეს ის პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ 21 მაისს თბილისში დაგეგმილი აქციის მომზადების პროცესში. აღნიშნული დაკავებების შესახებ ახსნა-განმარტებები სამუშაო ჯგუფმა მიიღო უშუალოდ დაკავებული პირებისგან. საიას მიერ გამოკითხულ იქნა 7 ასეთი პირი. მიღებული ინფორმაციიდან იკვეთება, რომ ამ პირთა დაკავება განხორციელდა მანიფესტაციის უფლებით სარგებლობის დროს ან, სავარაუდოდ, მასთან კავშირში. სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი ჩარევა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მანიფესტაციის უფლებით სარგებლობის ხელშეშლა. წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილია ანგარიშის მომზადების დროს საიას მიერ შესწავლილი რამდენიმე საქმე, სადაც ჩანს, რომ აქციის მონაწილეების დაკავება სწორედ მანიფესტაციის უფლებით სარგებლობის დროს ან მასთან კავშირში მოხდა. როგორც შესავალში იყო მითითებული, აღნიშნული შეფასების დროს საია იყენებს ისეთ ობიექტურ კრიტერიუმებს, როგორიცაა დაკავებული პირების ვინაობა და სტატუსი, პოლიტიკური აქტივობა, პარტიული როლი, დაკავების დრო და ვითარება. ამასთან, საკითხის შეფასებისთვის საინტერესოა იმ ზეპირი განცხადებების ანალიზი, რომლებსაც პოლიციელები დაკავების დროს აკეთებდნენ და რომლებსაც დაკავებული პირების დიდი ნაწილი თავის ახსნა-განმარტებებში თანხვედრად ადასტურებს (იხ. ქვემოთ 1.4 ქვეთავი).

19 მაისს დააკავეს სახალხო კრების მხარდამჭერი **ემზარ ახვლედიანი,** რომელიც ისნის რაიონში ერთ-ერთ გაჩერებასთან პლაკატებს აკრავდა. ემზარ ახვლედიანის განმარტებით, ის მაისის დასაწყისიდან ჩართული იყო აქციების ორგანიზებაში, კერძოდ, მონაწილეობდა გაზეთებისა და ბუკლეტების გავრცელებაში. მისი თქმით, 19 მაისს დაახლოებით 19:00 საათზე, მას შემდეგ, რაც პლაკატები გააკრა და რამდენიმე ახალგაზრდას გამოელაპარაკა, 2 პოლიციელი წამოეწია და პირადობის მოწმობა მოსთხოვა. ამ დროს მათთან გაჩერდა თეთრი ფერის მანქანა, იქიდან გადმოვიდა 2 სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული მამაკაცი, რომლებმაც უთხრეს, მანქანაში ჩამჯდარიყო. აღნიშნულმა პირებმა ემზარ ახვლედიანი მიიყვანეს ისნის რაიონის პოლიციის განყოფილებაში, სადაც განუცხადეს, რომ მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციის თანამშრომელს. აღნიშნულის საფუძველზე, ემზარ ახვლედიანს სასამართლომ 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

20 მაისს პურის მოედანზე ერთდროულად დააკავეს სახალხო კრების 4 მხარდამჭერი, **მიშა ნამიჭეიშვილი, დავით არღვლიანი, ვლადიმერ შახპაზიდი და მურთაზ ხარზიანი**, რომლებსაც, მათივე განმარტებით, პარტიის ოფისში გადაჰქონდათ ბანერები 21 მაისის აქციისთვის. დაკავებულებს, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და დაუმორჩილებლობის საფუძვლით, სასამართლომ 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. ის სამარშრუტო ტაქსი კი, რომლითაც ბანერების გადატანა ხდებოდა, პოლიციის მიერ ამავე ვადით იქნა გადაყვანილი სპეციალურ სადგომზე.

21 მაისს დილის 6:30 საათზე სოფელ ყარაჯალაში საკუთარ სახლთან დააკავეს „სახალხო კრების“ მხარდამჭერი **ალიოშა ორუჯოვი**. დაკავების ოქმში პოლიციამ მიუთითა მისი მხრიდან უმისამართო გინებაზე. სასამართლო დაეყრდნო პოლიციელების ჩვენებას და, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, ალიოშა ორუჯოვს 90 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. თავად დაკავებულის განმარტებით, ის მონაწილეობდა 21 მაისის აქციის ორგანიზებაში, 21 მაისს კი, თელავიდან აქტივისტებთან ერთად აქციაზე წასვლას გეგმავდა.

21 მაისს დილის 8 საათზე საკუთარ სახლთან დააკავეს „სახალხო კრების“ მხარდამჭერი **გიორგი კოტარია.** დაკავებულის განმარტებით, ის მონაწილეობდა აქციის ორგანიზებაში, რომლის

დაწყებაც დაგეგმილი და გამოცხადებული იყო 21 მაისს, შუადღის 3 საათზე. სასამართლომ კოტარიას 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

21 მაისს ბახტრიონის ქუჩაზე საპატრულო პოლიციამ დააკავა „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ცენტრალური ოფისის ხელმძღვანელი **გოჩა წიკლაური.** დაკავებულის განმარტებით, საპატრულო პოლიციამ ის გააჩერა დაახლოებით 17 საათზე. საბუთების შემოწმების შემდეგ ის გადმოიყვანეს მანქანიდან, დაადეს ხელბორკილები და წაიყვანეს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე ისე, რომ მისთვის დაკავების საფუძველი არ განუმარტავთ. გოჩა წიკლაური პოლიციას დაკავებული ჰყავდა დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში, ის შემდეგაც საპატრულო პოლიციის წარმომადგენელმა მას გამოუწერა ელექტრონული საჯარიმო ქვითარი საჭესთან მობილურით სარგებლობის გამო. ქვითრის შედგენის დროდ მითითებულია 20:35 საათი. ქვითარზე არის გოჩა წიკლაურის ხელმოწერა. ამასთან, საპატრულო პოლიციის წარმომადგენელმა გააფორმა ადმინისტრაციული დაკავების ოქმი, რომლის შედგენის დროდ მითითებულია 19:50 საათი. ოქმში დაკავების მიზეზად მოხსენიებულია პატრულ-ინსპექტორის სიტყვიერი შეურაცხყოფა და არაერთგზის კანონიერი მოთხოვნის ბოროტი დაუმორჩილებლობა. ოქმში გოჩა წიკლაურის ფაქტობრივი დაკავების დროდ მითითებულია 19:30 საათი. ამასთან, ოქმზე არ არის დაკავებულის ხელმოწერა. როგორც გოჩა წიკლაური განმარტავს, საათნახევრის განმავლობაში სამართალდამცავები ელოდებოდნენ დირექტივებს, რის შემდეგაც მოხდა როგორც საჯარიმო ქვითრის, ისე დაკავების ოქმის შედგენა. გოჩა წიკლაური არის „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ცენტრალური ოფისის ხელმძღვანელი და აქტიურად იყო ჩართული 21 მაისის აქციის ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.

26 მაისამდე დაკავებულებს შორის იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ჩართულნი არ ყოფილან აქციების მომზადებაში და მათთან მიმართებით ცალსახად არ იკვეთება შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზების უფლებაში ჩარევა. თუმცა, თავად ეს პირები მათ დაკავებას საპროტესტო აქციებში მონაწილეობას უკავშირებენ. ქვემოთ წარმოდგენილია სამი ასეთი პირის დაკავების შემთხვევა.

22 მაისს, სოფელ წინანდალში დააკავეს **გიორგი თანდილაშვილი**. როგორც დაკავებული განმარტავს, დაახლოებით 12:30 საათზე მასთან სახლში მივიდნენ პოლიციის წარმომადგენლები და, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში წაიყვანეს. სასამართლომ მის მიმართ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, გამოიყენა ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა – 90 დღე. გიორგი თანდილაშვილის განმარტებით, დაკავებამდე ის იმყოფებოდა ერთ-ერთ საპროტესტო აქციაზე, რასაც უკავშირებს კიდეც მის დაკავებას.

23 მაისს, დაახლოებით 12:30 საათზე, საკუთარ სახლში დააკავეს „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ წევრი **ზურაბ ფირიაშვილი და მისი თანაპარტიელი თენგო ქობლიშვილი.** როგორც ზურაბ ფირიაშვილმა განმარტა, მათი დაკავება განახორციელა 14-მა პოლიციელმა, რომლებიც ღამით შევიდნენ მასთან სახლში, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაიყვანეს ოთახიდან, ჩასვეს მანქანაში, სადაც დაადეს ხელბორკილები და წაიყვანეს დილმის დროებითი მოთავსების იზოლატორში.[13] ფირიაშვილის თქმით, მისი დაკავება დაკავშირებული იყო მისივე პარტიულ საქმიანობასთან. დაკავებულის განმარტებით: *„პოლიციელები მიწოდებდნენ სამშობლოს მოღალატეს და მაგინებდნენ იმის გამო, რომ ვიყავი ბურჯანაძის პარტიის წევრი და მონაწილეობას ვიღებდი აქციებში.“* ზურაბ ფირიაშვილს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე, სასამართლომ 40 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

1.4. დაკავებისას დაფიქსირებული უფლებათა დარღვევის ფაქტები

როგორც დაკავებული პირების ნაწილის ახსნა-განმარტებებიდან ჩანს, მათი დაკავებისას ად-

[13] საიას მიერ ზურაბ ფირიაშვილისგან აღებული ახსნა-განმარტება.

გილი ჰქონდა სამართალდამცავების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს, დაკავების დროს მათ აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს" წევრი ზურაბ ფირიაშვილი განმარტავს, დაკავებისას მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, დაზიანებები აღენიშნებოდა სასამართლო პროცესზეც, თუმცა, მოსამართლეს ამაზე რეაგირება არ მოუხდენია. ფირიაშვილის თქმით, მოსამართლე დაეყრდნო პოლიციელის ახსნა-განმარტებას იმასთან დაკავშირებით, თითქოს მას ეს დაზიანებები დაკავებამდე აღენიშნებოდა.[14]

გოჩა თედორაძის ახსნა-განმარტების მიხედვით, მის მიმართ ადგილი ჰქონდა როგორც სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ისე ოჯახის წევრების განადგურების მუქარას.[15]

დაკავებული პირების ახსნა-განმარტებებიდან ჩანს, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფის დროს პოლიციელები აქცენტს აკეთებდნენ დაკავებულთა პარტიულ აქტიურობაზე. ამას ადასტურებს საიას მიერ გამოკითხულ პირთა დიდი ნაწილი. როგორც 7 მაისს დაკავებული ვასილ ბალახაძის ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, დაკავებისას პოლიციელები მას ეუბნებოდნენ, რომ რაც მოუვიდოდა, ყველაფერი მისი აქტიურობის ბრალი იქნებოდა.[16] გოჩა თედორაძემ ასევე განაცხადა: *„პოლიციის თანამშრომლები არც მალავდნენ, რომ დაგვაკავეს აქციაში მონაწილეობისა* და *21 მაისის აქციებისთვის მზადების გამო".*[17]

თავის ახსნა-განმარტებაში 21 მაისს დაკავებული ალიოშა ორუჯოვი იხსენებს, რომ დაკავების დროს პოლიციელები მითითებას აკეთებდნენ მის პარტიულ აქტიურობაზე, ასევე, პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა დაკავებულის სიტყვიერ შეურაცხყოფას.[18] ანალოგიურ ვითარებას აღწერს ზურაბ ფირიაშვილი, რომლის ახსნა-განმარტებაშიც მითითებულია, რომ დაკავებისას სამართალდამცავები აგინებდნენ და მოიხსენიებდნენ, როგორც სამშობლოს მოღალატეს.[19]

პოლიციელების მხრიდან ასეთი ღია მინიშნებები დაკავებულ პირთა პოლიტიკურ საქმიანობაზე კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული დაკავებების მჭიდრო კავშირზე იმ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან. ამასთან, ეს გარემოება მიუთითებს პოლიციის მხრიდან პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევაზე.[20]

აღსანიშნავია, რომ, უმეტეს შემთხვევაში, დაკავებულებს არ ეძლეოდათ შესაძლებლობა, დაკავშირებოდნენ ოჯახის წევრებს, რომლებიც ინფორმაციას ძირითადად თანაპარტიელების, მეგობრებისა ან ადვოკატებისგან იღებდნენ. აღნიშნული ტენდენცია დასტურდება საიას მიერ გამოკითხულ პირთა უმრავლესობის ახსნა-განმარტებებით. *მაგალითისთვის,* ოთარ ყაველაშვილი იხსენებს, რომ დაკავების შემდეგ მას არ მიეცა ზარის განხორციელების უფლება. გია ნოზაძის შემთხვევაში კი, ინფორმაცია მისი დაკავების შესახებ ოჯახის წევრებმა შეიტყვეს სასამართლო პროცესის შემდეგ, „სახალხო კრების" რუსთავის ორგანიზაციის წევრების მეშვეობით. გელა ნაკაშიძის დაკავების შესახებ ოჯახს ინფორმაცია მიაწოდეს მეგობრებმა.[21]

1.5. სასამართლო განხილვისას გამოვლენილი უფლებების დარღვევის ფაქტები

როგორც ჩვენ მიერ გამოკითხული დაკავებული პირების ახსნა-განმარტებებიდან ჩანს, სასამართლო პროცესებზე ფიქსირდებოდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საერთო ტენდენცია. მოსამართლეების მხრიდან, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა მტკიცების

[14] საიას მიერ ზურაბ ფირიაშვილისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[15] საიას მიერ გოჩა თედორაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[16] საიას მიერ ვასილ ბალახაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[17] საიას მიერ გოჩა თედორაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[18] საიას მიერ ალიოშა ორუჯოვისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[19] საიას მიერ ზურაბ ფირიაშვილისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[20] დემოკრატიული პოლიციის სახელმძღვანელო, § 9, ეუთო, 2008 წელი, ხელმისაწვდომია: http://www.osce.org/spmu/23804

[21] საიას მიერ გელა ნაკაშიძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

დაბალი სტანდარტის გამოყენებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დადგენის მიზნით. ამასთან, ირღვეოდა მხარეთა თანასწორობისა და სხდომათა საჯაროობის პრინციპები. როგორც ჩვენს ხელთ არსებული ახსნა-განმარტებები მიუთითებს, საქმის განხილვის დროს მოსამართლეები ეყრდნობოდნენ მხოლოდ პოლიციელების ახსნა-განმარტებებს. ამასთან, მათი მხრიდან არ ხდებოდა დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილება. რიგ შემთხვევებში, გამოვლინდა ისეთი ფაქტები, როდესაც სასამართლო სხდომის დარბაზები გავსებული იყო სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული უცხო პირებით, რის გამოც შეუძლებელი ხდებოდა სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარის მხარდამჭერთა დასწრება.[22]

როგორც 7 მაისს რუსთავში დაკავებული გოჩა თედორაძის ახსნა-განმარტებაშია დაფიქსირებული, მიუხედავად იმისა, რომ აქციის მიმდინარეობა ჩაწერილი იყო დისკზე, რომლის გახსნის შუამდგომლობასაც აყენებდა დაცვის მხარე, სასამართლომ უარი განაცხადა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ოთარ ყაველაშვილის ახსნა-განმარტებაც ადასტურებს, რომ დაკავებულების მხრიდან დაყენებულ იქნა შუამდგომლობა საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ გადაღებული ვიდეო კადრების გახსნის თაობაზე, თუმცა, მოსამართლემ აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. იგივეს ადასტურებს 7 მაისს დაკავებული ლევან ჩიტაძის ახსნა-განმარტებაც: *„[მოსამართლემ] არ გაითვალისწინა აქციის არც ერთი მონაწილის ჩვენება, რომლებიც მოწმეების სახით იქნენ დაკითხულნი სასამართლო პროცესზე. არ დააკმაყოფილა ჩემი ადვოკატის არც ერთი შუამდგომლობა, რაც სიცხადეს შეიტანდა საქმესთან მიმართებით, მათ შორის, ვიდეო ფირების ამოღება სხვადასხვა ტელეკომპანიის კამერებიდან, თავად პოლიციის თანამშრომლების ვიდეო კამერებიდან.“*[23]

„სახალხო კრების“ წარმომადგენლების განმარტებით, 21 მაისს ბათუმში დაკავებული პირების სასამართლო განხილვის დროს სასამართლომ ასევე არ მოახდინა საქმის გარემოებების სრული და ობიექტური გამოკვლევა. მათი განცხადებით, აჭარის ტელევიზიასთან აქციის მიმდინარეობა და შემდგომ იქ მომხდარი ინციდენტიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განთავსებული კამერებით ფიქსირდებოდა, რომლებზეც აღბეჭდილი უნდა ყოფილიყო, თუ ვინ მონაწილეობდა პოლიციასთან გამართულ შეხლა-შემოხლაში. აქციის მიმდინარეობას იღებდა რამდენიმე ტელეკომპანიაც. თუმცა, შუამდგომლობის მიუხედავად, სასამართლომ ვიდეო ჩანაწერების გახსნის გადაწყვეტილება არ მიიღო.

სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლეს შემთხვევაში დაკავებული პირის წინააღმდეგ სასამართლოში ახსნა-განმარტებას აძლევდა არა ის პოლიციელი, რომელიც მას აკავებდა, არამედ ის, ვინც მოგვიანებით განყოფილებასა ან სხვა ადგილას ადგენდა დაკავების ოქმს.[24] აღნიშნული პრაქტიკის მიხედვით, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის გაწევის ფაქტს სასამართლო სხდომაზე ადასტურებდა ის პოლიციელი, რომელიც იმ მომენტში საერთოდ არ ყოფილა დაკავების ადგილას.

როგორც 7 მაისს რუსთავში დაკავებული აქციის მონაწილეები თავის ახსნა-განმარტებებში ადასტურებენ, სასამართლო სხდომის დარბაზები განზრახ იყო შევსებული უცხო პირების მიერ, რათა არ მომხდარიყო დაცვის მხარის მხარდამჭერებისა და თანაპარტიელების დასწრება სასამართლო პროცესზე. დაკავებულების განმარტებით, სასამართლო პროცესებზე დარბაზში ისხდნენ მათთვის უცნობი, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განიხილება შემჭიდროვებულ ვადებში. კერძოდ, კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე სასამართლო საქმეს განიხილავს პირის სასამართლოში წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში,[25] რაც კიდევ უფრო საეჭვოს ხდის, ამ ვადაში სასამართლო სხდომის დარბაზები შევსებულიყო დაკავებული პირების სასამართლო განხილვით დაინტერესებული სრულიად უცხო ადამიანებით. სავარაუ-

[22] საიას მიერ ვასილ ბალახაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[23] საიას მიერ ლევან ჩიტაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[24] საიას მიერ ნიკა სამხარაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[25] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

დოდ, ამ მეთოდის გამოყენებით, ადგილი ჰქონდა სასამართლო სხდომის საჯაროობის პრინციპის შეზღუდვას, რაც ხელს უშლიდა დაინტერესებულ პირებს, მათ შორის, დაკავებულების ოჯახის წევრებს, მეგობრებს, თანაპარტიელებს, დასწრებოდნენ საქმის განხილვას და დაკვირვებოდნენ სხდომის მიმდინარეობას.

1.6. არასათანადო მოპყრობა დროებითი მოთავსების იზოლატორებში

სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი საქმეებიდან რამდენიმეში გამოიკვეთა არასათანადო მოპყრობის შემთხვევები, რომელიც გულისხმობს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს, არასათანადო სამედიცინო დახმარებას, წყლის, საკვებისა და ამანათების მიღების პრობლემას დროებითი მოთავსების იზოლატორებში (შემდგომში დმი).

მოცემულ თავში, არასათანადო მოპყრობის ფაქტების აღწერისას სამუშაო ჯგუფი ეყრდნობა მხოლოდ დაზარალებული პირების ახსნა-განმარტებებს. ვინაიდან დაკავებულ პირებს დროულად არ მიუმართავთ სამედიცინო დაწესებულებისთვის გამოკვლევების ჩატარების მიზნით, სამუშაო ჯგუფმა ვერ მოიპოვა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია დაკავებისას მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ანგარიშის მომზადების დროს კი ამგვარი სამედიცინო გამოკვლევების ჩატარება უკვე დაგვიანებული იყო. შესაბამისად, მოცემულ თავში დაფიქსირებული არასათანადო მოპყრობის ფაქტები ჩვენი მხრიდან ვერ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით. თუმცა, მიუხედავად ამისა, ანგარიშში დაფიქსირებული ინფორმაცია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, საკმარისი საფუძველია არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიების დასაწყებად.

- **ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები იზოლატორებში**

განსაკუთრებით სასტიკ მოპყრობაზე მიუთითებდა დიღმის დმი-ში მოთავსებული 22 წლის ლევან ჩიტაძე, რომელიც 8 მაისიდან 21 მაისამდე დიღმის დმი-ში საკანში მარტო იყო მოთავსებული. მისი განმარტებით, დაკავებიდან მე-2 დღეს, 9 მაისს, გვიან ღამით დმი-ს ბადრაგმა ის გაიყვანა საკნიდან დერეფანში და მოსთხოვა კედლიდან ერთი მეტრის მოშორებით დადგომა (სახით კედლისკენ) და კედელზე თავის მიდება. ბადრაგის მოთხოვნით დაკავებული ამ მდგომარეობაში უნდა გაჩერებულიყო ერთი საათის განმავლობაში. როგორც დაკავებულმა განმარტა, მან უარი განაცხადა ბადრაგის უკანონო მოთხოვნის შესრულებაზე, რის შემდეგაც ბადრაგმა დაუძახა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულ პიროვნებას (რომელიც უნიღბოდ იყო და მისი ამოცნობა ლ. ჩიტაძეს შეუძლია), რომელსაც იზოლატორის თანამშრომლები მიმართავდნენ სახელით „ალექსი“. აღნიშნულმა პიროვნებამ („ალექსმა“) ბადრაგს მისცა მითითება, რომ დაკავებულს გაეხადა ტანსაცმელი და ამ მდგომარეობაში გაეკეთებინა ბუქნები. დაკავებულის მხრიდან აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობას, „ალექსის“ გადაწყვეტილებით, მისი დასჯა მოჰყვა. ლევან ჩიტაძე თავის ახსნა-განმარტებაში იხსენებს: *„მიჭირს დროის განსაზღვრა, დაახლოებით 4-5 საათის განმავლობაში ვიდექი ფეხზე. როდესაც საკანში შემიყვანეს, უკვე თენდებოდა.“*[26]

დაკავებულის განმარტებით, დიღმის დმი-ში მის მიმართ ასევე ადგილი ჰქონდა ფიზიკური ძალის გამოყენებისა და ღირსების შემლახავ მოპყრობას. ჩიტაძის ახსნა-განმარტებაში ვკითხულობთ: *„15 მაისს დასჯაზე გაყვანილს გარეთ [დერეფანში] დამხვდა 10-მდე დმი-ს თანამშრომელი. მათ შემბოჭეს, ჰაერში ამწიეს და ტანსაცმელი ძალის გამოყენებით გამხადეს, ხელი ერთდროულად გამიშვეს და დაახლოებით 1 მეტრის სიმაღლიდან იატაკზე დამანარცხეს. „ალექსი“ მოვარდა ჩემთან და „ამიხსნა“, რომ მე ქვეყნის მოღალატე, რუსეთის აგენტი ვიყავი და სიკვდილსაც ვიმსახურებდი.“*

აღსანიშნავია, რომ ბადრაგის თანამშრომლებს ყელზე ეკეთათ მეტალის საგნები, რაზეც ამოტვიფრული იყო მათი სახელები და გვარები. თუმცა, როგორც ლევან ჩიტაძე განმარტავს, აღნიშნული იდენტიფიკაციის საშუალება მათ, როგორც წესი, ფორმის შიგნით ჰქონდათ მოქცეული,

[26] საიას მიერ ლევან ჩიტაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

ან შებრუნებული სახით ეკეთათ, რათა შეუძლებელი ყოფილიყო მათი სახელებისა და გვარების ამოკითხვა. თუმცა, ჩიტაძის განმარტებით, იმის გამო, რომ პიროვნებას, რომელსაც ბადრაგები მოიხსენიებდნენ სახელით „ალექსი," ისევე როგორც თავად ბადრაგებს, სახეზე არ ეკეთათ ნიღბები, მას შეუძლია მათი ამოცნობა. ცხადია, ეს გარემოება ხელს უწყობს ჩიტაძის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებას.

24 მაისს ღამით ჩიტაძე გადაყვანილ იქნა ქუთაისის დმი-ში. დაკავებულის განმარტებით, ქუთაისის დმი-ში შეყვანისას, მას ე.წ „სირცხვილის კორიდორი" მოუწყო დაახლოებით 15 ადამიანმა, რომლებიც რეზინის ხელკეტებს ურტყამდნენ.

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, ლევან ჩიტაძეს, საიას მიმართვის საფუძველზე, 29 ივლისიდან 5 აგვისტომდე კლინიკური ინტერვიუ და გამოკვლევა ჩაუტარდა წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრში. ცენტრის ფსიქიატრის ხათუნა ჭყოიძის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, ჩიტაძეს აღენიშნებოდა მსუბუქად გამოხატული დეპრესიული ეპიზოდი. ასევე, გათავისუფლების შემდეგ, მას ხანმოკლე დროით აღენიშნებოდა მწვავე სტრესული აშლილობის დამახასიათებელი ისეთი სიმპტომები, როგორიცაა: აკვიატებული და უსიამოვნო მოგონებები გადატანილ მოვლენებზე, კოშმარული სიზმრები, მკვეთრი უძილობა, გამღიზიანებლობა და ა.შ. დასკვნის თანახმად, *„აღნიშნული დარღვევები ვითარდება ისეთ ძლიერ მატრავმირებელ მოვლენებზე საპასუხოდ, რომელიც შეიცავს ინდივიდის უსაფრთხოებისა და ფიზიკური მთლიანობის დარღვევის საფრთხეს, ამიტომ მთლიანად იყო კავშირში მის მიერ გადატანილ წამებასთან, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობის ფაქტებთან."*[27]

21 მაისს დაკავებული **გოჩა წიკლაურის** განმარტებით, მის მიმართ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი ჰქონდა ყვარლის დროებითი მოთავსების იზოლატორში. ასევე, მისი განმარტებით, განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა ყვარლის დმი-ს უფროსი. ამასთან, დაკავებულის განმარტებით, *„ყოველი ცემის შემდეგ, ექიმების გამოძახებაზე უარს არ გვეუბნებოდნენ. თითქმის დღეგამოშვებით ყვარლის 03-ის ბრიგადები იყვნენ გამოძახებული. ძირითადი ჩივილები იყო მაღალი წნევა და თავის ტკივილები."*

არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე უთითებდა ყვარლის დმი-ში მოთავსებული 7 მაისს დაკავებული **გოჩა თედორაძეც.** დაკავებულის ახსნა-განმარტების თანახმად, 22 მაისიდან 30 მაისამდე ადგილი ჰქონდა დაკავებულების ცემას დღეში სამჯერ.[28]

- **სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფსიქოლოგიური ზეწოლა იზოლატორებში**

დიღმის დმი-ში მოთავსებული პირების ნაწილი მიუთითებდა, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შეურაცხყოფას და ფსიქოლოგიურ ზეწოლას. როგორც დაკავებულები აღნიშნავდნენ, ყოველ დილით ხდებოდა მათი გაშიშვლება შემოწმების მიზნით.

დმი-ის თანამშრომლები დაკავებულ პირებთან ურთიერთობაში ხშირად არღვევდნენ პოლიტიკური ნეიტრალიტეტის მოთხოვნას. მაგალითად, როგორც 21 მაისს დაკავებული ემზარ ახვლედიანის ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, დიღმის დმი-ში, როდესაც დაკავებულები იზოლატორის თანამშრომლებს სთხოვდნენ საკნის საპირფარეშოში წყლის გაშვებას, ისინი პასუხად ეუბნებოდნენ, „მოვა ბურჯანაძე და გამოუშვებს". ამასთან, იზოლატორის თანამშრომლებს დილაობით დაკავებულები გაჰყავდათ საკნებიდან და ასმენინებდნენ სიმღერას „მიშა მაგარია".[29] ლევან ჩიტაძის განმარტებით, საგარეჯოს დმი-ში საკანს, რომელშიც ის იყო მოთავსებული, არ ჰქონდა საპირფარეშო. ამ ფაქტს ადასტურებს საგარეჯოს დმი-ში მოთავსებული ზურაბ ბარა-

[27] დასკვნა ლევან ჩიტაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; #4, 05/08/2011, გაცემული წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის მიერ.

[28] საიას მიერ გოჩა თედორაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[29] საიას მიერ ემზარ ახვლედიანისგან აღებული ახსნა-განმარტება.

მიძის ახსნა-განმარტებაც.[30] ჩიტაძის მოთხოვნაზე, რომ ესარგებლა საპირფარეშოთი, ბადრაგი მას პასუხობდა: *„მოღალატეებს საპირფარეშოში არ ვუშვებთ“*.[31]

- **არასათანადო სამედიცინო დახმარება**

26 მაისამდე დაკავებული პირების გარკვეული ნაწილი ჩიოდა არასათანადო სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით. 7 მაისს დაკავებული ვასილ ბალახაძის განმარტებით, დიღმის დმი-ში მას უარს ეუბნებოდნენ სამედიცინო დახმარებაზე და მის თხოვნას პოლიტიკური ქარაგმებით პასუხობდნენ. ასევე, 7 მაისს დაკავებული გია ნოზაძის განმარტებით, დიღმის დმი-ში, 12 ივნისს, გამთენიისას მას გულის შეტევა დაემართა, თუმცა, მისი თხოვნის მიუხედავად, იზოლატორის თანამშრომლებმა სასწრაფო დახმარება მხოლოდ მეორე დღეს, მას შემდეგ გამოიძახეს, რაც მან, როგორც თვითონ ამტკიცებს, მიკროინფარქტი მიიღო.[32]

- **წყლის, საკვებისა და ამანათების პრობლემა**

საიას მიერ გამოკითხული 7 მაისს დაკავებული ყველა პირი მიუთითებდა საკვებთან დაკავშირებულ პრობლემაზე. დაკავებულთა განცხადებით, ამანათები შედიოდა დაცარიელებული, თუმცა, დაკავებულებს უწევდათ, ხელის მოწერით დაედასტურებინათ იმ ნივთების მიღება, რაც ამანათიდან უკვე ამოღებული იყო.

ოთარ ყაველაშვილი, რომელიც თავდაპირველად რუსთავის დმი-ში, შემდეგ კი მარნეულში იყო მოთავსებული, განმარტავს, რომ მას 4 დღის განმავლობაში არ მიეწოდებოდა საკვები და მხოლოდ წყალი ჰქონდა. ამ დროის გასვლის შემდეგ, მას მისცეს მხოლოდ 200 გრამი პური.[33]

საკვებთან დაკავშირებულ პრობლემაზე მიუთითებდა დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველოს“ ქვემო ქართლის ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარე ვასილ ბალახაძე, რომელიც დაკავებიდან 15 დღის განმავლობაში მოთავსებული იყო დიღმის დმი-ში.

7 მაისს დაკავებული ლევან ჩიტაძის განმარტებით, მას დიღმის იზოლატორში 11 მაისიდან 18 მაისამდე წყალი მხოლოდ ერთხელ, 15 მაისს შეუტანეს. 21 მაისს ჩიტაძე ერთი დღით გადაყვანილ იქნა საგარეჯოს დმი-ში, სადაც, მისი თქმით, საკვები საერთოდ არ შეუტანიათ.[34] წყლის პრობლემაზე მიუთითებდა დიღმის დმი-ში მოთავსებული 21 მაისს დაკავებული ზურაბ ბარამიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ დიღმის დმი-ში დასჯის ერთ-ერთი მეთოდი იყო წყლის დაკეტვა. ზურაბ ბარამიძის განმარტებით, უწყლობა განსაკუთრებით მძიმე იყო მისთვის და მასთან ერთად იზოლატორში მყოფი ორი პიროვნებისთვის, რომლებიც ასევე დაავადებულნი იყვნენ დიაბეტით.[35]

1.7. დაკავებული პირების სხვადასხვა იზოლატორში ხშირი ადგილმონაცვლეობის შემთხვევები

როგორც დაკავებულთა ახსნა-განმარტებებიდან გამოიკვეთა, ხშირ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა მათ მრავალჯერ გადაყვანას სხვადასხვა დროებითი მოთავსების იზოლატორში. დაკავებულები, რომლებსაც ადგილსამყოფელს უცვლიდნენ, ამის შესახებ წინასწარ არ იყვნენ

[30] საიას მიერ ზურაბ ბარამიძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[31] საიას მიერ ლევან ჩიტაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[32] საიას მიერ გია ნოზაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[33] საიას მიერ ოთარ ყაველაშვილისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[34] საიას მიერ ლევან ჩიტაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[35] საიას მიერ ზურაბ ბარამიძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

ინფორმირებულნი. ამასთან, დაკავებულთათვის უცნობი იყო დმი-ს შეცვლის მიზეზი. როგორც ემზარ ახვლედიანი განმარტავს, თავდაპირველად ის მოათავსეს დიღმის დმი-ში, საიდანაც ერთი კვირის შემდეგ გადაიყვანეს მცხეთაში, სადაც, ადგილის უქონლობის გამო, ვერ მიიღეს. საბოლოოდ ახვლედიანი მცხეთიდან დუშეთში გადაიყვანეს.[36] იზოლატორების ცვლილება ხორციელდებოდა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ანალოგიურად ხდებოდა იზოლატორების ცვლილება სხვა დაკავებულების შემთხვევაშიც. კერძოდ, ხარძიანი, არღვლიანი და ნამიჭეიშვილი დიღმის იზოლატორიდან ხაშურში იქნენ გადაყვანილნი. დაახლოებით დღენახევარში, ისინი ბორჯომში 4 ღამით გადაიყვანეს, დანარჩენი დრო კი დაკავებულებმა ახალციხის დმი-ში გაატარეს. მათთვის უცნობი იყო იზოლატორების ასეთი სიხშირით შეცვლის მიზეზი.[37] გიორგი კოტარიას შემთხვევაშიც, ადგილი ჰქონდა დროებითი მოთავსების იზოლატორების მრავალჯერ შეცვლას. კერძოდ, თავდაპირველად კოტარია მოთავსებულ იქნა დიღმის დმი-ში, შემდეგ 1 დღით – ხაშურში და შემდეგ – ბორჯომში. ბორჯომიდან კი, დაახლოებით 4 დღეში ახალციხის დმი-ში გადაიყვანეს.[38]

ამასთან, როგორც დაკავებულები განმარტავენ, ოჯახის წევრები არ იყვნენ ინფორმირებულნი მათი ადგილმდებარეობის ცვლილების შესახებ, რაც ართულებდა ადვოკატებთან კომუნიკაციას და დაკავებულთა ძებნა სხვადასხვა იზოლატორში უწევდათ.

დასკვნა

26 მაისამდე განხორციელებული დაკავებების ზოგადი ტენდენციის შეფასების მიზნით საიას მიერ შესწავლილმა საქმეებმა აჩვენა ის ძირითადი პრობლემები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდში დაკავებული პირების მიმართ. როგორც ზემოთ შეფასდა, 26 მაისამდე განხორციელებულ დაკავებებს, ძირითად შემთხვევებში, ახასიათებდა საერთო ტენდენცია, კერძოდ: აღნიშნული პირების დაკავება მოხდა მანიფესტაციის უფლებით სარგებლობის დროს, ან სხვაგვარად უკავშირდებოდა მანიფესტაციის უფლების რეალიზებას, რაც, თავის მხრივ, შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების დარღვევას წარმოადგენს. საქმეების ანალიზმა აჩვენა, რომ პოლიციის მიერ მასობრივად მოხდა იმ პირების დაკავება, რომლებიც 21 მაისის აქციის ორგანიზატორებს წარმოადგენდნენ, ან სხვადასხვა ფორმით იყვნენ ჩართულნი 21 მაისს დაგეგმილი აქციის მომზადების პროცესებში. ცხადია, ამ კატეგორიის პირების მასიური დაკავებების ფაქტები საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ მათი დაკავება, სავარაუდოდ, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობის ხელშეშლის მიზნით მოხდა, რაც კონსტიტუციის 25-ე მუხლის დარღვევაა.

26 მაისამდე დაკავებული პირების მიმართ, პარალელურად, დაფიქსირდა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის ტენდენციები. ამას გარდა, როგორც დაკავების, ისე დროებითი მოთავსების იზოლატორებში ზოგიერთი დაკავებული პირის მიმართ, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა არასათანადო და დამამცირებელი მოპყრობას. ზოგიერთი დაკავებულის მიმართ დაფიქსირდა სხვადასხვა სადამსჯელო ღონისძიების გამოყენების ფაქტებიც, რაც გამოიხატებოდა როგორც ფიზიკურ, ისე სიტყვიერ შეურაცხყოფაში. გარკვეულ შემთხვევებში, დაკავებულებს არ ჰქონდათ სათანადო ხელმისაწვდომობა სამედიცინო დახმარებაზე, წყალსა და საკვებზე.

საია მიიჩნევს, რომ ზემოთ მოცემული ინფორმაცია დაკავებული პირების მიმართ დმი-ებში დაფიქსირებული არასათანადო მოპყრობის შესახებ, მოითხოვს სათანადო რეაგირებას შესაბამისი უწყებების მხრიდან. ამასთან, არასათანადო მოპყრობის მძიმე შემთხვევები, მათ შორის, ლევან ჩიტაძისა და გოჩა თედორაძის საქმეები, მოითხოვს დროულ და ეფექტიან გამოძიებას პროკურატურის მხრიდან.

---

[36] საიას მიერ ემზარ ახვლედიანისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[37] საიას მიერ მურთაზ ხარზიანისა და ვლადიმერ შახპაზიდისგან აღებული ახსნა-განმარტებები.

[38] საიას მიერ გიორგი კოტარიასგან აღებული ახსნა-განმარტება.

მე-2 თავი. აქციის დაშლის ფორმალური საფუძველი

შესავალი

სანამ 26 მაისს პოლიციის მიერ აქციის დაშლის ოპერაციის მიმდინარეობის დროს და მასთან კავშირში დაფიქსირებული ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების (ინდივიდუალურ შემთხვევების, პრაქტიკების) მიმოხილვა მოხდება, სამართლებრივი თვალსაზრისით, აუცილებელია რამდენიმე ფუნდამენტური საკითხის შეფასება, რომელიც აქციის მონაწილეების მიმართ გამოსაყენებელი სამართლებრივი რეჟიმის დადგენასა და აქციის დაშლის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების ანალიზს უკავშირდება. აქციის დაშლასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების (მიმდინარე აქციებში ე.წ. „შეფიცულების" მონაწილეობა და მათი ქცევა; 26 მაისს რუსთაველის გამზირზე აღლუმის გამართვასა და ამავე ტერიტორიაზე აქციის ჩატარებას შორის ინტერესთა კონფლიქტი; აქციის მონაწილეების მიერ დეკლარირებული მიზანი, ხელისუფლებისთვის არ მიეცათ აღლუმის ჩატარების შესაძლებლობა) გათვალისწინებით, საჯარო დისკუსიებში აქტიურად მიმდინარეობდა იმ საკითხების შეფასება, ატარებდა თუ არა 25 მაისს მიმდინარე აქცია მშვიდობიან ხასიათს და 26 მაისს აქციის დაშლის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო თუ არა, ფორმალური თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი.

აქციის მშვიდობიანი ხასიათის შეფასებას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, ექცეოდნენ თუ არა აქციის მონაწილეები საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლითა (შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება) და, ასევე, ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცულ სფეროში. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, დაცულია უფლება მხოლოდ მშვიდობიან შეკრებაზე. აქციის არამშვიდობიანი ხასიათი გამორიცხავს *ratione materiae* ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის და ამ მუხლით გათვალისწინებული გარანტიების გამოყენებას აქციის მონაწილეების მიმართ. აქციის მშვიდობიანი ხასიათის დადგენის შემთხვევაში კი, სახელმწიფო შებოჭილია ყველა იმ ვალდებულებით (მათ შორის, პოზიტიური ვალდებულებებით), რომელსაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი შეკრების თავისუფლებასთან მიმართებით ითვალისწინებს. მათ შორის, შეკრების ხასიათი განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ აქციის დაშლის დროს გამოყენებული ძალის აუცილებლობასა და მისი ინტენსივობის ფარგლებს.

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ აქციის მონაწილეების განზრახვა და ქცევა *prima facie* მშვიდობიანი იყო და, შესაბამისად, მათზე ვრცელდებოდა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი, შემდეგი საკითხი, რომელიც შეფასებას მოითხოვს, არის შეკრების თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევის კანონიერება და პროპორციულობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აქციის დაშლის თაობაზე სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და პროპორციულობის შეფასება კავშირშია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის კრიტერიუმთან, რის გამოც, ძალადობრიობის კონტექსტში აქციის მონაწილეების ქცევის (განზრახვის) საკითხისა და აქციის დაშლის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების იზოლირებული განხილვა შეუძლებელია.

თავის ოფიციალურ განცხადებებში ხელისუფლება აქციის დაშლის სამართლებრივ საფუძვლად აქციის გამართვაზე გაფრთხილების ვადის გასვლასა და 26 მაისს აქციის ტერიტორიაზე აღლუმის გამართვის აუცილებლობას მიუთითებდა. შესაბამისად, შეკრების თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერებისა და პროპორციულობის შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების ანალიზი: (1) გააჩნდა თუ არა ხელისუფლებას ფორმალური საფუძველი აქციის შეწყვეტისთვის. ამ მიმართებით უნდა შეფასდეს საკითხი – გაფრთხილების ვადის გასვლა, როგორც ცალკე აღებული, ისე აღლუმის ჩატარების აუცილებლობასთან კუმულატიურ კავშირში, რამდენად წარმოადგენს შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ფორმალურ (გაფრთხილების ამონურვიდან გამომდინარე, აქციის უკანონო ხასიათის გამო) და მატერიალურ (აღლუმის, როგორც ლეგიტიმური საჯარო მიზნის გამო) საფუძველს. (2) რამდენად წარმოადგენს ხელისუფლების მიერ აქციის შეწყვეტის საფუძვლად დასახელებული მიზანი (აღლუმის გამართვა) კანონით დაცულ იმ ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც ამართლებს შეკრების თავისუფლების შეზ-

ღუდვას. (3) ამ ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის (თუ აღლუმს ასეთად მივიჩნევთ), რამდენად პროპორციული საშუალება იყო აქციის დაშლა, როგორც შეკრების თავისუფლების შეზღუდვის ფორმა, ანუ: ა) რამდენად შესაძლებელი იყო აღნიშნული მიზნის მიღწევა აქციის შეწყვეტით; ბ) რამდენად შესაძლებელი იყო იმავე მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი საშუალებით, ვიდრე ეს აქციის შეწყვეტაა; გ) რომელ სამართლებრივ სიკეთეს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული საზოგადოებისთვის: აღლუმის ჩატარებას თუ შეკრების თავისუფლების რეალიზაციას.

2.1. სარგებლობდნენ თუ არა 2011 წლის 25 მაისს რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის მონაწილეები მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით

თავის ოფიციალურ განცხადებებში ხელისუფლებას სადავოდ არ გაუხდია „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ საპროტესტო აქციის მშვიდობიანი ხასიათი. ხელისუფლებამ აქციის დაშლა მხოლოდ გაფრთხილების ვადის გასვლითა და აღლუმის ჩატარების აუცილებლობით დაასაბუთა. მიუხედავად ამისა, ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გამო („შეფიცულთა“ ჯგუფის საქმიანობა აქციების მიმდინარეობის დროს მთლიანობაში და, კონკრეტულად, 25-26 მაისს, აქციის დაშლის წინ, მათ მიერ ოფიციალურად დეკლარირებული მიზნები), 26 მაისის აქციის კონტექსტში აქციის მშვიდობიანი თუ არამშვიდობიანი ხასიათის შეფასება აქტუალური გახდა.

როგორც აღინიშნა, აქციის მონაწილეების ქცევის მშვიდობიანობის შეფასებას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, ვრცელდება თუ არა მათზე ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი, რაც შესაბამისი დასკვნის პირდაპირ პროპორციულად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლებს განსაზღვრავს.

2.1.1 შეფიცულების ჯგუფის საქმიანობისა და ქცევის აღწერა

21-25 მაისს მიმდინარე აქციების დროს აქციის მონაწილეებს შორის გამოკვეთილი იყო ე.წ. შეფიცულების ჯგუფი, რომელიც გარკვეული ორგანიზებულობით ხასიათდებოდა და აქციების მიმდინარეობის დროს აქტიურობით გამოირჩეოდა. მათ რიგებში, ძირითადად, ახალგაზრდა მამაკაცები შედიოდნენ და მათი რაოდენობა დაახლოებით 150-300 ადამიანს შეადგენდა. წარმომადგენლობითი სახალხო კრების ოფიციალურ ვებ-გვერდზე აღნიშნულია, რომ *„შეფიცულთა რაზმები „სახალხო კრების“ რგოლია. [...] შეფიცულები მოქალაქეებს ხელისუფლების უკანონო მოქმედებისაგან, კანონით დაშვებული მექანიზმებით, დაიცავენ როგორც იურიდიულად, ისე* ***ფიზიკურად***.“ [39]

„შეფიცულებში“ არსებობდა ორგანიზაციულობის განსაზღვრული ხარისხი[40] და აღნიშნული ჯგუფის ქმედებები იყო წინასწარ დაგეგმილი. შეფიცულთა რაზმის ისნის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ბესიკ ტაბატაძემ საიასათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში განაცხადა, რომ *შეფიცულებს ევალებოდათ მომიტინგეებს შორის წესრიგის დაცვა და პროვოკაციების თავიდან არიდება, რათა ვინმეს, მთვრალ მდგომარეობაში მყოფს, სცენის მიმართულებით არ ესროლა რაიმე საგანი, პოლიციის მიმართულებით არ მომხდარიყო პროვოკაციული ქმედებები და თავიდან აეცილებინათ ზონდერ-ჯგუფების შემოჭრა საპროტესტო აქციის ჩატარების ადგილას.*

საპროტესტო აქციის დაწყების დღიდან (21 მაისი) აქციის მონაწილეების ნაწილი – ძირითადად, ე.წ. „შეფიცულები“ – აღჭურვილნი იყვნენ პლასტმასის ჯოხებით (მილებით) და კარდონის პლაკატებით.[41] ხშირად შეფიცულებს სახეზე ნიღბები ეკეთათ. აღსანიშნავია, რომ აქციის მონაწილეებისთვის პლასტმასის ჯოხები აქციაზე ორგანიზებულად დარიგდა[42] და, როგორც

[39] http://www.kreba.info/siakhleebi/335-dghes-qsakhalkho-krebisq-sheficultha-razmebi-dafudznda.html

[40] თაზო კუპრეიშვილის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება

[41] http://www.netgazeti.ge/GE/59/News/5355/აქტივისტების-მზადება-თავდაცვისთვის--მაისის-საპროტესტო-აქცია.htm

[42] ,,ინტერპრესნიუსის'' ჟურნალისტის მალხაზ ჭკადუას მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება

საპროტესტო აქციის მონაწილეები განმარტავდნენ, მათზე ეკეთა დროშები, რომლებიც შემდეგ მოხსნეს.[43] ჯოხებზე (ტარებზე) ხან დროშა იყო დამაგრებული, ხან მას დროშის გარეშე ატარებდნენ.[44] თუმცა, აღსანიშნავია, რომ აქციების მიმდინარეობის პირველივე დღეებიდან მათ ძირითადად დროშების გარეშე იყენებდნენ. ტელევიზიის წინ აქციების მიმდინარეობის დროს დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც აქციის მონაწილეებმა აღნიშნული პლასტმასის ჯოხები გამოიყენეს, როგორც თავდაცვის საშუალება. მათ შორის, შეფიცულებმა პლასტმასის ჯოხები თავდასხმის იარაღად გამოიყენეს მაშინ, როცა მათთვის უცნობმა პირებმა თავისუფლება აღუკვეთეს გენერალ გია უჩავას (აქციის ერთ-ერთ მონაწილეს) და შავი ფერის „შკოდას“ მარკის ავტომობილში ჩასვეს. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული პირები სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო მანქანა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს ეკუთვნოდა. დემონსტრანტებმა, დაკავებულის გათავისუფლების მიზნით, აღნიშნულ ავტომობილს პლასტმასის მილები დაუშინეს.[45] იყო ერთი შემთხვევა, როდესაც დემონსტრანტები დაუპირისპირდნენ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს – სავარაუდოდ კონტრდემონსტრანტებს. დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთმანეთის წინააღმდეგ სწორედ ზემოთ ხსენებული პლასტმასის მილები გამოიყენეს.[46]

სამუშაო ჯგუფის მიერ გამოკითხული ჟურნალისტები ადასტურებენ, რომ, რიგ შემთხვევებში, აქციის მონაწილეები (ძირითადად „შეფიცულები“) გამოირჩეოდნენ აგრესიული მოპყრობით (სიტყვიერი) მათ მიმართ, თუმცა, აქციის ორგანიზატორების მიერ დემონსტრანტების ასეთი ქცევა რეგულირებული და აღკვეთილი იყო.[47]

უნდა აღინიშნოს, რომ აქცია პოლიციის შენობასთან იმართებოდა, თუმცა, აქციის მონაწილეების მხრიდან პოლიციის მიმართ ძალადობრივი ქმედებების ჩადენის ფაქტებს ან ამგვარი განზრახვის გამოვლენას ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, ტელევიზიის წინ მიმდინარე აქციების დროს აქციის მონაწილეების ქცევა, ძირითადად, ინარჩუნებდა მშვიდობიან ხასიათს. აქციის მონაწილეების მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალადობის რამდენიმე სპორადულ ფაქტს, თუმცა, სამართალდამცავებს შეეძლოთ მათი აღკვეთა/იზოლირება და, მთლიანობაში, ეს გავლენას არ ახდენდა აქციის მშვიდობიან ხასიათზე. აღნიშნული გარემოების მიუხედავად, ხსენებული ფაქტები შეფიცულების ზოგადი ქცევის აღწერისთვის ნიშანდობლივია.

25 მაისს პარლამენტის შენობის წინ აქციის გადმონაცვლების შემდეგ აქციის მონაწილეების ქცევა, ძირითადად, ინარჩუნებდა მშვიდობიან ხასიათს. პარლამენტის შენობასთან მიმდინარე აქციის დროს დემონსტრანტების მხრიდან ადგილი არ ჰქონია ძალადობრივი ქმედებების ჩადენის ფაქტებს კერძო პირებისა თუ ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. სამუშაო ჯგუფმა მოიპოვა ვიდეო მასალა, რომელიც რუსთაველის გამზირზე შეფიცულების წარმომადგენლებსა და კერძო პირებს შორის ფიზიკური შეხლა-შემოხლის ინციდენტს ასახავს. კონფლიქტის მიზეზების დადგენის შესაძლებლობას ვიდეო მასალა არ იძლევა. ეს ფაქტი შეფიცულების მხრიდან ასევე ძალის გამოყენების სპორადულ შემთხვევას წარმოადგენს.[48]

პარლამენტის შენობის წინ აქციის გადანაცვლების შემდეგ, დემონსტრანტებმა აქციის ტერიტორია სპეციალური რკინის ღობეებით შემოზღუდეს. აქციის დაშლის დაწყებამდე კი, როდესაც სპეცდანიშნულების რაზმი დემონსტრანტებს მიუახლოვდა, შეფიცულები, რომლებიც პლასტმასის მილებითა და ფანერის ფარებით იყვნენ აღჭურვილნი, ორგანიზებულად განლაგდნენ აქციის ტერიტორიის საზღვარზე. შეფიცულები დემონსტრაციულად ურტყამდნენ პლასტმასის ჯოხებს ღობეებს და აქციის არდაშლის განზრახვას გამოხატავდნენ. ამ დროისათვის აქციის

[43] http://www.youtube.com/watch?v=yuSBQSwSPG4&feature=player_embedded#at=255

[44] ნინო მიქიაშვილის ახსნა-განმარტება

[45] http://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=aAZMND5aMsE#at=14

[46] http://www.1tv.ge/News-View.aspx?Location=22052&LangID=1

[47] საიას მიერ თაზო კუპრეიშვილისგან აღებული ახსნა-განმარტება

[48] http://www.youtube.com/watch?v=nNp10QMHwGM&feature=related&fb_source=message

მონაწილეების რაოდენობა ყველაზე მცირე დაშვებით 1700-ს შეადგენდა, შეფიცულების რიცხვი კი – დაახლოებით 150-300-ს.

შეფიცულების ორგანიზებული ქცევა აქციის დაშლამდე

აქციის დაშლის დაწყებამდე, დემონსტრანტების იმ ნაწილს, რომელიც აქციის ტერიტორიის საზღვართან იყო განლაგებული, არ გამოუვლენია აგრესია სპეცრაზმელების მიმართ, რომლებიც მათ სიახლოვეს იდგნენ. აქციის დაშლის დაწყებამდე დემონსტრანტები არ გადასულან შეტევაზე და თავს არ დასხმიან სამართალდამცავებს. პოლიციის მიერ გამოყენებული ინტენსიური ძალის შედეგად, „შეფიცულები“ იძულებულნი გახდნენ, დაკავებული საზღვარი დაეტოვებინათ. მოპოვებული ვიდეო მასალები ადასტურებს პოლიციისთვის „შეფიცულების“ მიერ წინააღმდეგობის გაწევის მხოლოდ რამდენიმე ცალკეულ ფაქტს.

2.1.2. ძალადობრივი აქციის დეფინიცია

რა გარემოებების არსებობის შემთხვევაშია შეკრება ძალადობრივი ხასიათის? აღნიშნული საკითხის შეფასებას ჩვენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებისა და მშვიდობიანი შეკრების თაობაზე ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე მოვახდენთ.

საქმეში *Selmouni v. France* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ კონვენცია წარმოადგენს ცოცხალ დოკუმენტს და მისი ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს საქმის განხილვისას არსებული პირობების შესაბამისად.[49] დინამიზმის პრინციპიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა ძალადობრივი შეკრების სტანდარტთან მიმართებით იცვლებოდა. უცვლელია თავად ძალადობრივი შეკრების განმარტება: *„მშვიდობიანი შეკრება არ მოიცავს დემონსტრაციებს, სადაც ორგანიზატორებს და მონაწილეებს აქვთ აშკარად ძალადობრივი განზრახვა, რასაც მოჰყვება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა.“*[50] ეს განსაზღვრება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიყენა საქმეში *M.C. against the Federal Republic of Germany* 1989 წელს და ხელახლა დაადასტურა 2002 წელს საქმეში *Cisse v. France*.[51]

თავდაპირველად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და კომისია ძალზედ ფართოდ განმარტავდა ტერმინ „მშვიდობიან“ აქციას. ადამიანის უფლებათა კომისიამ მიიჩნია, რომ განსაზღვრული დროით შეკრების ზოგადი აკრძალვა არ ეწინააღმდეგება მე-11 მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან, წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, არეულობის, ადამიანისა და საკუთრებისათვის ზიანის მიყენების სერიოზული საფრთხე არსებობდა. აქედან გამომდინარე, მოხდა განაცხადის დაუშვებლად ცნობა საქმეზე *Chritstians against Racism and Fascism v the United Kingdom*.[52] ძალადობრივი შეკრების შეფასება მისცა ადამიანის უფლებათა კომისიამ ამერიკულ სამხედრო ბაზასთან მჯდომარე აქციის მოწყობას საქმეში *M.C. against the Federal Republic of Germany*. დღეისათვის, მჯდომარე აქციის მოწყობა აღარ მიიჩნევა ძალადობრივად.

---

[49] *Selmouni v. France*, application #25803/94, judgment of 28 July 1999, paras.101;

[50] *M.C. against the Federal Republic of Germany,* application #13079/87, decision of 6 March 1989

[51] *Cisse v. France,* application # 51346/99, judgment of 9 April 2002, paras. 35-36;

[52] *Christian Democratic People's Party v. Moldova (no. 2),* application #25196/04, judgment of 2 February 2010.

ამ ეტაპზე მშვიდობიანი შეკრების ცნება მნიშვნელოვნად არის გაფართოებული. საქმეზე *Nurettin Aldemir and others v. Turkey* სასამართლომ ძალადობრივად არ მიიჩნია ისეთი შეკრება, რომელიც დასაწყისში იყო მშვიდობიანი, თავდაპირველად ძალა გამოიყენა პოლიციამ, რასაც დემონსტრანტების მხრიდან ძალადობრივი პასუხი მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საქმეში დაზიანდა პოლიციის კუთვნილი ავტომანქანები და პოლიციელთა ჯანმრთელობა, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ძალადობრივი პასუხი თავად პოლიციელთა მხრიდან იყო პროვოცირებული.[53] ამგვარად, შესაძლოა საპროტესტო აქციამ ზიანი მიაყენოს პოლიციელთა ჯანმრთელობას, მესამე პირთა საკუთრების უფლებას, მაგრამ, ამის მიუხედავად, ამგვარი შეკრება მშვიდობიანად იქნეს მიჩნეული. თავის მხრივ, შესაძლოა შეკრება მავნე შედეგების გარეშე დასრულდეს და ეს უკანასკნელი შეფასდეს, როგორც ძალადობრივი, არამშვიდობიანი. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შეკრების ორგანიზატორთა და მონაწილეთა მიზანს, კერძოდ, ჰქონდათ თუ არა მათ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის განზრახვა, რომელსაც მოჰყვა საზოგადოებრივი უწესრიგობა.

მშვიდობიანი შეკრების თაობაზე ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, „მშვიდობიანი“ შეკრება მოიცავს: ისეთი იდეების ან მოსაზრებების გავრცელებასაც, რამაც შესაძლოა გააღიზიანოს ან შეურაცხყოფა მიაყენოს სხვას; ასევე, მესამე პირების საქმიანობისათვის დროებითი ხასიათის შეფერხებას, ხელის შეშლას და დაბრკოლებას. გარდა ამისა, მშვიდობიან შეკრებაზე უფლება გულისხმობს პასიური წინააღმდეგობის უფლებასაც.

საქმეში *Cristian Ziliberberg against Moldova* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა აქციის ის მონაწილეები, რომლებიც დასჯად ქმედებას სჩადიან და ისინი, რომლებიც აქციის მიმდინარეობის დროს ინარჩუნებენ მშვიდობიან ქცევას. კერძოდ, სასამართლომ განაცხადა, რომ „*ადამიანი არ კარგავს მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას, დემონსტრაციის მიმდინარეობისას სპორადული ხასიათის ძალადობის ან სხვა დემონსტრანტების მიერ ჩადენილი დასჯადი ქმედებების გამო, თუკი ინდივიდი ინარჩუნებს მშვიდობიან განზრახვას ან საქციელს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა აქცია თანდათან იძენს ძალადობრივ ხასიათს, პირის მიმართ კონვენციის მე-11 მუხლი აგრძელებს მოქმედებას, თუ მტკიცდება, რომ თავად განმცხადებელი ინარჩუნებს მშვიდობიან განზრახვასა და მოქმედებას.*“[54]

2.1.3. იყო თუ არა 25 მაისის აქცია ძალადობრივი, პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად?

პირველი საკითხი, რომელიც ამ მიმართებით განხილვას საჭიროებს, არის ის გარემოება, იყო თუ არა აქცია ძალადობრივი *ipso facto* იმის გამო, რომ აქციის მონაწილეების რაღაც ნაწილი აღჭურვილი იყო პლასტმასის ჯოხებით და ეს ჯგუფი (შეფიცულები) ორგანიზების გარკვეული ხარისხით სარგებლობდა. ამასთან, მათ დეკლარირებული ჰქონდათ მიზანი, რომ აქციის მონაწილეებს „*ხელისუფლების უკანონო მოქმედებისაგან, კანონით დაშვებული მექანიზმებით, დაიცავდნენ როგორც იურიდიულად, ისე* ***ფიზიკურად***.“

საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას მოქმედი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ” კანონის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავდა იმ საგნების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა ტარებაც ეკრძალებოდათ შეკრებისა და მანიფესტაციების მონაწილეებს. შეკრებაზე პლასტმასის მილებისა და ფანერის ფარების ქონა, ზემოხსენებული ნორმით, აკრძალული არ იყო. მიუხედავად ამისა, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს საგნის (ნივთის) უბრალო ტარება და მისი გამოყენების რისკები სხვისი ჯანმრთელობის დაზიანების მიზნით. საპროტესტო აქციის მონაწილეები ამბობდნენ, რომ ფარებითა და ჯოხებით თავის დაცვას აპირებდნენ.[55] საიასათ-

---

[53] *Nurettin Aldemir and others v. Turkey,* applications ##32124/02, 32126/02, 32129/02, 32132/02, 32133/02, 32137/02 and 32138/02, judgment of 18 December 2007, paras. 45-46;

[54] *Cristian Ziliberberg against Moldova,* Application no. 61821/00, decision of 4 May 2004;

[55] სახალხო კრების წევრის ელენე მახარაძის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება, http://www.netgazeti.ge/GE/59/News/5355/აქტივისტების-მზადება-თავდაცვისთვის--მაისის-საპროტესტო-აქცია.htm

ვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში დროშის ტარებისათვის მინიჭებულ თავდაცვის ფუნქციაზე საუბრობენ საპროტესტო აქციის მონაწილეები: ბესიკ ტაბატაძე და ბიძინა გეგიძე. მათი თქმით, სწორედ სამართალდამცავი ორგანოების უკანონო მოქმედებისაგან თავდაცვა იყო საპროტესტო აქციის მონაწილეების მხრიდან ზემოხსენებული საგნების ქონის მიზანი.

თუმცა, აქციის მონაწილეების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის (მშვიდობის) დარღვევის მტკიცებისთვის, აუცილებელია დასაბუთდეს არა მხოლოდ საფრთხის გონივრულობა, არამედ ასეთი საფრთხის დადგომის მყისიერებაც. კერძოდ, უნდა არსებობდეს კანონსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე.[56]

ლაპორტეს საქმეზე ლორდთა პალატის გადაწყვეტილებაში (2004), რომელიც შეკრების დროს პოლიციის მიერ მშვიდობის დასაცავად პრევენციული ჩარევის ლეგიტიმურობის საკითხს შეეხებოდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ საკმარისი არ არის, დამტკიცდეს გონივრული ეჭვის არსებობა აქციის მონაწილეების მხრიდან მშვიდობის დარღვევაზე, არამედ, აუცილებელია, ხელისუფლებამ დაამტკიცოს, რომ მშვიდობის დარღვევის საფრთხე მყისიერია. ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია, შეკრების უფლების დასაცავად, აქციის ის მონაწილეები, რომლებიც ძალადობრივ მოქმედებებს სჩადიან, გამიჯნოს აქციის მშვიდობიანი მონაწილეებისგან. იმ შემთხვევაში კი, თუ ძალადობა მასობრივ ხასიათს იღებს, აქციის შეწყვეტა შეიძლება გამართლებული იყოს. თუმცა, აქციის იმ მონაწილეების მიმართ, რომლებიც მშვიდობიან განზრახვასა და ქცევას ინარჩუნებენ, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება მოქმედებას განაგრძობს. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთის საკითხი. საქმეში *Christian Democratic People's Party v. Moldova (no. 2)* (2010) ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მტკიცების ტვირთი, აქციის ძალადობრივ ხასიათთან დაკავშირებით, მთავრობას აკისრია. ამავე საქმეში ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფომ არა მხოლოდ უნდა ამტკიცოს, რომ მან უფლებაში ჩარევა გონივრულად, ზედმიწევნით და კეთილსინდისიერად განახორციელა, არამედ უფლებაში ჩარევამდე დეტალურად უნდა შეაფასოს რელევანტური ფაქტები, რომლებზეც ის თავის გადაწყვეტილებას დააფუძნებს.[57]

ზემოთ ნახსენები სტანდარტი, რომელიც დადგინდა საქმეზე *M.C. against the Federal Republic of Germany*, მოითხოვს, რომ უნდა დამტკიცდეს აქციის ორგანიზატორებისა და მონაწილეების აშკარად ძალადობრივი განზრახვა, რასაც მოჰყვა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, რაც გულისხმობს ასეთი შედეგის დადგომას, ან რეალურ საფრთხეს, რომ ასეთი შედეგი დადგება. საფრთხის რეალურობა (რაც მყისიერობის იდენტურია) კი ნიშნავს, რომ უკვე არსებობს პირის მიერ თავისი განზრახვის განხორციელების ყველა პირობა და შედეგის დადგომა მხოლოდ პირის ქმედებასთან არის დაკავშირებული.

შესაბამისად, 25-26 მაისს და მანამდეც, 21 მაისიდან მიმდინარე აქციების დროს, აქციის მონაწილეების ნაწილის მიერ ipso facto პლასტმასის ჯოხების ფლობის ფაქტი არ შეიძლება მივიჩნიოთ საკმარის საფუძვლად აქციის მონაწილეების ძალადობრივი განზრახვის მტკიცებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ჩათვლიდა, რომ ეს გარემოებები რეალურ საფრთხეს უქმნიდა მშვიდობას, მას შეეძლო, მოეწოდებინა აქციის მონაწილეებისთვის, შეეწყვიტათ ამგვარი საშუალებების გამოყენება.

თუმცა, როგორც ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი აჩვენებს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დარღვევის განზრახვა რეალური გახდა იმ ეპიზოდში, როდესაც აქციის ტერიტორიაზე სპეცდანიშნულების რაზმი და პოლიცია გამოჩნდა. აქციის მონაწილეები (ძირითადად, შეფიცულების რაზმი) აქციის ტერიტორიაზე რკინის ღობეებით მოწყობილ ხელოვნურ საზღვარზე განლაგდნენ და მათ ხელთ არსებული ჯოხებითა და ფარებით პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და არდაშლის აქტიური განზრახვა გამოავლინეს. შეფიცულები პლასტმასის ჯოხებს ურტყამდნენ რკინის ღობეებს და ამით არდაშლის დემონსტრირებას ახდენდნენ. სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული ფაქტები ადასტურებს, რომ ამ მომენტში აქციის მონაწილეები არ გადასულან თავდასხმაზე პოლიციის მისამართით. აქციის დაშლის პროცესში

[56] „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.

[57] *Christian Democratic People's Party v. Moldova* (no. 2), application #25196/04, judgment of 2 February 2010, paras 27.

კი, პოლიციის მიერ გამოყენებული ინტენსიური ძალის პირობებში, დაფიქსირდა აქციის მონაწილეების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის მხოლოდ რამდენიმე ცალკეული ფაქტი.

ამდენად, როგორც აღნიშნულ ეპიზოდში ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი აჩვენებს, აქციის მონაწილეებს არ ჰქონიათ აქტიური თავდასხმის განზრახვა, თუმცა, მათი განზრახვა მოიცავდა აქტიური თავდაცვის შესაძლებლობას. თავდაცვა შეიძლება ლეგიტიმური იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ის თავსდება კერძო პირების მხრიდან ძალის გამოყენების კანონით დაშვებულ ფარგლებში (სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული უკიდურესი აუცილებლობა, აუცილებელი მოგერიება, დამნაშავის შეპყრობა და ა.შ.). კერძო პირის მხრიდან ძალის გამოყენების კანონით განსაზღვრული თითოეული შემთხვევა არის წინასწარ გაუთვალისწინებელი, იმწუთიერი საფრთხე, რომლის აცილება სახელმწიფოს იძულებითი ღონისძიებით შეუძლებელი ხდება, ან დაყოვნება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგს. მოცემულ შემთხვევაში, დემონსტრანტების ნაწილი, ე.წ. „შეფიცულები“, წინასწარ იყვნენ ორგანიზებულნი და იმთავითვე უშვებდნენ ძალის გამოყენების შესაძლებლობას პოლიციის მიმართ, რის გამოც ისინი ვერ ექცევიან აუცილებელი მოგერიებისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი პირობების ქვეშ, რაც გაუთვალისწინებელ საფრთხეზე იმწუთიერი რეაგირების მოხდენას გულისხმობს.

დროშის ტარის გამოყენება პოლიციის მოქმედებისაგან თავის დასაცავად არ შეიძლება მივიჩნიოთ პასიურ წინააღმდეგობად. მოცემულ შემთხვევაში, განზრახული იყო პოლიციელთა მოგერიება აქტიური ქმედებით. პასიური წინააღმდეგობა არაძალადობრივი ხასიათის წინააღმდეგობაა. აშშ-ს ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ საქმეში *„ფორესტერი ქალაქ სან-დიეგოს წინააღმდეგ“* პასიურ წინააღმდეგობად მიიჩნია: დემონსტრანტების მიერ მჯდომარე მდგომარეობის შენარჩუნება მაშინ, როცა პოლიცია მათ წამოყენებას ცდილობდა; წინააღმდეგობის გაწევა მაშინ, როცა პოლიცია მათ გადაადგილებას ცდილობდა; უარი, არ ეტარებინათ მძიმე საგნები.[58] პასიური წინააღმდეგობის განსხვავებული ტაქტიკა დადგინდა აშშ-ს ფედერალური სააპელაციო სასამართლოს საქმეში *„ამნესტი ამერიკა ქალაქ ვესტ ჰართფორდის წინააღმდეგ“*. დემონსტრანტები უარს ამბობდნენ მათი ვინაობის დასახელებაზე, ერთმანეთს ჯაჭვით ებმოდნენ, ხელებზე ისვამდნენ ნეკერჩხლის სიროფს, რაც შეუძლებელს ხდიდა პოლიციის მიერ დემონსტრანტებისათვის ხელბორკილის დადებას.[59] 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქცია ამგვარი არაძალადობრივი წინააღმდეგობის ტექნიკას მოკლებული იყო. დემონსტრანტები პოლიციის საწინააღმდეგოდ გეგმავდნენ ისეთი საგნების გამოყენებას, რაც ჯანმრთელობისათვის საზიანო იქნებოდა.

ზემოხსენებული გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ მას შემდეგ, რაც სპეცდანიშნულების რაზმი დემონსტრანტებს დაშლის მიზნით მიუახლოვდა, „შეფიცულებს“ ჰქონდათ წინასწარი განზრახვა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში საშუალებების გამოყენებით, წინააღმდეგობა გაეწიათ სამართალდამცავებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ, ერთეულ შემთხვევებში, შეფიცულები ფარებით და ხელჯოხებით მართლაც უწევდნენ პოლიციას წინააღმდეგობას, ძალადობრივი თავდაცვის განზრახვა მასობრივად ვერ იქნა რეალიზებული სამართალდამცავი ორგანოების მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების გამო.[60]

აქციის დაშლის მომენტში პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ორგანიზებული და წინასწარ მომზადებული ხასიათი, 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის დროს შეფიცულების ქცევას განასხვავებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმისაგან *Nurettin Aldemir and others v. Turkey*. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დემონსტრანტებმა, პროტესტის გამოხატვის მიზნით, ტრანსპორტის სავალი ნაწილი გადაკეტეს. პოლიციამ დემონსტრანტების მიმართ დაუყოვნებლივ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი, რასაც აქციის მონაწილეთა მხრიდან სპონტანური ძალადობრივი რეაქცია მოჰყვა პოლიციის მისამართით. შედეგად,

[58] http://openjurist.org/25/f3d/804/forrester-v-city-of-san-diego-d

[59] http://caselaw.findlaw.com/us-2nd-circuit/1303129.html

[60] სანდო.გე-ს დამფუძნებლის ლევან ქათამაძის, ასევე, საპროტესტო აქციის მონაწილის ანდრეი გორას ახსნა-განმარტება.

დაზიანდა პოლიციის მანქანები და რამდენიმე პოლიციელის ჯანმრთელობა.[61]

ზემოხსენებულ საქმეში პოლიციის მიმართ ძალის გამოყენება არ იყო წინასწარ გათვალისწინებული. დემონსტრანტები წინასწარ არ იყვნენ აღჭურვილნი ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში საგნებით, არ არსებობდა წინასწარ ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ძალის გამოყენებით აქტიურ თავდაცვაზე იქნებოდა პასუხისმგებელი. პოლიციის ძალადობრივი ქმედებებისაგან თავდაცვა იყო დემონსტრანტებისათვის მოულოდნელი და სპონტანური.

26 მაისს, როგორც კი აქციის მონაწილეებისთვის ცნობილი გახდა, რომ პოლიცია აქციის დაშლას დაიწყებდა და სპეცდანიშნულების რაზმი აქციის ტერიტორიაზე გამოჩნდა, ისინი უშვებდნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას და ამ წინააღმდეგობას ხელს უწყობდა აქციის მონაწილეების ნაწილის, „შეფიცულთა“ ჯგუფის ორგანიზებული ხასიათი და აღჭურვა. ეს უკანასკნელი, როგორც *იზოლირებულად აღებული გარემოება,* აქციების მიმდინარეობის მთელი დროის განმავლობაში არ აკმაყოფილებდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ან რეალური საფრთხის შექმნის სტანდარტს, თუმცა, 25 მაისს ღამით, როცა პოლიციამ აქციის დაშლისთვის მზადება დაიწყო, აქციის მონაწილეების კონკრეტული ნაწილი, რომელიც პლასტმასის ჯოხებით აქციის ტერიტორიის პერიმეტრზე საზღვარზე განლაგდა და არდაშლის განზრახვა გამოავლინა, აქტიური და ძალადობრივი თავდაცვის რეჟიმში იმყოფებოდა, რაც სცილდება მშვიდობიანი შეკრების უფლების ფარგლებს. შესაბამისად, აქციის მონაწილეების ეს ნაწილი ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით დაცულ სფეროში არ ექცევა.

აღსანიშნავია, რომ შეფიცულთა რაზმის შექმნა და აქციების მიმდინარეობის დროს მათი გამოყენება განხორციელდა აქციის ორგანიზატორებისა და სახალხო კრების ინიციატივით. შეფიცულების საქმიანობა აქციების მიმდინარეობის დროს ორგანიზატორების კონტროლის ქვეშ ხორციელდებოდა, რაც შეფიცულთა საქმიანობაზე პასუხისმგებლობას მათ აკისრებს. თუმცა, *მთლიანობაში* აქციის მშვიდობიან ხასიათზე გავლენას ეს გარემოება არ ახდენს, რადგან „შეფიცულების“ მხრიდან აქციების მიმდინარეობის დროს ადგილი არ ჰქონია აშკარა და მასობრივ ძალადობრივ ფაქტებსა და მოწოდებებს, რაც აქციის სხვა მონაწილეებისთვის აშკარას გახდიდა შეფიცულების ქცევის ან განზრახვის არამშვიდობიან ხასიათს. ხოლო აქციის მონაწილეთა უმრავლესობა, აქციების მიმდინარეობის განმავლობაში, მუდმივად ინარჩუნებდა მშვიდობიან განზრახვას. საქმეში *Cristian Ziliberberg against Moldova* ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებული შეფასების თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აქცია ეტაპობრივად ძალადობრივ ხასიათს იღებდა, მაგრამ კონკრეტული განმცხადებლის მიმართ დამტკიცდება, რომ ის არ იღებდა მონაწილეობას ძალადობრივ ქმედებებში, ან არ ავლენდა ძალადობრივ განზრახვას, მის მიმართ კონვენციის მე-11 მუხლი განაგრძობს მოქმედებას. განსახილველ შემთხვევაში, აქციის მონაწილეთა უმრავლესობა მშვიდობიან განზრახვას ინარჩუნებდა, რის გამოც 25 მაისის აქცია მთლიანობაში უნდა განვიხილოთ, როგორც მშვიდობიანი. **ეს გარემოება სახელმწიფოს აკისრებდა ვალდებულებას, შეკრების თავისუფლებაში ჩარევის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეხელმძღვანელა შეკრების თავისუფლების ქვეშ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით დადგენილი სტანდარტებით.**

აქციის მშვიდობიანი მონაწილეები აქციის დაშლის დროს

[61] *Nurettin Aldemir and others v. Turkey,* paras. 45-46;

2.2. 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის დაშლასთან დაკავშირებით, ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერების შეფასება

2.2.1. აქციის დაშლის თაობაზე სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფორმალურ მართლზომიერებასთან დაკავშირებით მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს კარგად ჩამოყალიბებული პრაქტიკა აქციის დაშლის შესახებ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერებისა და პროპორციულობის შესახებ.

სახელმწიფოებმა არა მხოლოდ უნდა დაიცვან მშვიდობიანი შეკრების უფლება, არამედ თავი უნდა შეიკავონ არაგონივრული და არაპირდაპირი შეზღუდვების დაწესებისგან აქციის მონაწილეების მიმართ. კონვენციის მე-11 მუხლი აქციის მონაწილეებს იცავს ხელისუფლების თვითნებობისგან და, ამასთან, სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, ეფექტურად უზრუნველყოს მე-11 მუხლით დაცული უფლებით სარგებლობა. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციის მე-11 მუხლს არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, თუ მონაწილე სახელმწიფოები შეკრებების მიმართ წინასწარი შეტყობინების ან/და აქციებზე აქციის მონაწილეების ქცევის სამართლებრივ რეგულირებას მოახდენენ. საქმეში *Oya Ataman v. Turkey* მოპასუხე სახელმწიფოს კანონმდებლობა ითხოვდა აქციის გამართვამდე 72 საათით ადრე შეტყობინებას. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ამგვარი რეგულაცია ცხოვრებაში არ შეიძლება გახდეს ფარული ბარიერი შეკრების თავისუფლებისთვის.[62] მტკიცებას არ მოითხოვს ის გარემოება, რომ საჯარო სივრცეში აქციის გამართვა ყოველთვის იწვევს გარკვეული ხარისხით ჩვეული ცხოვრების რღვევასა და წინააღმდეგობებს. შესაბამისად, აქციის ორგანიზატორებმა, ისევე როგორც დემოკრატიული პროცესის სხვა მონაწილეებმა, პატივი უნდა სცენ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ რეგულაციებს.

თუმცა, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ შესაბამისი შეტყობინების არარსებობა არ შეიძლება გახდეს შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. შეტყობინების მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოსთვის შესაძლებლობის მიცემა, რათა მან გაატაროს სათანადო ღონისძიებები, *მათ შორის,* უსაფრთხოების პრევენციული ღონისძიებები, აქციის ჩატარებასთან დაკავშირებული არეულობის დასარეგულირებლად.

საქმეში *Oya Ataman v. Turkey* აქციის მონაწილეები ხელისუფლების მიერ არა ერთხელ იყვნენ გაფრთხილებულნი, რომ მათი აქცია იყო უკანონო და ხელს უშლიდა საჯარო წესრიგს დღის ასეთ გადატვირთულ მონაკვეთში და რომ არსებობდა ბრძანება აქციის დაშლის შესახებ. თუმცა, აქციის მონაწილეები, ამ მოწოდების მიუხედავად, არ დაიშალნენ. პოლიციამ აქციის მონაწილეები დაშალა აქციის დაწყებიდან ნახევარ საათში. სასამართლომ მიუთითა, რომ, როდესაც აქციის მონაწილეები **არ სჩადიან ძალადობრივ მოქმედებებს,** ხელისუფლებას აქვს გარკვეული ხარისხით თმენის ვალდებულება, არ დაშალოს აქცია. [63]

საქმეში *Éva Molnár v. Hungary* გაფრთხილების გარეშეს სპონტანურად მიმდინარე აქცია ხელისუფლებამ დაშალა აქციის შეკრებიდან დაახლოებით 8 საათის შემდეგ. მოცემულ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ აქციის მონაწილეებს მიეცათ საკმარისი დრო, რათა ესარგებლათ კონვენციის მე-11 მუხლით დაცული უფლებით. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ გამოავლინა თმენის საკმარისი ვალდებულება მიმდინარე აქციის მიმართ, რის გამოც განმცხადებლის მიმართ არ დაადგინა მე-11 მუხლის დარღვევა. სწორედ დროის ფაქტორის გამო განასხვავა სასამართლომ ეს საქმე აქციის დაშლის სხვა საქმეებისგან, სადაც ხელისუფლების ჩარევა ძალიან სწრაფი იყო.[64]

სპონტანურად გამართულ აქციებთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ კიდევ უფრო

---

[62] *Oya Ataman v. Turkey*, judgment of 5 December 2006, application #74552/01, para.36

[63] *Oya Ataman v. Turkey,* judgment of 5 December 2006, application #74552/01, para.41

[64] *Éva Molnár v. Hungary*, Judgment of 7 October 2008, application #10346/05, paras. 42-44.

დააზუსტა უკანონო აქციების დაშლის გამართლებისთვის აუცილებელი პირობები. საქმეში *Bukta and Others v. Hungary* ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ, როგორც წესი, წინასწარი შეტყობინების პროცედურა არ წარმოადგენს შეკრების თავისუფლების ხელყოფის საშუალებას. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც განსაკუთრებული გარემოებების გამო საჭიროა საზოგადოების მხრიდან დაუყოვნებელი და დროული რეაგირება, აქციის შეწყვეტა იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა წინასწარი შეტყობინება, წარმოადგენს შეკრების თავისუფლებაში ჩარევის არაპროპორციულ შეზღუდვას, თუკი აქციის მონაწილეების მხრიდან რაიმე უკანონო მოქმედებას ადგილი არ ჰქონია.[65]

თუმცა, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ არ შეიძლება იმგვარი მტკიცების განვითარება, რომ შეტყობინების არარსებობა არასდროს შეიძლება გახდეს აქციის დაშლის საფუძველი. საქმეში *Hyde Park and Others v. Moldova (nos. 5 and 6)* სასამართლომ განმარტა, რომ აქციის ჩატარების ინტერესი წინასწარი შეტყობინების ინტერესს გადაწონის იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს განსაკუთრებული პირობები და როცა აქციის ფორმით მომხდარზე დაუყოვნებელი რეაგირებაა საჭირო. წინასწარი გაფრთხილების გაკეთების შესახებ ზოგადი წესიდან გადახვევა შეიძლება გამართლებული იყოს, თუ დაყოვნება აბსოლუტურად დაუკარგავს აზრს რეაგირებას.[66] შესაბამისად, საქმეში *Hyde Park and Others v. Moldova* სადავოდ გამხდარ ერთ-ერთ აქციასთან მიმართებით, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ იყო ის განსაკუთრებული პირობები, რომელიც გაამართლებდა განმცხადებლის მხრიდან შეტყობინების გარეშე დაუყოვნებელ რეაგირებას. განსახილველ აქციაზე დემონსტრანტები სადავოს ხდიდნენ იმ ფაქტს, რომ პირველი აქციის დროს ხელისუფლების მხრიდან მათზე განხორციელდა ზეწოლა. ევროპული სასამართლოს მტკიცებით კი, განმცხადებლებმა ვერ შეძლეს იმის დამტკიცება, თუ რატომ არ შეეძლოთ მათ დალოდება, გაფრთხილების ჩაბარება და აქციის გამართვა კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. **შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ის მზადაა გაფრთხილების არარსებობა მიიჩნიოს პოლიციის მიერ აქციის შეწყვეტის რელევანტურ საფუძვლად მაშინ, როდესაც აქციის მონაწილეებს შეუძლიათ აქცია ჩაატარონ შემდგომშიც, შესაბამისი გაფრთხილების ჩაბარების შემდეგაც.**[67] საბოლოოდ, ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა რამდენიმე მნიშვნელოვანი არგუმენტის გამო, მათ შორის: მოცემულ საქმეში, ადგილი, სადაც აქცია მიმდინარეობა, არ წარმოადგენდა შესაბამის პირობას აქციის დაშლისთვის (*Rai and Evans v. the United Kingdom საქმისგან განსხვავებით, რომელიც დაუშვებლად იქნა ცნობილი* და *სადაც აქცია უსაფრთხოების ზონაში ჩატარდა*); აქციის მონაწილეების მიმართ გამოყენებული სანქციები (დაკავება) იყო აშკარად არაპროპორციული და არ წარმოადგენდა აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.[68]

როგორც ზემოთ იყო მითითებული, მიმდინარე უკანონო აქციების მიმართ სახელმწიფოს თმენის ვალდებულება ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ აქციის მონაწილეები არ მონაწილეობენ ძალადობრივ მოქმედებებში, ინარჩუნებენ მშვიდობიან ქცევასა და განზრახვას. როდესაც აქციის მონაწილეები უკანონო და უწესრიგო ქმედებებს ახორციელებენ, ან ასეთი ქმედებები შეიძლება განახორციელონ, სახელმწიფოს აქვს შეკრების თავისუფლებაში ჩარევის, მათ შორის, აქციის შეწყვეტის უფლებამოსილება (მშვიდობიანი შეკრების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების 72-ე მუხლი). ცხადია, უფლებაში ჩარევის საშუალებების პროპორციულობის საკითხი, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით განისაზღვრება. თუმცა, დადგენილი საერთაშორისო სტანდარტები ითხოვს, რომ ძალადობრივი ქცევის რისკები იყოს რეალური და არა ჰიპოთეტური. კერძოდ, საქმეზე *„მახმუდოვი რუსეთის წინააღმდეგ“* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ

[65] *Bukta and Others v. Hungary*, application # 25691/04, judgment of 17 May 2007, paras. 36-37.

[66] *Hyde Park and Others v. Moldova* (nos. 5 and 6), judgment of 14 September 2010, Applications nos. 6991/08 and 15084/08, para.46.

[67] *Hyde Park and Others v. Moldova (nos. 5 and 6),* judgment of 14 September 2010, Applications nos. 6991/08 and 15084/08, para.47.

[68] *Hyde Park and Others v. Moldova ,* para.47.

განაცხადა, რომ „არც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ჰიპოთეტური რისკი, არც მტრულად განწყობილი ჯგუფის არსებობა, თავისთავად არ ამართლებს შეკრების დაშლას.“ საქმეში *Christian Democratic People's Party v. Moldova (no. 2)* ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება მაშინ ხდება შეკრების უფლებაში ჩარევის საფუძველი, როდესაც არსებობს ფიზიკური შეხლა-შემოხლის საფრთხე.[69] იმავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა წარმოადგენს შეკრებაზე შეზღუდვის დაწესების საფუძველს, რაც ავტომატურად არ გულისხმობს ასეთი შეკრების დაშლას.

შეკრების თავისუფლების შესახებ ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, შეკრების თავისუფლებაში ჩარევის დროს პოლიციამ ერთმანეთისგან უნდა გამიჯნოს აქციის მშვიდობიანი და არამშვიდობიანი მონაწილეები. ძალადობის იზოლირებული ფაქტები, ისევე როგორც აქციის მონაწილეების ძალადობრივი ქმედებები, არ უნდა გახდეს მთელი აქციის შეწყვეტის საფუძველი.[70]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში საქმეზე *„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ [...] საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“* მიუთითა, რომ სახელმწიფოს მხრიდან შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც არსებობს ძალადობის განხორციელების რეალური საფრთხე და ძალადობა შეიძლება მასობრივად განხორციელდეს.

ამდენად, შეკრების შეწყვეტასთან დაკავშირებით მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აქციის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს აქციის მონაწილეების ძალადობრივი მოქმედებები (ან ამგვარი ქმედებების განხორციელების რეალური საფრთხე), რომელიც მასობრივ ხასიათს ატარებს და ხელისუფლების დროული ჩარევა არსებითია საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. ამ პირობებში აქციის მონაწილეები გადიან კონვენციის მე-11 მუხლით დაცული სფეროდან და, შესაბამისად, სახელმწიფოს არ ეკისრება შეკრების თავისუფლების დაცვის მიზნით დადგენილი სტანდარტების დაცვა.

სხვა შემთხვევაში, როდესაც აქცია მშვიდობიან ხასიათს ატარებს, ხელისუფლება ვალდებულია, უზრუნველყოს შეკრების თავისუფლების დაცვა. ეუთოს შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, პოლიციას უნდა ჰქონდეს მოქმედებების სხვადასხვა ვარიანტი შეკრების უფლების უზრუნველყოფისთვის (მათ შორის, უკანონო აქციების თმენა, ორგანიზატორებთან მოლაპარაკებების გამართვა) და მათი არჩევანი არ დგას, ერთი მხრივ, ჩაურევლობასა და, მეორე მხრივ, აქციის შეწყვეტასა ან დაშლას შორის. აქციის დაშლა უნდა იყოს უკანასკნელი საშუალება, რომელიც პოლიციამ შეიძლება გამოიყენოს.

2.2.2. 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის დაშლასთან დაკავშირებით, ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია

2011 წლის 5 ივლისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განცხადებით მიმართა თბილისის მერიას და მოითხოვა საჯარო ინფორმაცია 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის დაშლის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.

ქალაქ თბილისის მერიიდან გვეცნობა, რომ „წარმომადგენლობითი სახალხო კრების” მიერ შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების თაობაზე შესული გაფრთხილების თანახმად, შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვა დაგეგმილი იყო 2011 წლის 21 მაისიდან 2011 წლის 25 მაისის ჩათვლით. წერილიდან ირკვევა, რომ საპროტესტო აქციის დაშლის საფუძველი გახდა გაფრთხილებაში აღნიშნული ვადის გასვლა. წერილში მითითებულია „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ” კანონის მე-11 მუხლის 1-ლ, მე-2 და მე-4 პუნქტებზე, იმავე კანონის მე-13 მუხლის

---

[69] *Christian Democratic People's Party v. Moldova* (no. 2), paras. 23, 28.

[70] მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, მეორე გამოცემა, §159. ეუთო და ევროპის საბჭოს ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია), 2010, ხელმისაწვდომია: http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)020-e.pdf

პირველ პუნქტზე, ასევე, „პოლიციის შესახებ" კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტზე (იხ. დანართი №1).

2011 წლის 26 მაისს, აქციის დაშლის შემდეგ, საპროტესტო აქციის დაშლის კანონიერებასთან დაკავშირებით განცხადება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომაც გაავრცელა. განცხადებაში აღნიშნული იყო შემდეგი: *„სახალხო კრების წერილობითი მიმართვის საფუძველზე, საპროტესტო აქციის ჩატარება თბილისის მერიის მიერ სანქცირებული იყო 21 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით. 25 მაისს მომიტინგეებმა გადაინაცვლეს საქართველოს პარლამენტის წინ, სადაც 26 მაისს უნდა გაიმართოს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აღლუმი. ვინაიდან მომიტინგეებმა განაცხადეს, რომ ისინი 25 მაისის შემდეგ დაშლას არ აპირებდნენ, დაახლოებით საღამოს 8 საათზე თბილისის მერიამ ორგანიზატორებს აქციის ჩასატარებლად სხვა ადგილის გამოყოფა შესთავაზა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. მოგვიანებით, სანქციის ვადის ამოწურვამდე ცოტა ხნით ადრე, მერიის წარმომადგენელმა მომიტინგეები კიდევ ერთხელ გააფრთხილა, რომ პროტესტის გაგრძელების შემთხვევაში, იგი არასანქცირებულ ხასიათს მიიღებდა და მათ მშვიდობიანი დაშლისკენ მოუწოდა. 00:10 საათზე, მას შემდეგ, რაც „სახალხო კრების" აქციამ არასანქცირებული ხასიათი შეიძინა, პოლიციის თანამშრომლებმა პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორია მომიტინგეებისაგან გაათავისუფლეს."* [71]

როგორც მერიისა და შსს-ს განცხადებებიდან ჩანს, კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში აქციის აღკვეთის დეკლარირებულ საფუძვლებად ხელისუფლება, გაფრთხილებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვასთან ერთად, კუმულატიურად აღლუმის ჩატარების საჭიროებასაც განიხილავდა. ქვემოთ მოცემულია ორივე საფუძვლის რელევანტურობისა და დასაბუთებულობის ანალიზი შეკრების თავისუფლებაში ჩარევის გამართლებისთვის. ცხადია, ამ მიმართებით მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც 26 მაისს აქციის დაშლამდე არსებობდა და რომელიც *სავარაუდოდ* გავლენას ახდენდა და განაპირობებდა მიღებული გადაწყვეტილების აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

შეკრების თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერებისა და პროპორციულობის შეფასების ტესტი გულისხმობს რამდენიმე საფეხურის გავლას: 1. იყო თუ არა უფლებაში ჩარევა კანონით გათვალისწინებული. 2. არსებობდა თუ არა კანონით დაცული ლეგიტიმური მიზანი უფლებაში ჩასარევად. 3. იყო თუ არა ამგვარი ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში და არსებობდა თუ არა ასეთი ჩარევის მწვავე სოციალური საჭიროება. თავის მხრივ, ტესტის მესამე საფეხურზე უნდა შეფასდეს ორი საკითხი: (1) იყო თუ არა აქციის შეწყვეტა, როგორც შეკრების თავისუფლებაში ჩარევის ერთ-ერთი საშუალება (შეზღუდვის სხვა საშუალებები შეიძლება იყოს აქციის გადანაცვლება, აქციის პარალელურ რეჟიმში ჩატარება სხვა ღონისძიებასთან ერთად და ა.შ.), გამართლებული ლეგიტიმური მიზნების დასაცავად; (2) რამდენად პროპორციულად განხორციელდა აქციის შეწყვეტის ღონისძიება.

ტესტის თითოეულ საფეხურზე დარღვევის დადგენა საკმარისია მთლიანობაში შეკრების თავისუფლების დარღვევის დასადგენად. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ტესტის თითოეული საფეხურის შინაარსი ერთმანეთზე გავლენას ახდენს და ერთგვარად განაპირობებს კიდეც, საკითხის სრული შეფასება მოითხოვს ზემოთ ჩამოთვლილი საფეხურების ურთიერთკავშირში და მთლიანობაში განხილვას. აღსანიშნავია, რომ შეფასების ასეთ ტაქტიკას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად იყენებს უფლებათა დარღვევის შეფასების დროს.[72]

- **იყო თუ არა განსახილველ შემთხვევაში შეკრების თავისუფლებაში ჩარევა კანონით გათვალისწინებული?**

„შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულია შეკრების შეწყვეტის საფუძველი. კანონის მე-13 მუხლის თანახმად, მე-11 მუხლის მასობრივად დარღვე-

[71] http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=2504)

[72] *Hyde Park and Others v. Moldova,* para. 44

ვის შემთხვევაში, შეკრება ან მანიფესტაცია უნდა შეწყდეს. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეკრება ან მანიფესტაცია ტარდება გაფრთხილების წერილში[73] მითითებულ დროსა და ადგილას, მასში მითითებული მიზნებისა და სვლა-გეზის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, „ხელისუფლება უფლებამოსილია, შეწყვიტოს შეკრება ან მანიფესტაცია, რომელიც კანონის მოთხოვნათა დარღვევით იმართება." როგორც გამოჩნდა, კანონის მიხედვით, შეიძლება ტრანსპორტის სავალ ნაწილზე მიმდინარე აქციის შეწყვეტის საფუძვლებიდან ერთ-ერთი იყოს გაფრთხილებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვა და ეს გარემოება 26 მაისს დადგა აქციის მონაწილეებისა და სახელმწიფოს წინაშე.

წარმომადგენლობითი სახალხო კრების მიერ ქალაქ თბილისის მერიაში შეტანილ გაფრთხილებაში აქციის გამართვის ვადად მითითებული იყო პერიოდი 2011 წლის 21 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით (იხ. დანართი №2).[74] გაფრთხილების ვადა იწურებოდა 2011 წლის 26 მაისს 00:00 საათზე. ამ დროიდან სახალხო კრების მიერ ორგანიზებულ შეკრებაზე ირღვეოდა ზემოაღნიშნული კანონის მე-11 მუხლი.

- **არსებობდა თუ არა კანონით დაცული ლეგიტიმური მიზნები შეკრების თავისუფლებაში ჩასარევად?**

პოლიციის მიერ საპროტესტო აქციის დაშლამდე რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდა ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენელი. მან შეკრების ორგანიზატორებს აცნობა, რომ 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე იგეგმებოდა სამხედრო აღლუმი და ამის გამო შეკრების მონაწილეებს საპროტესტო აქციის ჩატარების ადგილის შეცვლის წინადადებით მიმართა.[75] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში ასევე მითითებულია, რომ აქციის დაშლის მიზეზი იყო 25 მაისის შემდეგ აქციის არასანქცირებული ხასიათი და 26 მაისს პარლამენტის წინ დაგეგმილი აღლუმის ჩატარების აუცილებლობა.

ამგვარად, აღლუმის ჩატარება ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ იქნა იმ ლეგიტიმურ მიზნად, რომელიც ამართლებდა აქციის დაშლას. ისმის კითხვა, იყო თუ არა სამხედრო აღლუმი ისეთი მნიშვნელობის ღონისძიება, რომელიც უფლებას აძლევდა ხელისუფლებას, მიეღო საპროტესტო აქციის დაშლის გადაწყვეტილება?

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი ხელისუფლებას უფლებას აძლევს, შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აღლუმი სახელმწიფო მმართველობითი და საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებაა. შესაბამისად, საპროტესტო აქციის მეშვეობით მისი ჩაშლა შეიძლება გაუთანაბრდეს სახელმწიფოს მმართველობითი ფუნქციის განხორციელებისათვის ხელის შეშლას.

2.2.3. **რამდენად შესაძლებელია ტრანსპორტის სავალ ნაწილზე მიმდინარე აქციის შეწყვეტის კუმულატიური საფუძვლებიდან ერთ-ერთი იყოს *აღლუმის ჩატარების საჭიროება*?**

<u>თავად შეკითხვის ამგვარი ფორმულირება თავის თავში მოიცავს ორ დამოუკიდებელ სამართლებრივ საკითხს, რომელზეც ცალ-ცალკე პასუხი უნდა გაეცეს. კერძოდ: (1) ამართლებს თუ არა</u>

[73] როდესაც საპროტესტო აქცია ტარდება ტრანსპორტის სავალ ნაწილზე, აუცილებელია ამის შესახებ გაფრთხილება იქნეს შეტანილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გაფრთხილება შეიტანება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში 5 დღით ადრე. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მითითებულია, რომ გაფრთხილებაში უნდა აღინიშნოს შეკრებისა ან მანიფესტაციის დაწყებისა და დამთავრების თარიღი და დრო.

[74] http://www.netgazeti.ge/GE/60/opinion/5384/შეიძლება-თუ-არა-აქციის-ძალით-დაშლა-იყოს-კანონიერი--მაისის-საპროტესტო-აქცია.htm

[75] http://www.netgazeti.ge/GE/60/News/5380/სახალხო-კრების-აქცია--თბილისში--25-მაისი---განახლებადი-რეჟიმი.htm

~~აღლუმის ჩატარების საჭიროება შეკრების თავისუფლებაში ჩარევას და (2) არსებულ ფაქტობრივ მოცემულობაში ამ ლეგიტიმური მიზნისთვის რამდენად პროპორციული იყო აქციის დაშლა (აღკვეთა), როგორც შეკრების თავისუფლებაში ჩარევის, უფლების შეზღუდვის საშუალება.~~

1. აღლუმი, როგორც შეკრების თავისუფლებაში ჩარევის ლეგიტიმური საფუძველი

აღლუმი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობების დემონსტრირების საშუალებაა და ის შესაძლოა, ეროვნული უსაფრთხოების დაცვას ემსახურებოდეს. სახელმწიფო, მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გათვალისწინებით, დაინტერესებულია, აღლუმი ჩაატაროს სათანადო დონეზე და მას მნიშვნელოვან სახელმწიფო ინტერესებს უკავშირებს. თუმცა, ცხადია, სხვადასხვა ფაქტობრივ მოცემულობაში თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, აღლუმის ჩატარების ინტერესი შეიძლება შეკრების თავისუფლებამ გადაწონოს, რაც, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ცალკე შეფასებას მოითხოვს. ამ კუთხით, სახელმწიფოს აქვს შეფასების ფართო ზღვარი, თუ რომელი ინტერესის სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას, რაც შემდგომში პროპორციულობის ტესტით შეფასების საგანია. სახელმწიფოს ამგვარ გადაწყვეტილებაზე გავლენას სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოება (ქვეყანაში არსებული ვითარება, დემონსტრანტების რაოდენობა, საგარეო პოლიტიკა და ა.შ.) ახდენს, რომელიც სამართლის სფეროს სცილდება და პოლიტიკური შეფასების სივრცეა. ჩვენ მიერ განსახილველ შემთხვევაში, რამდენიმე ფაქტობრივი გარემოება ამართლებს აღლუმის ჩატარების მიზანს შეკრების თავისუფლებაში ჩარევის პირობად. მათ შორის: 1. აქციის მონაწილეები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი 26 მაისს მოსალოდნელი აღლუმის შესახებ და სახელმწიფო უკვე ახორციელებდა მოსამზადებელ ღონისძიებებს აღლუმის ჩასატარებლად; 2. აქციის მონაწილეებმა პარლამენტის შენობასთან გადაინაცვლეს აღლუმის ჩაშლის განზრახვით და ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების დროს ამ განზრახვას არ თმობდნენ; 3. მათი სურვილის შემთხვევაში, აქციის მონაწილეებს შეიძლებოდა მისცემოდათ აღლუმის *პარალელურად* პროტესტის გამოხატვის საშუალება, თუმცა, მათ მიერ დეკლარირებული მიზანი აღლუმის ჩაშლასთან დაკავშირებით ამ შესაძლებლობას აპრიორი გამორიცხავდა.[76]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ, მოცემულ შემთხვევაში, 26 მაისს გასამართი აღლუმი წარმოადგენდა ადეკვატურ ლეგიტიმურ საჯარო მიზანს შეკრების უფლებით მოსარგებლე პირებთან მიმართებით.

2. აქციის დაშლა, როგორც შეკრების თავისუფლებაში ჩარევის პროპორციული საშუალება

ზემოთ წარმოდგენილი მტკიცება, რომ აღლუმის ჩატარების ინტერესი შეიძლება მიჩნეულ იქნეს შეკრების თავისუფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ საფუძვლად, თავისთავად, არ გულისხმობს, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება აქციის შეწყვეტაზე ამავე საფუძვლით დასაბუთებული და ჩარევის პროპორციული საშუალება იყო. ეს გარემოება დამოუკიდებელ განხილვას და, როგორც ზემოთ აღნიშნა, შემდეგი საკითხების გარკვევას საჭიროებს: (1) რამდენად შესაძლებელი იყო აღნიშნული მიზნის მიღწევა აქციის შეწყვეტით; (2) რამდენად შესაძლებელი იყო იმავე მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი საშუალებით, ვიდრე ეს აქციის შეწყვეტაა და (3) რომელ სამართლებრივ სიკეთეს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის: იმას, რაც ლეგიტიმურ საჯარო მიზნად არის განხილული, თუ უფლებით იმგვარად და იმ გარემოებებში სარგებლობას, რომლის რეალიზაციაც მოცემულ შემთხვევაში შეიზღუდა.

[76] ნინო ბურჯანაძის განცხადება. ხელმისაწვდომია: http://www.youtube.com/watch?v=FzqtmD3tdc4 ამ მიმართებით ასევე იხილეთ ნონა გაფრინდაშვილის განცხადება. ხელმისაწვდომია: http://www.itv.ge/?m=16&CID=15996

- რამდენად შესაძლებელი იყო აღლუმის ჩატარების მიზნის მიღწევა აქციის შეწყვეტით?

ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების 39-ე პუნქტის თანახმად, შეკრების თავისუფლებაში ჩარევის ფარგლები უნდა ემსახურებოდეს იმ მიზნის მიღწევას, რითაც გამართლებულია უფლების შეზღუდვა. მაშინ, როდესაც მიზნის მისაღწევად მრავალი შემზღუდველი ღონისძიების გამოყენებაა შესაფერისი, სახელმწიფომ უნდა აირჩიოს მათგან ისეთი, რომელიც ნაკლებად შემზღუდველია და რითაც მიიღწევა ლეგიტიმური მიზანი. როგორც აღინიშნა, აქციის მონაწილეებს გააჩნდათ 26 მაისს გასამართი აღლუმის ჩაშლის განზრახვა. მათ აქციის დაშლის მომენტისთვის დაკავებული ჰქონდათ აღლუმის გასამართი ტერიტორია და ინფრასტრუქტურა, რომელიც აუცილებელი და მომზადებული იყო სპეციალურად აღლუმის ჩასატარებლად. ამგვარ მდგომარეობაში აღლუმის გამართვა შეუძლებელი იყო. აქციის მონაწილეებისგან აღლუმის გასამართი ტერიტორიის გაწმენდა გაანეიტრალებდა იმ საფრთხეს, რაც საზოგადოებრივ წესრიგს ემუქრებოდა დემონსტრანტების ყოფნით მოცემულ ადგილზე. ამის გათვალისწინებით, ლოგიკურია მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავდა აქციის შეწყვეტას. შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ აქციის შეწყვეტით მიიღწეოდა აღლუმის უსაფრთხოდ ჩატარების მიზანი.

- რამდენად შესაძლებელია აღლუმის ჩატარების მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი საშუალებით, ვიდრე ეს აქციის შეწყვეტა იყო?

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის რეალური რისკი სრულებით არ გულისხმობს იმას, რომ ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა დაშალოს საპროტესტო აქცია. აქციის დაშლა უნდა იყოს უკანასკნელი საშუალება, თუკი სხვა უფრო მსუბუქი საშუალებით ლეგიტიმური საჯარო მიზანი ვერ მიიღწევა. ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების 45-ე პუნქტის თანახმად, დროსა ან ადგილზე შეზღუდვის დაწესება შესაფერისი ალტერნატივაა. იმავე პუნქტში აღნიშნულია, რომ ნებისმიერი ალტერნატივა უნდა იყოს ისეთი, რომ პროტესტიდან გამომდინარე გზავნილმა ეფექტურად მიაღწიოს ადრესატამდე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დემონსტრანტებს უნდა ჰქონდეთ სამიზნე აუდიტორიასთან ვიზუალური და სიტყვიერი შეხება.

ვიზუალური და სიტყვიერი შეხება შესაძლებელია მაშინ, როცა ორი ღონისძიება იმართება ერთსა და იმავე ადგილას. შეკრების თავისუფლების შესახებ ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების 122-ე პუნქტი ეხება შემთხვევას, როდესაც სხვადასხვა ღონისძიება ერთმანეთის მახლობლად იმართება. სახელმძღვანელო პრინციპებში მითითებულია: „სხვადასხვა მოვლენა ერთდროულად უნდა აღინიშნოს მაშინ, თუ ეს შესაძლებელია, ხოლო თუ შეუძლებელია (იმის გამო, რომ არ არსებობს საკმარისი სივრცე), მხარეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, დიალოგის გზით მივიდნენ ურთიერთსასარგებლო შეთანხმებამდე. თუკი ამგვარი შეთანხმება ვერ შედგება, პრობლემის გადაწყვეტის მაგალითი შეიძლება იყოს პრინციპი „პირველს ენიჭება უპირატესობა“ (First come, First served). საჯარო ღონისძიების ჩატარების აკრძალვა იმ ადგილსა და დროს, სადაც იმართება სხვა ღონისძიება, იქნებოდა არაპროპორციული პასუხი, თუ ორივე ღონისძიება შესაძლოა ერთდროულად წარიმართოს.

რაც შეეხება ორი სხვადასხვა ღონისძიების მონაწილეებს შორის შესაძლო შეხლა-შემოხლას და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. ზემოთ მივუთითეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Christian Democratic People's Party v. Moldova (no. 2).* აღნიშნულ საქმეში სასამართლომ არაპროპორციულ ღონისძიებად მიიჩნია შეკრების ჩატარების აკრძალვა. ამის ნაცვლად, სასამართლომ განაცხადა: „პოლიციის ამოცანას წარმოადგენს ორ ჯგუფს შორის ჩადგომა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.“

„მშვიდობიანი შეკრების შესახებ” ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების მე-19 პუნქტის თანახმად, ეს სახელმძღვანელო პრინციპები ეხება შეკრებას, რომელიც იმართება საჯარო ადგილებზე და რომლის თანაბრად გამოყენების შესაძლებლობა აქვს ყველას (საჯარო ადგილები განისაზღვრება, მაგრამ არ არის შეზღუდული, საზოგადოებრივი პარკებით, მოედნებით, ქუჩებით, გზებით, პროსპექტებით, ტროტუარებით, ქვაფენილებით, ფეხით გადასასვლელებით). სახელმწი-

ფომ უნდა უზრუნველყოს შეკრების გამართვა იმ საჯარო ადგილას, რომელსაც უპირატესობას ანიჭებს შეკრების ორგანიზატორი და, ზოგადად, ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

იმავე სახელმძღვანელო პრინციპების მე-20 პუნქტის შესაბამისად, საჯარო შეკრების მონაწილეებს ისეთივე უფლება აქვთ, გამოიყენონ საჯარო ადგილები, როგორც ნებისმიერ სხვას. ზოგადად, საჯარო ადგილების გამოყენება საჯარო პროტესტისა და შეკრების თავისუფლებისათვის ისეთივე ლეგიტიმურია, როგორც სხვა რუტინული მიზნებისთვის.

„წარმომადგენლობითი სახალხო კრების" გაფრთხილებას ვადა ამოეწურა 2011 წლის 26 მაისს. ამის მიუხედავად, სახალხო კრების წევრები ვადის ამოწურვის შემდეგაც რჩებოდნენ რუსთაველის გამზირზე, გადაკეტილი ჰქონდათ გზა და მათ განკარგულებაში იყო მოქცეული აღლუმის ინფრასტრუქტურა. აღნიშნული ფორმით საპროტესტო აქციის გაგრძელება შეუძლებელს გახდიდა აღლუმის ჩატარებას. გარდა ამისა, ხელისუფლებამ დემონსტრანტებზე ადრე გამოხატა განზრახვა, აღლუმის ჩატარების მიზნით ესარგებლა რუსთაველის გამზირის ტრანსპორტის სავალი ნაწილით, ასევე პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიით, როგორც საერთო საზოგადოებრივი სიკეთით, რაც, შეკრების გარდა, შესაძლოა, ასევე გამოყენებული იყოს სხვა მიზნებითაც. ვინაიდან ხელისუფლება იყო პირველი, ვინც ზემოხსენებული განზრახვა გამოავლინა, საპროტესტო შეკრების ჩატარებასთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება აღლუმის გამართვას. ხელისუფლებას ფორმალურად ჰქონდა უფლება, გაეტარებინა ისეთი ღონისძიებები, რაც შესაძლებელს გახდიდა დადგენილი დღის წესრიგით აღლუმის შეუფერხებელ ჩატარებას.

რამდენად იყო შესაძლებელი, რომ, ერთი მხრივ, აღლუმი და, მეორე მხრივ, სახალხო კრების საპროტესტო აქცია რუსთაველის გამზირზე ერთსა და იმავე დროს ჩატარებულიყო? ეს შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი დემონსტრანტები გზის სავალ ნაწილს გახსნიდნენ და შეიარაღებულ ძალებს გადაადგილების საშუალებას მისცემდნენ, იმავდროულად, ხელისუფლება ნებას დართავდა დემონსტრანტებს, პროტესტი გამოეხატათ იქვე მდებარე ტროტუარიდან ისე, რომ ხელი არ შეეშალათ შეიარაღებული ძალების გადაადგილებისათვის. ასევე, დემონსტრანტების მხრიდან დაცული იქნებოდა იმგვარი დისტანცია, რაც აუცილებელია აღლუმზე დამსწრე ოფიციალური პირების უსაფრთხოების დასაცავად. დემონსტრანტების წინ ჩადგებოდა პოლიცია. ამ ფორმით დემონსტრანტებს ექნებოდათ ხმოვანი და ვიზუალური შეხება მათი პროტესტის ადრესატთან – საქართველოს ხელისუფლებასთან და ის გზავნილი, რომლის გადაცემასაც თითოეული საპროტესტო აქცია ისახავს მიზნად, არ დაიკარგებოდა მიუხედავად იმისა, რომ ამ გზავნილის გადაცემის ფორმა სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრულ ჩარევას და რეგულირებას დაექვემდებარებოდა.

სამწუხაროდ, მშვიდობიანი დემონსტრაციისათვის დამახასიათებელი ეს ფორმატი არ იქნა განხილული, როდესაც თბილისის მერიის წარმომადგენელმა საპროტესტო აქციის მონაწილეებს ადგილის შეცვლის რეკომენდაციით მიმართა. თბილისის მერია სახალხო კრებას სთავაზობდა, საპროტესტო აქცია ჩაეტარებინა ვერის პარკში, დედაენის პარკში, ვაკის პარკში ან თბილისის სხვა ადგილას.[77] მერიის განცხადება გამორიცხავდა რუსთაველის გამზირზე ისეთი პროტესტის გაგრძელების შესაძლებლობას, რომელიც ხელს არ უშლიდა აღლუმის ჩატარებას. ცხადია, ეს უკანასკნელი წარმოადგენს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საგანს, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მერიამ არ შეასრულა ვალდებულება, სათანადოდ ეწარმოებინა მოლაპარაკება დემონსტრანტებთან, როგორც ფაქტების ანალიზიდან ჩანს, არსებობდა დიდი ალბათობა, რომ მოშორებით, ტროტუარზე საპროტესტო აქციის გაგრძელებას წარმომადგენლობითი სახალხო კრების აქციის ორგანიზატორები არ დათანხმდებოდნენ. ამგვარი წინადადების შეთავაზებას ართულებდა ისიც, რომ შეკრების ორგანიზატორთა გაცხადებულ მიზანს წარმოადგენდა აღლუმის ჩაშლა. ამასთან, დემონსტრანტები, ტრანსპარანტებისა და ხმოვანი საშუალებების გარდა, რაც საპროტესტო აქციისას ხმოვანი და ვიზუალური შეხების აუცილებელი კომპონენტია, აღჭურვილი იყვნენ მშვიდობიანი საპროტესტო აქციისათვის უჩვეულო პლასტმასის საგნებით. ეს კი, უსაფრთხოების დაცვის ინტერესს და, აქედან გამომდინარე, საპროტესტო აქციაში ლეგიტიმური ჩარევის საჭიროებას კიდევ უფრო ზრდიდა. ასეთ შემთხვევაში,

[77] http://netgazeti.ge/GE/60/News/5380/სახალხო-კრების-აქცია--თბილისში---25-მაისი---განახლებადი-რეჟიმი.htm

ადგილის შეცვლასთან ერთად, მოლაპარაკების საგანი უნდა გამხდარიყო თავად საპროტესტო აქციის ფორმის შეცვლა, პლასტმასის საგნის გამოყენებაზე უარის თქმა, რათა აღლუმის მიმდინარეობისას დემონსტრანტებს მათი პროტესტის მთავარ ადრესატთან ვიზუალური და ხმოვანი კონტაქტი შეენარჩუნებინათ.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, დემონსტრანტების მიზნებისა და მოქმედებების სიხისტის, ასევე, ხელისუფლების მხრიდან მოლაპარაკებების ყველა შესაძლო (მათ შორის, ფორმალური) რესურსის ამოუწურაობის გათვალისწინებით, გამოვდივართ რა ადამიანის უფლებების შეზღუდვის დროს მტკიცების ტვირთის სახელმწიფოსთვის დაკისრების პრინციპიდან, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს შეეძლო აღლუმის ჩატარების მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი საშუალებით, ვიდრე ეს აქციის შეწყვეტა იყო, რაც მან არ გააკეთა.

დასკვნა

ამგვარად, მოცემული ანალიზის საფუძველზე ნათელია, რომ აქცია მშვიდობიან ხასიათს ატარებდა აქციის იმ მონაწილეების (უმრავლესობის) მიმართ, რომლებსაც აქციის დაშლამდე არ გამოუვლენიათ ძალადობრივი და პოლიციისგან აქტიური თავდაცვის განზრახვა. ე.წ. „შეფიცულების“ მიერ პოლიციის მოქმედებებისგან თავდაცვის წინასწარი განზრახვა არ თავსდება მშვიდობიანი მანიფესტაციის უფლების ფარგლებში, რის გამოც, ასეთი საფრთხის დადგომის შემდეგ, იგი გადის კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული სფეროდან. ამ მიმართებით, აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებამ არ მიიღო შესაბამისი პრევენციული ზომები მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამასთან, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევის რეალური საფრთხე „შეფიცულებისგან“ შეიქმნა მაშინ, როდესაც ხელისუფლება უკვე აღასრულებდა აქციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას. შესაბამისად, ეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევის საფრთხე უნდა მივიჩნიოთ არა როგორც შეკრების უფლებაში ჩარევის და ძალის გამოყენების დამოუკიდებელი სამართლებრივი საფუძველი, არამედ როგორც უფლებაში ჩარევის პროპორციულობის განმსაზღვრელი ფაქტორი.

ამასთან, აღლუმის ჩატარება კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება მივიჩნიოთ ლეგიტიმურ საჯარო ინტერესად. იმავდროულად, ცხადია, შემზღუდველი ღონისძიება აზრს არ უნდა უკარგავდეს შეკრების თავისუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ აღლუმის გამართვის ინტერესი, კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება აღემატებოდა აქციის გამართვის ინტერესს, სახელმწიფოს მანამდე უნდა განეხილა შეკრების თავისუფლების დაცვის ყველა შესაძლო ვარიანტი და თუ არსებობდა უფლების შეზღუდვის უფრო მსუბუქი საშუალება, ის კი თეორიულად არსებობდა (აქციისა და აღლუმის პარალელურად ჩატარება) სახელმწიფოს ეკისრებოდა ვალდებულება, გამოეყენებინა იგი. ხელისუფლება მოვალე იყო, აქციის ორგანიზატორებთან ერთად, მოლაპარაკების გზით განეხილა აქციისა და აღლუმის ერთდროულად გამართვის შესაძლებლობა, რაც 2011 წლის 26 მაისს არ მომხდარა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ხელისუფლების გადაწყვეტილება, დაეშალა 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქცია, ფორმალური თვალსაზრისით, შეიძლება გამართლებულად იქნეს მიჩნეული, თუმცა, აქციის დაშლის აღსრულების პროცესში გამოყენებული არაპროპორციული ძალის ფონზე, აღნიშნული საკითხი უმნიშვნელო ხასიათს იძენს.

მე-3 თავი. აქციის დაშლის მომზადების და მისი განხორციელების საწყის ეტაპზე პოლიციის მიერ გამოყენებული ტაქტიკისა და ტექნიკების ანალიზი

შესავალი

მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილია ფაქტობრივი და სამართლებრივი ანალიზი იმისა, თუ როგორ დაიგეგმა და განხორციელდა პოლიციის მიერ აქციის დაშლის პროცესი 2011 წლის 26 მაისს. ანგარიშის ეს თავი არ ფარავს პოლიციის მიერ კონკრეტული პირების მიმართ ინდივიდუალური ძალის გამოყენების შემთხვევებს. აღნიშნულ საკითხებს ანგარიშის მე-4 თავი ეთმობა.

ოპერაციის დაგეგმვისა და მისი განხორციელების საწყის ეტაპზე პოლიციის მიერ გამოყენებული ტაქტიკა და ტექნიკები *იმთავითვე* განსაზღვრავს და განაპირობებს პოლიციის მიერ გამოყენებული ძალის პროპორციულობის ფარგლებს. შესაბამისად, აქციის დაშლის ოპერაციის მომზადებისა და დაგეგმვის ანალიზი მნიშვნელოვანია პოლიციის მიერ გამოყენებული ძალის პროპორციულობის შეფასებისთვის.

26 მაისს აქციის დაშლის დროს პოლიციის მიზანი იყო პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორიის გათავისუფლება მომიტინგეებისგან.[78] შესაბამისად, პოლიციას უნდა მიეღო ადეკვატური ზომები იმისთვის, რომ უზრუნველეყო აქციის ტერიტორიიდან დემონსტრანტების მშვიდობიანი გაყვანა. ამ პროცესში, აქციის მონაწილეთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, პოლიცია უფლებამოსილი იყო, გამოეყენებინა პროპორციული ძალა აქციის მონაწილეების მიმართ და დაეკავებინა ისინი. აღნიშნული მიზნის *საპირისპიროდ*, პოლიციამ აქციის დაშლის პროცესი დაგეგმა და განახორციელა იმგვარად, რომ აქციის დაშლის დაწყებამდე თითქმის ნახევარი საათით ადრე გადაკეტა აქციის ტერიტორიის გარშემო მდებარე ძირითადი გასასვლელები. უშუალოდ აქციის დაშლის პროცესში კი, პოლიციამ დემონსტრანტებს არ დაუტოვა ღია დერეფანი, რომელიც მათ აქციის ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობას მისცემდა. მეტიც, პოლიციამ გამოიყენა გადამეტებული ძალა იმ დემონსტრანტების მიმართ, რომლებიც აქციის ტერიტორიიდან გაღწევას ცდილობდნენ.

იმ ვითარებაში, როდესაც პოლიციას ჰქონდა საკმარისი დრო აქციის დაშლის ოპერაციის სათანადოდ დასაგეგმად, ამასთან, 25 მაისს აქციის მონაწილეების მხრიდან ადგილი არ ჰქონია სიტუაციის ესკალაციას, პოლიციას შეეძლო მიეღო ზომები, რათა მოეხდინა მის მიერ გამოყენებული ძალისა და მისგან მომდინარე რისკების მინიმიზაცია. ამ გარემოების მიუხედავად, პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა იყო *აშკარად* არააუცილებელი, განურჩეველი და გადამეტებული, რამაც გამოიწვია აქციის მონაწილეებისა და დემონსტრაციაზე მყოფი სხვა პირების ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება.

3.1. ვითარების ანალიზი, რომელშიც პოლიციას უწევდა ოპერირება აქციის დაშლის დროს

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი მოითხოვს, აქციის დაშლის ოპერაცია პოლიციის მიერ ისე იქნეს რეგულირებული და ორგანიზებული, რომ მაქსიმალურად მინიმიზებული იყოს ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანების რისკები.[79] 26 მაისს აქციის დაშლის დროს პოლიცია ოპერირებდა იმ სიტუაციაში, რომელზეც ის ექსკლუზიურ და ეფექტიან კონტროლს ახორციელებდა. ეს ვითარება პოლიციას აძლევდა შესაძლებლობას, მიეღო სათანადო ზომები მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად, რაც პოლიციას არ გაუკეთებია.

აქციამ პარლამენტის შენობის წინ დაახლოებით 16:00 საათისთვის გადაინაცვლა. საღამოს 20:00 საათისთვის თბილისის მერიამ აქციის ორგანიზატორებს დემონსტრაციის ჩასატარებლად სხვა

[78] იხ. შსს-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=2504

[79] *Muradova v. Azebaijan, application #22684/05, judgement of 2 April 2009, paras. 113.*

ადგილის გამოყოფა შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო.[80] ამ დროიდან, და უფრო ადრეც, აქციის ლიდერების მიერ გაკეთებული ზეპირი განცხადებებიდან გამომდინარე, ხელისუფლებისთვის აშკარა იყო, რომ 26 მაისისთვის აქციის მონაწილეები დაშლას არ აპირებდნენ. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს გააჩნდა საკმარისი დრო (რეალურად – 8 საათი, მინიმუმ – 4 საათი), რათა სათანადოდ დაეგეგმა აქციის დაშლის ოპერაცია და გაეთვალა აქციის დაშლის ტაქტიკა ყველაზე ნაკლები დანაკარგით.

აქციის მონაწილეები აქციის დაშლამდე

ოპერაციის ჩატარების წინა პერიოდის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოების შეფასება. 25 მაისს პარლამენტის წინ მიმდინარე აქციის დროს დემონსტრანტების მხრიდან ადგილი არ ჰქონია ძალადობრივი მოქმედებების ჩადენის, სიტუაციის ესკალაციის ისეთ ფაქტებს, რომელიც პოლიციას აქციის დაშლის ოპერაციის დროს განუსაზღვრელი რისკებისა და საფრთხეების ქვეშ დააყენებდა.

პოლიციისთვის აქციის დაშლამდე განჭვრეტადი იყო ის საფრთხე, რომელიც პოტენციურად შეიძლებოდა წამოსულიყო აქციის მონაწილეების მხრიდან. კერძოდ, ჯერ კიდევ 21 მაისს, აქციების დაწყების დღიდან, დემონსტრანტების ნაწილი აღჭურვილი იყო პლასტმასისა და ხის ჯოხებით, ასევე, ფანერის პლაკატებით. საიას მიერ მოძიებული ფაქტობრივი მასალების მიხედვით, აქციის მონაწილეთა ასეთ ნაწილს დაახლოებით 150-200-მდე პირი წარმოადგენდა, რაც აქციის დაშლის მომენტისთვის დემონსტრანტების სრული ოდენობის (1700-მდე კაცი) 9-12% იყო. ჩვენ მიერ მოძიებული ფაქტობრივი მასალებით და ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებებით არ დასტურდება, რომ მონაწილეებს ჰქონდათ ცივი იარაღი ან/და ცეცხლსასროლი იარაღი, *მათ შორის,* აქციის დაშლის დროს. დემონსტრანტების მხრიდან ასევე ადგილი არ ჰქონია სიტუაციის *სხვაგვარი* ესკალაციის ფაქტებს. ამდენად, 25-26 მაისს აქციის დაშლის მომენტისთვის დემონსტრანტების ქცევა პოლიციისთვის პროგნოზირებადი იყო, რაც ოპერაციის დაგეგმვისა და რისკების გათვლის პროცესს ხელს უწყობდა.

აქციის მშვიდობიანი მონაწილეები აქციის დაშლამდე

ამდენად, ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ აქციის დაშლის პროცესში პოლიცია მოქმედებდა ისეთ სიტუაციაში, რომელზეც ის ექსკლუზიურ და ეფექტიან კონტროლს ახორციელებდა. შესაბამისად, 26 მაისს პოლიციას შეეძლო, ისე დაეგეგმა აქციის დაშლის ოპერაცია, რომ გაეტარებინა ყველა სათანადო ღონისძიება რისკების მინიმიზაციის მიზნით, *მათ შორის,* მიეღო ზომები, რათა მინიმუმამდე დაეყვანა ჯანმრთელობის დაზიანების რისკები.

3.2. დემონსტრანტებისთვის აქციის დაშლამდე აქციის ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობების შეზღუდვა

ანგარიშის მომზადების დროს სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული ფაქტობრივი ინფორმაცია აჩვენებს, რომ აქციის მიმდებარე ტერიტორიის ძირითადი გასასვლელების ჩაკეტვა პოლიციამ განახორციელა აქციის დაშლამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე.

საიასთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში „ნეტგაზეთის“ ჟურნალისტი *თამაზ კუპრეიშვილი* იხსენებს, რომ 23:30 საათზე, როდესაც ის თავისუფლების მოედნის მხრიდან აქციაზე მივიდა,

[80] იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს 2011 წლის 26 მაისის განცხადება. ხელმისაწვდომია: http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=2504

თავისუფლების მოედანი უკვე სავსე იყო სპეცრაზმელებით, რომლებიც ორგანიზებულად ეწყობოდნენ. ჟურნალისტის განცხადებით, *„23:40 საათზე სპეცრაზმელებს ყველა გასასვლელი უკვე დაკეტილი ჰქონდათ.“* თაზო კუპრეიშვილი თავის ახსნა-განმარტებაში ასახელებს ქუჩებს, რომლებიც, როგორც მან ნახა, იმ დროისთვის უკვე გადაკეტილი იყო: *„მე დავინახე, რომ ჩიტაძის ქუჩა, ჭიჭინაძის ქუჩა და თავისუფლების მოედანი გადაკეტილი იყო სპეცრაზმელების მიერ.”* ამასთან, ჟურნალისტმა შეამჩნია, რომ სპეცრაზმის კორდონი ჩაყენებული იყო თავისუფლების მოედნის მეტროს გვერდით მდებარე კიბეებზე, რომელიც კანცელარიის შენობისკენ ადის. [81]

თავის ახსნა-განმარტებაში „მედია-გე“-ს რედაქტორი *დავით მჭედლიძე* ასევე ადასტურებს, რომ 23:35 საათზე თავისუფლების მოედანზე უკვე ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ სპეცრაზმელები. სპეცრაზმის რაღაც ნაწილი კი, უკვე ორგანიზებულ კორდონად იყო განლაგებული. ჟურნალისტის განმარტებით, სპეცრაზმელთა ძირითადი რაოდენობა მობილიზებული იყო თავისუფლების მოედნის მიწისქვეშა გასასვლელთან, პუშკინის სკვერამდე. დავით მჭედლიძე ასევე მიუთითებს, რომ სპეცრაზმის მიერ ამავე დროს გადაკეტილი იყო თავისუფლების მოედნის მეტროს გვერდით კიბეებიანი ასასვლელი და მეტრო თავისუფლების მოედნის პირდაპირ, ტრასის გადაღმა მდებარე ჩასახვევი.[82]

თავის ახსნა-განმარტებაში აქციის ერთ-ერთი მონაწილე რევაზ რეხვიაშვილი იხსენებს: *„დაახლოებით ღამის 23:15 წუთზე ჩვენ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია დავათვალიერეთ და ვნახეთ, რომ აქციის ტერიტორიის გარშემო ყველა შესაძლო გასასვლელი სპეცრაზმელების მიერ იყო გადაკეტილი. კერძოდ, გადაკეტილი იყო ჩიტაძის, ფურცელაძისა და ჭანტურიას ქუჩები, ასევე, პარლამენტსა და პირველ სკოლას შორის მდებარე ჭიჭინაძის ქუჩა. მე და ნიკა ამ უბანს კარგად ვიცნობთ და ყველა შესაძლო გასასვლელი, მათ შორის, არაოფიციალური გასასვლელებიც ვიცოდით, მაგრამ აქციის დაშლამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე აქციის ტერიტორიიდან გასვლა შეუძლებელი იყო.“*[83]

ადამიანის უფლებათა ცენტრის თანამშრომელი *ბექა ჯიქია*, რომელიც აქციის დაშლის მონიტორინგს ახორციელებდა, საიასთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში იხსენებს, რომ 23:40 საათისთვის ის პირველ სკოლასთან იდგა, საიდანაც დაინახა, რომ ყველა ქუჩა გადაკეტილი იყო. მას მხოლოდ ფურცელაძის ქუჩის დანახვის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ბექა ჯიქიას განცხადებით, დაახლოებით 23:40 საათზე სპეცრაზმი მიადგა რუსთაველის ქუჩას და, ასევე, სასტუმრო „თბილისის მარიოტის“ გვერდით ამომავალ ქუჩას (ჭანტურიას ქუჩა).[84]

ბექა ჯიქიას განცხადებით, დაახლოებით 23:40 საათზე მან დაინახა, რომ რამდენიმე პირმა, რომლებიც აქციის მონაწილეები არ იყვნენ, შეძლეს რუსთაველის მეტროს მიმართულებით აქციის ტერიტორიიდან გასვლა. თუმცა, აქციის მონაწილეების ძირითად ნაწილს აქციის დაშლამდე ტერიტორიის დატოვება არ უცდია. საიამ ვერ მოიძია ინფორმაცია ისეთი კატეგორიის აქციის მონაწილეების შესახებ, რომლებმაც აქციის დაშლის დაწყებამდე მოინდომეს და შეძლეს/ან ვერ შეძლეს აქციის ტერიტორიის დატოვება. შესაბამისად, იმ საკითხის შეფასება, თუ რამდენად შეეძლოთ აქციის მონაწილეებს აქციის ტერიტორიის გარშემო გასასვლელებში ჩამდგარი სპეცრაზმის კორდონში გასვლა აქციის დაშლის დაწყებამდე, რთულია. **თუმცა, სამუშაო ჯგუფის მიერ მოძიებული ინფორმაცია ადასტურებს პოლიციის მიერ, *აქციის დაშლის დაწყებამდე, აქციის ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობების შეზღუდვის ფაქტებს.***

ამ კუთხით საინტერესოა ნიზამი მამედოვის შემთხვევა. 25 მაისს, დაახლოებით 23:00 საათზე, აქციის დაშლის დაწყებამდე მან რუსთაველის გამზირი დატოვა იმ მიზნით, რომ თავისუფლების მოედანზე მდგარი მანქანიდან ქურთუკი წამოეღო. როგორც ნიზამი მამედოვი იხსენებს, სანამ ის მანქანამდე მივიდოდა, მან უკნიდან დარტყმა იგრძნო და გონება დაკარგა. საბოლოოდ ის

[81] საიას მიერ ნეტგაზეთის ჟურნალისტის *თამაზ კუპრეიშვილისგან აღებული ახსნა-განმარტება.*

[82] საიას მიერ media-ge-ს რედაქტორის *დავით მჭედლიძისგან აღებული ახსნა-განმარტება.*

[83] საიას მიერ აქციის მონაწილე რევაზ რეხვიაშვილისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[84] საიას მიერ ადამიანის უფლებათა ცენტრის თანამშრომლის ბექა ჯიქიასგან *აღებული ახსნა-განმარტება.*

მიხაილოვის საავადმყოფოში გამოფხიზლდა და სხეულზე რეზინის ტყვიის ნაკვალევი აღმოაჩინა. ნიზამი მამედოვმა იმდენად სერიოზული დაზიანებები მიიღო, რომ ის ფეხზე ოპერაციის ჩატარებას საჭიროებს და დამოუკიდებელი გადაადგილება ამ დრომდე არ შეუძლია. *როგორც ნ. მამედოვის საქმიდან ჩანს, პოლიციამ აქციის მონაწილის მიმართ ძალა გამოიყენა იმ დროს, როდესაც აქციის დაშლა ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული და იმ ადგილას, რომელიც აქციის პერიმეტრის გარეთ მდებარეობდა.*

პოლიციის მიერ აქციის დაშლამდე აქციის ტერიტორიის დატოვების კუთხით გარკვეული ბარიერების არსებობას ადასტურებს Pressage.tv-ის ჟურნალისტის ნინო მიქიაშვილის ახსნა-განმარტება. კერძოდ, ნ. მიქიაშვილი იხსენებს, რომ 23:40 საათზე, როდესაც ის თავისუფლების მეტროდან ამოდიოდა, მეტროში განათება ჩაქრა. ამ დროს იქ დაახლოებით 6 პოლიციელი იმყოფებოდა, რომლებმაც განაცხადეს, რომ მეტროში ტექნიკური ხასიათის პრობლემები შეიქმნა, რის გამოც ის ვეღარ უზრუნველყოფდა მგზავრების ტრანსპორტირებას. პოლიციამ მოქალაქეებს მეტროთი სარგებლობის შესაძლებლობა არ მისცა.[85]

როგორც ზემოთ წარმოდგენილი ფაქტობრივი ინფორმაცია მიუთითებს, პოლიციას აქციის დაშლის დაწყებამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე უკვე დაკავებული ჰქონდა აქციის ტერიტორიის სიახლოვეს მდებარე ძირითადი გასასვლელები. აქციის დაშლამდე პოლიციამ აქციის მონაწილეებს არ დაუტოვა ღია გასასვლელი, სადაც მათ პოლიციასთან ყოველგვარი კონტაქტის გარეშე, უსაფრთხოების განცდის ქვეშ შეეძლოთ აქციის ტერიტორიის ნებაყოფლობით დატოვება.

3.3. პოლიციის მიერ აქციის დაშლის დროს გამოყენებული ძალის მართლზომიერების საკითხის შეფასება

25 მაისს 23:55 საათზე აქციის ორგანიზატორებთან მერიის თანამშრომელი გამოცხადდა და გაფრთხილება ჩააბარა, რომ, აქციის გაგრძელების შემთხვევაში, ღამის 00:00 საათის შემდეგ აქცია არასანქცირებულ ხასიათს მიიღებდა და მათ მშვიდობიანი დაშლისკენ მოუწოდა. მერიის თანამშრომელს აღნიშნულის შესახებ საჯარო და ხმამაღალი განცხადება აქციის მონაწილეებისთვის არ გაუკეთებია. მერიის თანამშრომლის მიერ აქციის პერიმეტრის დატოვების შემდეგ *მცირე ინტერვალში (დაახლოებით 5 წუთში)* პოლიციამ გააკეთა განცხადება უკანონო მიტინგის აღკვეთის მიზნით შესაბამისი ზომების გატარების თაობაზე. ჟურნალისტი თაზო კუპრეიშვილი იხსენებს, რომ აღნიშნული განცხადება ჩიტაძის ქუჩაზე მდგარი პოლიციის მანქანიდან გაკეთდა. თ. კუპრეიშვილის თქმით, ამ დროს იგი ასევე ჩიტაძის ქუჩაზე იმყოფებოდა, თუმცა, გაფრთხილების ხმა იმდენად ცუდად ისმოდა, რომ მან განცხადების შინაარსი სრულად ვერ გაიგო. საიას მიერ აქციის მონაწილეებისა და ჟურნალისტებისგან აღებული ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ მათმა ძალიან დიდმა ნაწილმა ვერ შეძლო პოლიციის მიერ გაკეთებული განცხადების გაგება.

პოლიციის განცხადებიდან დაახლოებით 5 წუთის გასვლის შემდეგ პოლიციამ აქციის დაშლის ოპერაცია დაიწყო.[86] ამ დროისთვის, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა და როგორც ყველა მოწმე ადასტურებს, აქციის ტერიტორიის გარშემო მდებარე ყველა გასასვლელი ჩაკეტილი იყო, მათ შორის, ფურცელაძის, ჯორჯაძის, ჭანტურიას ქუჩები, ასევე, ეროვნულ მუზეუმთან ჩასახვევი ქუჩა.

აქციის მიმდებარე ქუჩების გადაკეტვის ფაქტის დემონსტრირების მიზნით, საიამ შეიმუშავა რუქა, სადაც ნაჩვენებია ყველა ის გასასვლელი, რომელთა გამოყენება აქციის მონაწილეებს ტერიტორიის დასატოვებლად შეეძლოთ. თითოეულ გასასვლელთან მიმართებით საია მიუთითებს იმ წყარო(ებ)ს, რომელიც ადასტურებს აქციის დაშლის მომენტში (და მანამდეც) შესაბამისი გასასვლელის გადაკეტვის ფაქტს (იხ. რუკა).

---

[85] იმავე გარემოებას ადასტურებს აქციის მონაწილე კარენ არუთინოვი საიასთვის მიცემულ მის ახსნა-განმარტებაში.

[86] საიას მიერ „ნეტგაზეთის“ ჟურნალისტის *თამაზ კუპრეიშვილისგან აღებული ახსნა-განმარტება.*



მტკიცებულებები, რომელიც ადასტურებს აქციის დაშლამდე პოლიციის მიერ აქციის ტერიტორიაზე არსებული გასასვლელების გადაკეტვის ფაქტს

1. **ჩიტაძის ქუჩა** — თ. კუპრეიშვილის, ბ. ჯიქიას ახსნა-განმარტებები, ასევე პალიტრა tv-ის მიერ გადაღებული ვიდეო მასალა (http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/shemthkhveva/4948-specrazmma-parlamentis-tsin-mimdinare-saprotesto-aqcia-dashala.html);
2. **ჭიჭინაძის ქუჩა** — თ. კუპრეიშვილის, ბ. ჯიქიას ახსნა-განმარტებები, ასევე მაესტროს მიერ გადაღებული ვიდეო მასალა (არქივი);
3. **რუსთაველის გამზირი პირველის სკოლის მიმდებარე მონაკვეთში** — ბ. ჯიქიას, ნ. მიქიაშვილის ახსნა-განმარტებები, ასევე მაესტროს მიერ გადაღებული ვიდეო მასალა (http://maestro.ge/?address=uc&id=21900&page=1);
4. **ჯორჯაძის ქუჩა** — ბ. ჯიქიას, ლ. ქათამაძის ახსნა-განმარტებები;
5. **ფურცელაძის ქუჩა** — რ. რეხვიაშვილის, ლ. ქათამაძის ახსნა-განმარტებები, ასევე მაესტროს მიერ გადაღებული ვიდეო მასალა (არქივი);
6. **მეტრო თავისუფლების მოედნის მარცხნივ მდებარე ასასვლელი კიბე** — თ. კუპრეიშვილის, დ. მჭედლიძის, ბ. ჯიქიას ახსნა-განმარტებები;
7. **საქართველოს ეროვნული მუზეუმის გვერდით გუდიაშვილის ქუჩაზე ჩამავალი ჩიხი** — დ. მჭედლიძის ახსნა-განმარტება, ასევე tv25-ის მიერ გადაღებული ვიდეო მასალა (http://tv25.ge/videoshow.php?id=FLV/news/5027.flv);
8. **რუსთაველის გამზირი (თავისუფლების მოედნის მხარეს)** — თ. კუპრეიშვილის, დ. მჭედლიძის ახსნა-განმარტებები, ასევე პალიტრა tv-ის მიერ გადაღებული ვიდეო მასალა (http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/shemthkhveva/4948-specrazmma-parlamentis-tsin-mimdinare-saprotesto-aqcia-dashala.html);
9. **ჭანტურიას ქუჩა** — ჯეფრი კ. სილვერმანის ფოტო არქივი;
10. **გუდიაშვილის ქუჩა** - მაესტროს ვიდეო არქივი.

პოლიციამ აქციის მონაწილეებსა და იქ მყოფ სხვა პირებს არ მიაწოდა ინფორმაცია იმ ღია გასასვლელების შესახებ, რომლითაც მათ შეეძლოთ აქციის ტერიტორიის დატოვება. ამ მხრივ, საინტერესოა აქციის ტერიტორიაზე მყოფი ჟურნალისტებისა და აქციის მონაწილეების ახსნა-განმარტებების ანალიზი.

თაზო კუპრეიშვილი თავის ახსნა-განმარტებაში იხსენებს: *„ხალხი ფაქტობრივად ალყაში იყო მომწყვდეული. ყველა გასასვლელი სპეცრაზმელების კორდონით იყო დაკეტილი.“*

IPN-ის ჟურნალისტი მალხაზ ჭკადუა თავის ახსნა-განმარტებაში ჰყვება: *„მერიის თანამშრომლის მიერ გაფრთხილების მიცემის შემდეგ რეალურად არ იყო დრო, რომ ხალხის ამხელა მასას მისცემოდა გადაადგილების საშუალება. გაფრთხილება, რომ ამა თუ იმ ქუჩიდან შეეძლოთ გასვლა, არ ყოფილა, რადგან გასასვლელები პრაქტიკულად არ იყო.”* [87]

„ექსპრესნიუსის“ ჟურნალისტი თენგიზ ოყუჯავა ასევე ადასტურებს, რომ *„სავარაუდო გასასვლელების შესახებ სამართალდამცავებს ინფორმაცია აქციის მონაწილეებისთვის არ მიუწოდებიათ.”* [88]

„sando.ge“-ს დამფუძნებელი ლევან ქათამაძე იხსენებს, რომ *„ქალის ხმა აქციის მონაწილეებს მოუწოდებდა დაშლისკენ, თუმცა, უკვე ამ დროს გასასვლელი არ იყო დატოვებული. [..] მოწოდებიდან ძალიან მალევე ჩიტაძისა და ეროვნული ბიბლიოთეკის მიმართულებიდან, ისევე როგორც ქაშვეთის ეკლესიიდან, დაიწყო ერთდროული ოპერაცია.”* [89]

„ნეტგაზეთის“ ჟურნალისტი კონსტანტინე სტალინსკი თავის ახსნა-განმარტებაში ასევე მიუთითებს, რომ *„დაშლის დაწყების დროს სამართალდამცავებს გაფრთხილება არ გაუკეთებიათ. ასევე, არ უცნობებიათ აქციის მონაწილეთათვის გასასვლელების (დერეფნების) შესახებ.”*[90]

იდენტურია საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ ჟურნალისტის, თ. გელაშვილის განმარტებაც: *„მას შემდეგ, რაც მერიის წარმომადგენელმა გაფრთხილება წარუდგინა მომიტინგეებს და შემდეგ აქციის დაშლა დაიწყო, ყველა გასასვლელი ჩაიკეტა, პოლიციას არ მოუწოდებია ინფორმაცია აქციის მონაწილეთათვის გასასვლელების შესახებ.”*[91]

აღსანიშნავია, რომ, როგორც ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ გადაღებული ვიდეო მასალები აჩვენებს, პოლიციის და სპეცდანიშნულების რაზმი მობილიზებული იყო პარლამენტის შენობის ეზოს შიგნით და აქციის დაშლის დროს სპეცრაზმის მიერ აქციის მონაწილეებისთვის შეტევა აღნიშნული მიმართულებიდანაც მოხდა.[92]

ამ კონტექსტში, დაუსაბუთებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, როცა ის აქციის ტერიტორიიდან აქციის ორგანიზატორთა ესკორტის გასვლასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ესკორტმა აქციის ტერიტორია დატოვა იმ ადგილიდან, რომელიც ღია კორიდორად იყო დატოვებული აქციის მონაწილეებისთვის.[93] როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ ოპერატიულ ვიდეო მასალაში ჩანს, სპეცრაზმის მასიურ კორდონს გადაკეტილი ჰქონდა მეტრო „თავისუფლების მოედნის“ მხარეს ტრასის მთელი პერიმეტრი. ესკორტის მანქანების გასვლის დროს და მას შემდეგ აქციის მონაწილეებს ამ ადგილას გასვლის შესაძლებლობა არ მისცემიათ. ოთარ ცხადაძე, რომელიც აქციის სხვა მონაწილეებთან ერთად ესკორტის მანქანებს უკან მიჰყვებოდა და ამგვარად ცდილობდა აქციის ტერიტორიის დატოვებას, იხსენებს, რომ იქვე მდ-

---

[87] საიას მიერ IPN-ის ჟურნალისტის მალხაზ ჭკადუასგან აღებული ახსნა-განმარტება.

[88] საიას მიერ „ექსპრესნიუსის” ჟურნალისტის თენგიზ ოყუჯავასგან აღებული ახსნა-განმარტება.

[89] საიას მიერ *sando.ge*-ს ჟურნალისტის ლევან ქათამაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[90] საიას მიერ „ნეტგაზეთის“ ჟურნალისტის კონსტანტინე სტალინსკისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[91] საიას მიერ საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ ჟურნალისტის თ. გელაშვილისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[92] აღნიშნულ ინფორმაციას ადასტურებს საიას მიერ აქციის მონაწილის ბიძინა გეგიძისგან აღებული ახსნა-განმარტებაც.

[93] იხ. შსს-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://www.police.ge/index.php?m=222&newsid=2504

გარი სპეცრაზმელები სასტიკად სცემდნენ აქციის მონაწილეებს, რომლებიც ავტოკოლონის მანქანების უკან მოძრაობდნენ.[94] ამ მონაკვეთში სპეცრაზმელების მიერ აქციის მონაწილეების ცემის ფაქტი ჩანს „25-ე არხის" ვიდეო მასალაშიც.[95] თავისუფლების მოედნის გადაკეტვას ადასტურებს აქციის ერთ-ერთი მონაწილის ბორის კალანდაძის ახსნა-განმარტებაც: *„თავისუფლებისკენ რომ მივრბოდი, ჩემს მხარეს მომავალი დაახლოებით 100 ადამიანი დავინახე, რომლებიც უკან გამორბოდნენ [..], რადგან თავისუფლებაზე გზა გადაკეტილი იყო და გასასვლელი ვერ ნახეს."*[96] მოწმე X.Y. თავის ახსნა-განმარტებაში მიუთითებს: *„[..] მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლისკენ გამოვიქეცით. თავისუფლების მოედნისკენ ჩასვლას აზრი არ ჰქონდა, რადგან იქაც სპეცრაზმელები იდგნენ."* იმის გამო, რომ თავისუფლების მოედანზე ჩასასვლელი არ იყო, მოწმე X.Y-მა თავი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის გვერდით მდებარე ბაღს შეაფარა.[97]

როგორც ფაქტობრივი მასალები აჩვენებს, აქციის დაშლა დაიწყო მერიის წარმომადგენლის მიერ დაახლოებით 24:00 საათზე გაკეთებული გაფრთხილებიდან დაახლოებით 10, ხოლო პოლიციის გაფრთხილებიდან – დაახლოებით 5-6 წუთში. აქციის მონაწილეებს სათანადო წესით არ ეცნობათ აღნიშნული განცხადებების შინაარსი. ამასთან, აქციის მონაწილეებს არ მიეცათ სათანადო დრო და შესაძლებლობა იმისთვის, რომ პოლიციის მიერ ძალის გამოყენებამდე მიეღოთ გადაწყვეტილება აქციის ტერიტორიის ნებაყოფლობით დატოვების შესახებ. ამასთანავე, აქციის დაშლისას პოლიციის მიერ არ იყო დატოვებული დერეფანი/გასასვლელი, რომელიც დემონსტრანტებს აქციის ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობას მისცემდა.

საიამ შს სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია პოლიციის მიერ აქციის დაშლის დროს დატოვებული ღია გასასვლელ(ებ)ის შესახებ, რომელთა მეშვეობით დემონსტრანტები აქციის ტერიტორიის დატოვებას შეძლებდნენ და შესაბამისი მტკიცებულებები (*მათ შორის,* ვიდეო მასალა), რომელიც აღნიშნულს დაადასტურებდა. თუმცა, შსს-ს ამგვარი ინფორმაცია არ მოუწოდებია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პოლიციის მიერ დაირღვა მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც მოითხოვს, რომ აქციის მონაწილეებს პოლიციის ჩარევამდე უნდა მიეცეთ გონივრული ვადა დაშლისთვის და უსაფრთხო გასასვლელი. პოლიციის მიერ აქციის მონაწილეებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია გასასვლელის/გასასვლელების შესახებ და ასევე ცნობა, რომ თუ არ დაიშლებიან, ისინი შეიძლება დაექვემდებარონ დაკავებას.[98]

იმ შემთხვევაში, თუ პოლიცია დატოვებდა ღია გასასვლელ(ებ)ს თანაზომიერი ძალის გამოყენების პირობებში, იგი მოახერხებდა აქციის ტერიტორიიდან დემონსტრანტთა განდევნას იმგვარად, რომ მაქსიმალურად შემცირებულიყო სამართალდამცავებსა და აქციის მონაწილეებს შორის ფიზიკური შეხებისა და პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენების რისკები.

როგორც საიას მიერ მოძიებული ფაქტობრივი მასალები ადასტურებს, აქციის მონაწილეები გაიფანტნენ იქამდე, სანამ მათსა და სპეცრაზმს შორის ფიზიკური შეხება მოხდებოდა. *sando.ge*-ს დამფუძნებლის, ლევან ქათამაძის ახსნა-განმარტებაში ვკითხულობთ: *„აქციის მონაწილეები, სანამ მათსა და სპეცრაზმს შორის ფიზიკური შეხება მოხდებოდა, დაიშალნენ და ცდილობდნენ სხვადასხვა მიმართულებით გაქცევას."* ლ. ქათამაძე იხსენებს აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის შეტაკების რამდენიმე შემთხვევას, რომლებსაც ის ჩიტაძის ქუ-

[94] საიას მიერ აქციის მონაწილის ოთარ ცხადაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[95] ვიდეო მასალა ხელმისაწვდომია: http://tv25.ge/videoshow.php?id=FLV/news/5027.flv

[96] საიას მიერ აქციის მონაწილის ბორის კალანდაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[97] საიას მიერ აქციის მონაწილის X.Y-გან აღებული ახსნა-განმარტება.

[98] იხ. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, § 140, ეუთო, 2007 წელი, ხელმისაწვდომია: http://www.osce.org/odihr/24523

ჩაზე შეესწრო.[99] აქციის მონაწილეების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის რამდენიმე სპორადულ ფაქტს ადასტურებს გავრცელებული ვიდეო მასალებიც.[100] თუმცა, შემთხვევის ადგილზე გადაღებული ვიდეო მასალითა და მოწმეთა ახსნა-განმარტებებით თუ ვიმსჯელებთ, ასეთ წინააღმდეგობას მასობრივი ხასიათი არ ჰქონია და მხოლოდ რამდენიმე (ერთი ათეული შემთხვევაც კი არა) ფაქტი ფიქსირდება. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა თაზო კუპრეიშვილის ახსნა-განმარტება: *„როგორც კი სპეცრაზმი წამოვიდა, აქციის მონაწილეებმა ჯოხები დაყარეს და გაიქცნენ. როგორც მერე კადრებში ვნახე, რამდენიმე ადამიანმა წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას, თუმცა, ამას მასობრივი ხასიათი არ ჰქონდა."* [101]

აქციის ტერიტორიაზე მდებარე გასასვლელების ჩაკეტვის ფაქტმა განაპირობა ის, რომ აქციის მონაწილეების ნაწილმა თავი კინოთეატრ „რუსთაველის" შენობას შეაფარა.[102]

ანგარიშის მომზადების დროს შესწავლილი მასალები ადასტურებს, რომ პოლიციამ დემონსტრანტებს არა თუ აქციის ტერიტორიიდან უსაფრთხო გასვლის შესაძლებლობა არ მისცა, არამედ მან გადამეტებული ფიზიკური ძალა გამოიყენა მათ მიმართ, ვინც იქიდან გაღწევას ცდილობდა.

მალხაზ ჭკადუა თავის ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ *პოლიცია ადამიანებს მისდევდა არა მხოლოდ აქციის ტერიტორიაზე, არამედ მიმდებარე ტერიტორიაზეც და მათ დაკავებას ცდილობდა.*[103]

თავის ახსნა-განმარტებაში თაზო კუპრეიშვილი იხსენებს: *„მოსწავლე ახალგაზრდობის შენობასთან რომ მივედი, დავინახე, ხალხი ღობეზე აძრომას და გაქცევას როგორ ცდილობდა, თუმცა, სპეცრაზმელები მათ მიმართ რეზინის ტყვიებს და ხელკეტებს იყენებდნენ და გაქცევის საშუალებას არ აძლევდნენ. სპეცრაზმელები ქვემოდან დამიზნებით ესროდნენ და ძირს აგდებდნენ."* იმავეს ჰყვება თავის ახსნა-განმარტებაში ჟურნალისტი ნინო კახიშვილი: *„ვნახე, როგორ ძვრებოდნენ ბიჭები ღობეებზე. შემდეგ მათ ძირს ყრიდა სპეცრაზმი და ხელკეტებს ურტყამდა."*[104] იმავეს ადასტურებს „ნეტგაზეთის" ჟურნალისტი ნესტან ცეცხლაძე.[105]

ამასთან დაკავშირებით, საინტერესო ფაქტს იხსენებს ტელეკომპანია მაესტროს ჟურნალისტი ხათუნა ხვედელიძე: *„ფურცელაძეზე სპეცრაზმმა კორიდორი გახსნა და ჟურნალისტებს ტერიტორიის დატოვება სთხოვეს. კორიდორში რამდენიმე დემონსტრანტმაც სცადა გავლა, თუმცა, სპეცრაზმელებმა მათ ხელი მოკიდეს და უკან დააბრუნეს."* ამავე ახსნა-განმარტებაში ხათუნა ხვედელიძე იხსენებს, რომ როდესაც ის და მისი ოპერატორი აქციის ტერიტორიის დატოვებას ცდილობდნენ, *წითელ მაისურში ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაცი მის ოპერატორს ებღაუჭებოდა და გაყვანას სთხოვდა. ამ დროს მათთან სპეცრაზმელი მივიდა, რომელმაც ოპერატორს მოაცილა ჩაბღაუჭებული ახალგაზრდა მამაკაცი, ძირს დააგდო და რეზინის ხელკეტით სცემა.*[106]

მოწმე X.Y. რომელმაც ღამე მოსწავლე-ახალგაზრდობის წინ მდებარე ბაღში მალულად გაატარა, თავის ახსნა-განმარტებაში მიუთითებს, რომ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავი შეაფარეს ბაღს, პოლიცია აქტიურად ეძებდა და ამ პროცესში ძაღლებსაც იყენებდა. მოწმე იხსენებს: *„პოლიციელები ყვიროდნენ, გამოდით, არაფერს დაგიშავებთო. რაღაც მომენტში ვიფიქრე, რომ გავსულიყავი, მეგონა, რომ მართლა არაფერს დამიშავებდნენ, მაგრამ მერე საშინელი ყვირილისა და ღრიალის ხმა მომესმა, მივხვდი, რომ ვინც ბაღში იყვნენ დამალულები და სპე-*

[99] საიას მიერ *sando.ge*-ს ჟურნალისტის ლევან ქათამაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[100] ტელეკომპანია "მაესტროს" მიერ გადაღებული ვიდეო მასალა.

[101] საიას მიერ ნეტგაზეთის ჟურნალისტის *თამაზ კუპრეიშვილისგან აღებული ახსნა-განმარტება.*

[102] საიას მიერ აქციის მონაწილის გია ბურჯანაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[103] საიას მიერ IPN-ის ჟურნალისტის მალხაზ ჭკადუასგან აღებული ახსნა-განმარტება.

[104] საიას მიერ ჟურნალისტის ნინო კახიშვილისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[105] საიას მიერ ნეტგაზეთის ჟურნალისტის ნესტან ცეცხლაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[106] საიას მიერ ტელეკომპანია მაესტროს ჟურნალისტის ხათუნა ხვედელიძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

ცრაზმელების დაძახების შემდეგ გავიდნენ, სასტიკად გაუსწორდნენ. ამიტომ ისევ სახურავზე დარჩენა ვამჯობინეთ...”

პოლიცია მთელი ღამის განმავლობაში ინტენსიურად ეძებდა აქციის იმ მონაწილეებს, რომლებმაც თავი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობას შეაფარეს. აქციის ერთ-ერთი მონაწილის, დავით ჟღენტის განცხადებით, ის ღამის 5 საათისთვის პოლიციელებმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობაში დააკავეს. მისი განმარტებით, მანამდე პოლიცია შენობაში 3-ჯერ იყო შემოწმებაზე შემოსული.[107]

აქციის მონაწილე გიორგი ობგაიძე თავის ჩვენებაში იხსენებს, რომ აქციის მონაწილეების ნაკადმა, რომლებიც გაქცევას ცდილობდნენ, მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის“ მოპირდაპირე მხარეს, მაღაზია „ჯორდანოსა“ და ეროვნულ მუზეუმს შორის არსებული ღობე გაარღვია, თუმცა, ცეკავშირის შენობასთან მათ 500-მდე სპეცრაზმელი დახვდა, რომლებიც ფიზიკურად გაუსწორდნენ.[108]

სპეცრაზმის მიერ ჩიხში მოქცეული აქციის მონაწილეები

აქციის დაშლის პროცესი დაახლოებით 15-20 წუთში დასრულდა.[109]

იმ ვითარებაში, როდესაც პოლიციის მიზანს დემონსტრანტებისგან აქციის ტერიტორიის გათავისუფლება წარმოადგენდა, აქციის მონაწილეებისთვის აღნიშნული ტერიტორიიდან გასვლის შესაძლებლობის არმიცემა და, მიზნის მისაღწევად, მათ მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება, პოლიციის ქმედებას არამართლზომიერს ხდის.

ეუთოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები მოითხოვს, რომ აქციის მონაწილეებს პოლიციამ მისცეს გაფრთხილება: იმ შემთხვევაში, თუ არ დაიშლებიან, ისინი დაექვემდებარებიან დაკავებას. პოლიციის მიერ აქციის მონაწილეების დაკავება გამართლებული შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში იყოს, თუ აქციის მონაწილეები პოლიციას არ დაემორჩილებიან და წინააღმდეგობას გაუწევენ აქციის აღკვეთის პროცესში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი (რომლის საფუძველზე 2011 წლის 26 მაისს აქციის დაშლის დროს დაკავებული იქნა 170 პირი[110]) ადმინისტრაციული წესით დასჯადად განიხილავს ქმედებას, რომელიც მოიცავს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების ან სამხედრო მოსამსახურეების კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობას. მოცემულ შემთხვევაში, პოლიციის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მან დაიწყო აქციის დაშლის პროცესი და, ამ მიზნით, კანონით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენება. თუ დემონსტრანტთა მხრიდან ადგილი ექნებოდა აქციის დაშლის პროცესში პოლიციის კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი ბოროტ დაუმორჩილებლობას, პოლიცია უფლებამოსილი იქნებოდა, დაეკავებინა აქციის კონკრეტული მონაწილე(ები). სხვა შემთხვევაში, თუ აქციის მონაწილეების მხრიდან პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შეფასებას დავიწყებთ იმ მომენტიდან, როდესაც პოლიციამ პირვე-

[107] საიას მიერ აქციის მონაწილის დავით ჟღენტისგან აღებული ახსნა-განმატება;

[108] საიას მიერ აქციის მონაწილის გიორგი ობგაიძისგან აღებული ახსნა-განმარტება;

[109] საიას მიერ ბექა ჯიქიასგან აღებული ახსნა განმარტება.

[110] საიას მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვნილი ინფორმაცია, 2011 წლის 19 ივნისი. (დანართი #3)

ლად გააკეთა განცხადება აქციის აღკვეთის მიზნით კანონით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენების თაობაზე, პოლიციას უნდა დაეკავებინა აქციის ყველა მონაწილე, რომელიც ამ განცხადების შემდეგ არ დატოვებდა აქციის ტერიტორიას. ცხადია, აქციის აღკვეთის პროცესში ყველა მონაწილის დაკავება, რომელიც არასანქცირებულ მიტინგზე იმყოფება, არ შეიძლება მიჩნეულ იყოს გამართლებულ და პროპორციულ ზომად აქციის აღსაკვეთად. იმ ვითარებაში კი, როდესაც 1. აქციის მონაწილეებს აქციის აღკვეთის შესახებ პოლიციის განცხადების შემდეგ არ მიეცათ დრო და საშუალება, ნებაყოფლობით დაეტოვებინათ აქციის ტერიტორია; 2. აქციის დაშლის პროცესში პოლიციის მიერ გადაკეტილი იყო ყველა გასასვლელი, რომელიც აქციის მონაწილეებს დემონსტრაციის ადგილის დატოვების საშუალებას მისცემდა, პოლიციის მიერ აქციის მონაწილეების დაკავება არ იყო მართლზომიერი.

ზემოთ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისი სამართლებრივი შეფასებები მიუთითებს, რომ 26 მაისს აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ გამოყენებული იყო არაპროპორციული ძალა. აქციის დაშლა პოლიციის მიერ დაიგეგმა იმგვარად, რომ არც აქციის დაწყებამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე და არც აქციის დაშლის დაწყების პროცესში აქციის მონაწილეებს არ მიეცათ დემონსტრაციის ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა, რის გამოც პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა გასცდა კანონით დადგენილ ლეგიტიმურ მიზნებს და არამართლზომიერი სახე მიიღო. პოლიციამ აქციის დაშლის პროცესი დაგეგმა და განახორციელა ისე, რომ არ დატოვა ღია გასასვლელი აქციის მონაწილეებისთვის, რითაც გაზარდა მონაწილეებსა და პოლიციას შორის ფიზიკური შეხებისა და პოლიციის მიერ ძალის გამოყენების რისკები.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ:

- *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ გამოიძიოს/გამოიკვლიოს და ადეკვატური პასუხისმგებლობა დააკისროს იმ თანამდებობის პირებს, რომლებმაც დაგეგმეს და ხელმძღვანელობდნენ 26 მაისს აქციის დაშლის ოპერაციას;*
- *პოლიციის მიერ აქციის დაშლის პროცესში აქციის მონაწილეებს უნდა მიეცეთ გონივრული დრო და საშუალება, რომ შეძლონ აქციის ტერიტორიის ნებაყოფლობით დატოვება. ამასთან, აქციის დაშლის დროს პოლიციამ უნდა დატოვოს ღია გასასვლელები/დერეფნები, საიდანაც აქციის მონაწილეები პოლიციის მხრიდან სათანადო ძალის გამოყენების ქვეშ შეძლებენ აქციის ტერიტორიის დატოვებას. საიას მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხები სათანადო საკანონმდებლო რეგლამენტაციას საჭიროებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული პოლიციის მხრიდან თვითნებობის რისკები;*
- *სამართალდამცავი ორგანოების მიერ სწორად უნდა განიმარტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი. დემონსტრანტის დაკავების საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ აქციის დაშლის პროცესში პოლიციის კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა. არასანქცირებულ მიტინგზე დემონსტრანტების ყოფნის ფაქტი, თავისთავად (მიუხედავად იმისა, რომ ისინი ინფორმირებულები არიან აქციის უკანონობის შესახებ), არ იძლევა ქმედების 173-ე მუხლით კვალიფიკაციის საფუძველს.*

3.4. აქციის დაშლის დროს გამოყენებული პოლიციური ძალის არაპროპორციულობა

პოლიციის მიერ აქციის დაშლის ოპერაცია ისე დაიგეგმა და მის საწყის ეტაპზევე იმ ოდენობისა და ინტენსივობის ძალა იქნა გამოყენებული, რომ ეს გარემოებები არ ახდენდა პოლიციის მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების რისკების მინიმიზაციას. აქციის დარბევის დროს პოლიციის მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენების ინდივიდუალური შემთხვევები განხილულია ანგარიშის მეოთხე თავში, აქ კი წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია გამოყენებული ძალის ოდენობის, ხასიათისა და ინტენსივობის შესახებ.

3.4.1. აქციის დაშლის პროცესში მონაწილე პოლიციელების ოდენობა, შემადგენლობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საიასთვის მოწოდებული ინფორმაციით, 2011 წლის 26 მაისის ღამეს რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 5 000 თანამშრომელი, აქედან, უკანონო მიტინგის დაშლაში მონაწილეობა მიიღო 1 000-მა თანამშრომელმა, ხოლო დანარჩენი – აღლუმის ჩატარებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფდა აღნიშნული ტერიტორიის დაცვას.[111] ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 26 მაისს რუსთაველის გამზირზე უკანონო აქციაში მონაწილეობას იღებდა 800-1200 ადამიანი. ანუ, როგორც შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით დასტურდება, აქციის დაშლაში მონაწილე სპეცრაზმელებისა და პოლიციის ძალების რაოდენობა თითქმის უთანაბრდებოდა აქციის მონაწილეთა რაოდენობას.

სამართალდამცავები სპეციალური ეკიპირების გარეშე

როგორც სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული ფაქტობრივი მასალებით მტკიცდება, აქციის დაშლის პროცესში მონაწილეობდნენ როგორც სპეცდანიშნულების რაზმის წევრები, ასევე პირები, რომლებსაც ჯინსები, სამოქალაქო ფეხსაცმელები, ტანზე კი წითელი ფერის ქურთუკები ეცვათ წარწერით „პოლიცია“. მათ სახეზე ნაჭრის ნიღბები ეკეთათ ან ჩაფხუტები ეხურათ. აქციის დაშლის პროცესში ასევე მონაწილეობდნენ ლურჯი ფერის ფორმებში ჩაცმული პოლიციელები. შს სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აქციის დაშლის პროცესში მონაწილეობდნენ მხოლოდ შსს-ს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები.[112]

აქციის მონაწილეების დაკვირვებით, ეკიპირების გარეშე მყოფი სამართალდამცავების ქცევა განსხვავდებოდა სპეცრაზმელთა ქცევისგან და ის აშკარად უფრო აგრესიული იყო. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა რევაზ რეხვიაშვილის ახსნა-განმარტება: *„სპეცრაზმელები უფრო პროფესიონალურად მოქმედებდნენ, ისეთ ადგილებში გვირტყამდნენ, რომ დავეგდეთ და დავეკავებინეთ. სამოქალაქო ფორმებში ჩაცმული პირები კი გადამეტებულ ძალას იყენებდნენ და აგრესიული ქცევით გამოირჩეოდნენ. ისინი სიტყვიერ შეურაცხყოფასაც გვაყენებდნენ.“*[113]

როგორც მოწმეები იხსენებენ, სპეცრაზმელები ერთმანეთს ზედმეტი სახელებით მიმართავდნენ.[114]

აღსანიშნავია, რომ სპეცდანიშნულების რაზმელთა და პოლიციელთა ფორმებს მასობრივად არ ჰქონდა ნიშანი (სახელი, გვარი ან ნომერი), რომლითაც მათი იდენტიფიცირება შესაძლებელი იქნებოდა.

სპეცრაზმელები საიდენტიფიკაციო ნიშნის გარეშე. ბოლო სურათზე ჩანს რომ ჩაფხუტზე საიდენტიფიკაციო ნომერი წაშლილია.

გავრცელებულ ვიდეო მასალებში, იშვიათად, მხოლოდ რამდენიმე სპეცრაზმელის ჩაფხუტის უკანა მხარეს ჩანს გარკვეული ნომერი, რომელიც მისი იდენტიფიკაციის საშუალებას უნდა

---

[111] შსს-ს მიერ საიასთვის გაგზავნილი წერილი, 01.09.2011. (იხ. დანართი #4)

[112] შსს-ს მიერ საიასთვის გაგზავნილი წერილი, 01.09.2011. (იხ. დანართი #4)

[113] საიას მიერ აქციის მონაწილის რევაზ რეხვიაშვილისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[114] საიას მიერ აქციის მონაწილის ბორის კალანდაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

იძლეოდეს. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ შსს-ს მიერ საიასთვის მოწოდებული ინ-ფორმაციის თანახმად, თითოეულ სპეცდანიშნულების ფორმას აქვს პირადი ნომერი.[115] თუმცა, გავრცელებული ვიდეო და ფოტო მასალით, ისევე როგორც აქციის მონაწილეებისა და სხვა ნეი-ტრალური მოწმეების ახსნა-განმარტებებით (ჟურნალისტები, მონიტორები და ა.შ.), ეს ფაქტი არ დასტურდება. ის გარემოება, რომ პოლიციელისა და სპეცრაზმელის ფორმა არ იძლეოდა მათი იდენტიფიცირების საშუალებას, სერიოზულად ართულებს პოლიციის მიერ ძალის გამოყ-ენების ფაქტების ეფექტური გამოძიებისა და მათთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკის-რების პროცესს.[116]

3.4.2. აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ გამოყენებული სპეციალური საშუალებების სახეები და მათი გამოყენების ინტენსივობა

როგორც სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული ფაქტობრივი მასალებით დასტურდება, აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ შეტევა ხორციელდებოდა ერთდროულად რამდენიმე მიმართულებიდან. კერძოდ, პოლიციამ თანხვედრი შეტევა დაიწყო თავისუფლების მოედნის, რუსთაველის გამზირის, ჩიტაძისა და ფურცელა-ძის ქუჩებიდან.

აქციის დაშლის პროცესში პოლიციას არ მოუხდენია სპე-ციალური საშუალებების გამოყენების გრადაცია ამ საშუ-ალებებისგან მომდინარე ძალის ხარისხისა და პოლიციის წინაშე მდგარი მიზნებისა და რისკების გათვალისწინებით.

ჟურნალისტი ლ. ქათამაძე იხსენებს, რომ *„შეტევის დროს ერთდროულად იყო გამოყენებუ-ლი ცრემლსადენი და მხუთავი გაზი, წყლის ჭავლი და რეზინის ტყვიები, რის შემდეგაც უკვე გამოიყენეს რეზინის ხელკეტები.“*

პოლიციის მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების თანმიმდევრულობას კარგად ხსნის აქციის ერთ-ერთი მონაწილე ბიძინა გეგიძე: *„ჩვენსა და სპეცრაზმს შორის დისტანცია იყო 15 მეტრი. თავდაპირველად სპეცრაზმელებმა გაუშვეს წყლის ჭავლი, რამაც წაგვაქცია. რამდენ-იმე წამში წყლის გაშვებიდან გაუშვეს ცრემლსადენი გაზი. ისროდნენ გაზის ყუმბარებს. ამას მოჰყვა პანიკა, ხალხი აირია, მათ გასასვლელის ძებნა დაიწყეს. ამის შემდეგ დაიწყო ჭყლეტა. როგორც ჩიტაძეზე, ისე რუსთაველზე მდგარი სპეცრაზმელები სამხედრო ნაბიჯებით, ფარზე ხელკეტის რტყმით წამოვიდნენ მომიტინგეებისაკენ. როდესაც სპეცრაზმელები მოგვიახლოვდ-ნენ, ვიგრძენი რეზინის ტყვიები, რომლებიც წამოვიდა გვერდებიდან. რუსთაველის გამზირზე სპეცრაზმი გაიწია და შემოვიდა სახანძრო მანქანები. მანქანებზე ისხდნენ სპეცრაზმელები, რომლებიც ტროტუარზე მყოფებთან ერთად გვიშენდნენ რეზინის ტყვიებს. ამას თან სდევდა რეზინის ხელკეტების გამოყენება.“* [117]

თავის ახსნა-განმარტებაში აქციის მონაწილე გიორგი ობგაიძე ჰყვება, რომ *„პოლიციამ პირვე-ლად გამოიყენა მხუთავი გაზი, რამაც გამოიწვია სასუნთქი გზების გადაკეტვა, თავბრუსხვევა და გადაადგილების უნარის დაკარგვა. ამის შემდეგ გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები. ეს ორი საშუალება გამოიყენეს ერთდროულად. ასევე გამოყენებულ იქნა წყლის ჭავ-ლი პირველი სკოლის მიმდებარე ტერიტორიიდან პარლამენტის მიმართულებით.“* [118]

მოწმეთა ჩვენებები ადასტურებს, რომ პოლიციის მიერ აქციის დაშლის პირველ ეტაპზე უფრო ინტენსიურად იყო გამოყენებული გაზი და რეზინის ტყვიები. აქციის მონაწილე, ანდრეი გორა თავის ახსნა-განმარტებაში აცხადებს, რომ *„პირველად პოლიციის მხრიდან წამოვიდა გაზი*

---

[115] შსს-ს მიერ საიასთვის გაგზავნილი წერილი, 01.09.2011. (იხ. დანართი #4)

[116] მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, § 153;

[117] საიას მიერ აქციის მონაწილის ბიძინა გეგიძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[118] საიას მიერ აქციის მონაწილის გიორგი ობგაიძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

დიდი რაოდენობით, რომელსაც შემდეგ მოყვა რეზინის ტყვიები. პარალელურად იყენებდნენ წყლის ჭავლს და რეზინის ხელკეტებს.“[119]

შეტევა ფურცელაძის ქუჩის მიმართულებიდან

აქციის პირველ ეტაპზევე, სანამ აქციის მონაწილეების გაფანტვა მოხდებოდა, სპეცრაზმი ფურცელაძის ქუჩის კუთხიდან აქტიურად იყენებდა რეზინის ტყვიებს, რომელსაც ის აქციის მონაწილეების მიმართულებით დამიზნებით ისროდა.[120] ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ჟურნალისტ დავით მჭედლიძის ახსნა-განმარტება: *„ამ დროს ფურცელაძის ქუჩიდან სპეცრაზმელები ამოვარდნენ, რომლებიც ტროტუარის ამაღლებული ადგილიდან, დაახლოებით 2-3 წუთის განმავლობაში, დამიზნებით ისროდნენ აქციის მონაწილეების მიმართულებით. შემდეგ უკან, ფურცელაძის ქუჩისკენ დაიხიეს და ისინი ხელკეტიანმა სპეცრაზმელებმა ჩაანაცვლეს.“*[121]

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საიამ შსს-ს მიმართა თხოვნით, მიეწოდებინა ინფორმაცია აქციის დაშლის დროს გამოყენებული სპეციალური საშუალებების სახეებისა და რაოდენობის შესახებ, თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია შსს-მ არ გასცა.

ჟურნალისტი მალხაზ ჭკადუა, ასევე, აქციის მონაწილე რევაზ რეხვიაშვილი თავიანთ ახსნა-განმარტებებში იხსენებენ, რომ პოლიციამ აქციის დაშლის დროს გამოიყენა აკუსტიკური საშუალებები. ამას ადასტურებს შსს-ს მიერ გაცემული ოფიციალური ინფორმაციაც.[122]

სპეციალური საშუალებების გარდა, პოლიცია ასევე იყენებდა ფიზიკურ ძალას. აქციის მონაწილეები იხსენებენ, რომ სპეცრაზმელები მათ წიხლებით და ხელებით სცემდნენ. მაგალითისთვის, აქციის მონაწილე ოთარ ცხადაძე ჰყვება, რომ მას სპეცრაზმელმა თვალში წიხლი ჩაარტყა, რის შემდეგაც მას თვალი ამოუვარდა.[123]

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, პოლიციის მიერ დემონსტრაციების დაშლის დროს არ უნდა იქნეს გამოყენებული არაპროპორციული და გადამეტებული ძალა. ძალის გამოყენების წესი რეგულირებული უნდა იყოს კანონით. კანონმა უნდა განსაზღვროს ის შემთხვევები, როცა გამართლებული იქნება ძალის გამოყენება და ასევე ძალის გამოყენების ხარისხი, რომელიც დასაშვები შეიძლება იყოს სხვადასხვა რისკის გათვალისწინებით.

სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს მის მიერ გამოყენებადი საშუალებების გრადაცია და სამართალდამცავი ორგანოები აღჭურვოს სხვადასხვა სახის, რაც შეიძლება ფართო საშუალებებით (იარაღით), რომელიც გამოყენებადი ძალის დიფერენცირების საშუალებას იძლევა. ამავე დოკუმენტის მე-3 პუნქტის თანახმად, არალეტალური იარაღის გამოყენების საკითხები გულდასმით უნდა იქნეს შეფასებული, რათა მოხდეს რისკების მინიმიზაცია და ზიანი არ მიადგეთ სხვა არამონაწილე პირებს. ასეთი იარაღის გამოყენება უნდა დაექვემდებაროს მკაცრ კონტროლს პოლიციის მხრიდან. ძალის გამოყენებამდე სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლო არაძალადობრივი საშუალება.[124]

საერთაშორისო სტანდარტები დეტალურად გაწერს ძალის გამოყენების პირობებს უკანონო მშვიდობიანი აქციებისა და უკანონო ძალადობრივი აქციების დროს. სამართალდამცავი ორ-

[119] საიას მიერ აქციის მონაწილის ანდრეი გორასგან აღებული ახსნა-განმარტება.

[120] ტელეკომპანია "მაესტროს" ვიდეო მასალა.

[121] საიას მიერ ჟურნალისტ დავით მჭედლიძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[122] შსს-ს მიერ საიასთვის გამოგზავნილი წერილი, 01.09.2011. (იხ. დანართი #4)

[123] საიას მიერ აქციის მონაწილის ოთარ ცხადაძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[124] სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები, გაერო, 1990 წელი, ხელმისაწვდომია: http://www2.ohchr.org/english/law/firearms.htm

განოების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების მე-13 მუხლის შესაბამისად, იმ აქციის დაშლის დროს, რომელიც უკანონოა, მაგრამ არაძალადობრივ ხასიათს ატარებს, პოლიციამ არ უნდა გამოიყენოს ძალა, ან თუ ძალის არგამოყენება შეუძლებელია, მისი აუცილებლობა მინიმუმამდე უნდა შეამციროს. გაეროს ძირითადი პრინციპების მე-14 მუხლი ასევე ადგენს, რომ ძალადობრივი აქციების დაშლის დროს პოლიციას შეუძლია გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ნაკლებად საშიში საშუალებებით მიზანი ვერ მიიღწევა. ამასთან, მისი გამოყენება უნდა მოხდეს მინიმალური ხარისხით.[125]

განსახილველ შემთხვევაში, აქცია მთლიანობაში მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, რის გამოც პოლიცია ვალდებული იყო, არ გამოეყენებინა ძალა აქციის მონაწილეების მიმართ, ან თუ მისი გამოუყენებლობა შეუძლებელი იყო, ძალის გამოყენების აუცილებლობა მინიმუმამდე შეემცირებინა.

26 მაისს აქციის დაშლის დროს პოლიცია ვალდებული იყო, ძალის გამოუყენებლად ან მინიმალური ძალის გამოყენებით, ეფექტურად უზრუნველეყო აქციის ტერიტორიიდან დემონსტრანტების კონტროლირებადი გაყვანა. მხოლოდ ინდივიდუალურ შემთხვევებში, როდესაც იარსებებდა ძალის გამოყენების საჭიროება, პოლიცია უფლებამოსილი იქნებოდა, მიემართა სხვა უფრო ეფექტიანი საშუალებებისთვის (*მათ შორის,* ხელკეტი, რეზინის ტყვია), აქციის მონაწილეების მხრიდან მომდინარე საფრთხის/წინააღმდეგობის პროპორციულად. აღნიშნული სტანდარტის საპირისპიროდ, პოლიციამ აქციის დაშლის დროს ერთდროულად გამოიყენა სხვადასხვა სპეციალური საშუალება და არ მოახდინა მათი დიფერენცირება. მათ შორის, პოლიციამ ბოლომდე არ ამოწურა წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის რესურსი. ამასთან, *მასობრივად* და *განურჩევლად (არადისკრიმინაციულად)* გამოიყენა რეზინის ტყვიები.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აქციის დაშლის დროს პოლიცია სიტუაციაზე ეფექტიან კონტროლს ახორციელებდა. აქციის დაშლის პროცესში დემონსტრანტებს ფიზიკური წინააღმდეგობა პოლიციისთვის არ გაუწევიათ, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ასეთ სპორადულ ფაქტს. შესაბამისად, ამ მოცემულობაში პოლიციას შეეძლო ნაკლები ძალადობის მატარებელი საშუალებების გამოყენებით დაეშალა აქცია და დემონსტრანტები აქციის ტერიტორიიდან კონტროლირებადად განედევნა ღიად დატოვებული გასასვლელებით, რაც პოლიციამ მოცემულ შემთხვევაში არ გააკეთა.

შესაბამისად, აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ სხვადასხვა სპეციალური საშუალების ერთდროულად გამოყენება არ აკმაყოფილებდა აუცილებლობისა და პროპორციულობის ტესტს. ამასთან, აქციის დაშლის დროს გამოყენებული პოლიციური ძალა იყო არადიფერენცირებული და არადისკრიმინირებული.

აღსანიშნავია, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენების გრადაციას არ ახდენს თავად კანონი პოლიციის შესახებ და 2009 წლის 30 დეკემბრის №1586 ბრძანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეების მიერ სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. ბრძანების მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პოლიცია სპეციალურ საშუალებებს იყენებს იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებები მიზნის მისაღწევად არაეფექტურია. თუმცა, კანონი არ ახდენს კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალური საშუალებების გრადაციას ეფექტიანობის კრიტერიუმით. პოლიციის შესახებ კანონის მე-10 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს, რომ სპეციალური საშუალების სახე განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ამასთან, ბრძანების ამ მუხლით გაწერილი პირობები, როცა კანონმდებელი გამართლებულად მიიჩნევს კონკრეტული სპეციალური საშუალებების გამოყენებას, თითქმის იდენტურია ყველა სპეციალური საშუალების მიმართ და არ ახდენს მათ გრადაციას კონკრეტული საშუალებიდან მომდინარე ძალის ხარისხის ნიშნით. კანონით არ არის აკრძალული, ასევე, ერთდროულად რამდენიმე სპეციალური საშუალების გამოყენების შესაძლებლობა პოლიციის მიერ.

[125] სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ძირითადი პრინციპები, გაერო, 1990 წელი, ხელმისაწვდომია: http://www2.ohchr.org/english/law/firearms.htm

თავის არეში მიყენებული დაზიანებები

აღნიშნულის გარდა, პოლიციის შესახებ კანონი, ისევე როგორც 2009 წლის 30 დეკემბრის ბრძანება, არ ითვალისწინებს სპეციფიკურ შეზღუდვებს სპეციალური საშუალებების გამოყენების წესთან დაკავშირებით. მაგალითისთვის, რეზინის ტყვიებისა და ხელკეტის შემთხვევაში, კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული სხეულის გარკვეულ ადგილებში (თავი, კისერი, გენიტალიები და ა.შ.) მათი გამოყენების აკრძალვა. ასევე, არ არის რეგულირებული რეზინის ტყვიების სროლის დისტანცია და შემთხვევები. მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული, რომ დაუშვებელია მხუთავი გაზის კაფსულების სროლა უშუალოდ სამართალდამრღვევი პირებისთვის, ან ადამიანების ბრბოში, ან კაფსულების განმეორებით გამოყენება უკვე გაზგაშვებულ ადგილას.[126]

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული საჩივრის შემდეგ, შსს-ს მიერ საიასთვის გამოგზავნილი წერილის შესაბამისად, *რეზინის ტყვიების სროლის მანძილს* და *მისი გამოყენების ინსტრუქციას ადგენს მწარმოებელი კომპანია. ყველა კონკრეტულ იარაღს აქვს თავისი ინსტრუქცია, რომლითაც განსაზღვრულია, რა მანძილიდან არ შეიძლება მისი გამოყენება.*[127] თუმცა, შსს-ს არ გაუსაჯაროებია ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რა ტიპის იარაღი იყო 26 მაისს აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ გამოყენებული და როგორი იყო მისი გამოყენების ინსტრუქცია.

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორიცაა, მათ შორის, რეზინის ტყვიები, წყლის ჭავლი, პოლიციის მიერ მკაცრად უნდა იქნეს რეგულირებული. აღნიშნული საშუალების გამოყენება დაუშვებელია იმ პირების მიმართ, რომელთაც არ შეუძლიათ აქციის ტერიტორიის დატოვება.[128]

საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, რომ ძალის გამოყენება უნდა დაექვემდებაროს ავტომატურ და დაუყოვნებლივ კონტროლს პოლიციის მხრიდან. პოლიციისთვის ძალიან კარგი პრაქტიკაა, როდესაც ის ახორციელებს ძალის გამოყენების წერილობით და დეტალურ დოკუმენტირებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს გამოყენებულ სპეციალურ საშუალებებზე შიდა უწყებრივი მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმებს.

შესაბამისად, საია ამტკიცებს, რომ ამგვარი საკანონმდებლო მოცემულობა პოლიციას აძლევს ძალიან ფართო დისკრეციას სპეციალური საშუალებების გამოყენების პროცესში და არ განსაზღვრავს იერარქიას სპეციალურ საშუალებებს შორის, მათგან მომდინარე ძალის ხარისხისა და მოწინააღმდეგისგან მომდინარე რისკების/საფრთხეების საფუძველზე. ცხადია, ***კანონის აღნიშნული ხარვეზი პრობლემებს ქმნის პოლიციის მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენების კონტროლისა და პრევენციის კუთხით და პოლიციას აძლევს თვითნებობის მაღალ შესაძლებლობას.***

ამასთან, აქციის დაშლის პროცესში, პოლიციის მიერ დაირღვა იმ საშუალებების გამოყენების პირობები, რომლებსაც შეუძლია ზიანი მიაყენონ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, ***ის სტანდარტები, რომლებიც გამოიყენება ლეტალური იარაღთან დაკავშირებით, ასევე თანაბარი ძალით ვრცელდება იმ არალეტალური საშუალებების გამოყენების წესზე, რომელთაც შეუძლია დააზიანოს ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.*** მაგალითისთვის, იმ მიზეზის გამო, რომ რეზინის ტყვიები კონკრეტულ პირობებში შეიძლება ლეტალურ ძალას წარმოადგენდეს, მისი გამოყენება უნდა მოხდეს მხ-

[126] ამ მიმართებით იხილეთ: http://legislationline.org/download/action/download/id/3435/file/Moldova_Policy_Options_for_Improvement_of_Assembly_policy_management_en.pdf

[127] შსს-ს მიერ საიასთვის გაგზავნილი წერილი, 01.09.2011. (იხ. დანართი #4)

[128] მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპები, § 144.

ოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისთვის კანონით, გაეროს ძირითადი პრინციპებითა და შესაბამის უფლებათა დაცვის კონვენციებით დადგენილ შეზღუდულ შემთხვევებში.[129]

აღნიშნული სტანდარტის საპირისპიროდ, აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ რეზინის ტყვიები გამოყენებულ იქნა იმ დროს, როცა ჯერ არ იყო ამოწურული სხვა უფრო ეფექტური საშუალებები. ამასთან, პოლიციის მიერ ძალის გამოყენება ხდებოდა უკიდურესი აუცილებლობის გარეშე. კერძოდ, რიგ შემთხვევებში, პოლიცია რეზინის ტყვიებს იყენებდა განურჩევლად, რიგ შემთხვევებში კი – იმ ადამიანებზე დამიზნებით, რომლებიც იმ მომენტში არ წარმოადგენდნენ საფრთხეს პოლიციელის ან სხვათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, არც რაიმე სახის წინააღმდეგობას უწევდნენ პოლიციას.

დასკვნა

ზემოთ აღნიშნული ფაქტებისა და მტკიცებების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ 26 მაისს აქციის დაშლის პროცესი დაიგეგმა ისე, რომ არ მოხდა პოლიციის მიერ ძალის არაპროპორციული გამოყენების სათანადო პრევენცია. პოლიციამ აქციის მონაწილეებს არ მისცა აქციის ტერიტორიიდან გასვლის შესაძლებლობა და მათ მიმართ გამოიყენა გადამეტებული ძალა, *მათ შორის,* მაშინ, როდესაც დემონსტრანტები აქციის ტერიტორიის დატოვებას ცდილობდნენ, ან იყვნენ დაკავებულნი და მთლიანად მოქცეულნი პოლიციის კონტროლის ქვეშ. აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ გამოყენებული ტაქტიკა არ თავსდება აქციის დაშლის კანონით დადგენილ ლეგიტიმურ მიზნებში, რაც პოლიციის მიერ გამოყენებულ ძალას არამართლზომიერს ხდის.

[129] იხ. Human Rights Watch-ის ანგარიში "Crossing the line", 2007 წლის დეკემბერი, გვ. 33. ხელმისაწვდომია: http://www.hrw.org/en/reports/2007/12/19/crossing-line *ასევე,* იხილეთ: The report of the independent commission on policing for Northen Ireland, Sepretember, 1999. ხელმისაწვდომია: http://cain.ulst.ac.uk/issues/police/patten/patten99.pdf

მე-4 თავი. ძალის გადამეტება საპროტესტო აქციის დაშლისას

შესავალი

2011 წლის 26 მაისს, საპროტესტო აქციის დაშლისას, ადგილი ჰქონდა ძალის აშკარად გადამეტებას. პოლიციელები სპეციალურ საშუალებებს იყენებდნენ მაშინაც, როდესაც დემონსტრანტების მხრიდან წინააღმდეგობა უკვე დაძლეული იყო და მეტიც, როდესაც დემონსტრანტები იმყოფებოდნენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების ეფექტური კონტროლის ქვეშ, ხელები ჰქონდათ შებორკილი და ძირს იყვნენ დაყრილნი. ამის მიუხედავად, სამართალდამცავები მათ ურტყამდნენ რეზინის ხელკეტებს, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ამ მხრივ, ძალის გადამეტების ყველაზე მკაფიო მაგალითია რამდენიმე სპეცრაზმელის მიერ არასრულწლოვნის ცემა რეზინის ხელკეტებით. სპეცდანიშნულების რაზმი ახლო მანძილიდან თავისა და სახის არეში დამიზნებით იყენებდა რეზინის ტყვიებს, რის შედეგად ერთ-ერთმა დემონსტრანტმა მხედველობა დაკარგა. დაკავებული დემონსტრანტები დაექვემდებარნენ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, როგორიცაა, მაგალითად, ე.წ. „სირცხვილის კორიდორი". პოლიციის მიერ გამოყენებული ძალის ზემოქმედების ქვეშ მოექცნენ ის პირებიც, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციაში. განსაკუთრებული სისასტიკით სამართალდამცავები გაუსწორდნენ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავი კინოთეატრ „რუსთაველს" შეაფარა. სპეცრაზმელები დაკავებულებს, რომლებიც კინოთეატრის შენობიდან გამოჰყავდათ, ხელკეტებს ურტყამდნენ. ადგილი ჰქონდა დემონსტრანტთათვის უკანონოდ და დაუსაბუთებლად თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებსაც.

4.1. სპეციალური საშუალებების გამოყენება

ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ გაერთიანებული ერების მე-8 კონგრესზე მიღებული ზოგადი პრინციპების მე-3 პუნქტის შესაბამისად, არალეტალური საშუალებების გამოყენება ფრთხილად უნდა იქნეს შეფასებული იმისათვის, რომ მინიმუმამდე დავიდეს გარეშე პირთათვის მიყენებული ზიანი და ამგვარი იარაღის გამოყენება ყურადღებით იყოს გაკონტროლებული.

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, უნდა მოხდეს ძალადობაში ჩართული პირების იზოლირება მშვიდობიანი დემონსტრანტებისაგან და მათ მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული იძულებითი ღონისძიებები.

„პოლიციის შესახებ" კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიციელს უფლება აქვს, პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპის გათვალისწინებით გამოიყენოს ფიზიკური იძულება და სპეციალური საშუალებები.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეების მიერ სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარების და გამოყენების წესისა და პირობების შესახებ" შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №1586 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, სპეციალური საშუალების სახე, ფიზიკური იძულების ინტენსივობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდარღვევის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით. ანგარიშში მითითებულ შემთხვევებში, საჭირო არ იყო სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალის გამოყენება, ვინაიდან ერთ შემთხვევაში საფრთხე უკვე ნეიტრალიზებული იყო, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში დემონსტრანტები არავითარ საფრთხეს არ უქმნიდნენ სამართალდამცავ ორგანოებს.

პოლიციის ქმედება ხშირად წინააღმდეგობაში მოდიოდა თავად ადამიანის უფლებათა დაცვის შიდა სტანდარტებთანაც, „პოლიციის შესახებ" კანონით დადგენილ მოთხოვნებთან. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს „პოლიციის შესახებ" კანონში არსებული ხარვეზებიც. კერძოდ, სხვადასხვა სპეციალური საშუალების გამოსაყენებლად „პოლიციის შესახებ" კანონით დადგენილი საფუძვლები თითქმის იდენტურია, რაც იძლევა ერთსა და იმავე გარემოებების არსებობის ზემოქმედების სხვადასხვა ხარისხის მქონე საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას.

4.1.1. ხელკეტის არაპროპორციული გამოყენება

ა) ხელკეტების ზოგადი გამოყენების მანერა

„პოლიციის შესახებ" კანონის მე-12 მუხლის პირველი მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, რეზინის ხელკეტის გამოყენების საფუძველს წარმოადგენს მოქალაქეზე, პოლიციელსა ან/და დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოგერიება; ასევე, მისი გამოყენება შესაძლებელია დანაშაულის ჩამდენი, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირის დაკავებისას, თუ იგი ბოროტად არ ემორჩილება პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას. საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად, ხელკეტის გამოყენება ხდებოდა არა მხოლოდ იმ ცალკეული დემონსტრანტების მიმართ, რომლებიც ფარებით და დროშის ტარებით წინააღმდეგობას უწევდნენ სპეცრაზმელებს, არამედ ხელკეტებს ურტყამდნენ იმ პირებსაც, რომელთა წინააღმდეგობა დაძლეული იყო, ხელები ჰქონდათ შეკრული და ძირს ეყარნენ. გაქცეულ დემონსტრანტებს სპეცრაზმელები ზურგიდან ეპარებოდნენ და რეზინის ხელკეტს ურტყამდნენ.

2011 წლის 26 მაისს იყო სპორადული შემთხვევები, როდესაც ცალკეული დემონსტრანტი პლასტმასის მილებით წინააღმდეგობას უწევდა სპეცრაზმის წარმომადგენლებს. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ პოლიციის მიერ ძალის გამოყენება ასეთი ძალადობრივი ქმედების ჩამდენი დემონსტრანტების მიმართაც კი არ იყო პროპორციული.

დემონსტრაციის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც აღჭურვილია ფარითა და დროშის ტარით, ორთაბრძოლაშია ჩართული სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთან. პოლიციელი ახერხებს დემონსტრანტის ძირს დაგდებას, მისთვის ფარის და დროშის ტარის გამოყენების შესაძლებლობის აღკვეთას. მაშინ, როდესაც ძალადობრივი ქმედების ჩამდენი დემონსტრანტისგან საფრთხე აღარ მომდინარეობს, ძირს წაქცეული ადამიანის გარშემო იკვრება სპეცრაზმელების რკალი, რომლებიც წიხლებით და რეზინის ხელკეტებით სცემენ წაქცეულ დემონსტრანტს.[130]

გარდა აღნიშნულისა, იყო შემთხვევები, როდესაც ძალის გამოყენება ხდებოდა იმ დემონსტრანტების მიმართ, რომლებიც სპეცდანიშნულების რაზმს არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ, ხოლო ზოგჯერ საპროტესტო აქციის მონაწილეებს ხელკეტს ურტყამდნენ მაშინაც, როცა მათგან არათუ არავითარი საფრთხე არ მომდინარეობდა, არამედ ისინი პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ.[131] ამ დროს დემონსტრანტს ფიზიკურად არ შესწევს უნარი, რაიმე სახის წინააღმდეგობა გაუწიოს სპეცდანიშნულების რაზმს და, თუმცა, ამის არავითარი აუცილებლობა არ არსებობდა, პოლიცია მაინც იყენებდა რეზინის ხელკეტს.

სპეცდანიშნულების რაზმი რეზინის ხელკეტს განურჩევლად და მასობრივად იყენებს იმ პირების მიმართ, რომლებიც საპროტესტო აქციის დაშლის ადგილას იმყოფებიან. სპეცრაზმელთა ქმედების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ისინი გამოედევნებიან[132] ან ზურგიდან მიეპარებიან[133]

---

[130] http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/shemthkhveva/4961-specrazmelebisa-da-momitinges-khelcharthuli-brdzola.html.

[131] მაგალითად, ერთი დემონსტრანტი ჩავარდნილია პარლამენტის წინ განთავსებულ შადრევანში. სპეცრაზმელი სარგებლობს რა იმით, რომ დემონსტრატი მოკლებულია წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას, ურტყამს მას რეზინის ხელკეტს: http://www.youtube.com/watch?v=3gXOw66I_HA&feature=player_embedded#at=18.

[132] მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან რამდენიმე სპეცრაზმელის მიერ მოქალაქის ცემის შემთხვევა: http://www.youtube.com/watch?v=LmWYO57Bvww&feature=player_embedded

[133] ტელეკომპანია ,,მაესტროს" ჟურნალისტთან მყოფი მოქალაქისათვის სპეცრაზმელების მიერ რეზინის ხელკეტის დარტყმა: http://www.youtube.com/watch?v=W0crOzbZPW0&feature=player_embedded

დემონსტრანტს, რომელიც რუსთაველის გამზირიდან თავის დაღწევას ცდილობს და ხელკეტს ურტყამენ. გვხვდება გაქცეული მოქალაქის მიმართ სპეცრაზმელის მიერ რეზინის ხელკეტის დარტყმის შემთხვევაც. მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან გაქცეულმა ელენე მახარაძემ წელის არეში და ფეხებში ისეთი ძლიერი დარტყმა იგრძნო, რომ კედელს მიეხეთქა, რის შემდეგაც საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.[134] ასევე, გვხვდება შემთხვევები, როდესაც რამდენიმე სპეცრაზმელი ურტყამს წაქცეულ მომიტინგეს.[135] ფურცელაძის ქუჩაზე ორ სპეცრაზმელს გაკავებული ჰყავდა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც მესამე სპეცრაზმელი რეზინის ხელკეტს ურტყამდა.[136] ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ გავრცელებულ კადრებში ჩანს, როგორ ურტყამს პოლიციელი რეზინის ხელკეტს მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის” წინ დაყრილ ადამიანებს.

დანგრეული მხატვრის სახლი რუსთაველის გამზირიდან იზოლირებულია სამშენებლო ღობით. 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე იდგა მანქანა, რომელზეც განთავსებული იყო ტრიბუნა. მას შემდეგ, რაც „თბილისი-მარიოტის” მიმდებარე ტერიტორიიდან და ჭიჭინაძის ქუჩიდან ერთდროულად დაიძრნენ სპეცრაზმელები, ხოლო ყველა სხვა გზა დაკეტილი იყო, მხატვრის სახლთან წარმოიშვა ჭყლეტა. იმ პირობებში, როდესაც ჩაკეტილი იყო რუსთაველიდან ყველა გასასვლელი გზა, ცრემლსადენმა გაზმა კი მხედველობა შეუძლებელი გახადა, მხატვრის სახლთან თავმოყრილი ადამიანები ძირს ერთმანეთს ეცემოდნენ, ხოლო წაქცეულებს სპეცრაზმელები რეზინის ხელკეტს ურტყამდნენ.[137]

ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, რეზინის ხელკეტით ნაცემი ადამიანები ან არავითარ თავდასხმას არ ახორციელებენ პოლიციაზე, ან რეზინის ხელკეტის გამოყენების მომენტისათვის ამგვარი თავდასხმა უკვე აღკვეთილია, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირი დაკავებულია და არანაირ წინააღმდეგობას არ უწევს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს. ადამიანები, რომლებსაც სცემენ რეზინის ხელკეტებით, ან არავითარი მასობრივი და ჯგუფური საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში იმ მომენტში არ მონაწილეობენ, ან ხელკეტის გამოყენების მომენტისათვის მათი ამგვარი მონაწილეობა უკვე აღკვეთილია.

სპეცრაზმელების მიერ ძალის გადამეტების ამსახველი ფოტოები

ბ) ძალის გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ

ტელეკომპანიამ „პირველი კავკასიური“ გაავრცელა ვიდეო მასალა, სადაც ასახულია, თუ როგორ აყენებენ ფიზიკურ შეურაცხყოფას სპეცდანიშნულების რაზმის წევრები არასრულწლოვანს. რუსთაველის გამზირზე, კინოთეატრ „რუსთაველთან” არასრულწლოვანი გადადიოდა ტრანსპორტის სავალ ნაწილზე. მას შემოეხვია ათეულობით სპეცრაზმელი, რომლებმაც არას-

[134] პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან გაქცეულ მოქალაქეებს ურტყამენ რეზინის ხელკეტს. http://www.youtube.com/watch?v=W0crOzbZPW0&feature=player_embedded ასევე, ელენე მახარაძის ახსნა-განმარტება.

[135] მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან რამდენიმე სპეცრაზმელის მიერ მოქალაქის ცემის შემთხვევა: http://www.youtube.com/watch?v=LmWYO57Bvww&feature=player_embedded

[136] ,,გურია ნიუსის” კორესპონდენტის ნატო გოგელიას მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

[137] ზიძინა გეგიძის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

რულწლოვანი შუაში მოიქციეს, წააქციეს, ხელკეტებით და წიხლებით სცემეს.[138]

არასრულწლოვნის ცემის ფაქტი დასტურდება არა მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველი კავკასიურის" ვიდეო მასალით, არამედ ტელეკომპანია „მაესტროს" კორესპონდენტის ანნა ლაპიაშვილის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტებითაც.



ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტით იკრძალება ბავშვის მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა. ბავშვის უფლებათა კომიტეტი თავის №13 ზოგად კომენტარში აღნიშნავს, რომ ეს აკრძალვა ეხება, პირველ რიგში, პოლიციას და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს. კომიტეტი თავის №8 კომენტარში აღნიშნავს, რომ აუცილებელია, დაცვის ფიზიკური ღონისძიება განვასხვაოთ ბავშვზე სადამსჯელო თავდასხმისაგან. ბავშვის მიმართ გამოყენებული ძალა უნდა იყოს აუცილებელი და არასადამსჯელო.

არანაირი აუცილებლობა არ არსებობდა არასრულწლოვნის მიმართ აღნიშნული ინტენსივობის ძალის გამოსაყენებლად. არასრულწლოვანი არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა სამართალდამცავებს. კადრებიდან კარგად ჩანს, რომ მის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენება აშკარად არ იყო აუცილებელი.

4.1.2. რეზინის ტყვიების გამოყენება

აქციის დაშლის პროცესში პოლიციის მიერ დარღვეულ იქნა იმ საშუალებების გამოყენების პირობები, რომლებსაც შეუძლია, ზიანი მიაყენოს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, ***ის სტანდარტები, რომლებიც არსებობს ლეტალური იარაღის გამოყენების მიმართ, ასევე თანაბარი ძალით ვრცელდება იმ არალეტალური საშუალებების გამოყენების წესზე, რომლებსაც შეუძლია დააზიანოს ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.*** მაგალითისთვის, იმ მიზეზის გამო, რომ რეზინის ტყვიები კონკრეტულ პირობებში შეიძლება ლეტალურ ძალას წარმოადგენდეს, მისი გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისთვის, კანონით, ასევე, გაეროს ძირითადი პრინციპებითა და შესაბამის უფლებათა დაცვის კონვენციებით, დადგენილ შეზღუდულ შემთხვევებში.[139]

აღნიშნული სტანდარტის საპირისპიროდ, პოლიციის მიერ აქციის დაშლის დროს რეზინის ტყვიები გამოყენებული იყო იმ დროს, როცა ჯერ არ იყო ამოწურული სხვა უფრო ეფექტური საშუალებები. ამასთან, პოლიციის მიერ ძალის გამოყენება ხდებოდა უკიდურესი აუცილებლობის გარეშე. კერძოდ, რიგ შემთხვევებში, პოლიცია რეზინის ტყვიებს იყენებდა განურჩევლად, რიგ შემთხვევებში კი, იმ ადამიანებზე დამიზნებით, რომლებიც იმ მომენტში არ წარმოადგენდნენ საფრთხეს პოლიციელის ან სხვათა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის და არც რაიმე სახის წინააღმდეგობას უწევდნენ პოლიციას.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ისრაელის ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია BkTselem-ის ცნობით, ცეცხლის გახსნის დებულების შესაბამისად, რეზინის ტყვიის გამოყენება აკრძალულია 40 მეტრამდე დისტანციაზე.[140]

---

[138] http://www.youtube.com/watch?v=NZHIqVy2M6U&feature=player_embedded

[139] იხ. Human Rights Watch-ის ანგარიში "Crossing the line", 2007 წლის დეკემბერი, გვ. 33. ხელმისაწვდომია: http://www.hrw.org/en/reports/2007/12/19/crossing-line *ასევე*, იხილეთ: The report of the independent commission on policing for Northen Ireland, Sepretember, 1999. ხელმისაწვდომია: http://cain.ulst.ac.uk/issues/police/patten/patten99.pdf

[140] http://books.google.com/books?id=9FTxoncXDwwC&pg=PA384&dq=the+rules+on+the+use+of+rubber+bullet&hl=

უნდა აღინიშნოს, რომ თუნდაც ისრაელისაგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს რეზინის ტყვიის, როგორც უკიდურესი სპეციალური საშუალების, გამოყენების ვალდებულებას იმ დროს, როდესაც სხვა ისეთი საშუალებებით, როგორიცაა გაზი, აკუსტიკური საშუალება და ჰაერში გასროლა, შედეგი ვერ იქნება მიღწეული. მსოფლიოს ისეთ რთულ რეგიონში, როგორიცაა პალესტინის ოკუპირებული ტერიტორია, რეზინის ტყვიის გამოყენებისათვის დადგენილია განსაზღვრული დისტანცია. საქართველოს კანონმდებლობით, მსგავსი შეზღუდვა არ არსებობს. თუმცა, რეზინის ტყვიის, ისევე როგორც სხვა საშუალების გამოყენებისას, „პოლიციის შესახებ" კანონის შესაბამისად, დაცული უნდა იყოს აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნა, რაც გულისხმობს სროლისას განსაზღვრული დისტანციის დაცვას, რათა აღნიშნულმა არ გამოიწვიოს ადამიანის დასახიჩრება, ან თავდამსხმელის პოლიციელთან მიახლოებისას გამოყენებული უნდა იყოს არა რეზინის ტყვია, არამედ სხვა სპეციალური საშუალება, როგორიცაა, თუნდაც, რეზინის ხელკეტი.

სამწუხაროდ, 26 მაისის საპროტესტო აქციის დაშლისას აღნიშნული მოთხოვნები არ იქნა გათვალისწინებული. საპროტესტო აქციის დაშლის დაწყების მომენტისათვის „წარმომადგენლობითი სახალხო კრების" ისნის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბესიკ ტაბატაძე იმყოფებოდა ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე. მას 8 რეზინის ტყვია მოხვდა სხეულის სხვადასხვა ნაწილში, ხოლო ერთ-ერთმა ტყვიამ სამუდამოდ დაუკარგა მხედველობა მარცხენა თვალიდან.

ბესიკ ტაბატაძე საიასათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აცხადებს: „შემოვბრუნდი პირით ქაშვეთის მხარეს, დავინახე სპეცრაზმელების მწკრივი და ამ დროს ჩემგან მარჯვენა მწკრივის ბოლოდან განახორციელეს რამდენიმე სროლა. მომხვდა 8 რეზინის ტყვია. სროლა განხორციელდა დაახლოებით 5-6 მეტრის მანძილიდან. გავიგე თვალის გასკდომის ხმა და მხედველობა მომენტალურად დამეკარგა მარცხენა თვალიდან. სახეზე წავისვი ხელი, ვნახე სისხლი და ვიგრძენი ტკივილი."

ამის შემდეგ, ბესიკ ტაბატაძის ფეხთან აფეთქდა ცრემლსადენი გაზის კაფსულა, რამაც მეორე თვალის ტკივილი და მხედველობის შეზღუდვა გამოიწვია. მარჯვენა თვალიდან მხედველობის უნარი დაუბრუნდა მაშინ, როცა ეროვნულ მუზეუმთან მას წყლის ჭავლი შეეხა.[141] ბესიკ ტაბატაძე პოლიციამ დააკავა მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი მაღაზია „ჯორდანოსა" და ეროვნულ მუზეუმთან მდებარე სამშენებლო მოედნის გავლით გაქცევას ცდილობდა. ბესიკ ტაბატაძის თხოვნის მიუხედავად, მისთვის ხელბორკილი წინა მხარეს დაედოთ, რათა თვალიდან უწყვეტად მომდინარე სისხლის მოწმენდის შესაძლებლობა ჰქონოდა, მას უკანა მხარეს გადაუწიეს ხელები და დაადეს ხელბორკილი. ბესიკ ტაბატაძე გადაიყვანეს თბილისის შს მთავარ სამმართველოში, სადაც მას პირველად ჰქონდა ექიმთან შეხვედრის შესაძლებლობა. შს სამმართველოს ექიმმა ბესიკ ტაბატაძის დაუყოვნებლივ გათავისუფლება და მისთვის სტაციონარული სამედიცინო დახმარების აღმოჩენა მოითხოვა. გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო სამსახური, რომელიც გამოძახებიდან შემთხვევის ადგილზე მივიდა სამ საათში დილის 06 საათსა და 30 წუთზე. სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით ბესიკ ტაბატაძე გადაიყვანეს ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში, სადაც მას ჩაუტარდა ოპერაცია და სხვა სამედიცინო მანიპულაციები. 2011 წლის 26 მაისს დაახლოებით 15 საათზე ბესიკ ტაბატაძე გამოწერეს საავადმყოფოდან. მან მარცხენა თვალიდან მხედველობა სამუდამოდ დაკარგა.

არსებობს 5-6 მეტრის მანძილიდან პლასტიკური ტყვიის გამოყენების სხვა ფაქტებიც, რაც მიუთითებს, რომ ბესიკ

---

en&ei=7_nkTaD2BMvz-gaL8r3iBg&sa=X&oi=book_result&ct=result&resnum=2&ved=0CC0Q6AEwAQ#v=onepage&q=the%20rules%20on%20the%20use%20of%20rubber%20bullet&f=false

141 http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/politika/5068-sakhalkho-krebis-aqciis-monatsile-masze-gankhorcielebul-dzaladobis-faqts-ikhsenebs.html ასევე, ბესიკ ტაბატაძის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

ტაბატაძის ფაქტი არ იყო იზოლირებული შემთხვევა.[142]

რუსთაველის გამზირზე ხელებშებორკილი და ძირს დაყრილი დემონსტრანტების მიმართ ადგილი ჰქონდა რეზინის ტყვიების დამიზნებით გამოყენებას 2-3 მეტრის მანძილიდან.[143] მოძრავ სპეც-ტექნიკაზე შემომსხდარი იყვნენ სპეცრაზმელები. ისინი უახლოვდებოდნენ იმ დემონსტრანტებს, რომლებიც რუსთაველის გამზირის დატოვებას ცდილობდნენ და დამიზნებით სახის და თავის მიმართულებით ესროდნენ რეზინის ტყვიებს დაახლოებით ორი მეტრის დისტანციიდან.[144] რეზინის ტყვიებს ესროდნენ გაქცეულ დემონსტრანტებსაც, რომლებიც უშედეგოდ ცდილობდნენ რუსთაველის გამზირიდან გასასვლელი გზის პოვნას.[145] ძირს დახრილ ადამიანებს ზურგიდან ესროდნენ რეზინის ტყვიებს. დემონსტრანტები ცდილობდნენ ტყვიებისგან თავის დაფარვას.[146]

4.2. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დარღვევა

მოქმედი კანონმდებლობა პოლიციასთან მიმართებით განამტკიცებს პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპს, თუმცა, პირდაპირი მოთხოვნა, პოლიციამ თავი შეიკავოს პოლიტიკური შინაარსის პროპაგანდისტული მოსაზრებების საჯაროდ გამოთქმისაგან, განსაკუთრებით მაშინ, როცა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით არიან დაკავებული, ნორმატიულად არ არის გაფორმებული. ამ ხარვეზის არსებობის მიუხედავად, 2011 წლის 26 მაისს სამართალდამცავებმა მაინც დაარღვიეს ის საკანონმდებლო მოთხოვნები, რაც პოლიციის დეპოლიტიზაციასთან არის დაკავშირებული.

საქართველოს კონსტიტუციას პოლიციის დეპოლიტიზაციის პრინციპი პოლიტიკური გაერთიანების წევრობამდე დაჰყავს. პარტიის აქტიურ მხარდაჭერაზე, ისევე როგორც მის აქტივობებში მონაწილეობაზე, საქართველოს კონსტიტუცია არაფერს ამბობს. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პირი, რომელიც ჩაირიცხება შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

პარტიის წევრობის აკრძალვის მოთხოვნას იმეორებს „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტიც. იქვე, „პოლიციის შესახებ" კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პოლიცია მოვალეა, პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და თავისუფლებები, მიუხედავად მისი პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა. ეს მოთხოვნა ავალდებულებს პოლიციელს, პატივი სცეს და არ დაარღვიოს მოქალაქის უფლებები მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო.

პოლიციის ეთიკის კოდექსის 3.16 მუხლის თანახმად, პოლიციის თანამშრომელი არ უნდა ეწეოდეს პოლიტიკურ საქმიანობას როგორც მოვალეობის შესრულებისას, ისე არასამუშაო დროს. პოლიციის თანამშრომელმა არ უნდა გაავრცელოს პროპაგანდისტული მასალა.

დემონსტრაციის მონაწილე გიორგი ოგბაიძე აცხადებს, რომ ცემის დროს პოლიციელები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ წარმომადგენლობითი სახალხო კრების ლიდერს ნინო ბურჯანაძეს. მას უწოდებდნენ რუსეთის აგენტს. [147] საპროტესტო აქციის მეორე მონაწილის ელენე მახარაძის განმარტებით, ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა მას „მოღალატე" უწოდა.[148] დავით გაფრინდაშვილმა შენიშნა, რომ ერთ-ერთი სპეცრაზმელი უცნობ ქალბატონს ემუქრებოდა. დავით გაფრინდაშვილი ქალბატონს გადაეფარა, რათა მისთვის სპეცრაზმელისგან მომავალი საფრთხე

---

[142] http://www.youtube.com/watch?v=4Xad8dzCO8Q&feature=player_embedded.

[143] ტელეკომპანია „მაესტროს" ჟურნალისტის ანნა ლაპიაშვილის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

[144] ბიძინა გეგიძის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

[145] ჟანა გუჯეჯიანის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

[146] „ნეტგაზეთის" ჟურნალისტის ნესტან ცეცხლაძის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

[147] გიორგი ოგბაიძის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება

[148] ელენე მახარაძის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება

აეცილებინა და დარტყმა თავად მიეღო. სპეცრაზმელმა, ამასთან დაკავშირებით, დავით გაფრინდაშვილს უთხრა: შე რუსის მონა, რა ვაჟკაცობაზე დებ თავსო და დაარტყა. სპეცრაზმელები დავით გაფრინდაშვილს ასევე ეუბნებოდნენ: თქვე რუსეთის მონებო, ჩვენ რუსეთს ვებრძვით და თქვენ კიდევ რას შვრებითო.[149] კინოთეატრ „რუსთაველის" დარბაზში მყოფ პირებს ცემით აიძულებდნენ, ნინო ბურჯანაძის მისამართით გინება წარმოეთქვათ[150] დემონსტრანტ ბორის კალანდაძეს კინოთეატრ რუსთაველში სპეცრაზმელმა „პუტინის ფულით ნაყიდი" უწოდა.[151] დარბაზში მყოფ პირებს სპეცრაზმელები მოღალატეებს ეძახდნენ.[152] ბიძინა გეგიძე საიასათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აცხადებს, რომ ქალაქ თბილისის შს მთავარ სამმართველოში სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები მას ეუბნებოდნენ: „თქვენ ხართ ჭუჭყები, ვერ აფასებთ მიშას, არ გიყვართ პოლიცია, მიშა ღმერთმა გამოგვიგზავნა ..."

პოლიცია, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, დაკავებული იყო პროპაგანდისტული ხასიათის განცხადებებით. სპეცრაზმელები აშკარად უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდნენ აქციის ლიდერების პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პოლიციის გამონათქვამებით გამოიხატებოდა მათი მხრიდან არასათანადო მოპყრობის მოტივაციაც. ეს მიუთითებს იმაზე, რომ დემონსტრანტებს არასათანადოდ ეპყრობოდნენ სწორედ მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო. ამით სამართალდამცავებმა დაარღვიეს „პოლიციის შესახებ" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, ვინაიდან პატივი არ სცეს დემონსტრანტების პოლიტიკურ შეხედულებებს და არასათანადოდ მოეპყრნენ მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საჯარო პოლიტიკური განცხადებები შესაძლოა, ფართო გაგებით, განვიხილოთ, როგორც პოლიტიკური საქმიანობა. პროპაგანდისტული ტიპის განცხადებები ნებისმიერი პოლიტიკური საქმიანობის არსებითი შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა ეთიკის კოდექსით დადგენილი აკრძალვის დარღვევას.

4.3. დემონსტრანტების მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობდა საპროტესტო აქცია

4.3.1. ზოგადი ანალიზი

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *„ოია ატამანი თურქეთის წინააღმდეგ"* (საქმე ეხება ცრემლსადენი გაზის გამოყენებით საპროტესტო აქციის დაშლას) განაცხადა:

„სასამართლო იმეორებს, რომ მისი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სიმკაცრის მინიმალურ დონეს იმისათვის, რომ მოექცეს კონვენციის მე-3 მუხლით დაცულ სფეროში. მოპყრობა ჩაითვლება არაადამიანურად, თუ *inter alia* ასეთი მოპყრობა წინასწარ განზრახულია, დროში იწელება და იწვევს სხეულის დაზიანებას ან ინტენსიურ ფიზიკურ ან სულიერ ტანჯვას. კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით „დამამცირებელი" მოპყრობის განხილვისას, სასამართლო მხედველობაში იღებს, მოხდა თუ არა პირის დამცირება და დაკნინება, ამგვარმა მოპყრობამ მოუტანა თუ არა ადამიანის პიროვნებას იმგვარი უარყოფითი შედეგები, რაც შეუთავსებელია კონვენციის მე-3 მუხლთან."

იმავე სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში *„ბალჩიკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ"* განაცხადა:

„კონვენციის მე-3 მუხლი იცავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას. კონვენციის მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს არც გამონაკლისებს, არც იმგვარ გადახვევას, რაც დადგენილია კონვენციის მე-15 მუხლით... სავარაუდო არასათანადო მოპყრობა უნდა

[149] დავით გაფრინდაშვილის ახსნა-განმარტება

[150] ბორის კალანდის ახსნა-განმარტება

[151] ბორის კალანდაძის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება

[152] გია ბურჯანაძის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება

დადასტურდეს შესაბამისი მტკიცებულებებით. ამ უკანასკნელის შეფასებისას, გამოიყენება მტკიცების „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი“, რომელიც ეფუძნება საკმარისად ძლიერი, ნათელი და ერთმანეთთან თანხვედრი მტკიცებულებების ერთობლიობას.” იმავე საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ იმ დაზიანებებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოშობილია დემონსტრანტთა ჯგუფის დაშლისას საპოლიციო ძალის გამოყენების შედეგად, მტკიცების ტვირთი ეკისრება სახელმწიფოს. კერძოდ, სახელმწიფომ უნდა წარმოადგინოს დამაჯერებელი არგუმენტი, რომ ძალა, რომლის გამოყენების შედეგად ადამიანს მიადგა სხეულის დაზიანება, არ იყო გადამეტებული.”

საქმეში *„ტომაზი საფრანგეთის წინააღმდეგ“* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ადამიანისათვის თავისუფლების აღკვეთა იწვევს მის ჩაყენებას უსუსურ მდგომარეობაში. ამ დროს არასათანადო მოპყრობის რისკი საკმაოდ მაღალია.

2011 წლის 26 მაისს დემონსტრანტები დაექვემდებარნენ ისეთ არასათანადო მოპყრობას როგორიც იყო „სირცხვილის კორიდორი.” უსუსურ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ, რომლებსაც პოლიციისთვის არავითარი საფრთხის შექმნა არ შეეძლოთ, ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ხასიათის ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას.

4.3.2. „სირცხვილის კორიდორი“

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, სპეცდანიშნულების რაზმმა 2011 წლის 26 მაისს დემონსტრანტების მიმართ რამდენჯერმე გამოიყენა ე.წ. „სირცხვილის კორიდორი“.

ე.წ. „სირცხვილის კორიდორი” პოლიციამ პირველად სავარაუდოდ გამოიყენა 2009 წლის ზაფხულის საპროტესტო აქციის მონაწილეების მიმართ. აღნიშნული მოპყრობის არსი მდგომარეობს შემდეგში: რამდენიმე სამართალდამცავი იყოფა ორ ჯგუფად. თითოეული მათგანი დგება ერთმანეთის პირისპირ, რითაც ქმნიან ე.წ. „ცოცხალი კორიდორის” ასოციაციას. დემონსტრანტი გადის პოლიციის ამ ორ ჯგუფს შორის, რა დროსაც მას ორივე მხრიდან ხვდება პოლიციის მუშტი და ხელკეტი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მოიპოვა აქციის ერთ-ერთი მონაწილის, გიორგი გოგაშვილის ახსნა-განმარტება. ამ უკანასკნელის თქმით, მას შემდეგ, რაც სპეცდანიშნულების რაზმმა აქციის დაშლა დაიწყო, ის გაიქცა რუსთაველის გამზირზე, ეროვნული მუზეუმის მიმართულებით. ამ დროს მას წამოეწივნენ სპეცრაზმელები, რომლებმაც მას თავში რეზინის ხელკეტი დაარტყეს და ძირის დააგდეს. ამის შემდეგ გიორგი გოგაშვილი, 8 ადამიანთან ერთად, სავარაუდოდ „სირცხვილის კორიდორში” გაატარეს.

თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე „სირცხვილის კორიდორის” გამოყენების ფაქტს ადასტურებს „სახალხო კრების” აქტივისტი დავით გაფრინდაშვილიც:

„სპეცრაზმელებმა დაკავებულები სირცხვილის კორიდორში გაგვატარეს. კორიდორის ორივე მხარეს სპეცრაზმელები იდგნენ და სიარულის დროს გვირტყამდნენ“ – აცხადებს დავით გაფრინდაშვილი. [153]

დაკავებული ლაშა ჯავახიშვილის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ სპეცრაზმელებმა კინოთეატრ „რუსთაველის” დარბაზში მყოფი ადამიანების გასაყვანად მოაწყვეს ე.წ. „სირცხვილის კოროდორი.” დაკავებულებს სათითაოდ ატარებდნენ „კორიდორში” და ორივე მხრიდან ხელკეტებს ურტყამდნენ. კორიდორის ბოლოს სპეცრაზმელები დაკავებულ პირებს ხელბორკილს ადებდნენ და ფოიეში გაჰყავდათ.[154]

[153] დავით გაფრინდაშვილის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

[154] ლაშა ჯავახიშვილის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

4.3.3. არასათანადო მოპყრობა რუსთაველის გამზირზე

სპეცრაზმელთა მიერ გამოყენებული ძალა იმდენად არაადეკვატური იყო, რომ მისი ზემოქმედების ქვეშ მოექცნენ პირები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციაში, არამედ შემთხვევით მოხვდნენ რუსთაველის გამზირსა ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქციის დაშლის მომენტისათვის ფურცელაძის ქუჩაზე პურის საყიდლად გამოსული მამაკაცი გადააწყდა რუსთაველის გამზირიდან მომავალ სპეცრაზმელებს. მამაკაცმა მიუთითა მის მიერ ნაყიდ პურზე, თუმცა, ამის მიუხედავად, სპეცრაზმელებმა მას რეზინის ტყვიები ესროლეს.[155]

- **არასათანადო მოპყრობა რუსთაველის გამზირსა და მიმდებარე ქუჩებზე დემონსტრანტთა დაკავებისას**

აქციის დაშლის მომენტში, როდესაც აქციის ორგანიზატორთა ავტომანქანების კოლონა რუსთაველის გამზირიდან დაიძრა თავისუფლების მოედნის მიმართულებით, მანქანებს უკან გაჰყვნენ აქციის მონაწილეები ოთარ და ნოდარ ცხადაძეები. ერთი მანქანა წინ მიდიოდა, ორი უკან მიჰყვებოდა. მანქანები მოძრაობდნენ ფეხით მოსიარულეთა სიჩქარით. ცხადაძეები მიიჩნევდნენ, რომ ასე უფრო უსაფრთხოდ მოახერხებდნენ რუსთაველის გამზირის დატოვებას. ოთარ ცხადაძეს მანქანის მარჯვენა მხარეს ეკიდა ხელი, ხოლო ნოდარ ცხადაძეს მარცხენა მხარეს. ამასობაში სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა დაარტყეს ოთარ ცხადაძეს, რის შედეგად მან ხელი გაუშვა მანქანის საწმენდს. ოთარ ცხადაძე დავარდა ბორდიურზე, მოაჯირთან ახლოს. ამის შემდეგ მას რამდენიმე სპეცრაზმელმა დაუწყო ცემა. ოთარ ცხადაძეს დაადეს ხელბორკილები, თუმცა, ამის შემდეგაც აგრძელებდნენ მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას. ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა ოთარ ცხადაძეს ფეხზე ადგომა მოსთხოვა, რისი შესრულებაც ცხადაძემ ვერ შეძლო. შედეგად, სპეცრაზმელმა მას მარცხენა თვალში წიხლი ჩაარტყა. ოთარ ცხადაძემ გონება დაკარგა.[156]

რამდენიმე დემონსტრანტი, რუსთაველის გამზირის დატოვების მიზნით, ცდილობდა თავი გაესაღებინა ჟურნალისტად. ორი დემონსტრანტი იმყოფებოდა ტელეკომპანია „მაესტროს" გადამღები ჯგუფის მახლობლად და მათი მეშვეობით ცდილობდა რუსთაველის გამზირის დატოვებას. სპეცრაზმელებმა რამდენჯერმე შეაჩერეს ტელეკომპანია „მაესტროს" ჟურნალისტი, ოპერატორი და მასთან მყოფი პირები და აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტები მოითხოვეს. პირებს, რომლებსაც ამგვარი დოკუმენტები არ ჰქონდათ და არც მიკროფონი და კამერა ეჭირათ, ჟურნალისტებისგან აცალკევებდნენ, ძირს აგდებდნენ, რეზინის ხელკეტებს ურტყამდნენ და ხელებს უბორკავდნენ.[157]

დაკავებისას სასტიკ მოპყრობას დაექვემდებარა სახალხო კრების წევრი ზაზა სანიკიანიც, რომლის ფუნქციას აქციების დროს წარმოადგენდა დემონსტრანტების სასმელი წყლით, საკვებით და მედიკამენტებით უზრუნველყოფა. 2011 წლის 22 მაისს, როდესაც „წარმომადგენლობითი სახალხო კრების" საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზაზა სანიკიანი მიდიოდა პურის საყიდლად. სწორედ იმ დროს, როდესაც საზოგადოებრივ მაუწყებელთან შეკრებილი დემონსტრანტების მიმართ იყენებდნენ სპეციალურ საშუალებებს, ზაზა სანიკიანს ზურგში მოხვდა გაზის კაფსულა. ზაზა სანიკიანმა სასწრაფოდ აიღო კაფსულა და მოშორებით ისროლა. იქვე იმყოფებოდა 20-30 სპეცრაზმელი.

2011 წლის 26 მაისს საპროტესტო აქციის დაშლის მომენტში ზაზა სანიკიანი მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის" მხარეს გაეშურა იმ ვარაუდით, რომ ამ გზით დატოვებდა რუსთაველის გამზირს. ამ დროს ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა დანარჩენებს ხელით მიანიშნა ზაზა სანიკი-

---

[155] ტელეკომპანია „მაესტროს" ჟურნალისტის ხათუნა ხვედელიძის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

[156] ოთარ ცხადაძის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება

[157] ანნა-ლაპიაშვილის ახსნა-განმარტება

ანზე და თქვა, ეს ის არ არისო? როგორც ზაზა სანიკიანი განმარტავს:

„...ძალიან ბევრნი იყვნენ ჩემს გარშემო. მათ ერთგვარ წრეში მომაქციეს და ხან ერთი სპეცრაზმელი მირტყამდა ხელს, ფეხს ან ხელკეტს და ხან მეორე. მე ხელში ჩემი ხელჩანთა მეჭირა და ის ავიფარე სახეზე, რომ სახეზე დაზიანებები არ მიმეღო. თუმცა, ერთმა სპეცრაზმელმა ჩაავლო ჩემს ჩანთას ხელი და წამართვა. მანვე თვალებში დამარტყა ხელი და სათვალე ჩამიმტვრია. შემდეგ კი ძალიან მაგრად ჩამარტყა ხელი სახეში. დარტყმისგან წავიქეცი, მომცვივდნენ სპეცრაზმელები და ყველამ ერთად დამიწყო ცემა. შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა მკითხა, რომელი ხელით არიგებდი წყალსო. მერე მარცხენა ხელი დამადებინეს ძირს და ხელის შუა თითში დამიწყეს ხელკეტის რტყმა. ისეთ დღეში ჩამიგდეს თითი, სისხლი მდიოდა. როგორც ჩანს, სპეცრაზმელებმა იცოდნენ, ვინც ვიყავი და აქციაზე რასაც ვაკეთებდი. ცემის დროს სპეცრაზმელები მეუბნებოდნენ, როგორ არ კვდებიო და მაგინებდნენ. ამის მერე ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა თავზე იარაღი დამადო და 5-ჯერ თავში რეზინის ტყვია მესროლა. ამაზე გონება დავკარგე. როდესაც გონს მოვედი, თავისუფლების მეტროს წინ ვიწექი გულდაღმა და ხელები ზურგს უკან მქონდა შეკრული, ხელებს საერთოდ ვერ ვგრძნობდი, ისე მქონდა დაბუჟებული.“ [158]

დაკავებისას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს დავით გაფრინდაშვილსაც. მისი თქმით, აქციის დაშლისას მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესა და პარლამენტს შორის იმყოფებოდა. ამ დროს შენიშნა, რომ ერთ-ერთი სპეცრაზმელი ქალს ემუქრებოდა. დავით გაფრინდაშვილი ქალს გადაეფარა. სპეცრაზმელმა დავით გაფრინდაშვილს დაარტყა.

„მერე რამდენიმე სპეცრაზმელი მომცვივდა და დამიწყეს ცემა. მათ ხელბორკილები დამადეს და იქვე ტროტუარზე დამაგდეს. ჩემ გარშემო სხვა დაკავებულებიც ეყარნენ ტროტუარზე. ძირს დაგდებულებს შავ ფორმიანები გვირტყამდნენ,” – აცხადებს დავით გაფრინდაშვილი.[159]





პოლიციის მიერ ძალის გადამეტების შედეგად დაშავებული აქციის მონაწილეები

- **რუსთაველის გამზირზე არასათანადო მოპყრობა დაკავების შემდეგ**

სპეცრაზმელები ფიზიკურად უსწორდებოდნენ ადამიანებს, რომლებსაც დაკარგული ჰქონდათ წინააღმდეგობის გაწევის უნარი, პოლიციელების მიერ განხორციელებული შემზღუდველი მოქმედების შედეგად. რუსთაველის გამზირზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან ახლოს, კანცელარიისაკენ ასასვლელი კიბეების მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტზე ეყარნენ დემონსტრანტები. სპეცრაზმელები დაკავებულებს ერთად უყრიდნენ თავს და ძირს ყრიდნენ. მათ ხელი ჰქონდათ შეკრული პლასტმასის ერთჯერადი ხელბორკილებით. ამგვარი საშუალებით თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ სამართალდამცავები აგრძელებდნენ სრულიად არასაჭირო ძალის გამოყენებას, რაც უთანაბრდება არასათანადო მოპყრობას. ისინი ძირს დაყრილ ადამიანებს ურტყამდნენ რეზინის ხელკეტს და ესროდნენ რეზინის ტყვიებს.[160]

---

[158] ზაზა სანიკიანის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

[159] დავით გაფრინდაშვილის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

[160] ანნა ლაპიაშვილის, გიორგი ოგბაიძის, კარენ არუთინოვის, ზურაბ ღონღაძის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტებები.

თითო ძირს წაქცეულ და ხელებშებორკილ დაკავებულს სამი-ოთხი სპეცრაზმელი ურტყამდა. დაკავებულებს თავი მიწაზე ედოთ. ზემოთ აწევის შემთხვევაში სპეცრაზმელები მათ რეზინის ხელკეტებს ურტყამდნენ.[161] ტელეკომპანია „კავკასიის" კამერამ დააფიქსირა, თუ როგორ ურტყამდნენ სპეცრაზმელები რეზინის ხელკეტს ძირს დაგდებულ მოხუც მამაკაცს.[162] წაქცეულ დემონსტრანტებზე სპეცრაზმელები ფეხით გადადიოდნენ.[163]

დავით გაფრინდაშვილისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას სპეცრაზმელები ხელბორკილის დადების შემდეგაც აგრძელებდნენ. მასთან და სხვა დაკავებულებთან მიდიოდნენ წითელ და ლურჯ ფორმაში ჩაცმული სამართალდამცავები და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ ხელთათმანის მეშვეობით, რომელზეც დამაგრებული იყო ბასრი საგანი. „ლურჯ ფორმაში ჩაცმულმა ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომელსაც ხელზე ხელთათმანი ეკეთა, სახეში ხელი დამარტყა. ხელთათმანებზე რაღაც წაწვეტებული ჰქონდა, თუმცა, ზუსტად ვერ დავინახე, რა იყო. დარტყმისთანავე ტუჩიდან სისხლმა გადმოხეთქა. სისხლი მარცხენა მხარეს ქვედა ტუჩიდან მომდიოდა. ძალიან ბევრი სისხლი წამომივიდა. ალბათ ამის გამო, თავი დამანებეს და ჩემს ცემას შეეშვნენ," – აცხადებს დავით გაფრინდაშვილი.[164]

კინოთეატრ „რუსთაველში" დაკავებული მოჭიდავე ლუკა კურტანიძე თავისუფლების მოედნისკენ სამართალდამცველთა ხან ერთ ჯგუფს მიჰყავდა, ხან მეორეს, თან ურტყამდნენ და აგინებდნენ.

დაკავებულ ადამიანებს სვამდნენ „ბოგდანის" მარკის ყვითელ ავტობუსებში და თან ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ: ურტყამდნენ რეზინის ხელკეტს, ხელსა და წიხლებს, აგინებდნენ.[165]

- **არასათანადო მოპყრობა კინოთეატრ „რუსთაველში"**

საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა პარლამენტის შენობის წინ განთავსებულ სცენაზე. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დამონტაჟებული იყო ტრაილერზე. მას შემდეგ, რაც რუსთაველის გამზირზე სპეცდანიშნულების რაზმმა დემონსტრანტებს ერთდროულად დაუშინა რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზის კაფსულები, მიუშვა წყლის ჭავლი, გადაიკეტა რუსთაველის გამზირიდან გასასვლელი ყველა ქუჩა, ერთადერთი ადგილი, სადაც დემონსტრანტებს შეეძლოთ, თავი დაეღწიათ ნასროლი სპეციალური საშუალებებისაგან, იყო ტრაილერი.[166] შედეგად, ტრაილერსა და დანგრეულ ყოფილ მხატვრის სახლს შორის წარმოიშვა ჭყლეტა.[167] ვინაიდან ყოფილი მხატვრის სახლის ბორდიურთან უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, იყო საშიშროება, რომ მხატვრის სახლის სამშენებლო ღობე გადანგრეულიყო და დემონსტრანტები ღობის იქით არსებულ უზარმაზარ სიღრმეში ჩავარდნილიყვნენ. ხალხის დიდი მასის მოწოლას, ასევე, შესაძლოა გამოეწვია ტრაილერის გადატრიალება. დემონსტრანტები ყველა მხრიდან ალყაში იყვნენ მოქცეულნი. ერთადერთი უსაფრთხო ადგილი, სადაც მათ თავის შეფარება შეეძლოთ, კინოთეატრი „რუსთაველი" იყო.[168] რუსთაველის გამზირიდან თავისუფლების მოედნის მიმართულებით გაქცეულ დემონსტრანტებს ყველა გასასვლელი ჩაკეტილი დახვდათ, ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ, უკან დაბრუნებულიყვნენ და თავი კინოთეატრ „რუსთაველისთვის" შეეფარებინათ.[169]

[161] კარენ არუთინოვის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

[162] http://www.youtube.com/watch?v=ℓR5XJ3zrmseI&feature=player_embedded

[163] ბიძინა გეგიძის და ნატო გოგელიას მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

[164] დავით გაფრინდაშვილის ახსნა-განმარტება.

[165] „ნეტგაზეთის" ჟურნალისტის ნინო კახიშვილის და საპროტესტო აქციის მონაწილის ზურაბ კიკილაშვილის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტებები.

[166] გიორგი ბურჯანაძის ახსნა-განმარტება.

[167] ბიძინა გეგიძის ახსნა-განმარტება.

[168] გიორგი ბურჯანაძის ახსნა-განმარტება.

[169] ბორის კალანდაძის ახსნა-განმარტება.

მას შემდეგ, რაც დემონსტრანტების გარკვეულმა ნაწილმა თავი შეაფარა კინოთეატრ „რუსთაველს“, რომლის შიგნით ასევე იმყოფებოდნენ მაყურებლები, შენობაში გაშვებულ იქნა ცრემლსადენი გაზი. გაზის კაფსულის გასროლას კინოთეატრის ფოიეში წინ უძღოდა შენობაში სპეცრაზმელთა შესვლა.[170] კინოთეატრის ფოიეში არასათანადო მოპყრობას ჰქონდა ადგილი გია გაჩეჩილაძის მიმართ, რომელიც მეორე სართულზე სათამაშო ავტომატს იყო მიყრდნობილი. მას სპეცრაზმელმა რეზინის ხელკეტი წვივებში ჩაარტყა. [171]

50-მდე დემონსტრანტი შევარდა კინოთეატრ „რუსთაველის” მეორე სართულზე არსებულ დარბაზში.[172] ამ დროს მიმდინარეობდა კინოსეანსი. 10 წუთის გასვლის შემდეგ დარბაზში შევიდა სპეცრაზმიც.[173] ისინი ჩადგნენ დარბაზიდან გასასვლელ ორივე კარში. ერთ-ერთი კარი სამართალდამცავებმა შეამტვრიეს.[174] სპეცრაზმელებმა იქ მყოფთაგან გამოარჩიეს 30 პირი, რომლებსაც ბილეთები ჰქონდათ და დარბაზიდან გაუშვეს. მათთან ერთად გაუშვეს ქალებიც, რომლებსაც ბილეთები არ ჰქონდათ. დარბაზში ბილეთის გარეშე მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა ლაშა ჯავახიშვილი, რომელიც არ მონაწილეობდა სახალხო კრების მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციაში. დარჩენილი ადამიანები, მათ შორის ლაშა ჯავახიშვილი, დატოვეს დარბაზში და დაიწყეს მათთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება. იყო ასევე შემთხვევები, როდესაც პოლიციელებმა კინოს მაყურებლები დემონსტრანტებისაგან სველი ტანსაცმლით განასხვავეს.[175]

კინოთეატრის დარბაზში იმყოფებოდა 200-მდე სპეცრაზმელი, რომლებიც თავდაპირველად რეზინის ხელკეტებით გაუსწორდნენ საპროტესტო აქციის ლიდერებს. 10 სპეცრაზმელი სცემდა სახალხო კრების ერთ-ერთ ლიდერს ლუკა კურტანიძეს. შემდეგ კინოდარბაზში დარჩენილი ადამიანები დასვეს სკამებზე. 100-მდე სპეცრაზმელი რიგითობის მიხედვით მიდიოდა თითოეულ დემონსტრანტთან და ეკითხებოდა, საქართველოს რომელ რეგიონში ცხოვრობდა. პასუხის მიღების შემდეგ სახეში რეზინის ხელკეტს ურტყამდნენ.[176] თბილისში მცხოვრებ ადამიანებთან შედარებით, სპეცრაზმელები განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ რეგიონებიდან ჩასული პირების მიმართ.

ბორის კალანდაძის განმარტებით, კინოთეატრ „რუსთაველში“ ხელებშეკრული დემონსტრანტები ძირს დააწვინეს, სპეცრაზმელები მათზე ფეხით გადადიოდნენ და ხელკეტებს ურტყამდნენ. ბორის კალანდაძეს ჰკითხეს, თუ საიდან იყო. მან უპასუხა, რომ ცხოვრობდა თბილისში, რის დასადასტურებლად სპეცრაზმელებმა ბორის კალანდაძეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მოსთხოვეს. მოსალოდნელი აგრესიისაგან თავის დასაცავად ბორის კალანდაძე უკანა რიგში გადავიდა, რის შემდეგაც 5-მა სპეცრაზმელმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. პოლიციელები ფიზიკურად უსწორდებოდნენ მათაც, ვინც სამედიცინო დახმარებას მოითხოვდა.[177]

ადამიანები ცემით გაჰყავდათ დარბაზიდან,[178] კინოთეატრის ფოიეს იატაკზე ყრიდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ. დაკავებული პირები ამ დროს არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენლებს.[179]

არასათანადო მოპყრობის ყველაზე ცხადი ეპიზოდი იყო კინოთეატრ „რუსთაველიდან“ გამოყ-

---

[170] ალექსანდრე დევდარიანის მიერ და გიორგი ბურჯანაძის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტებები.

[171] ბიძინა გეგიძის ახსნა-განმარტება.

[172] ბორის კალანდაძის ახსნა-განმარტება.

[173] ლაშა ჯავახიშვილის ახსნა-განმარტება.

[174] ბორის კალანდაძის მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

[175] შორენა ლათათიას ახსნა-განმარტება.

[176] http://geurasia.org/news/26-მაისს-დაშლილი-აქციის-ერთ/?fb_ref=fbrefferal&fb_source=home_oneline

[177] გია ბურჯანაძის ახსნა-განმარტება.

[178] ანდრეი გორას მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

[179] ლაშა ჯავახიშვილის და ანდრეი გორას მიერ საიასათვის მიცემული ახსნა-განმარტება.

ვანილი ადამიანების მიმართ ფიზიკური ძალადობა. ინტერნეტ-ტელევიზია „პალიტრა-TV-ის“ მიერ გადაღებული ვიდეო მასალიდან ჩანს, როგორ ურტყამენ სპეცრაზმელები დემონსტრანტებს თავსა და სახეში, გულმკერდის არესა და ზურგში მუშტებს და ხელკეტს. აღსანიშნავია, რომ კინოთეატრი „რუსთაველიდან" გამოყვანილი პირები არიან დაკავებულნი ანუ უკვე მოქცეულნი არიან ეფექტური კონტროლის ქვეშ. არც ერთი მათგანი წინააღმდეგობას არ უწევს სამართალდამცავებს. ისინი მორჩილად მიჰყვებიან პოლიციას და მათ მიმართ ფიზიკური ძალადობა სწორედ აღნიშნულ მომენტში ხორციელდება.

გია ბურჯანაძე განმარტავს, რომ როდესაც დააკავეს და კინოთეატრის ფოიეში ჩაიყვანეს, მან ნახა ძირს დაგდებული 8 მამაკაცი. ყველა ხელებშებორკილი იყო. სპეცრაზმელები ზოგიერთ დაკავებულს წიხლს ურტყამდნენ, ზოგს – რეზინის ხელკეტს.

კინოთეატრ „რუსთაველიდან" დემონსტრანტების გამოყვანის შემთხვევა არის სავარაუდოდ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ყველაზე მკაფიო და უტყუარი შემთხვევა 2011 წლის 26 მაისის ღამეს სამართალდამცავი ორგანოების გადაცდომათა შორის.

ზემოხსენებული შემთხვევები ნათლად მიუთითებს პოლიციის მიერ დაკავებული ადამიანების მიმართ არაჰუმანურ და დამამცირებელ მოპყრობაზე, რაც აკრძალულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით.

კინოთეატრ "რუსთაველში" სპეცრაზმის მიერ ჩატარებული ოპერაციის ამსახველი ფოტოები

4.4. თავისუფლების აღკვეთის სავარაუდოდ დაუსაბუთებელი და უკანონო შემთხვევები

2011 წლის 26 მაისს, აქციის დაშლის შემდეგ, შსს-ს მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, დააკავეს 90 პირი. დაკავებულთა სახელობითი სია სამინისტრომ 2011 წლის 27 მაისს გაავრცელა. [180]

დაკავებულებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციაში და დემონსტრაციის ადგილას შემთხვევით აღმოჩნდნენ, ასევე პირები, რომლებიც მართალია მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციაში, თუმცა, 12 საათზე დატოვეს დემონსტრაცია, ვინაიდან გაფრთხილების ვადა ამოიწურა. თბილისის შს მთავარ სამმართველოში ზოგიერთი დაკავებული პირისათვის დაკავების ფაქტი სათანადოდ არ გაუფორმებიათ, არამედ გამოიყვანეს სამმართველოს შენობიდან და ხელებშეკრული დაუსახლებელ ადგილას დატოვეს.

4.4.1. ადამიანების დაკავება, რომელთა განცხადებითაც ისინი აქციის დაშლის დროს შემთხვევით მოხვდნენ აქციის მიმდებარე ტერიტორიაზე

მაგალითად, ოზურგეთის იზოლატორში განთავსებული პატიმრების: ხვიჩა კვარაცხელიას, ელგუჯა პაპუნაშვილის, გიორგი ბუჯიაშვილის, გივი ქურდიანის, ასევე, ლანჩხუთის იზოლატორში განთავსებული ვეფხია დევნოზაშვილის, გოჩა ლაშხიას, ტარიელ ფლუიძის, თენგიზ და გელა მამნიაშვილების გაცხადებით, ისინი არ იყვნენ 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის

[180] http://police.ge/index.php?m=8&newsid=2515 - შსს მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაცია.

მონაწილენი და სრულიად შემთხვევით მოხვდნენ მიმდებარე ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, მათი დაკავება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მოხდა, ხოლო მათ მიმართ შედგენილი სამართალდარღვევის საქმის მასალები სხვა დაკავებულების საქმის მასალების ანალოგიურია.[181] თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში ადმინისტრაციული პატიმრობა მოიხადა ლაშა ჯავახიშვილმა. ეს უკანასკნელი უბილეთოდ იმყოფებოდა კინოთეატრ „რუსთაველში" და არასოდეს მიუღია მონაწილეობა სახალხო კრების საპროტესტო აქციაში. მიუხედავად ამისა, სპეცრაზმელებმა ლაშა ჯავახიშვილი საპროტესტო აქციის მონაწილედ მიიჩნიეს, ვინაიდან ვერ შეძლო ბილეთის წარდგენა.[182]

4.4.2. ადამიანების დაკავება, რომლებიც მონაწილეობდნენ აქციაში, თუმცა, აქცია დატოვეს 25 მაისის 24:00 სთ-მდე

მაგალითად, ლანჩხუთის იზოლატორში მყოფი გიორგი ყოლბაიას განცხადებით, მისთვის ცნობილი იყო, რომ სანქცირებული მიტინგი ღამის 12 საათზე უნდა დასრულებულიყო. ამიტომ გაფრთხილების ვადის ამოწურვისთანავე ის ტაქსით სახლში წავიდა, თუმცა, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ნიღბიანმა სპეცრაზმელებმა ტაქსიდან ჩამოიყვანეს და დააკავეს.[183]

4.4.3. უკანონო დაკავება

ბიძინა გეგიძე პოლიციამ დააკავა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში. ამ უკანასკნელს ხელები უკან გადაუწიეს და დაადეს ბორკილები, ჩასვეს საპატრულო პოლიციის მანქანაში ოთხ ადამიანთან ერთად და გადაიყვანეს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში. ბიძინა გეგიძე აიყვანეს სამმართველოს შენობის ჯერ მეექვსე, შემდეგ კი მეშვიდე სართულზე. იგი შეიყვანეს ერთ-ერთ ოთახში, სადაც 20 წუთის განმავლობაში ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ თეთრ მაისურიანი, სამხედრო შარვალსა და ე.წ. „ბათინკებში" გამოწყობილი ხელმძღვანელი პირის მონაწილეობით. შემდეგ აღნიშნულმა პირმა დარეკა მობილურ ტელეფონზე და განაცხადა, რომ ბიძინა გეგიძე არაფერს ამბობდა. გეგიძე გამოიყვანეს კაბინეტიდან და ჩაიყვანეს ქვედა სართულზე. მასთან მივიდა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ადამიანი, რომელმაც სხვებს უბრძანა, ბიძინა გეგიძისათვის ბორკილი მოეხსნათ და ახალი ბორკილი წინა მხარეს გადმოტანილ ხელებზე დაედოთ. ბრძანების შესრულების შემდეგ, მასთან მივიდა შინდისფერ ჟილეტიანი სამი პოლიციელი, რომლებმაც ბიძინა გეგიძე ჩასვეს „ფოლკსვაგენის" მარკის ავტომანქანაში და დიღმის მასივიდან წაიყვანეს დასავლეთით, მცხეთის მიმართულებით.

„მე წინ ვიჯექი, ჩემ გვერდით იჯდა ორი პოლიციელი. მანქანამ გადაუხვია მუხათგვერდისაკენ. პოლიციელები ამბობდნენ „დალნიზე" წავიყვანოთ თუ „ბლიჟნიში", „ყველაფერი გამზადებული გვაქვს". ერთ-ერთი ჩემზე ჩაშტერებული იყო. არმისული მუხათგვერდის სასაფლაოსთან, მანქანამ მარცხნივ შეუხვია, იქ არის პატარა ტბა, რომელსაც გვერდი ავუარეთ ... გავიარეთ 2 კილომეტრი და მანქანა გააჩერეს. გზიდან 30 მეტრის მოშორებით დამტოვეს და მითხრეს, მიტინგზე აღარ დაგინახოთ მისული, მიშა მაგარიაო. ჯიბეში ტელეფონი მქონდა, მაგრამ მისი ამოღება გამიჭირდა. წვიმდა. მოკლე გზით მოვდიოდი. დავეცი. ამ დროს ჯიბიდან ტელეფონი ამოვარდა. პირველივე ნომერზე დავრეკე და შველა ვითხოვე. ჩავაღწიე სამანქანო გზამდე და იქ მანქანით მომაკითხეს," – აცხადებს ბიძინა გეგიძე.

ეს უკანასკნელი არც ადმინისტრაციულ და არც, მით უმეტეს, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული. არ არსებობს მისი მოწმედ დაკითხვის ოქმი ან მის მიმართ რაიმე სახის სამართლებრივი საპროცესო მოქმედების დამადასტურებელი მტკიცებულება. პოლიციელებს არ მოუხდენიათ ბიძინა გეგიძისათვის თავისუფლების აღკვეთის ფაქტის დოკუმენტირება. არადა, აუცილებელია დაკავების ოქმის შედგენა როგორც ადმინისტრაციული, ისე

[181] საიას ოზურგეთის ოფისის ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

[182] ლაშა ჯავახიშვილის ახსნა-განმარტება.

[183] მაგ. საიას ოზურგეთის ოფისის ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით.

სისხლისსამართლებრივი დაკავების შემთხვევაში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლის შესაბამისად, მოწმის იძულებით მიყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არის აუცილებელი იმ მოწმის საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, რომელიც უარს აცხადებს ნებაყოფლობით გამოცხადებაზე.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ერთადერთ შემთხვევას, როდესაც ადამიანისათვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია ფაქტის ყოველგვარი დოკუმენტირების გარეშე. ეს არის „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9[1] მუხლით გათვალისწინებული შეჩერება. ეს უკანასკნელი გულისხმობს ადამიანის იმ ადგილზე შეჩერებას, სადაც პოლიციას პირის მიერ დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვი წარმოეშვა. ეს ინსტიტუტიც კი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პოლიციამ ინდივიდი სადმე, მით უმეტეს, პოლიციის სამმართველოში გადაიყვანოს, თუ, რა თქმა უნდა, არ წარმოიშვა ადამიანის დაკავების საფუძველი.

ბიძინა გეგიძის დაკავების უკანონობაზე მეტყველებს ისიც, რომ განსაზღვრული სამართლებრივი პროცედურების ინიცირების ნაცვლად, სამართალდამცავებმა, პოლიციის შენობიდან გამოყვანის შემდეგ, ბიძინა გეგიძე უსუსურ მდგომარეობაში (ხელებშეკრული) მიატოვეს დასახლებული ადგილიდან მოშორებით.

აქციის დაშლის შემდეგ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანილი დაშავებული აქციის მონაწილეები

მე-5 თავი. აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში დაფიქსირებული სიცოცხლის ხელყოფის საქმეების ანალიზი

შესავალი

2011 წლის 26 მაისს აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში, საიას მიერ მოპოვებული ინფორმაციით, დაფიქსირდა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის ხუთი შემთხვევა, რაც სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულების კუთხით შეფასებას მოითხოვს. კერძოდ, აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში დაფიქსირდა აქციის 4 მონაწილის (ნოდარ ცხადაძის, ნიკა კვინტრაძის, სულიკო ასათიანისა და თემურ კაპანაძის) და ერთი პოლიციელის (ვლადიმერ მასურაშვილის) სიცოცხლის ხელყოფის ფაქტი. თითოეული ეს საქმე სპორადულია და ერთმანეთთან ფაქტობრივი კავშირი არ აქვს (გარდა ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმეებისა, რომელთა გვამები პოლიციამ ერთად აღმოაჩინა). მოცემულ თავში წარმოდგენილია თითოეული საქმის ფაქტობრივი აღწერა და სამართლებრივი ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეებზე ამ ეტაპზე გამოძიების პროცესი დასრულებულია. კერძოდ, ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დამდგარია საბოლოო განაჩენები და ბრალდებულ პირებთან გაფორმებულია საპროცესო შეთანხმებები. ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებზე, შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება შეწყვეტილია.

სიცოცხლის ხელყოფის თითოეული საქმე მოითხოვს, ერთი მხრივ, სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებზე სახელმწიფოს ნეგატიური თუ პოზიტიური ვალდებულების შესრულებისა და, მეორე მხრივ, საქმეებზე სახელმწიფოს მიერ ჩატარებული გამოძიების ეფექტურობისა და ობიექტურობის ანალიზს.

როგორც საქმეების ანალიზი აჩვენებს, სიცოცხლის ხელყოფის თითოეული შემთხვევა პოლიციის მიერ აქციის დაშლის ოპერაციის მომზადებისა და განხორციელების დროს დაშვებულ შეცდომებს ან პოლიციის მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენებას უნდა უკავშირდებოდეს. ამასთან, მოცემულ საქმეებში სადავო ხდება ჩატარებული გამოძიების ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის საკითხი. არც ერთ საქმეზე დაზარალებულს ან ბრალდებულ პირებს რეალურად არ განუხორციელებიათ ეფექტიანი დაცვის უფლება, რაც, ცხადია, ბრალდების მტკიცების ხარისხზე გავლენას ახდენდა.

5.1. მეთოდოლოგია

ანგარიშის მომზადების ეტაპზე სამუშაო ჯგუფს სიცოცხლის ხელყოფის არც ერთ საქმეზე არ მიეცა სისხლის სამართლის საქმის მასალებზე დაშვების შესაძლებლობა. აღნიშნული განპირობებული იყო დაზარალებულებისა და ბრალდებული პირების სურვილის არარსებობით, საიას ადვოკატებს წარმოედგინათ და დაეცვათ მათი ინტერესები გამოძიების წინაშე. დაზარალებულების უფლებამონაცვლეები არ თანხმდებიან (საიას, ისევე როგორც უფლებადამცველ სხვა ორგანიზაციებს, მედია საშუალებებს) რაიმე სახის კომუნიკაციასა ან კოოპერაციაზე საქმესთან დაკავშირებით. ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე ბრალდებულმა პირებმა ნიკოლოზ ზაუტაშვილმა და ალექსანდრე ბიბილურმა ასევე უარი განაცხადეს მათი ინტერესების წარმოდგენასა ან სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოყენებაზე ანგარიშში.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, საიამ არა ერთხელ მიმართა საგამოძიებო ორგანოებს არსებითი ხასიათის მტკიცებულებებისა და ინფორმაციის გასაჯაროების მოთხოვნით, თუმცა, არც ერთ მოთხოვნაზე პასუხი არ მიგვიღია.[184] სამუშაო ჯგუფს ეროვნული სასამართლოების მხრიდან[185] ასევე არ მიეცა

[184] საიას წერილი საქართველოს პროკურატურის მიმართ, 26.07.2011. (წერილი #g01/120-11), ასევე, საიას წერილი შსს და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ 09.09.2011 (წერილი #g-01/133.01)

[185] თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი საიას მიმართ, 05.09.2011 (#5/09/2011-01); თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი საიას მიმართ 28.10.2011 (#197/32067).

შესაძლებლობა, საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნის გზით, გასცნობოდა უკვე დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების მასალებს. შესაბამისად, სიცოცხლის ხელყოფის საქმეების შეფასებისას, სამუშაო ჯგუფს საკმაოდ შეზღუდული რესურსებისა და ინფორმაციის პირობებში უხდებოდა ოპერირება.

26 მაისის შემდეგ სამუშაო ჯგუფი აქტიურად მუშაობდა სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე ინფორმაციისა და მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. ამ კუთხით, სამუშაო ჯგუფმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვა იმ პირებს, რომლებსაც პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი ჰქონდათ მომხდართან. რიგ საქმეებში, სამუშაო ჯგუფის ინიციატივით, ჩატარდა ექსპერტიზები. კონკრეტულ საკითხებზე პროფესიული დასკვნების მიღების მიზნით, განმარტებები და კონსულტაციები ეთხოვათ სპეციალისტებს. ამასთან, სამუშაო ჯგუფმა გამოითხოვა და დაამუშავა მედია საშუალებების მიერ გადაღებული ვიდეო და ფოტო მასალა.

ჩვენ ხელთ არსებული მასალები და მისი შეზღუდული რესურსები შეუძლებელს ხდის განსახილველ საქმეებში მომხდარზე სრული სურათის აღდგენას. თუმცა, არსებული ინფორმაცია იძლევა საკმარის საფუძველს საქმეებზე გამოძიების შედეგების დასაბუთებულობისა და სანდოობის შეფასებისთვის.

5.2. სიცოცხლის უფლების დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლი (სიცოცხლის უფლება) მოიცავს არა მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც ადგილი აქვს განზრახ სიცოცხლის ხელყოფას, არამედ ძალის გამოყენების იმ შემთხვევებსაც, რომელსაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის ხელყოფა მოჰყვა. კონვენციის მე-2 მუხლის ქვეშ აღიარებულია სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე მესამე პირებისა ან/და სიცოცხლისთვის საშიში რისკებისგან.

სახელმწიფოს მხრიდან ძალის გამოყენება „აბსოლუტური აუცილებლობის" ტესტით არის შეზღუდული და ის კონვენციის მე-2 მუხლით დაცული რომელიმე მიზნის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს. სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების ლეგიტიმურობისა და პროპორციულობის შეფასებისას, ევროპული სასამართლო ადგენს საკითხს, იყო თუ არა ოპერაცია დაგეგმილი და კონტროლირებული იმგვარად, რომ ხელისუფლებას მოეხდინა ლეტალური ძალის გამოყენების შესაძლებლობის მინიმიზაცია. ამასთან, ხელისუფლება ვალდებულია, მიიღოს ყველა საჭირო ზომა სიცოცხლის რისკების შესამცირებლად. ამ მიმართებით, სასამართლო სწავლობს, თუ რამდენად არ იყო ხელისუფლება დაუდევარი მის მიერ შერჩეულ მოქმედებებში.[186]

მტკიცებულებების შეფასების დროს სასამართლო იყენებს მტკიცების სტანდარტს *„გონივრულ ეჭვს მიღმა"*, რომელიც მოითხოვს საკმარისად ძლიერი, ნათელი და თანხვედრი ფაქტების არსებობას.[187]

ისეთი შემთხვევები, როდესაც პოლიციის ან შეიარაღებული ძალების მხრიდან ძალის გამოყენებას არ მოჰყვა სიცოცხლის ხელყოფა, როგორც წესი, ექცევა კონვენციის მე-3 და არა მე-2 მუხლის დაცვის ქვეშ. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, გამოყენებული ძალის ხარისხის, სახის, განზრახვისა და მიზნის გათვალისწინებით, როდესაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი მას აახლოებს სიკვდილთან, შემთხვევა შეიძლება მოექცეს კონვენციის მე-2 მუხლის დაცვის ქვეშ. საქმეში *Makaratzis v, Greece* ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა, პოტენციურად რამდენად ლეტალური იყო/შეიძლებოდა ყოფილიყო პოლიციის მიერ განმცხადებლის მიმართ გამოყენებული ძალა.[188]

---

[186] *Isayeva, Yusuoiva and Bazayeva v Russia,* application ## *57947/00, 57948/00 and 57949/00,* judgment 6 July 2005, § 169-171.

[187] *Isayeva, Yusuoiva and Bazayeva v Russia,* § 172.

[188] *Makaratzis v, Greece,* application # *50385/99,* judgment of 20 December 2000, §§51-52.

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის ქვეშ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ფარგლებში ექცევა ასევე სახელმწიფოს ვალდებულება, შესაბამისი პოლიციური და ოპერაციული ღონისძიებებით მოახდინოს იმ რისკების პრევენცია, რომელიც კონკრეტულ პირს შეიძლება შეექმნას მესამე პირებისგან. ამ მიმართებით, ევროპულ სასამართლოს მოჰყავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემდეგი ტესტი: ხელისუფლებამ იცოდა (ან უნდა სცოდნოდა) იმ მყისიერი და რეალური რისკების შესახებ, რომელიც მესამე პირების დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად შეიძლებოდა შეჰქმნოდა კონკრეტულ პირს ან პირთა ჯგუფს და სახელმწიფომ არ მიიღო მის ხელთ (მისი ძალაუფლების ქვეშ) არსებული ყველა სათანადო ზომა, რომელიც გონივრულად მოსალოდნელი იყო მისგან არსებული რისკების თავიდან ასაცილებლად.[189]

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი, სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფისთვის, სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, ეფექტური სისხლისსამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით მოახდინოს დანაშაულის პრევენცია და შემდგომში სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით მოახდინოს საქმის გამოძიება და შესაბამისი პირების დასჯა. კონვენციის მე-2 მუხლი ადგენს, რომ ოფიციალური ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება ყველა შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება მკვლელობას ან ადამიანის სიკვდილს საეჭვო ვითარებაში, მიუხედავად იმისა, ეს ქმედება ჩადენილია კერძო პირების, სახელმწიფო აგენტების მიერ, თუ დაუდგენელია, ვინ ჩაიდინა. [190]

გამოძიების ეფექტიანობა გულისხმობს შესაბამისი ფაქტების დადგენას და იმ პირების დასჯას, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს. გამოძიების საბოლოო გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ყველა გარემოების ზედმიწევნით, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს.

ევროპულმა სასამართლომ არა ერთ საქმეში მიუთითა, რომ მე-2 მუხლის ქვეშ სახელმწიფოს პროცედურული ვალდებულება გულისხმობს არა შედეგების მიღების, არამედ შესაბამისი საშუალებების გატარების ვალდებულებას.[191]

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი მოითხოვს გამოძიების პროცესში დაზარალებული პირების ინტერესების სათანადო დაცვასაც. კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ნდობა, გამოძიება უნდა იცავდეს კანონის უზენაესობის პრინციპს. გამოძიებამ უნდა მოახდინოს ყველა იმ ეჭვის პრევენცია, რომელიც უკანონო მოქმედებების მიმართ ხელისუფლების შემწყნარებლობაზე შეიძლება გაჩნდეს. ამასთან, მსხვერპლის ახლო ნათესავებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამოძიებაში იმ ხარისხით ჩართულობა, რომელიც აუცილებელია მათი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.[192]

5.3. ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეები

5.3.1. შესავალი

გამოძიების ოფიციალური ვერსიით, ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფა აქციის დაშლის დროს ავტოკოლონის მანქანების მიერ აქციის ტერიტორიის დატოვების ეპიზოდს უკავშირდება.[193] მოცემულ საქმეებზე 2011 წლის 28 და 29 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა განაჩენები, რომლითაც საპროცესო შეთანხმებები დაამტკიცა ბრალდებულ ნიკოლოზ ზაუტაშვილსა და ალექსანდრე ბიბილურთან.[194] ორივე შემთხ-

[189] *Osman v. the United Kingdom,* application # 87/1997/871/1083, judgment of 28 October 1998, § 116.

[190] *Angelova and Iliev v. Bulgaria*, application # 55523/00, judgment of 26 July 2007, § 92.

[191] *Paul and Audrey Edwards v. the United Kingdom*, application # 46477/99, judgement of 14 March 2002, § 71.

[192] *Ramsahai and Others v. the Netherlands*, application # 52391/99, judgment of 15 May 2007, §§ 321-332.

[193] ხელმისაწვდომია შსს-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ; http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=2750

[194] თბილისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 28 და 29 ივლისის განაჩენები, საჯარო ინფორმაციის სახით, დაშტრიხული სახით მიაწოდა საიას.

ვევაში, ბრალდებულმა პირებმა აღიარეს ჩადენილი დანაშაული. ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფისთვის (სხვა დანაშაულებებთან ერთად) ნიკოლოზ ზაუტაშვილს მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დანარჩენი 5 წელი ჩაეთვალა პირობითად. პოლიციელ ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფისათვის ალექსანდრე ბიბილურს (სხვა დანაშაულებთან ერთად) სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 7 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დანარჩენი 5 წელი ჩაეთვალა პირობითად. 2011 წლის 28 და 29 ივლისის განაჩენებში მოკლედ და ზოგადად არის მითითებული ის ფაქტობრივი გარემოებები, თუ რა ვითარებაში მოხდა დაზარალებული პირების სიცოცხლის ხელყოფა.

იმ პირობებში, როდესაც სამუშაო ჯგუფს არ გააჩნდა ხელმისაწვდომობა სისხლის სამართლის საქმეების მასალებზე, რთულია ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საკმარისობისა და სანდოობის შემოწმება. თუმცა, სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული დამატებითი ინფორმაცია იძლევა გამოძიების ეფექტურობისა და მისი შედეგების სარწმუნოობის შეფასების შესაძლებლობას. ამ კონტექსტში აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი მტკიცება, რომელიც მოცემულ საქმეებზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა: (1) საქმეზე გამოძიება ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანოებმა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აქციის დაშლის ოპერაციაში შსს-ს თანამშრომლები მონაწილეობდნენ, ამ მოვლენებთან კავშირში ჩადენილი დანაშაულების დამოუკიდებელი გამოძიების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი იყო, საქმე გამოსაძიებლად გადასცემოდა პროკურატურას, რაც მოცემულ საქმეზე არ მომხდარა; (2) 2011 წლის 28 და 29 ივლისის განაჩენებით დამდგარი შედეგები არ შეესაბამება შსს-ს, როგორც გამოძიების მწარმოებელი ორგანოს, მიერ გამოძიების საწყის ეტაპზე (26 მაისს) გაკეთებული ოფიციალური განცხადებების შინაარსს ამ საქმეებზე. ამასთან, როგორც გამოძიების საბოლოო შედეგებმა აჩვენა, 26 მაისს და შემდგომ, შსს-ს მიერ აღნიშნულ საქმეებთან კავშირში გავრცელებული ოპერატიული ვიდეო მასალა[195] *რეალურად* არ ასახავს ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ვითარებას; (3) აქციის დაშლის პროცესში, *მთლიანობაში,* ისევე როგორც აქციის ტერიტორიიდან ავტოკოლონის გასვლის ეპიზოდში, სახელმწიფომ არ შეასრულა პოზიტიური ვალდებულება, ოპერაცია დაეგეგმა და განეხორციელებინა იმგვარად, რომ მოეხდინა პოლიციელებისა და აქციის მონაწილეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანების რისკების პრევენცია; (4) ნოდარ ცხადაძე, სავარაუდოდ, არ იყო უზრუნველყოფილი დროული სამედიცინო დახმარებით; (5) გამოძიების საბოლოო შედეგები და დასკვნები ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმესთან დაკავშირებით არ არის საკმარისად დასაბუთებული და ჩნდება გარკვეული შეკითხვები ამ კუთხით.

5.3.2. წყაროები, რომლებსაც სამუშაო ჯგუფი ეყრდნობა აღნიშნული საქმეების შეფასების პროცესში

ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეების ანალიზის დროს სამუშაო ჯგუფი იყენებს შემდეგ ძირითად წყაროებს:

- *თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 და 29 ივლისის განაჩენები ნიკოლოზ ზაუტაშვილისა და ალექსანდრე ბიბილურის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე. ასევე, ავტოკოლონის მანქანების სხვა მძღოლების მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე დამდგარი განაჩენები;*
- *შსს-ს მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადებები და ოპერატიული მასალა მოცემულ საქმეებთან დაკავშირებით;*
- *სხვადასხვა მედია საშუალების მიერ გადაღებული ფოტო და ვიდეო მასალა;*
- *სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის, იმ მოწმე-*

[195] ამ მიმართებით იხილეთ შსს-ს მიერ გავრცელებული ორი ვიდეო ოპერატიული მასალა: 1. http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=2505. 2. http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/shemthkhveva/5048-shss-s-akhali-operatiuli-videomasala-bitsadzis-eskortis-shesakheb.html

თა ახსნა-განმარტებები, რომლებმაც აქციის დაშლის დროს და მას შემდეგ ნახეს ნოდარ ცხადაძე ან საქმისთვის სხვაგვარად იყო რელევანტური მათ ხელთ არსებული ინფორმაცია. ამ კუთხით, სამუშაო ჯგუფმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვა შემდეგ პირებს: 1. ***მურმან ცხადაძეს*** *– ნოდარ ცხადაძის თანასოფლელი და მეგობარი – რომელიც აქციის დაშლამდე ნოდარ ცხადაძესთან ერთად იმყოფებოდა და რომელმაც ნახა ნოდარ ცხადაძის გვამი დაკრძალვამდე;*[196] *2.* ***ოთარ ცხადაძეს*** *– ნოდარ ცხადაძის ბიძაშვილი – რომელიც აქციის დაშლის მომენტში ნოდარ ცხადაძესთან ერთად იმყოფებოდა და ფურცელაძის ქუჩამდე მასთან ერთად გადაადგილდებოდა ავტოკოლონის მანქანების უკან. ოთარ ცხადაძემ აქციის დაშლის შემდეგ შემთხვევის ადგილზე ასევე ნახა სავარაუდოდ უკვე გარდაცვლილი ნოდარ ცხადაძის გვამი;*[197] *3.* ***openDemocracy-ის ჟურნალისტს იან კარვერსა და Human Rights Center-ის ჟურნალისტს ჯეფრი კ. სილვერმენს****, რომლებმაც რუსთაველის ქუჩაზე ნახეს ნოდარ ცხადაძის გვამი. 4.* ***ლაშა ჭეიშვილის****, ნინო ბურჯანაძის დაცვის თანამშრომელს, რომელმაც სამუშაო ჯგუფს ავტო კოლონის მანქანებისა და მათი გადაადგილების შესახებ დეტალურ ინფორმაცია მოაწოდა.*

5.3.3. გამოძიების პირველადი და საბოლოო ვერსიების ანალიზი მოცემულ საქმეებზე

- **გამოძიების პირველადი ვერსია ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეებთან დაკავშირებით**

2011 წლის 26 მაისს შს სამინისტრომ გააკეთა ორი განცხადება, რომელიც აქციის დაშლის დროს სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებს შეეხებოდა. *კერძოდ,* 2011 წლის 26 მაისს შსს-მ გააკეთა განცხადება, რომ აქციის დაშლის დროს გარდაიცვალა ორი ადამიანი, რომელთაგან ერთ-ერთი პოლიციის მოქმედი ლეიტენანტი ვლადიმერ მასურაშვილი იყო, ხოლო მეორე – აქციის მონაწილე ნოდარ ცხადაძე. შსს-ს ოფიციალური განცხადების თანახმად, ორივე მათგანი იმ დროს დაიღუპა, როდესაც მიტინგის ორგანიზატორთა ესკორტი მაღალი სიჩქარით ტოვებდა აქციის მონაწილეების გასასვლელად გაკეთებულ კორიდორს.[198] იმავე დღეს მოგვიანებით შსს-მ გააკეთა მეორე განცხადება, სადაც მან შედარებით დეტალური ინფორმაცია წარმოადგინა აღნიშნული პირების სიცოცხლის მოსპობის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. შსს-ს განცხადებაში იკითხება:

2011 წლის 26 მაისს 00:10 საათზე ნინო ბურჯანაძემ, თავის თანმხლებ პირებთან ერთად, ავტომობილების საშუალებით, მიატოვა რუსთაველის გამზირზე პარლამენტის წინ განთავსებული სცენის მიმდებარე ტერიტორია. ნინო ბურჯანაძის ესკორტი გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა თავისუფლების მოედნის მიმართულებით, რა დროსაც ესკორტის ორი მანქანა, რომელთაგან ერთ-ერთს მართავდა ნინო ბურჯანაძის თანაშემწე ივანე ჩიღვინაძე, ხოლო მეორეს ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრი შაქრია ზურაშვილი, შეეჯახა რამდენიმე ადამიანს. <u>შეჯახების შედეგად, ადგილზე გარდაიცვალა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ლეიტენანტი ვლადიმერ მასურაშვილი და მოქალაქე ნოდარ ცხადაძე. პირველადი დათვალიერებით, ორივე მათგანს აღენიშნებოდა სხეულის მრავლობითი დაზიანებები, რაც დამახასიათებელია ავტო-საგზაო შემთხვევებისას.</u> ასევე, სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო რამდენიმე მოქალაქემ, მათ შორის, ოთხმა პოლიციელმა, რომელთაგან ერთ-ერთის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. დაკავებისას, ივანე ჩიღვინაძემ და შაქრია ზურაშვილმა, თანმხლებ პირებთან ერთად, პოლიციას გაუწიეს წინააღმდეგობა.[199]

შსს-ს 26 მაისის ოფიციალური განცხადების შესაბამისად, ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფას გამოძიება უკავშირებდა ივანე ჩიღვინაძისა და შაქრია ზურაშვილის მანქანების შეჯახების ფაქტებს.

---

[196] საიას მიერ სოფელ ზემო სვირში მურმან ცხადაძისგან აღებული ახსნა-განმარტება, 13.07.2011.

[197] საიას მიერ სოფელ ზემო სვირში ოთარ ცხადაძისგან აღებული ახსნა-განმარტებები, 13.07.2011 და 12.08.2011.

[198] შსს-ს ოფიციალური ვებ-გვერდი: http://www.police.ge/index.php?m=222&newsid=2504

[199] შსს-ს ოფიციალური ვებ-გვერდი: http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=2505.

აღნიშნულ განცხადებასთან ერთად, შსს-მ გამოაქვეყნა ვიდეო მასალა, რომელშიც ნაჩვენებია თავისუფლების მოედნის დასაწყისში ავტოკოლონის მანქანების გადაადგილების ეპიზოდი.[200] ავტოკოლონის მე-6 მანქანის უკან (შემდგომში მანქანების ნუმერაციას სწორედ ამ ვიდეოში გამოსახული მანქანების თანმიმდევრობით მოვახდენთ), თავისუფლების მოედნის დასაწყისში გზის შუა სავალ ნაწილზე ფიქსირდება ადამიანის სხეული. გავრცელებულ ვიდეო მასალაში გამოკვეთილად არ ჩანს მანქანის მიერ ამ პირზე დაჯახების, გადავლის ან/და მანქანიდან პირის ჩამოვარდნის მომენტი. ვიდეო შორი ხედით არის გადაღებული და ის პიროვნების იდენტიფიცირების საშუალებას არ იძლევა. ვიდეო მასალაში ნაჩვენები ავტოკოლონის მეხუთე მანქანას (თეთრი ფერის ტოიოტა ლენდ კრუიზერ 200, სახელმწიფო ნომრით QSQ 808) ივანე ჩიღვინაძე მართავდა და ვიდეოში მის უკან მომავალი მეექვსე მანქანის (შავი ფერის მერსედეს ბენცი, სახელმწიფო ნომრით SOF 204) გავლის შემდეგ ფიქსირდება ადამიანის სხეული ტრასაზე.



თავისუფლების მოედანზე ავტოკოლონის გადაადგილება

აღნიშნულ ვიდეო მასალას თან სდევდა ივანე ჩიღვინაძის აღიარებითი ჩვენება, რომელშიც ის მიუთითებდა: *"[..] ამ დროს გავკარი, ჩემი აზრით, იმ წუთას ვერ ვიგრძენი, მაგრამ როგორც ჩანს [სავარაუდოდ უთითებს გავრცელებულ ვიდეო მასალაზე], მერე გავკარი ალბათ სარკე და დავაკარგვინე წონასწორობა ამ პიროვნებას, რომელსაც შემდგომ უკანა მანქანამ გადაუარა..."*

თავისუფლების მოედნის მეტროს გასწვრივ ავტოკოლონის გადაადგილება

მოგვიანებით შსს-ს მიერ გავრცელდა მეორე ვიდეო – ოპერატიული მასალა, სადაც ასახულია თავისუფლების მოედნის მეტროს გასწვრივ ავტოკოლონის გადაადგილების ეპიზოდი.[201] აღნიშნულ ვიდეოში ერთ მომენტში ფიქსირდება ნიკოლოზ ზაუტაშვილის მართვის ქვეშ მყოფი მანქანის (კრემისფერ ტოიოტა რანერი, სახელმწიფო ნომრით MIS 672) აწევ-დაწევის ფაქტი, რაც, სავარაუდოდ, რაიმე ნივთზე/სხეულზე გადავლას უნდა უთითებდეს. გამოძიების საწყის ეტაპზე აღნიშნულ ვიდეო მასალასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები შსს-ს არ გაუკეთებია.

- **ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საბოლოო ოფიციალური ვერსია**

ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა) შესაბამისად, დამნაშავედ იქნა ცნობილი ნიკოლოზ ზაუტაშვილი, რომელიც ავტოკოლონის მეოთხე,[202] კრემისფერ ტოიოტა რანერის მარკის ავტომანქანას (სახელმწიფო ნომრით MIS 672) მართავდა.

შსს-ს მიერ 2011 წლის 21 აგვისტოს გავრცელებული გრაფიკული ვიდეო მასალის თანახმად,

[200] შსს-ს ოფიციალური ვებ-გვერდი: http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=2505.

[201] ხელმისაწვდომია http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/shemthkhveva/5048-shss-s-akhali-operatiuli-videomasala-bitsadzis-eskortis-shesakheb.html

[202] შენიშვნა: ავტოკოლონის მანქანების ნუმერაციას, თავისუფლების მოედნის დასაწყისში ავტოკოლონის ჩავლის ეპიზოდში, მანქანების თანმიმდევრულად ვახდენთ. იხ. შსს-ს ოფიციალური ვებ-გვერდი: http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=2505.

ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტს ადგილი ჰქონდა თავისუფლების მოედნის მეტროს გასწვრივ მდებარე ტრასის მონაკვეთში, ავტოკოლონის გადაადგილების ეპიზოდში.[203] ამ სიტუაციაში პოლიციის ცოცხალი კორდონი ცდილობდა ავტოკოლონის მანქანების შეჩერებას.

ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის განაჩენში იკითხება: *„ნიკოლოზ ზაუტაშვილის მართვის ქვეშ მყოფმა მანქანამ მოუმატა სიჩქარეს და შეეჯახა პოლიციელების კორდონში მყოფ პოლიციის თანამშრომელს, ასევე, შეეჯახა მოქალაქე ნოდარ ცხადაძეს, რომელსაც ეცვა შავი ფერის ტანსაცმელი, რომელიც წაიქცა და ავტომანქანის საბურავით გადაუარა მას მუხლზე, რის შემდეგაც მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. ხოლო მოქალაქე ნოდარ ცხადაძე გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, სადაც მუხლზე მიღებული სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.“*

ნოდარ ცხადაძისთვის სიცოცხლის მოსპობასთან ერთად, ნიკოლოზ ზაუტაშვილს ედავებიან, ასევე, პოლიციელების – გიორგი გეგეჭკორისა და მამუკა ხაჩიძისთვის ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანების მიყენებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში მითითებულია, რომ საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები, რომლებიც აღიარებით ჩვენებასთან ერთად ადასტურებს ნიკოლოზ ზაუტაშვილის მიმართ წაყენებულ ბრალდებას, არის შემდეგი: რ. ჩ..შვილის, თ. ს...ძის, თ. ჭ...ძის, გ. გ...ის, ი. ჯ..ას, ა. ც..შვილის, ლ. გ...ძის ჩვენებები, დაზარალებულის უფლებამონაცვლის ო. ცხადაძის ჩვენება, დაზარალებულების გ. გ..ის, მ. ხ..ი ჩვენებები, სასამართლო სამედიცინო, ტრასოლოგიური, ავტოტრასოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნები, ამოღებული ნივთები და საქმეში არსებული სხვა მასალები.

- **პოლიციელ ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საბოლოო ოფიციალური ვერსია**

პოლიციელი ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე, სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასა ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით) და მე-4 ნაწილით (მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, დამნაშავედ იქნა ცნობილი ალექსანდრე ბიბილური. ალექსანდრე ბიბილური ავტოკოლონის მე-7 (შავი ფერის ტოიოტა ლენდ კრუიზერი, სახელმწიფო ნომრით CHG 001) მანქანას მართავდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 29 ივლისის განაჩენიდან ჩანს, რომ ალექსანდრე ბიბილურმა აღიარა დანაშაული, რის საფუძველზეც, მასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. სასჯელის სახით ალექსანდრე ბიბილურს განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. აქედან, 7 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დანარჩენი 5 წელი ჩაეთვალა პირობითად.

2011 წლის 21 აგვისტოს შსს-ს მიერ გავრცელებული გრაფიკული ვიდეო მასალის შესაბამისად, ალექსანდრე ბიბილურის მანქანა ვლადიმერ მასურაშვილს შეეჯახა თავისუფლების მოედნის მეტროს გასწვრივ მონაკვეთში ტრასაზე მანქანის ჩავლის დროს. [204]

ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ეპიზოდთან დაკავშირებით, 2011 წლის 29 ივლისის განაჩენში მითითებულია შემდეგი: *„ავტოკოლონაში მყოფი შავი ფერის „ტოიოტა ლენდ კრუიზერის“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მძღოლი ა. ბიბილური, წავიდა პოლიციელების მიმართულებით. კორდონში მყოფი პოლიციის თანამშრომლები ხელების მოძრაო-*

[203] იხ. http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/shemthkhveva/5048-shss-s-akhali-operatiuli-videomasala-bitsadzis-eskortis-shesakheb.html შენიშვნა: აღნიშნული ვიდეოს თაობაზე განჩინებაში მითითებული არ არის. აღნიშნულ ვიდეოზე მითითებას აკეთებს შსს მის მიერვე გავრცელებულ გრაფიკულ ვიდეო მასალაში.

[204] http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/shemthkhveva/5048-shss-s-akhali-operatiuli-videomasala-bitsadzis-eskortis-shesakheb.html

ბით ანიშნებდნენ აღნიშნული ავტომანქანის მძღოლს, რომ შეჩერებულიყო და დამორჩილებოდა მათ კანონიერ მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ შავი ფერის „ტოიოტა ლენდ კრუიზერის" მარკის ავტომანქანის მძღოლმა ა. ბიბილურმა დაინახა ეს ყველაფერი, ნაცვლად იმისა, რომ პოლიციის თანამშრომლებისთვის შესაძლებლობა მიეცა, გასცლოდნენ იმ ადგილს ან თავად აექცია გვერდი, მოუმატა სიჩქარეს და ავტომანქანის წინა მარჯვენა ნაწილით შეეჯახა პოლიციელების კორდონში მყოფ საქართველოს შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელს ვლადიმერ მასურაშვილს, რომელიც ათრია რამდენიმე მეტრი და მიწაზე ჩამოგდების შემდეგ უკანა მარჯვენა საბურავით გადაუარა მას სხეულზე, რის შემდეგაც მიიმალა შემთხვევის ადგილიდან, ხოლო ვლადიმერ მასურაშვილი გადაყვანილ იქნა საავადმყოფოში, სადაც, სხეულზე მიღებული სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებების შედეგად, გარდაიცვალა. "

განაჩენში მითითებულია, რომ ა. ბიბილურის აღიარებითი ჩვენების გარდა, მის მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენა დასტურდება სხვა მტკიცებულებებითაც: მოწმეების ა. გ..ძის, ა. ჩ..ვის, გ. ს...შვილის ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო, ავტოტრასოლოგიური, ტრასოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებით, ამოღებული ნივთებით, ვიდეო მასალით და სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

- **გამოძიების პირველადი და საბოლოო ვერსიების ანალიზი**

როგორც ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე გამოძიების საბოლოო ვერსიების ანალიზი აჩვენებს, ივანე ჩიღვინაძესა და შაქრია ზურაშვილს ბრალდება ამ ფაქტებზე, როგორც თავის დროზე შსს თავის ოფიციალურ განცხადებებში უთითებდა, არ წაყენებიათ.

ამასთან, როგორც ფაქტების ანალიზი აჩვენებს, შსს-ს მიერ 26 მაისს გავრცელებულ პირველ ვიდეოში ასახული ინციდენტი (თავისუფლების მოედნის დასაწყისში ავტოკოლონის გადაადგილების ეპიზოდი) არ უკავშირდება არც ნოდარ ცხადაძისა და არც ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებს. როგორც 2011 წლის 28 ივლისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით დასტურდება, ვიდეო მასალაში ასახულ ეპიზოდზე ბრალი ავტოკოლონის მეექვსე მანქანის (შავი ფერის, მერსედეს ბენცი, სახელმწიფო ნომრით SOF 204) მძღოლს ილია ზივზივაძეს წაეყენა, დაზარალებულად კი ამ ფაქტზე ცნობილი იქნა პოლიციის თანამშრომელი ვალერი ხუნჯუკაშვილი, რომელმაც ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.

რაც შეეხება შსს-ს მიერ გავრცელებულ მეორე ვიდეოს – ოპერატიულ მასალას, 21 აგვისტოს შსს-ს მიერ გავრცელებული გრაფიკული ვიდეო მასალის შესაბამისად, ალექსანდრე ბიბილურის მანქანა ვლადიმერ მასურაშვილს შეეჯახა თავისუფლების მოედნის მეტროს გასწვრივ მონაკვეთში ტრასაზე ავტოკოლონის ჩავლის დროს. თუმცა, განსახილველ ვიდეო მასალაში ა. ბიბილურის მართვის ქვეშ მყოფი მანქანა (შავი ფერის ტოიოტა ლენდ კრუიზერი, სახელმწიფო ნომრით CHG 001) საერთოდ არ ჩანს, შესაბამისად, შეუძლებელია, ის ასახავდეს ვ. მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ეპიზოდს. ამ მიმართებით აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 29 ივლისის განაჩენში სასამართლოს მიერ ჩამოთვლილ მტკიცებულებებში მითითებულია ვიდეო მასალა, თუმცა, განაჩენის შინაარსით, ისევე როგორც გამოძიების მიერ გასაჯაროებული ვიდეოების გათვალისწინებით, ბუნდოვანია, თუ რა გარემოებებს ასახავს და ადასტურებს აღნიშნული ვიდეო მასალა. განსახილველ ვიდეო მასალაში რეალურად ჩანს ნიკოლოზ ზაუტაშვილის მართვის ქვეშ მყოფი მანქანის აწევ-დაწევისა და რაიმე საგანზე მანქანის მარცხენა უკანა ნაწილით გადავლის ფაქტი. ეს საკითხი დეტალურად განხილულია 4.4.1 ქვეთავში, აქ მხოლოდ იმის მითითებით შემოვიფარგლებით, რომ აღნიშნული ვიდეო ასევე არ *შეიძლება* ადასტურებდეს ნოდარ ცხადაძეზე მანქანის შეჯახების/გადავლის ფაქტს.

ამდენად, შსს-ს, როგორც გამოძიების მწარმოებელი ორგანოს, პირველადი განცხადებები მომხდართან დაკავშირებით, არსებითად არ შეესაბამებოდა გამოძიების იმ შედეგებს, რომელიც მოგვიანებით მოცემულ საქმეებზე დადგა. მეტიც, შსს-ს მიერ გავრცელებული ვიდეო ოპერატიული მასალები, რომლებიც, შს სამინისტროსვე განცხადებით, სიცოცხლის ხელყოფის

ფაქტებს ადასტურებდა, რეალურად არ ასახავს ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებს.

5.3.4. ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმის ფაქტობრივი ანალიზი

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის სისხლის სამართლის საქმის მასალებზე დაშვების არქონის პირობებში, შეუძლებელია მომხდართან დაკავშირებით სრული სურათის აღდგენა, ან ამ კუთხით გამოძიების მიერ გაკეთებული დასკვნების უარყოფა/გაბათილება. თუმცა, სამუშაო ჯგუფის მიერ საქმეზე მუშაობის პროცესში მოპოვებული დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები იძლევა გამოძიების ოფიციალურ ვერსიასთან დაკავშირებით გარკვეული ეჭვებისა და შეკითხვების გაჩენის შესაძლებლობას.

ამ კონტექსტში ყურადღებას იმსახურებს რამდენიმე ფაქტობრივი გარემოება, რომელთა დეტალური ანალიზი ქვემოთ არის წარმოდგენილი.

1. **სავარაუდოდ ინციდენტის ამსახველი ვიდეო მასალის ანალიზი**

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის განაჩენით იქნა დადგენილი, ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტობრივ გარემოებებს გამოძიება თავისუფლების მოედნის მეტროსთან ავტოკოლონის მანქანების მიერ პოლიციელების კორდონის გარღვევის ინციდენტს უკავშირებს.

ამ მიმართებით შსს-მ გაავრცელა გრაფიკული ვიდეო მასალა, რომელიც ნიკოლოზ ზაუტაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდების ფაქტებს ეხება. ვიდეო მასალაში ასახულია ეროვნული მუზეუმიდან თავისუფლების მოედნის მეტრომდე ტრასაზე ავტომანქანების კოლონის მოძრაობა.[205] ვიდეოში ჩანს, რომ ავტომანქანების კოლონას უკან მოჰყვება აქციის მონაწილეების საკმაოდ დიდი ნაწილი. ტრასის ამ მონაკვეთში მანქანების კოლონა დაბალი სიჩქარით გადაადგილდება და აქციის მონაწილეები მას ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯით მიჰყვებიან. დაახლოებით თავისუფლების მოედნის მეტროს გასწვრივ ტრასის მონაკვეთზე კორდონად განთავსებულია სპეცდანიშნულების რაზმი, რომელსაც ტრასა მთლიანად აქვს გადაკეტილი. თავისუფლების მეტროსთან მდებარე გაჩერების ზემოთ ტრასაზე პიკაპის ტიპის ავტომობილი არღვევს კორდონს და შედარებით მაღალი სიჩქარით იწყებს სვლას. მას უკან მიჰყვება კოლონის მეორე მანქანა შავი ფერის ტოიოტა ლენდ კრუიზერი პრადო. ამ მომენტში კოლონის მეორე მანქანას *თითქმის* პარალელურად უკან მისდევს 3 ავტომანქანა, კერძოდ, თავისუფლების მოედნის მეტროს მხარეს გადაადგილდება ივანე ჩიღვინაძის მართვის ქვეშ მყოფი მანქანა (თეთრი ფერის ტოიოტა ლენდ კრუიზერ 200, სახელმწიფო ნომრით QSQ 808), გზის შუა ნაწილი უკავია ნიკოლოზ ზაუტაშვილის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანას (კრემისფერ ტოიოტა რანერი, სახელმწიფო ნომრით MIS 672) გზის მარცხენა ნაწილზე კი, გადაადგილდება კობა კობაურის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა (მოოქროსფრო-მოვერცხლისფრო ტოიოტა ლენდ კრუიზერი, სახელმწიფო ნომრით VSV 888). რაღაც მომენტში უკანასკნელი ავტომობილი წინაურდება და მის უკან ექცევა ნიკოლოზ ზაუტაშვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილი. ამ ეპიზოდში ვიდეო მასალაში ფიქსირდება ნიკოლოზ ზაუტაშვილის მართვის ქვეშ მყოფი მანქანის აწევ-დაწევის ფაქტი.

შეფასებას მოითხოვს საკითხი, ასახავს თუ არა შსს-ს მიერ წარმოდგენილი ვიდეო მასალა უშუალოდ ნოდარ ცხადაძის სხეულთან მანქანის შეჯახების ან გადავლის ფაქტს?

საქმის ირგვლივ შეკრებილი ინფორმაცია მიუთითებს, რომ აღნიშნული ვიდეო არ უნდა ასახავდეს ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის ინციდენტს. სამუშაო ჯგუფის აღნიშნული მტკიცება ეფუძნება შემდეგ არგუმენტებს:

---

[205] ხელმისაწვდომია: http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/shemthkhveva/5048-shss-s-akhali-operatiuli-videomasala-bitsadzis-eskortis-shesakheb.html

განსახილველ ეპიზოდთან დაკავშირებით, ავტოკოლონის ერთ-ერთი მძღოლის, შაქრია ზურაშვილის ადვოკატის, ნათია კორკოტაძის განცხადების საფუძველზე, ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში 2011 წლის 22 ივლისს ჩატარდა ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა. ექსპერტის დასკვნაში აღნიშნულია: *„[..] ჩანაწერის აღწარმოებისას მასზე აღმოჩნდა ავტოკოლონის მოძრაობა, რომელსაც გვერდით მოჰყვება ადამიანების ჯგუფი. ავტომობილები მიემართებიან მათ წინ მდგარ ადამიანთა ჯგუფის მიმართულებით. ავტომობილების შეჯახება ადამიანთან ან რაიმე უცხო სხეულთან კადრში არ ჩანს. კადრი დაბალი ხარისხისაა და ზოგიერთ მომენტში ხდება კადრის შექანება და ხილვადობის გაუარესება. კადრში დაფიქსირებულია ავტომობილის მკვეთრი აწევა და დაწევა სავალი ნაწილიდან, რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია რაიმე საგანზე გადავლით.“* ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ ეს ავტომობილი ექვსი ავტომობილისგან შემდგარ კოლონაში არის მეხუთე, ბოლოს წინა.

2011 წლის 28 ივლისის განაჩენში მითითებულია, რომ ნიკოლოზ ზაუტაშვილის მართვის ქვეშ მყოფი მანქანა შეეჯახა ნოდარ ცხადაძეს, წააქცია და ავტომანქანის საბურავით გადაუარა მას. განაჩენის ტექსტი არ აღწერს იმ კონკრეტულ გარემოებებს, თუ რომელი ნაწილით შეეჯახა და გადაუარა მანქანამ დაზარალებულს. ამის მიუხედავად, ჩატარებული ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით ნათელია, რომ ვიდეო მასალა არ ასახავს ადამიანთან შეჯახების ფაქტს. შესაბამისად, ნოდარ ცხადაძესთან შეჯახების ფაქტს ვიდეო მასალა არ შეიძლება ადასტურებდეს.

აღსანიშნავია, რომ ვიდეო მასალა, მისი ხარისხისა და რაკურსის გათვალისწინებით, არ იძლევა იმ პირების იდენტიფიცირების საშუალებას, რომლებიც მანქანის სიახლოვეს იმყოფებიან. თუმცა, ვიდეოში ჩანს, რომ ავტომანქანის აწევ-დაწევის შემდეგ, მის სიახლოვეს გზაზე აღინიშნება დავარდნილი ადამიანის სხეული, რომელსაც ზედატანზე თეთრი ფერის ჰორიზონტალური ნათება ეტყობა. როგორც სხვა ვიდეოებთან შედარება აჩვენებს, ეს პოლიციელის ფორმის ზედატანზე წარწერის ანარეკლი უნდა იყოს. ამასთან ვიდეოში ჩანს, რომ ამ პირის მიმართ, სავარაუდოდ, აქციის მონაწილეები თეთრი ფერის ჯოხებს იყენებენ, რაც მიუთითებს იმ გარემოებას, რომ ეს პირი აქციის მონაწილე არ უნდა ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ გამოძიებამ განსახილველ ეპიზოდთან დაკავშირებით ნიკოლოზ ზაუტაშვილი ბრალდებულად ცნო ასევე ორი პოლიციელის – მამუკა ხაჩიძისა და გიორგი გეგეჭკორის ჯანმრთელობის დაზიანებისთვის. შესაბამისად, ეს ფაქტები კიდევ უფრო აძლიერებს იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ შსს-ს მიერ გავრცელებული ვიდეო მასალა არ უნდა ასახავდეს ნოდარ ცხადაძეზე ნიკოლოზ ზაუტაშვილის მართვის ქვეშ მყოფი მანქანის შეჯახების ფაქტს. ამ მტკიცებასთან კავშირში აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 2011 წლის 28 ივლისის განაჩენში ჩამოთვლილ მტკიცებულებებს შორის, განაჩენის დამდგენი სასამართლო, არსად უთითებს საქმეში არსებულ ვიდეო ოპერატიულ მასალას.

ამდენად, შსს-ს მიერ გავრცელებული ოპერატიული ვიდეო მასალის კრიტიკული ანალიზი აჩვენებს, რომ ის არ შეიძლება ასახავდეს ნიკოლოზ ზაუტაშვილის მართვის ქვეშ მყოფი მანქანის ნოდარ ცხადაძეზე შეჯახების ფაქტს. შესაბამისად, შსს-ს მიერ გამოქვეყნებული ვიდეო მასალით არ დასტურდება სადავო ფაქტი. ეს გარემოება კი, კიდევ უფრო ართულებს ბრალდების მტკიცების ტვირთს, სხვა მტკიცებულებებით დაადასტუროს ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის ვერსია. ამასთან, აღნიშნული გარემოება ასევე მიუთითებს, რომ, მოცემულ საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, გამოძიებას საზოგადოებისთვის რეალურად არ წარუდგენია არც ერთი მტკიცებულება, რომელიც ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტობრივ გარემოებებს ადასტურებს.

2. **შემთხვევის ადგილის სიტუაციური ანალიზი**

ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, გარკვეული შეკითხვები ჩნდება შემთხვევის ადგილთან დაკავშირებით. შსს-ს მიერ გავრცელებული გრაფიკული ვიდეო მასალის შესაბამისად, ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის ინციდენტი მეტრო თავისუფლების მოედნის გასწვრივ ტრასაზე მოხდა. თუმცა, როგორც მედია საშუალებების მიერ გადაღებული ვიდეო და ფოტო მასალა, ასევე, სამუშაო ჯგუ-

ფის მიერ დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები[206] ადასტურებს, ნოდარ ცხადაძის გვამი აღმოჩენილ იქნა შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 100 მეტრში, გზის მარცხენა მხარეს, მაღაზია Adidas-ის გასწვრივ მდებარე ბორდიურთან.

ამ ფაქტობრივ მოცემულობაში წარმოიშობა შეკითხვა, თუ რატომ და როგორ შეიძლებოდა მოხვედრილიყო ნოდარ ცხადაძის გვამი შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 100 მეტრით დაშორებულ მანძილზე?

იმ ფონზე, როდესაც შსს-ს მიერ გავრცელებული ვიდეო მასალით არ დასტურდება ნიკოლოზ ზაუტაშვილის მართვის ქვეშ მყოფი მანქანის ნოდარ ცხადაძეზე შეჯახების ფაქტი, პირველ რიგში შეფასებას მოითხოვს, შეიძლებოდა თუ არა, ავტოსაგზაო შემთხვევა მომხდარიყო იმ ადგილას, სადაც ნოდარ ცხადაძის გვამია დაფიქსირებული მედია საშუალებების მიერ გავრცელებულ ვიდეო და ფოტო მასალაში. როგორც 25-ე არხის მიერ გავრცელებული ვიდეო მასალა ადასტურებს, ამ ადგილას, რომელიც აღნიშნულ კადრებში კარგად ჩანს, ავტოკოლონის მანქანების ჩავლის დროს რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.[207]

ამ ფაქტობრივ მოცემულობაში წარმოიშობა შეკითხვა, თუ როგორ და რატომ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ნოდარ ცხადაძის გვამი შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით? ნოდარ ცხადაძისთვის მიყენებული ტრავმებისა და დაზიანებების გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო, იგი თავისით გადაადგილებულიყო ამ მანძილზე. მით უმეტეს, განჩინებაში მითითებულია, რომ მას სერიოზული დაზიანება ჰქონდა მიღებული ფეხზე (მუხლზე), რის შედეგადაც ის გარდაიცვალა. თუ დავუშვებთ, რომ ნოდარ ცხადაძე გზის სავალი ნაწილიდან პოლიციის თანამშრომლებმა გადაიყვანეს, საეჭვო ხდება, მძიმე მდგომარეობაში მყოფი პიროვნება დანაშაულის ადგილიდან პოლიციას ამ მანძილზე რატომ უნდა გადაეადგილებინა? საგულისხმოა, რომ მტკიცებულებების/კვალის შენახვის მიზნით, პოლიცია ვალდებული იყო, შემთხვევის ადგილზე მოეხდინა დაზარალებულის ადგილმდებარეობის ფიქსირება (მათ შორის, შემთხვევის ადგილის ვიდეო და ფოტო გადაღება) და მხოლოდ მას შემდეგ გადაეადგილებინა იგი. აღსანიშნავია, რომ გამოძიებას არ გამოუქვეყნებია აღნიშნული ფოტო/ვიდეო მასალა. ცხადია, თუ არსებობდა დაზარალებულის სიცოცხლის და ჯანმრთელობის ხელყოფის რისკები, პოლიცია უფლებამოსილი იყო, დაზარალებული დაუყოვნებლივ გადაეყვანა შემთხვევის ადგილიდან სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად. თუმცა, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს, ინციდენტიდან (ავტოკოლონის მანქანების გასვლა აქციის ტერიტორიიდან) დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგაც ნოდარ ცხადაძე არ იყო გადაყვანილი საავადმყოფოში და ის აქციის ტერიტორიაზე მიწაზე ესვენა (ამასთან დაკავშირებით, ვრცლად იხილეთ ქვემოთ). თუ დავუშვებთ, რომ ნოდარ ცხადაძე შემთხვევის ადგილიდან მაღაზია Adidas-ის გასწვრივ ბორდიურთან პოლიციამ გადაიყვანა, მით უფრო საეჭვოა, რატომ გადააადგილა პოლიციამ დაზარალებული ადამიანი 100 მეტრის მანძილზე (მაშინ, როდესაც ამ მანძილზე დაზარალებულის გადაადგილება მისი ჯანმრთელობისთვის საზიანო შეიძლებოდა ყოფილიყო) და რატომ არ გადაიყვანა პოლიციამ ის გზის სავალი ნაწილიდან იქვე მდებარე ტროტუარზე?

შემთხვევის ადგილის ანალიზის კონტექსტში აღსანიშნავია ერთი ფაქტობრივი გარემოება, რომელზეც მედია საშუალებები 26 მაისის შემდეგ უთითებდნენ[208] და რომელიც გამოძიების მხრიდან სათანადო რეაგირებას/გაბათილებას ითხოვდა. 25-ე არხის მიერ გადაღებულ ვიდეო მასალაში ჩანს, როგორც კი ავტოკოლონის მანქანები თავისუფლების მოედნის მიმართულებით გადაადგილდებიან ტრასის ამ მონაკვეთზე (რუსთაველის ქუჩა პუშკინის სკვერამდე), სპეცრაზმელების ჯგუფი ედევნება აქციის ერთ-ერთ მონაწილეს (აღნიშნული პირის გარეგნობა ვიდეოში არ ჩანს) და მას 10-ზე მეტი სპეცრაზმელი, მაღაზია Adidas-ის გასწვრივ მდებარე რკინის ღობესთან, ტრასის პირას, ხელკეტებით სასტიკად სცემს. სამუშაო ჯგუფმა შემთხვევის ად-

[206] აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს მოწმის - ოთარ ცხადაძის, ასევე ჟურნალისტების - იან კარვერსა და ჯეფრი კ. სილვერმენის ახსნა-განმარტებები.

[207] იხ. http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/shemthkhveva/5014-eskortis-chavla-kadrebi-ganskhvavebuli-rakursith.html

[208] 2011 წლის 5 ივნისის გადაცემა „კვირის რეპორტაჟი“. ხელმისაწვდომია: http://www.youtube.com/watch?v=LiQ0d6h_oWk

გილი დაათვალიერა. დათვალიერებამ აჩვენა, რომ 25-ე არხის ვიდეო მასალაში ასახული ადგილი აბსოლუტური სიზუსტით ემთხვევა იმ ადგილს, სადაც, მედია საშუალებების მიერ გავრცელებული ვიდეო და ფოტო მასალის შესაბამისად, ნოდარ ცხადაძის სხეული იყო განთავსებული (ამასთან დაკავშირებით, იხილეთ აღნიშნული ფოტო და ვიდეო მასალის ანალიზის ამსახველი ფოტო კოლაჟი). ცხადია, მითითებული გარემოება, ცალკე აღებული, არ იძლევა რაიმეს პოზიტიური მტკიცების საშუალებას და მისი შეფასება მხოლოდ საქმის ირგვლივ გამოძიების მიერ მოპოვებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში უნდა მოხდეს.

მედია საშუალებებში გავრცელებული ვიდეო და ფოტო მასალა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (რომელიც გამომძიებელს ავალდებულებს, გამოძიება **ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად** აწარმოოს), გამოძიების მხრიდან სათანადო რეაგირებას მოითხოვდა. თუმცა, გამოძიების მიმდინარეობისა და მისი შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული შეკითხვები რეალურად პასუხგაუცემელი რჩება, რაც გამოძიების ეფექტურობის მიმართ ეჭვებს ბადებს.

იმ ადგილების შედარება, სადაც მოხდა სადავო ინციდენტი და სადაც აღმოჩენილი იქნა ნ. ცხადაძის გვამი

ადგილი, სადაც მოწმეების მიერ აღმოჩენილი იქნა ნ. ცხადაძის სხეული

ადგილი, სადაც შსს ინფორმაციით ნ. ზაუტაშვილის მართვის ქვეშ მყოფი მანქანა შეეჯახა ნ. ცხადაძეს

ადგილი, სადაც 25-ე არხის მიერ გადაღებულ ვიდეოში სპეცრაზმელების ჯგუფი სასტიკად სცემს აქციის მონაწილეს

მაღაზია "Adidas"-ის წინ მდებარე გზის მონაკვეთი.

3. ნოდარ ცხადაძისთვის დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პრობლემა

აღსანიშნავია, რომ როგორც სამუშაო ჯგუფის მიერ დაკითხული ჟურნალისტები იან კარვერი და ჯეფრი კ. სილვერმენი საიასთვის მიცემულ ახსნა-განმარტებებში იხსენებენ, ნოდარ ცხადაძის გვამს პოლიცია ყურადღებას არ აქცევდა და მასთან სასწრაფო დახმარების გამოძახება მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც ჟურნალისტებმა პოლიციას მიმართეს და ადგილზე მიიყვანეს. მათი განმარტებით, ამ დროს ნოდარ ცხადაძე უკვე გარდაცვლილი იყო. კერძოდ, სილვერმანის განმარტებით, როდესაც *მან პირველად ნახა ნოდარ ცხადაძის სხეული, იმ ადგილის სიახლოვეს არავინ იყო და მხოლოდ მისი დაბეჯითებით მოთხოვნის შემდეგ მივიდა სასწრაფო დახმარების მანქანა და პოლიცია.*

ჟურნალისტებმა ნოდარ ცხადაძე მაშინ ნახეს, როდესაც აქციის დაშლის ოპერაცია თითქმის უკვე დასრულებული იყო. მათი განმარტებით, ამ დროს, კინოთეატრ „რუსთაველიდან“ უკვე ხდებოდა დაკავებული პირების გამოყვანა.

დაახლოებით ამავე დროს და სიტუაციაში ნახა ნოდარ ცხადაძე მისმა ძმისშვილმა ოთარ ცხადაძემაც. მოწმე თავის ახსნა-განმარტებაში იხსენებს, რომ როცა ის მისი ცემიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ თავისუფლების მოედნისკენ ჩაიყვანეს, მაღაზია Adidas-ის გასწვრივ რკინის ღობესთან ნახა ნოდარ ცხადაძე.

როგორც ცნობილია, ავტოკოლონის მანქანებმა აქციის ტერიტორია აქციის დაშლის ოპერაციის საწყის ეტაპზევე დატოვეს. შესაბამისად, მანქანის შეჯახებიდან იმ დრომდე, როდესაც ჟურნალისტებმა ნოდარ ცხადაძისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით ექიმებს დაუძახეს, საკმაოდ დიდი დრო (დაახლოებით ნახევარი საათი) იყო გასული. მთელი ამ ხნის განმავლობაში ნოდარ ცხადაძე არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო სამედიცინო დახმარებით და იგი არ იქნა გადაყვანილი საავადმყოფოში.

ცხადია, ნ. ცხადაძისთვის მიყენებული დაზიანებების გათვალისწინებით, ცალკე შეფასებას მოითხოვს, ექნებოდა თუ არა შედეგი მისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, თუმცა, პოლიცია ვალდებული იყო, მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით დაეცვა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რაც მას, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს, არ გაუკეთებია.

ნ. ცხადაძისთვის დაგვიანებით სამედიცინო დახმარების აღმოჩენის დამადასტურებელი ფოტო მასალა.

5.3.5. ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის შეფასება

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამუშაო ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას, ჰქონოდა დაშვება ნიკოლოზ ზაუტაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მასალებზე, რთულია გამოძიების ზედმიწევნითობის და ეფექტიანობის დეტალური შეფასება. თუმცა, სამუშაო ჯგუფის ხელთ არსებული ფაქტები იძლევა გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით დასაბუთებული ეჭვების მტკიცების შესაძლებლობას. *კერძოდ:*

1. **გამოძიების კვალიფიციურობის პრობლემა მოცემულ საქმეში**

გამოძიების პირველივე დღეს ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმესთან დაკავშირებით შსს-მ, რომელიც გამოძიების მწარმოებელი ორგანო იყო, წინასწარი შეფასებები და დასკვნები გააკეთა ისე, რომ საქმეზე არ იყო ჩატარებული სათანადო საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, გვამის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. 26 მაისის განცხადებაში გაკეთებულ შეფასებას, რომ ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის მიზეზი ავტომანქანის შეჯახება გახდა, შსს აფუძნებდა მხოლოდ გვამის ზედაპირული დათვალიერების შედეგებს, რაც, ცხადია, მოკლებული იყო სათანადო კვალიფიკაციასა და დასაბუთებას.

მეტიც, თავის განცხადებაში შსს მიუთითებდა კონკრეტულ პიროვნებებზე (ივანე ჩიღვინაძე და შაქრია ზურაშვილი), რომელთა ბრალეულ ქმედებასაც უკავშირებდა ნოდარ ცხადაძისა და პოლიციელ ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებს. ამ კონტექსტში შსს-მ ივანე ჩიღვინაძის აღიარებითი ჩვენებაც გაავრცელა. თუმცა, გამოძიების პირველი საჯარო განცხადებების საწინააღმდეგოდ, აღნიშნულ პიროვნებებს ამ ფაქტებთან დაკავშირებით ბრალდება არ წაყენებიათ. ნიკოლოზ ზაუტაშვილის კი, ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმესთან დაკავშირებით ბრალდება მხოლოდ მოგვიანებით, საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე ერთი დღით ადრე, 2011 წლის 27 ივლისს წაეყენა. ხოლო შსს-ს მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებების დროს ნიკოლოზ ზაუტაშვილი ჯერ დაკავებულიც არ იყო.

2. **გამოძიების დამოუკიდებლობის პრობლემა მოცემულ საქმეში**

2011 წლის 2 ივნისს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში (დავით პაიჭაძის გადაცემა „დიალოგი“) შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა განაცხადა, რომ *„არც ერთი ადამიანის სიკვდილი, არც პირდაპირ და არც ირიბად, არ იყო პოლიციის ქმედების შედეგი, [...].“*[209] ცხადია, შსს-ს მაღალჩინოსნის მიერ გამოძიების საწყის ეტაპზე გაკეთებული ამგვარი შეფასებები და დასკვნები გავლენას ახდენდა გამოძიების შედეგებსა და, საბოლოოდ, მის ობიექტურობაზე.

26 მაისს და, შემდეგ, 2 ივნისს შსს-ს მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადებები აჩვენებს, რომ შსს, რომელიც ამ საქმეზე გამოძიების მაწარმოებელი ორგანო იყო, გამორიცხავდა ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმის სხვაგვარი ვერსიით გამოძიების შესაძლებლობას. შსს-მ საქმეზე შემაჯამებელი ხასიათის შეფასებები გააკეთა მაშინ, როდესაც ამ ეტაპისთვის კონკრეტულ პიროვნებას ბრალიც კი არ ჰქონდა წაყენებული. გამოძიების პირველივე დღეებში შსს-ს მაღალჩინოსნის მიერ გაკეთებული ამგვარი განცხადებები გავლენას ახდენდა გამოძიების მიმდინარეობასა და მის ობიექტურობაზე და გამორიცხავდა მისი დაქვემდებარების ქვეშ მყოფი გამომძიებლების მხრიდან საქმის სხვაგვარად (სხვა ვერსიით) გამოძიების შესაძლებლობას. **ამდენად, შსს-ს ამგვარი განცხადებები *იმთავითვე* გავლენას ახდენდა და სადავოს ხდიდა გამოძიების დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.**

მეტიც, ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე გამოძიებამ არ დაიცვა ინსტიტუციური დამოუკიდებლობის სტანდარტი. *სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქვემდებარობის განსაზღვრის თაობაზე* საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 29 სექტემბრის (№178) ბრძანების შესაბამისად, პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულები, აგრეთვე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, *ინტერ ალია,* 332-ე-335-ე, 337-ე-342-ე მუხლებით (მათ შორის ექცევა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, სამსახურებრივი გულგრილობა) გათვალისწინებული დანაშაულები პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარობას განეკუთვნება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, აღნიშნული ნორმები განიმარტება შემდეგნაირად: როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ სადავო დანაშაული შეიძლება პოლიციელის მიერ იყო ჩადენილი, ან სადავო ფაქტი სისხლის სამართლის კოდექსის e.g. 332-ე,

[209] გადაცემა “დიალოგი დავით პაიჭაძესთან”, ხელმისაწვდომია, http://www.1tv.ge/Video-View.aspx?VID=5152&Loc=58&CatID=1&LangID=1

333-ე და 342-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას შეეხება, საქმე პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარობას განეკუთვნება.

ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე, ისევე როგორც აქციის მოვლენებთან კავშირში მყოფ ადამიანთა უფლებათა დარღვევის სხვა ფაქტები, გამოსაძიებლად პროკურატურას უნდა გადასცემოდა. პოლიციელთა ბრალეული მონაწილეობის მტკიცებას გვერდი რომც ავუაროთ, მხოლოდ ის ფაქტი, რომ აქციის მოვლენებთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები დაკავშირებული იყო/შეიძლებოდა ყოფილიყო პოლიციელების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა ან სამსახურებრივ გულგრილობასთან, აღნიშნული საქმეები გამოსაძიებლად პროკურატურას უნდა გადასცემოდა, რაც განსახილველ შემთხვევაში (ისევე, როგორც სხვა საქმეებში) არ მომხდარა.

3. ეფექტიანი დაცვის უფლების განხორციელების პრობლემა მოცემულ საქმეში

ბრალდების მტკიცებების დასაბუთებულობისა და საკმარისობის შეფასება ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე უფრო რთულდება იმის გამოც, რომ გამოძიების დროს ეფექტიანი დაცვის უფლებით არ უსარგებლია არც ბრალდების მხარეს და არც დაზარალებულს.

ბრალდებულად ნიკოლოზ ზაუტაშვილი მხოლოდ 2011 წლის 27 ივლისს იქნა ცნობილი, როდესაც მან აღიარა დანაშაული. მეორე დღეს მის მიმართ საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს სასამართლოსთვის ბრალდების მტკიცების სტანდარტი დაბალია და, აღიარებითი ჩვენების გარდა, სხვა მტკიცებულებები მხოლოდ *prima facie* უნდა ადასტურებდეს პირის ბრალეულობის საკითხს. ამდენად, მოცემულ საქმეზე ბრალდების მიერ შეგროვებული მტკიცებულებების სრულყოფილი განხილვა და მათი სარწმუნოობისა და საკმარისობის შეფასება რეალურად არ მომხდარა.

ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ისედაც შეზღუდული პროცესუალური შესაძლებლობების ფონზე, მოცემულ საქმეზე დაზარალებულის უფლებამონაცვლეებს არ მოუხდენიათ გამოძიების წინაშე საკუთარი ინტერესების ეფექტიანი წარმოდგენა და დაცვა. ისინი თავს იკავებდნენ უფლებადამცველ ორგანიზაციებსა თუ მედიასთან ყოველგვარი ურთიერთობისგან. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ერთი საინტერესო გარემოება. როგორც სამუშაო ჯგუფისთვის გახდა ცნობილი, მოცემულ საქმეზე გამოძიების მიერ დაზარალებულ პირად ცნობილი იქნა ნოდარ ცხადაძის ძმა ო. ცხადაძე და არა მისი მეუღლე ან/და სრულწლოვანი შვილები. საქმეზე მუშაობის პროცესში სამუშაო ჯგუფს კონტაქტი ჰქონდა ნ. ცხადაძის ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და ის ფაქტი, რომ ისინი უარს აცხადებდნენ ყოველგვარ კომუნიკაციაზე, სწორედ ნოდარ ცხადაძის ძმის გავლენით აიხსნება, რომელიც, როგორც თავად აცხადებს, ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერია.

4. გამოძიების ყოველმხრივობისა და ზედმიწევნითობის პრობლემა მოცემულ საქმეში

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში ეფექტური გამოძიების მოთხოვნა ითვალისწინებს, რომ მიმდინარე გამოძიება უნდა აკმაყოფილებდეს ზედმიწევნითობის კრიტერიუმს, რაც გულისხმობს შემდეგს: *გამოძიება უნდა მოიცავდეს ყველა გონივრული ღონისძიების განხორციელებას, რათა მოპოვებული იქნეს შესაბამის ინციდენტთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება. ამ მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს „ყველა გონივრული ნაბიჯის“ ან ჯეროვანი მცდელობის განხორციელების ზოგად მოთხოვნას.*

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ გამომძიებელი ვალდებულია, გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია [...] დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შეჯიბრებითი ბუნების მიუხედავად, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (ასევე, ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების) შესაბამის-

ად, ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოთ მითითებული ნორმების გათვალისწინებით, გამოძიება ვალდებულია, სრულყოფილად და ყოველმხრივ გამოიძიოს საქმე და მოიპოვოს პირის როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებები. აღნიშნული ვალდებულების საჭიროება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება იმ სიტუაციაში, როდესაც გამოძიება ფაქტზე იწყება და კონკრეტულ პირს ბრალდება შეიძლება რამდენიმე ხნის შემდეგ წარედგინოს, როდესაც საქმეზე არსებითი ხასიათის მტკიცებულებების მოპოვება დაცვის მხარისთვის უკვე შეუძლებელი ხდება, რაც თავისთავად გამორიცხავს ბრალდებულისთვის ეფექტიანი დაცვის უფლების განხორციელების შესაძლებლობას.

შესაბამისად, გამოძიება ვალდებული იყო, ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე ჩაეტარებინა ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოძიება. ნიკოლოზ ზაუტაშვილისთვის ბრალდების წარდგენამდე (2011 წლის 27 ივლისი) გამოძიებას ჰქონდა 2 თვე იმისთვის, რომ უზრუნველეყო ეფექტიანი გამოძიების ჩატარება და, მათ შორის, საქმეზე ყველა არსებითი ხასიათის მტკიცებულების მოძიება. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც სამუშაო ჯგუფს სისხლის სამართლის საქმის მასალებზე დაშვება არ გააჩნია, აღნიშნული საკითხის შეფასება შეუძლებელია. თუმცა, საქმის ყოველმხრივი გამოძიებისთვის მნიშვნელოვანია რამდენიმე გარემოების ხაზგასმა, რომელიც გამოძიების მხრიდან ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ზედმიწევნითობის ინდიკატორი შეიძლება იყოს და რომელიც მთავრობის მხრიდან პასუხების გაცემას მოითხოვს. კერძოდ:

1. გამოძიების მიერ დაკითხულ მოწმეებს შორის, როგორც ეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის განაჩენშია მითითებული, იყვნენ თუ არა აქციის მონაწილეები, ჟურნალისტები, რომლებიც დაადასტურებენ ნიკოლოზ ზაუტაშვილის მანქანის მიერ ნოდარ ცხადაძეზე შეჯახების ფაქტს, ან სხვაგვარად მიუთითებდნენ სადავო ფაქტზე.

საქმეზე მუშაობის პროცესში სამუშაო ჯგუფი, მისი შეზღუდული რესურსების ფარგლებში, შეეცადა ისეთი მოწმის (აქციის მონაწილის, ჟურნალისტის) მოძიებას, რომელიც ნიკოლოზ ზაუტაშვილის მართვის ქვეშ მყოფი მანქანის ნოდარ ცხადაძეზე შეჯახების ფაქტს დაადასტურებდა, თუმცა მან ეს ვერ შეძლო.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებები ამ მიმართებით არ შეიძლება იყოს საკმარისი საფუძველი მტკიცებისთვის. ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Lisica v. Croatia* განაცხადა, რომ პოლიცია არის სახელმწიფო აპარატის ნაწილი და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ის შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ბრალდების მხარის მოკავშირე.[210] ამდენად, გამოძიების ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია, რომ დაკითხულიყვნენ არა მხოლოდ პოლიციელები, არამედ აქციის მონაწილეები, ჟურნალისტები და სხვა ნეიტრალური მოწმეები, ვინც მომხდარს დაადასტურებდა. მით უფრო, რომ სადავო ინციდენტის დროს ადგილზე აქციის ბევრი მონაწილე იმყოფებოდა.

გამოძიების ზედმიწევნითობის შეფასების კუთხით, აღსანიშნავია, რომ არც ერთი ის მოწმე, რომელსაც სამუშაო ჯგუფმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა (იან კარვერი, ჯეფრი კ. სილვერმანი, ოთარ ცხადაძე), გამოძიების მიერ დაკითხული არ ყოფილა.

2. ჩატარდა თუ არა ექსპერტიზა, *მათ შორის,* ქიმიური ექსპერტიზა, რომელიც ნოდარ ცხადაძის ტანსაცმელზე, სხეულზე დატოვებულ კვალსა და ნიკოლოზ ზაუტაშვილის მართვის ქვეშ მყოფ მანქანას შორის კონტაქტს (შეჯახებას, გადავლას) დაადასტურებდა. მათ შორის, კონკრეტულად ნიკოლოზ ზაუტაშვილის მართვის ქვეშ მყოფი მანქანის მიკრონაწილაკები აღმოჩენილ იქნა თუ არა ნოდარ ცხადაძის სხეულსა და სამოსზე. ამასთან, ტრასოლოგიური ექსპერტიზის ფარგლებში (თუ ეს უკვე ფაქტობრივად შეუძლებელი არ იყო), დადასტურდა თუ არა ნ. ზაუტაშვილის მანქანის მიერ ნ. ცხადაძის დაჯახების ფაქტი.

3. რამდენად იმპერატიული იყო სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომ ნ. ცხადაძისთვის მიყენებული დაზიანებები სატრანსპორტო საშუალების დაჯახებამ/გადავლამ გამოიწვია. მათ შორის, მოხდა თუ არა შესწავლა, გამორიცხული იყო თუ არა ნ. ცხადაძისთ-

[210] *Lisica v. Croatia*, application #*20100/06*, *judgement of 25 February 2010, §56.*

ვის ამგვარი დაზიანებების მიყენება სხვაგვარად, მათ შორის, მასზე ფიზიკური ზემოქმედების შედეგად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ არსებობს დასაბუთებული შეკითხვები და ეჭვები ნ. ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, რაც სახელმწიფოს მხრიდან სათანადო განმარტებებს მოითხოვს.

5.3.6. მოცემულ საქმეზე სახელმწიფოს მიერ მისი პოზიტიური ვალდებულების დარღვევა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის გაგებით

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, სახელმწიფომ ისე დაგეგმოს აქციის დაშლა, რომ მინიმიზებული იყოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკები. ამასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამოწმებს, თუ რამდენად ჰქონდა პოლიციას შესაძლებლობა (დრო, შექმნილი სიტუაცია, სამართალდამრღვევის და მესამე პირების ქცევა და ა.შ.), სათანადოდ დაეგეგმა ოპერაცია. საქმეში *„Rehbock v. Slovenia“* ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ *„მოცემულ საქმეში განმცხადებლის დაკავების ოპერაცია არ განხორციელდა იმ იშვიათ პირობებში, როდესაც პოლიცია მოულოდნელი მოვლენების წინაშე დგება და წინასწარი მომზადების გარეშე უწევს მათზე რეაგირება. საქმეში არსებული მასალები მიუთითებს, რომ პოლიციას წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი განმცხადებლის დაკავების ოპერაცია, გააჩნდა საკმარისი დრო, შეეფასებინა შესაძლო რისკები და მიეღო აუცილებელი ზომები დაკავების ოპერაციის ჯეროვნად განხორციელების მიზნით.”*[211] აღნიშნულის იდენტურად, საქმეში *„Muradova v. Azerbaijan“ ევროპულმა სასამართლომ მიუთითა: „[მოცემულ საქმეში] არ ჩანს, რომ ხელისუფლებას რეაგირება უწევდა აბსოლუტურად შემთხვევით პირობებში, მოუმზადებელი ფორმით, რომ არ ჰქონდა შესაძლებლობა, შეეფასებინა მოვლენები და მიეღო რაღაც ზომები მაინც არააუცილებელი რისკების თავიდან ასაცილებლად, რათა თავიდან აეცილებინა განურჩეველი და უწესრიგო ძალის გამოყენება.“*[212]

ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეების კონტექსტში, არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიციის მიერ აქციის დაშლის მომზადებისა და, კონკრეტულად, აქციის ტერიტორიიდან ავტოკოლონის მანქანების გასვლის ეპიზოდში პოლიციის ქცევის (ოპერაციული გეგმისა და მისი შესრულების) შეფასებას. როგორც ანგარიშის მესამე თავში იქნა წარმოდგენილი, პოლიციას გააჩნდა საკმარისი დრო (დაახლოებით – 8 საათი, მინიმუმ – 4 საათი) აქციის დაშლის ოპერაციის დასაგეგმად. ამ დროის განმავლობაში აქციის მონაწილეების მხრიდან ადგილი არ ჰქონია სიტუაციის ესკალაციას ან/და მოულოდნელ მოქმედებებს, ამდენად, პოლიციას განჭვრეტად და ჰომოგენურ გარემოში უწევდა ოპერირება. აქციის დაშლის პროცესში მონაწილეობდა პოლიციელების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რაც მას ოპერაციის სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობას აძლევდა. როგორც ანგარიშის მესამე თავში იყო მიმოხილული, აქციის დაშლის პროცესი პოლიციამ დაგეგმა *იმგვარად*, რომ აქციის მონაწილეებს არ მისცა აქციის ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა. აქციის დაშლის დაწყების მომენტში აქციის ტერიტორიის სიახლოვეს მდებარე ყველა გასასვლელი გადაკეტილი იყო და აქციის მონაწილეებს არ ჰქონდათ, დაშლის მიზნით მათ წინააღმდეგ გამოყენებული პოლიციური ძალის პირობებში, აქციის ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა. აქციის დაშლის მიზნით, პოლიცია უფლებამოსილი იყო, გამოეყენებინა ადეკვატური და პროპორციული ძალა ტერიტორიიდან აქციის მონაწილეების განდევნის მიზნით, რისთვისაც პოლიციას აქციის მონაწილეებისთვის უნდა დაეტოვებინა ღია გასასვლელები. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქციის მონაწილეები თავისი ქმედებით წინააღმდეგობას გაუწევდნენ პოლიციის მოქმედებას და ნებას – დაეშალა აქცია და გაეთავისუფლებინა აქციის ტერიტორია, პოლიცია უფლებამოსილი იქნებოდა, დაეკავებინა აქციის მონაწილეები. იმ მოცემულობაში, როდესაც აქციის მონაწილეებს არ მისცემიათ ტერი-

[211] *Rehbock v. Slovenia*, application #*29462/95*, *judgement of 28 November 2000, § 72.*

[212] *Muradova v. Azerbaijan*, application #22684/05, judgement of 2 April 2009, §11.

ტორიის დატოვების რეალური შესაძლებლობა, აქციის დაშლის დროს პოლიციის მოქმედებების და გამოყენებული ძალის ლეგიტიმურობა *იმთავითვე სადავო ხდება*.

პოლიციის მიერ აქციის დაშლის ოპერაციის ამგვარმა გეგმამ განაპირობა აქციის მონაწილეების მოქმედება, სხვადასხვა საშუალებით დაეტოვებინათ აქციის ტერიტორია – შენობებში შესვლა, ავტოკოლონის მანქანების გაყოლა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბაღში შეღწევა და ა.შ. პოლიცია ამ პირობებში ცდილობდა აქციის მონაწილეებისთვის ხელის შეშლას და მათ წინააღმდეგ ინტენსიურ ძალას იყენებდა. სამართალდამცველებმა აქციის მონაწილეებს, ისევე როგორც ავტოკოლონის მანქანებს, არ მისცეს აქციის ტერიტორიიდან გასვლის შესაძლებლობა და მათ წინააღმდეგ პოლიციელების დიდი მასა (ცოცხალი კორდონი) გამოიყენა. როგორც გავრცელებულ ვიდეო მასალაში ჩანს, პოლიციის მასიურ კორდონს გადაკეტილი ჰქონდა თავისუფლების მოედნის მეტროს გასწვრივ ტრასის მთელი მონაკვეთი და ავტოკოლონის მანქანების მიმართულებით გადაადგილდებოდა. ამ პროცესში პოლიცია იყენებდა ინტენსიურ ძალას ავტოკოლონის მანქანების უკან მომავალი აქციის მონაწილეების მიმართ.

ამ მოცემულობაში პოლიციის მოქმედება სტრატეგიულად და ოპერატიულად იყო არასწორი და არ ითვალისწინებდა პოლიციელების და აქციის მონაწილეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მოსალოდნელი რისკების პრევენციის/მინიმიზაციის შესაძლებლობას. ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმესთან დაკავშირებით, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმის სამართლებრივ შეფასებას, რამდენად ლეგიტიმური იყო პოლიციის მოქმედება, შეეჩერებინა ავტოკოლონის მანქანების გასვლა აქციის ტერიტორიიდან. აღნიშნული საკითხის ანალიზის გამოტოვებით, აშკარაა, რომ პოლიციის მოქმედება არ იყო პროპორციული და არ ითვალისწინებდა წინდახედულობის ნორმებს, რათა დაეცვა აქციის მონაწილეებისა და პოლიციელების სიცოცხლე.

– ავტომანქანებს, რომლებიც მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენს, პოლიციამ წინ დაახვედრა სპეცრაზმელთა ცოცხალი კორდონი, ხოლო სამართალდამცველთა მითითებებისთვის ავტოკოლონის მანქანების მძღოლების დაუმორჩილებლობისას (რაც პოლიციას უნდა დაეშვა), არაფერი გააკეთა პოლიციელთა სიცოცხლის დაცვის მიზნით. ამგვარმა ფიზიკურმა კონტაქტმა გამორიცხა მომეტებულ წყაროსა და პოლიციის თანამშრომლებს შორის სამართალდამცველების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების პრევენცია.
– პოლიციამ არაფერი გააკეთა ავტომანქანებისგან აქციის მონაწილეების გამიჯვნის (დისტანცირების) მიზნით და ავტომანქანების – მომეტებული წყაროს – სიახლოვეს აქციის მონაწილეების მიმართ იყენებდა უწესრიგო და განურჩეველ პოლიციურ ძალას, რაც ასევე ზრდიდა აქციის მონაწილეების დაზიანების რისკებს.
– იმ ვითარებაში, როდესაც ავტოკოლონის მანქანების მიერ აქციის ტერიტორიის დატოვებით საფრთხე არ ექმნებოდა სხვათა სიცოცხლეს, დანაშაულის თავიდან აცილებას ან სხვა დაცულ ლეგიტიმურ მიზნებს, ავტომანქანების შეჩერების მიზნით პოლიციის მიერ გამოყენებული საშუალებები და ტაქტიკა, რომელსაც, საბოლოოდ, ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და 9 პოლიციელის ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა, აშკარად გაუმართლებელი და არაპროპორციული იყო.

ავტოკოლონის უკან მომავალი აქციის მონაწილეები

მოძრავ ავტომანქანებს პოლიციელების ცოცხალი კორდონი წინ ხვდება

ზემოთ წარმოდგენილი გარემოებები იძლევა მტკიცების საშუალებას, რომ აქციის დაშლის დროს და კონკრეტულად აქციის ტერიტორიიდან ავტოკოლონის მანქანების გასვლის ეპიზოდში, პოლიციამ ოპერაცია დაგეგმა *იმგვარად*, რომ არ უზრუნველყო სამართალდამცველებისა და აქციის მონაწილეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკების პრევენცია/მინიმიზაცია. სახელმწიფომ ოპერაციის დაგეგმვის პროცესში არ დაიცვა წინდახედულობის ნორმები აქციის მონაწილეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ეფექტურად დაცვის მიზნით, რამაც განაპირობა ადამიანების სიცოცხლის ხელყოფისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთვევები. ეს კი, ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების ფარგლებში, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს.

5.3.7. დასკვნა

როგორც ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმის ანალიზმა აჩვენა, აღნიშნულ საქმეზე შსს-ს მიერ გამოთქმული პირველადი ვერსია არ შეესაბამება გამოძიების საბოლოო ოფიციალურ ვერსიას. შსს-ს მიერ გამოქვეყნებული არც ერთი ვიდეო მასალა, რომელიც ნოდარ ცხადაძისა და პოლიციელ ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეებთან დაკავშირებით ვრცელდებოდა, ფაქტობრივად, არ ასახავს აღნიშნულ ინციდენტებს.

ამასთან, ნოდარ ცხადაძის საქმეზე გამოძიების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით ჩნდება მნიშვნელოვანი შეკითხვები და ეჭვები, რომლებიც გამოძიების მხრიდან დასაბუთებას მოითხოვდა, მათ შორის, ინციდენტის ამსახველი ვიდეო მასალის არარელევანტურობა, შემთხვევის ადგილის ანალიზი, ნოდარ ცხადაძისთვის დროული სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის პრობლემა და ა.შ.

გამოძიების ეფექტიანობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ასევე ჩნდება დასაბუთებული ეჭვები და კითხვები, რომლებიც ამ საქმეზე პასუხგაუცემელი დარჩა. ამ ეტაპზე გამოძიება დასრულებულია და, სამწუხაროდ, არც დაზარალებულის უფლებამონაცვლეებსა და არც ბრალდებულს არ გააჩნიათ ინტერესი, გამოიყენონ სამართლებრივი დაცვის საერთაშორისო მექანიზმები.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საქმეში აშკარად იკვეთება სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულების დარღვევის ნიშნები, რადგან მან აქციის დაშლის, *მათ შორის,* აქციის ტერიტორიიდან ავტოკოლონის მანქანების გაყვანის ოპერაცია დაგეგმა იმგვარად, რომ არ მოახდინა პოლიციისა და აქციის მონაწილეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკების პრევენცია. პოლიცია მომეტებული საფრთხის წყაროსთან ახლოს მყოფი აქციის მონაწილეების მიმართ იყენებდა გადამეტებულ და განურჩეველ ძალას, რაც კიდევ უფრო ზრდიდა აქციის მონაწილეების დაზიანების საფრთხეებს.

5.4. ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმე

5.4.1. შესავალი

ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე ამ ეტაპზე გამოძიება დახურულია. გამოძიების ოფიციალური ვერსიით, ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ აღნიშნული პირების გარდაცვალების მიზეზი ელექტროსადენებთან შეხება გახდა.[213] მოცემულ საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, გამოძიებამ არ გამოაქვეყნა არც ერთი მტკიცებულება, რომელიც მის მიერ გაკეთებულ შეფასებებს დაადასტურებდა. საქმის გამოძიება შეწყდა ისე, რომ საზოგადოებისთვის საქმის დეტალები ცნობილი არ გამხდარა. გამოძიებამ მოცემული საქმის ირგვლივ შექმნა ინფორმაციული ვაკუუმი, რაც საზოგადოებას არ აძლევს შესაძლებლობას, შეაფასოს, თუ რა მოხდა რეალურად.

[213] http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/politika/8403-shotha-utiashvili-saias-mtkicebulebebs-gamoekhmaura.html

აღსანიშნავია, რომ დაზარალებულები არ თანხმდებიან რაიმე სახის კომუნიკაციას საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიების მიზნით. ნიშანდობლივია რამდენიმე გარემოება, რომელიც შესაძლოა, დაზარალებულთა ამგვარ ქცევას ხსნიდეს. კერძოდ, ნიკა კვინტრაძის 22 წლის ვაჟი შალვა კვინტრაძე ამ ეტაპზე სასჯელს იხდის და სასჯელის მოხდის ვადა მას რამდენიმე თვეში ეწურება. სულიკო ასათიანის ოჯახის წევრებს საიას თანამშრომლები უშუალოდ შეხვდნენ სოფელ ციხესულორში. უსაფრთხოების მოტივით, მათ ასევე უარი განაცხადეს კომუნიკაციასა ან მათი ინტერესების წარმოდგენაზე გამოძიების წინაშე. აღსანიშნავია, რომ ვანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის დავით ლორთქიფანიძის ახსნა-განმარტებით, სანამ სულიკო ასათიანის ოჯახის წევრები მისი გარდაცვალების ამბავს გაიგებდნენ, სულიკო ასათიანის შვილი პაატა ასათიანი 27 მაისს დილით წაიყვანეს ძალოვანი უწყების თანამშრომლებმა და მთელი დღის განმავლობაში მისი ადგილსამყოფელი უცნობი იყო.[214] სულიკო ასათიანის ოჯახის წევრებმა სწორედ პაატა ასათიანისგან გაიგეს მისი დაღუპვის ამბავი.

შესაბამისად, ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის საქმის შეფასება სამუშაო ჯგუფს მხოლოდ შსს-ს საჯარო განცხადებებისა და, ასევე, დამატებით მოპოვებული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე უწევს. ცხადია, ამგვარი მოცემულობა და ინფორმაციული ვაკუუმი შეუძლებელს ხდის საქმის სრულყოფილ ანალიზს. შესაბამისად, ანგარიშის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის მიზანს იმ დასაბუთებული შეკითხვებისა და ვარაუდების განხილვა წარმოადგენს, რომლებიც საქმესთან დაკავშირებით ჩნდება.

5.4.2. კვინტრაძისა და ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები

- **ღია წყაროებში გავრცელებული ინფორმაცია მოცემულ საქმესთან დაკავშირებით**

ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანი სიცოცხლის ხელყოფის საქმესთან დაკავშირებით, პირველადი წყარო გახდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2011 წლის 27 მაისს გავრცელებული განცხადება. აღნიშნული განცხადების თანახმად, *27 მაისს, დილით, მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანთან“ მდებარე ერთ-ერთი მაღაზიის სახურავზე აღმოჩენილ იქნა 2 მამაკაცის გვამი. წინასწარი მონაცემებით, გარდაცვალების მიზეზი იყო ელექტროსადენებთან მათი შეხება. გამოძიება სწავლობს ამ პირების შესაძლო კავშირს რუსთაველის პროსპექტზე გამართულ საპროტესტო აქციასთან.*[215] შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებას თან სდევდა ოპერატიული ვიდეო მასალა, სადაც ნაჩვენები იყო შემთხვევის ადგილზე ექსპერტების მუშაობის პროცესი. ოპერატიულ ვიდეო მასალაში არ ჩანდა გარდაცვლილი პირების გვამები შემთხვევის ადგილზე.

სიცოცხლის ხელყოფის აღნიშნული ფაქტების შესახებ 28 მაისს დილით უკვე ფართო საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი. 28 მაისს 12 საათიან კურიერში (12:18 საათზე) გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაღუპული პირები იყვნენ ვანის მცხოვრები 62 წლის სულიკო ასათიანი და ახალგაზრდა თბილისელი მამაკაცი ნიკა კვინტრაძე. ამავე სიუჟეტში წარმოდგენილი იყო სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექიმის, მალხაზ მიტიჩაშვილის განცხადება, რომლის თანახმადაც: *„სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში მოტანილ იქნა 2 ამოუცნობი მამაკაცის გვამი. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მათ სხეულზე აღენიშნებოდათ ელექტროტრავმის შედეგად განვითარებული ელექტროლის ნიშნები, ანუ, გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, მათი სიკვდილი დადგა დენის დარტყმის შედეგად.“* [216]

2011 წლის 29 მაისს სტუდია GNS-მა და ნანა ლეჟავამ გადაცემაში „კვირის რეპორტაჟი“ აჩვენა ინტერვიუ ნიკა კვინტრაძის მეგობარ რეზო რეხვიაშვილთან, რომელიც აქციის დაშლის დროს ნიკა კვინტრაძესთან ერთად იმყოფებოდა და რომელმაც აქციის ტერიტორიაზე გადაღებულ

[214] საიას მიერ დავით ლორთქიფანიძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[215] შსს-ს ოფიციალური ვებ-გვერდი: http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=2516

[216] ხელმისაწვდომია: http://www.rustavi2.ge/news/video.php?fr=video&id_news=41753&ftp1=1&ftp2=0&ftp3=0

ფოტო, რომელზეც რ. რეხვიაშვილმა, მისივე განმარტებით, ნ. კვინტრაძე ამოიცნო

ერთ-ერთ ფოტოზე მისი მეგობარი ამოიცნო.[217] აღნიშნული რეპორტაჟის შემდეგ, 2011 წლის 31 მაისს „რუსთავი 2"-მა საინფორმაციო გამოშვებაში გაავრცელა ვიდეო მასალა, რომელიც პირველი სკოლის წინ, ქაშვეთის ტაძრის პირდაპირ ტრასაზე დაკავებულ აქციის მონაწილეებს ასახავდა. ვიდეო მასალაში ჩანს იმ პირის სახე, რომელზეც მოწმე რეზო რეხვიაშვილიც მიუთითებდა და ამბობდა, რომ ის შეიძლებოდა ნიკა კვინტრაძე ყოფილიყო. რეპორტაჟში ჟურნალისტმა ვიდეოში ასახული პიროვნების სახე ნიკა კვინტრაძის პასპორტის სურათს შეადარა და მიუთითა, რომ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, ვიდეოში ასახული პიროვნება არ შეიძლებოდა ნიკა კვინტრაძე ყოფილიყო.[218]

ფოტო კადრი „რუსთავი 2"-ის მიერ გავრცელებული ვიდეო მასალიდან

2011 წლის 2 ივნისს აღნიშნული მტკიცება ოფიციალურად დაადასტურა შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა, რომელმაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განაცხადა: *„ამ შემთხვევაში, შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ზოგიერთი მასობრივი საშუალების მიერ ადგილი ჰქონდა ფაქტების აშკარა ფალსიფიკაციას. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ მოვიძიეთ ამ კაცის სურათი, შევადარეთ სხვა სურათებს და სრულიად აშკარაა, რომ ის ადამიანი, რომელიც იწვა ასფალტზე და რომელიც იყო თითქოსდა კვინტრაძე, აბსოლუტურად განსხვავებულია [...] გამოძიება მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით, იყვნენ თუ არა ესენი მიტინგზე. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ამ ჟურნალისტების და ე.წ. არასამთავრობოების მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის შეგნებული ფალსიფიკაცია და არასდროს კვინტრაძე არ ყოფილა დაკავებული [...]"* ამავე გადაცემაში შოთა უტიაშვილმა მიუთითა, რომ *„არც ერთი ადამიანის სიკვდილი, არც პირდაპირ და არც ირიბად, არ იყო პოლიციის ქმედების შედეგი [...]."*[219]

- ***სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული ფაქტობრივი გარემოებები მოცემულ საქმესთან დაკავშირებით***

მედია საშუალებებში გავრცელებული ინფორმაციისა და შსს-ს მიერ ოფიციალურად გაკეთებული განცხადებების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფი შეეცადა, დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები მოეძიებინა ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმესთან დაკავშირებით.

1. ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც 25 მაისის აქციაში ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის მონაწილეობის ფაქტს ადასტურებს

სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციით დასტურდება 25 მაისის აქციაში ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის მონაწილეობის ფაქტი. ნიკა კვინტრაძის შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტი დაადასტურა მისმა მეგობარმა რევაზ (ავთანდილ) რეხვიაშვილმა საიასთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში. ეს გარემოება ასევე დადასტურდა მედია საშუალებებში გავრცელებული ვიდეო მასალით.[220] 2011 წლის 2 ივლისს საიასთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში, 25 მაისს

[217] „კვირის რეპორტაჟი", 29/05/11. ხელმისაწვდომია: http://www.youtube.com/watch?v=xxgbeg6YPTc

[218] ხელმისაწვდომია: http://www.rustavi2.ge/news/video.php?fr=video&id_news=41806&ftp1=1&ftp2=0&ftp3=0

[219] გადაცემა "დიალოგი დავით პაიჭაძესთან", ხელმისაწვდომია: http://www.1tv.ge/Video-View.aspx?VID=5152&Loc=58&CatID=1&LangID=1

[220] „კვირის რეპორტაჟი", 29/05/11. ხელმისაწვდომია: http://www.youtube.com/watch?v=xxgbeg6YPTc

აქციაზე სულიკო ასათიანის ყოფნის ფაქტი დაადასტურა „სახალხო კრების“ ვანის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზერო ხურციძემ, რომელმაც მიუთითა, რომ სულიკო ასათიანი მან ჯერ კიდევ ტელევიზიასთან მიმდინარე აქციების დროს, ხოლო შემდეგ, 25 მაისს, დაახლოებით 19:00 საათისთვის, ასევე, პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე აქციაზე ნახა.[221] ოჯახის წევრებმა სამუშაო ჯგუფთან პირად საუბარში ასევე დაადასტურეს, რომ სულიკო ასათიანი თბილისში მიმდინარე აქციებში მონაწილეობის მისაღებად სპეციალურად გაემგზავრა და 21 მაისის შემდეგ იგი აღარ უნახავთ.

2. ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც სადავოს ხდის შემთხვევის ადგილზე 27 მაისს ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის გვამების ყოფნის ფაქტს

აღნიშნულ საქმეში სერიოზულ შეკითხვებს იწვევს ის გარემოება, თუ როგორ შეიძლებოდა პოლიციას 27 მაისამდე არ აღმოეჩინა ორი ადამიანის გვამი მარკეტის სახურავზე, მაშინ როდესაც 26 მაისს აქციის დაშლის დროს და უკვე დილით, აღლუმის მომზადებისას, ეს ტერიტორია პოლიციას ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ამ გარემოებასთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა აქციის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელმაც ღამე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის გვერდით მდებარე ბაღში გაატარა და 26 მაისს დილის 6 საათზე ეს ტერიტორია სწორედ იმ მარკეტის სახურავის მეშვეობით დატოვა, სადაც შსს-ს განცხადებით, პოლიციამ ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის გვამები 27 მაისს დილით აღმოაჩინა.[222] თავის ახსნა-განმარტებაში მოწმე X.Y. იხსენებს:

„დაახლოებით დილის 6 საათი იქნებოდა, როდესაც მეც ჩამოვედი შენობის სახურავიდან. ბაღში დავიწყე სიარული, გასასვლელს ვეძებდი. მაგრამ ვერ ვნახე. ბაღში არავინ დამინახავს. ამის მერე ბაღის იმ მხარეს გავედი, საიდანაც გადმოვედი. ეს მხარე რუსთაველის ქუჩისკენ იყურება. ამ მხარეს ბაღის კუთხეში თავისუფლების მეტროს მხარეს პატარა მაღაზიაა. ამ მაღაზიის სახურავზე ბაღიდან არის გადასასვლელი, უფრო სწორად, ბაღიდან პირდაპირ გადადიხარ. ამ მაღაზიის სახურავზე დავწექი, იქიდან ვიყურებოდი რუსთაველზე და ვაკვირდებოდი, თუ რა ხდებოდა. სახურავზე ჩემს გარდა არავინ ყოფილა. იქ მარტო ვიყავი. სახურავზე დენის გაყვანილობის შნურებიც იყო. აქ დაახლოებით 1 საათი გავჩერდი.”

მოწმე X.Y-ს ჩვენება მიუთითებს, რომ 26 მაისს დილით შემთხვევის ადგილზე გვამები არ ყოფილა. შესაბამისად, სადავო ხდება, თუ როგორ აღმოაჩინა პოლიციამ ერთი დღის შემდეგ აღნიშნული პირების გვამები იმავე ადგილას.

მოწმე X.Y-ის ახსნა-განმარტების შესაბამისად, მთელი ღამის განმავლობაში პოლიცია აქტიურად ეძებდა იმ ადამიანებს, რომლებმაც მოსწავლე-ახალგაზრდობის გვერდზე მდებარე ბაღს შეაფარეს თავი. ძებნის პროცესში პოლიცია ძაღლებსაც იყენებდა. მოწმე X.Y. იხსენებს: *„პოლიციელები ყვიროდნენ, გამოდით, არაფერს დაგიშავებთო. რაღაც მომენტში ვიფიქრე, რომ გავსულიყავი. მეგონა, რომ მართლა არაფერს დამიშავებდნენ, მაგრამ მერე საშინელი ყვირილისა და ღრიალის ხმა მომესმა. მივხვდი, რომ ვინც ბაღში იყვნენ დამალულები და სპეცრაზმელების დაძახების შემდეგ გავიდნენ, მათ სპეცრაზმელები სასტიკად გაუსწორდნენ. ამიტომ ისევ ადგილზე დარჩენა ვამჯობინე...”*

26 მაისს ღამით მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობაში პოლიციის ინტენსიური კონტროლის ფაქტს ადასტურებს მოწმე დავით ჟღენტი, რომელმაც აქციის დაშლის დროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს შეაფარა თავი. დავით ჟღენტის განცხადებით, პოლიციამ ის ღამის 5 საათისთვის დააკავა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის შენობაში. მოწმის განმარტებით, მანამდე პოლიცია შენობაში 3 ჯერ იყო შესული შემოწმებაზე.[223]

[221] საიას მიერ ზერო ხურციძისგან აღებული ახსნა-განმარტება.

[222] შენიშვნა: საიას ადვოკატები აღნიშნულ პირთან ადვოკატის მანდატის ფარგლებში ურთიერთობდნენ და, მისივე ინტერესების გათვალისწინებით, ვინაობას არ ვასაჯაროებთ. შესაბამისად, პირობითად, მასზე - მოწმე X.Y-ს მივუთითებთ.

[223] საიას მიერ დავით ჟღენტისგან აღებული ახსნა-განმარტება.

3. შეიძლებოდა თუ არა ფოტო და ვიდეო მასალაზე გამოსახული პიროვნება ნიკა კვინტრაძე ყოფილიყო?

მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ, რომელშიც ნიკა კვინტრაძის მეგობარი რევაზ რეხვიაშვილი მიუთითებდა, რომ აქციის დაშლის შემდეგ გადაღებულ ერთ-ერთ ფოტოზე დაკავებულ აქციის მონაწილეებს შორის მან ნიკა კვინტრაძე ამოიცნო, სამუშაო ჯგუფმა მოწმეს ახსნა-განმარტება ჩამოართვა. სამუშაო ჯგუფმა რ. რეხვიაშვილს აჩვენა ყველა ის ვიდეო და ფოტო მასალა, რომელიც საქმისთვის რელევანტური შეიძლებოდა ყოფილიყო. რ. რეხვიაშვილმა თავის ახსნა-განმარტებაში განმეორებით დაადასტურა, რომ განსახილველ ფოტოზე აღბეჭდილი დაკავებული პიროვნება ნიკა კვინტრაძე შეიძლებოდა ყოფილიყო.[224] რევაზ რეხვიაშვილის განმარტებით, ჟურნალისტებისთვის მიცემული ახსნა-განმარტების შემდეგ ის პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს, თუმცა, დაკითხვის დროს გამომძიებლებს მისთვის ფოტო სურათები და ვიდეო მასალა ამოსაცნობად არ წარმოუდგენიათ.

რევაზ რეხვიაშვილის ახსნა-განმარტებასა და გავრცელებულ ვიდეო და ფოტო მასალაზე გამოძიებას სათანადო რეაგირება არ მოუხდენია. გამოვლენილ ახალ ფაქტობრივ გარემოებებს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ დადასტურდებოდა ფაქტი, რომ ფოტოზე გამოსახული დაკავებული აქციის მონაწილე ნიკა კვინტრაძე იყო, მაშინ გამოძიების პირველადი ვერსია ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით არსებითად სადავო ხდებოდა.

თუმცა, ახლად გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოების მნიშვნელობის, სიმწვავისა და მოცემულ საკითხზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, გამოძიებას (შსს) არ გაუკეთებია არც ერთი განცხადება, რომელიც დამაჯერებლად გამორიცხავდა იმ ფაქტს, რომ ფოტო მასალაზე ნაჩვენები პირი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ნიკა კვინტრაძე. „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტი (და 2 ივნისს შ. უტიაშვილის მიერ გაკეთებული ზეპირი განცხადება), სადაც ნიკა კვინტრაძის ძველი პასპორტის სურათი შედარებული იყო ფოტო და ვიდეო მასალაში გამოსახულ პიროვნებასთან, უფრო მეტ შეკითხვებს აჩენდა მომხდართან დაკავშირებით და საქმის ირგვლივ შექმნილ ეჭვებს არ აბათილებდა.

საქმის ირგვლივ არსებული სერიოზული შეკითხვებისა და ეჭვების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია ფოტო გამოსახულების ექსპერტიზის ჩატარება, რომელიც ვიდეო და ფოტო მასალაში გამოსახული დაკავებული აქციის მონაწილის ნიკა კვინტრაძის გამოსახულებასთან იდენტობას შეაფასებდა. 2011 წლის 26 აგვისტოს DABS Fingerprints/Forensics Ltd-იმ გასცა საკუთარი დასკვნა სამუშაო ჯგუფის მიერ გაგზავნილ ფოტო და ვიდეო მასალაზე.[225] ექსპერტიზამ გამოსახულებების მორფოლოგიური შედარების გზით დაადგინა, რომ ნიკა კვინტრაძის გარდაცვალების შემდგომ გადაღებულ სურათებსა და ვიდეო მასალაში გამოსახულ პირს შორის მნიშვნელოვანი სხვაობები არ აღინიშნება და სახეზე იყო მსგავსების 7 ნიშანი. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ამონაზნექი მარცხენა საფეთქელზე, რომელიც, სავარაუდოდ, დარტყმისგან იყო მიყენებული. ექსპერტის განმარტებით, ორივე გამოსახულებაზე ამონაზნექის მდებარეობა, ფორმა და ზომა ერთნაირი იყო.[226]

საქმის გამოძიებისთვის აღნიშნული დასკვნის მნიშვნელობის გათვალისწინებით, 2011 წლის 6 სექტემბერს საიამ DABS Fingerprints/Forensics Ltd-ის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა გაასაჯაროვა. ამასთან, ექსპერტიზის დასკვნა საიამ, სათანადო რეაგირებისთვის, გამოძიებას გადაუგზავნა.[227]

[224] რევაზ რეხვიაშვილისგან საიას მიერ აღებული ახსნა-განმარტება.

[225] შენიშვნა: ექსპერტიზის ბიურო DABS Fingerprints/Forensics Ltd პირთა იდენტიფიკაციის ბრიტანული ასოციაციის (BAHID), გაერთიანებული სამეფოს ექსპერტ მოწმეთა რეესტრისა და ბრიტანეთის პროფესიონალ ფოტოგრაფთა ინსტიტუტის წევრია.

[226] ექსპერტიზის დასკვნა ვრცლად იხილეთ საიას ვებ-გვერდზე: http://www.gyla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1040%3A2011-09-06-10-06-18&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang=ka

[227] შსს-ში საიას მიერ გაგზავნილი წერილი, 09.09.2011 (#გ-01/133-01).

ექსპერტიზის დასკვნის საპასუხოდ, შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სადავო ვიდეო და ფოტო მასალაზე გამოსახული დაკავებული პიროვნება ამჟამად ქარელის რაიონში მცხოვრები გიორგი ბაქრაძე იყო.[228] მედია საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში ბატონმა შოთა უტიაშვილმა მიუთითა, რომ მას შემდეგ, რაც გამოძიებამ დაადგინა, რომ ფოტო მასალაზე გამოსახული პიროვნება გიორგი ბაქრაძე იყო, ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე გამოძიება შეწყდა.[229] მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია შსს-ს საზოგადოებისთვის არ მიუწოდებია. მეტიც, შსს-ს არ გაუსაჯაროებია ინფორმაცია გიორგი ბაქარაძის შესახებ, რომელიც ნიკა კვინტრაძის საქმესთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებულ ეჭვებს უპასუხებდა და შემდგომი შეფასების შესაძლებლობას მისცემდა.

გიორგი ბაქრაძის შესახებ შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ, სამუშაო ჯგუფმა ახსნა-განმარტება ჩამოართვა გიორგი ბაქრაძეს. ბაქრაძის განმარტებით, პოლიციაში მას აჩვენეს ის ფოტო, რომელშიც, როგორც თავად აცხადებს, ის ზემოდან ზურგით ჩანს და მისი სახე არ არის გამოსახული. ბაქრაძის თქმით, მან საკუთარი თავი ფოტოზე ტანსაცმლითა და თმის მოყვანილობით ამოიცნო. გიორგი ბაქრაძეს სამუშაო ჯგუფმა აჩვენა ის ვიდეო მასალა, რომელზეც, შსს-ს მტკიცებით, გიორგი ბაქრაძე იყო გამოსახული. ბაქრაძის განმარტებით, პოლიციაში აღნიშნული ვიდეო მისთვის არ უჩვენებიათ და მას პირველად უყურებდა. სადავო ფოტო მასალაზე გამოსახული პირის გ. ბაქრაძესთან იდენტობის დადგენის მიზნით, გამოძიებას გამოსახულების ექსპერტიზა არ ჩაუტარებია.[230]

6 სექტემბერს შსს-ს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციისა და სამუშაო ჯგუფის მიერ დამატებით მოპოვებული ფაქტობრივი გარემოებების, *მათ შორის,* მედია საშუალებების მიერ საიასთვის მოწოდებული დამატებითი ფოტო მასალის შემდეგ,[231] საქმეზე არსებობს ურთიერთგამომრიცხავი მასალები და მტკიცებულებები იმის თაობაზე, თუ ვინ არის გამოსახული განსახილველ ფოტო და ვიდეო მასალაზე. სამუშაო ჯგუფის მანდატი არ იძლევა შესაძლებლობას, სრულყოფილად შევისწავლოთ საქმის მასალები და გარემოებები. ეს საკითხი საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ადეკვატური და დასაბუთებული რეაგირების საგანი უნდა გახდეს. შესაბამისად, ანგარიშში ყურადღებას ვამახვილებთ მოცემული საქმის ირგვლივ არსებულ სხვა მნიშვნელოვან შეკითხვებსა და ეჭვებზე, რომლებზეც, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, გამოძიებას ამ დრომდე რეაგირება არ მოუხდენია. რეალურად, გამოძიებას არ გამოუქვეყნებია არც ერთი არსებითი ხასიათის მტკიცებულება სიცოცხლის ხელყოფის აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, რის გამოც საზოგადოებისთვის ფაქტობრივად უცნობია, თუ რა პირობებში და როგორ მოხდა აქციის ორი მონაწილის სიცოცხლის ხელყოფა.

5.4.3. ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმის სამართლებრივი ანალიზი

იმ მოცემულობაში, როდესაც შსს-ს არ გამოუქვეყნებია არც ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულება ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმესთან დაკავშირებით, გამოძიების შედეგების საკმარისობისა და დასაბუთებულობის შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია.

გამოძიების ოფიციალური ვერსიით, ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიკვდილის მიზეზი თავისუფლების მეტროსთან მდებარე მარკეტის თავზე ელექტროსადენებთან შეხება გახდა. აღნიშნული გარემოება დაადასტურა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს

[228] http://www.rustavi2.ge/news/news_textg.php?id_news=43036&im=main&ct=25

[229] http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/politika/8403-shotha-utiashvili-saias-mtkicebulebebs-gamoekhmaura.html

[230] საიას მიერ გიორგი ბაქრაძისგან ქ. ქარელში აღებული ახსნა-განმარტება.

[231] შენიშვნა: ფოტოები აქციის დაშლის შემდეგ სხვა ეპიზოდში გიორგი ბაქრაძის დაკავების კადრებს ასახავს.

ექსპერტმა ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში. შსს-ს ინფორმაციით, ნიკა კვინტრაძეს ფიზიკური ძალადობის კვალი არ ეტყობოდა. თუმცა, შსს-ს მიერ გავრცელებულ ამ ვერსიასთან დაკავშირებით ჩნდება რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა, რომელიც ამ ეტაპზე გამოძიების მიერ პასუხგაუცემელი რჩება. ამასთან, ჩნდება დასაბუთებული ეჭვები გამოძიების დამოუკიდებლობასა და ეფექტურობასთან დაკავშირებით, კერძოდ:

1. გამოძიების დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის პრობლემა მოცემულ საქმეზე

როგორც შსს-ს განცხადებებიდან გამომდინარეობს, ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებს იძიებდა შსს, რაც არ შეესაბამება დამოუკიდებელი გამოძიების სტანდარტს. იმ ვითარებაში, როდესაც კვინტრაძისა და ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმე 26 მაისს შსს-ს თანამშრომლების მიერ აქციის დაშლის მოვლენებს უკავშირდებოდა და გამოძიების საწყის ეტაპზევე გაჩნდა კითხვები იმის თაობაზე, რომ აქციის დაშლის დროს ნიკა კვინტრაძე შეიძლებოდა პოლიციის მიერ ყოფილიყო დაკავებული, საქმეზე გამოძიება პროკურატურას უნდა ჩაეტარებინა. ამასთან დაკავშირებით, ვრცელი არგუმენტაცია იხილეთ ზემოთ (5.3.5. ქვეთავის მე-2 პარაგრაფი).

გარდა ამისა, 2011 წლის 2 ივნისს შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გაკეთებულ კომენტარში მიუთითა, რომ აქციის დაშლის დროს *„არც ერთი ადამიანის სიკვდილი, არც პირდაპირ და არც ირიბად, არ იყო პოლიციის ქმედების შედეგი [...].*[232] აღნიშნული განცხადება შ. უტიაშვილმა გააკეთა მაშინ, როცა გამოძიებისთვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი გიორგი ბაქრაძის არსებობის შესახებ (პოლიციამ გიორგი ბაქრაძე პირველად 2011 წლის 9 ივნისს დაკითხა), ასევე, 2011 წლის 29 მაისს გადაცემა კვირის რეპორტაჟში გასული სიუჟეტის შემდეგ არსებობდა დასაბუთებული ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ გარდაცვლილი ნიკა კვინტრაძე აქციის დაშლის დროს შეიძლებოდა პოლიციის მიერ ყოფილიყო დაკავებული. ცხადია, არსებული ეჭვები უნდა ყოფილიყო საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ საქმე გამოსაძიებლად პროკურატურას გადასცემოდა, რაც დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებისთვის აუცილებელი პირობა იყო.

2. გამოძიების ოფიციალური ვერსიის სადავოობა

გამოძიების ოფიციალურ ვერსიასთან დაკავშირებით, ჩნდება რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა და ეჭვი, რომელიც გამოძიების მხრიდან ამ დრომდე პასუხგაუცემელი რჩება და რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მოცემულ საქმეზე სიმართლის დადგენისთვის. კერძოდ:

- იმ ვითარებაში, როდესაც რუსთაველის გამზირზე 26 მაისს მთელი ღამის და შემდგომში აღლუმის მიმდინარეობის განმავლობაში ეფექტიან კონტროლს ახორციელებდა პოლიცია, როგორ მოხდა, რომ პოლიციამ ვერ შეძლო ორი პირის გვამის აღმოჩენა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბაღის სიახლოვეს (საზღვარზე) მდებარე მარკეტის თავზე. აქციის დაშლის დროს პოლიცია ინტენსიურად ახორციელებდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბაღის კონტროლს. სამუშაო ჯგუფის მიერ X.Y. მოწმისგან აღებული ახსნა-განმარტების თანახმად, პოლიცია მთელი ღამის განმავლობაში ბაღში დამალულ აქციის მონაწილეებს ძაღლებით ეძებდა. მეტიც, დაგეგმილი აღლუმის ჩასატარებლად, პოლიცია (და დაცვის სამსახური) საკონტროლო ღონისძიებებს ატარებდა ამ ტერიტორიაზე უსაფრთხოების ზომების მისაღებად. ამ ვითარებაში, ცხადია საეჭვო ხდება, თუ როგორ ვერ შეძლო პოლიციამ გარდაცვლილი პირების გვამების პოვნა 27 მაისს დილამდე.
- სამუშაო ჯგუფმა მოიპოვა ერთ-ერთი მოწმის (მის ვინაობას, მისივე ინტერესების გათვალისწინებით, საია არ ახმაურებს) ახსნა-განმარტება, რომელმაც ღამე მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბაღის ტერიტორიაზე გაატარა და ეს ადგილი 26 მაისს დილის 6 საათზე

[232] გადაცემა „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“, ხელმისაწვდომია, http://www.1tv.ge/Video-View.aspx?VID=5152&Loc=58&CatID=1&LangID=1

სწორედ იმ მარკეტის სახურავის მეშვეობით დატოვა, სადაც, შსს-ს განცხადებით, ნაპოვნი იქნა ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის გვამები. მოწმე მიუთითებს, რომ 26 მაისს დილის 6 საათზე მას გვამები აღნიშნული მარკეტის თავზე არ უნახავს.

- მედია საშუალებებმა შეძლეს პროზექტურაში ნიკა კვინტრაძის გვამისთვის ფოტოების გადაღება. მოპოვებულ ფოტო მასალაში ჩანს, რომ გვამს აქვს გარკვეული დაზიანება მარცხენა საფეთქელთან. სხეულის სხვა ნაწილებს არსებული ფოტო სურათები არ ასახავს. შსს-ს ოფიციალური განცხადებით, ნიკა კვინტრაძეს ფიზიკური ძალადობის ნიშნები არ აღენიშნებოდა. თუმცა, ამ საკითხის სრულყოფილი შეფასება სამუშაო ჯგუფის ხელთ არსებული ინფორმაციით შეუძლებელია. გარდაცვლილი პირებისთვის მიყენებული დაზიანებების შეფასების კუთხით, შეკითხვები ჩნდება სულიკო ასათიანთან დაკავშირებითაც. საქმეზე მუშაობის პროცესში სამუშაო ჯგუფი სოფელ ციხესულორში შეხვდა სულიკო ასათიანის მეუღლეს შორენა ასათიანს და, ასევე, ნატო რუხვაძეს, რომელმაც მონაწილეობდა მიიღო სულიკო ასათიანის გვამის გაპატიოსნებაში. აღნიშნულმა პირებმა ზეპირ განცხადებებში მიუთითეს, რომ სულიკო ასათიანს ჰქონდა ძალიან სერიოზული და აშკარა დაზიანებები სხეულზე. ცხადია, საკითხი, თუ რა გახდა სულიკო ასათიანისთვის აღნიშნული დაზიანებების მიყენების მიზეზი და როდინდელი მიყენებული იყო ისინი, შესაბამის საექსპერტო კვლევას მოითხოვს. თუმცა, იმ ვითარებაში, როდესაც, საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, გამოძიებას არ გამოუქვეყნებია შესაბამისი მტკიცებულებები, ამ საკითხის შეფასება შეუძლებელია.

3. გამოძიების ანგარიშვალდებულების პრობლემა მოცემულ საქმეზე

ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, ეფექტიანი გამოძიების სტანდარტი მოითხოვს, რომ სახელმწიფომ მიიღოს სათანადო ზომები, რათა აღმოფხვრას ყველა ის ეჭვი, რომელიც უკანონო მოქმედებების მიმართ სახელმწიფოს ტოლერანტობასთან დაკავშირებით იქმნება. ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე შექმნილი ინფორმაციული ვაკუუმისა და ეჭვების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, გამოძიებამ საზოგადოების წინაშე მისი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისთვის, მოახდინოს ზემოთ მითითებული მტკიცებულებების გასაჯაროება.

ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, შსს-ს არ გამოუქვეყნებია არც ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულება მოცემულ საქმეზე, რომელიც მომხდარის შესახებ საზოგადოების შეკითხვებსა და ეჭვებს პასუხს გასცემდა. აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ გამოყენებული არაპროპორციული ძალისა და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის ფაქტების გათვალისწინებით, აქციის დაშლის დროს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმეები განსაკუთრებულ და მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს, რაც სახელმწიფოს ავალდებულებს, პასუხი გასცეს და საზოგადოების წინაშე წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც გამოძიების ოფიციალურ ვერსიას დაასაბუთებს.

სამწუხაროდ, გამოძიება არაგამჭვირვალედ მიმდინარეობდა. დაზარალებულების უფლებამონაცვლეები არ იყენებენ კანონმდებლობით დადგენილ საპროცესო შესაძლებლობებს საკუთარი ინტერესების დასაცავად გამოძიების წინაშე. ყოველივე ზემოაღნიშნული საზოგადოებაში აჩენს ეჭვებს გამოძიების მიმდინარეობისა და მისი შედეგების სანდოობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

საქმეზე მუშაობის პროცესში, შსს-სთან წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის დროს, საია მუდმივად ითხოვდა იმ ოპერატიული ვიდეო მასალის გამოქვეყნებას, რომელიც შემთხვევის ადგილზე იყო გადაღებული და გვამების განთავსებას ასახავდა. ამასთან, საია გამოძიებისგან ითხოვდა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნისა და შემთხვევის ადგილზე ელექტრო-სადენების ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის გასაჯაროებას. თუმცა, არც ერთი აღნიშნული მოთხოვნა შსს-მ არ დააკმაყოფილა.

გამოძიების მიერ საქმის ირგვლივ შექმნილი ვაკუუმი უფლებადამცველ ორგანიზაციებს არ

აძლევს საშუალებას, შეაფასონ გამოძიების შედეგები და, რეალურად, საზოგადოებისთვის კვლავ უცნობია, თუ რა ვითარებაში მოხდა ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფა.

4. გამოძიების ეფექტიანობის პრობლემა მოცემულ საქმეზე

საია მიიჩნევს, რომ გამოძიების მიმდინარეობის პროცესი და მისი შედეგები არ აკმაყოფილებდა ზედმიწევნითობისა და ეფექტიანობის მოთხოვნებს. მათ შორის:

- მედია საშუალებებისთვის ახსნა-განმარტების შემდეგ, გამოძიებამ მოწმის სტატუსით დაიბარა რევაზ (ავთანდილ) რეხვიაშვილი, თუმცა, სადავო ვიდეო და ფოტო მასალა მისთვის არ უჩვენებიათ და ამ საკითხის შეფასება გამოძიებას არსებითად საქმის მნიშვნელოვან მოწმესთან არ მოუხდენია. ამ დროისთვის გამოძიებამ არაფერი იცოდა გიორგი ბაქრაძის შესახებ, თუმცა, გამოძიება იმთავითვე გამორიცხავდა ამ საკითხის სერიოზული გამოკვლევის შესაძლებლობას.
- როგორც გიორგი ბაქრაძის ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, პოლიციაში დაკითხვის დროს გამოძიებას გ. ბაქრაძისთვის არ უჩვენებია ვიდეო მასალა, რომელიც არსებითი დავის საგანი იყო. პოლიცია შემოიფარგლა მხოლოდ იმ ფოტოს ჩვენებით, რომელზე გამოსახული პირის სახე არ ჩანს და მისი სხეული უკან მხრიდან არის გამოსახული.
- გამოძიებამ ვიდეო და ფოტო მასალაში გამოსახულ პირსა და გიორგი ბაქრაძეს შორის იდენტობა მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით მოახდინა და არ ჩაატარა შესაბამისი ფოტო ექსპერტიზა აღნიშნული ფაქტის დასადგენად.
- გამოძიებამ DABS Fingerprints/Forensics Ltd-ის ფოტო გამოსახულების საექსპერტო დასკვნაზე არ მოახდინა არავითარი რეაგირება და წინასწარ უარყო მისი შედეგები ისე, რომ ექსპერტიზის დასკვნის ტექსტი გამოძიებისთვის ჯერ კიდევ არ იყო გადაგზავნილი.

გამოძიების ზედაპირული მიდგომა საქმის ირგვლივ აღმოჩენილი ახალი გარემოებების გამოკვლევისა და მათზე რეაგირების პროცესში, ასევე, გამოძიების პირველივე დღეებში შსს-ს მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადებები, რომელიც გამორიცხავდა მომხდარში პოლიციის რაიმე სახით მონაწილეობას, ეჭვის ქვეშ აყენებს გამოძიების ეფექტიანობის საკითხს. ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, საქმეზე ჩაატაროს ეფექტური გამოძიება და გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება საქმეზე სიმართლის დადგენისა და დამნაშავე პირების დასჯის მიზნით. შესაბამისად, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გამოვლენილი ახალი გარემოებების გამოკვლევაზე გამოძიების აშკარად დაბალი ინტერესის, საზოგადოების წინაშე გამოძიების არაანგარიშვალდებულებისა და არაზედმიწევნითობის გამო, გამოძიების ეფექტიანობის საკითხი, ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე, სადავოა.

5.4.4. დასკვნა

ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმესთან დაკავშირებით გამოძიება არ აკმაყოფილებდა საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების მოთხოვნას, რის გამოც რეალურად ვიღებთ სურათს, როდესაც საზოგადოებისთვის დაუდგენელია, თუ რა მოხდა სინამდვილეში აღნიშნული საქმის ირგვლივ. შსს შემოიფარგლა მხოლოდ ზეპირი განცხადებებით და, საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, არ გაასაჯაროვა არც ერთი მტკიცებულება, რომელიც საზოგადოებას ნდობას გაუჩენდა გამოძიების შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

ამასთან, გამოძიების მიერ პასუხგაუცემელი რჩება ბევრი დასაბუთებული შეკითხვა, მათ შორის, აღნიშნულ საქმესთან მიმართებით სადავოა ის ფაქტი, თუ როგორ შეიძლებოდა, პოლიციას 27 მაისს დილამდე არ აღმოეჩინა გარდაცვლილი პირების გვამები თავისუფლების მოედ-

ნის მეტროსთან მდებარე მარკეტის სახურავის თავზე, მაშინ როდესაც აქციის დაშლის დროს და დილით აღლუმის მიმდინარეობისას პოლიცია ეფექტურ კონტროლს ახორციელებდა აღნიშნულ ტერიტორიაზე. ამ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს საიას მიერ მოძიებული აქციის მონაწილის ახსნა-განმარტება, რომელიც მიუთითებს, რომ 26 მაისს დილით მას აღნიშნული მარკეტის სახურავზე გვამები არ უნახავს.

მოცემულ საქმეზე არსებითად სადავო ხდება გამოძიების დამოუკიდებლობის საკითხი. ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმეს იძიებდა შსს და არა პროკურატურა, მაშინ როდესაც აქციის დაშლის პროცესში უშუალოდ შსს-ს თანამშრომლები იღებდნენ მონაწილეობას და, ამასთან, არსებობდა დასაბუთებული ეჭვები – და ეს ეჭვები გამოძიების მიერ იმ დროისთვის არ იყო გაქარწყლებული – რომ ნიკა კვინტრაძე შეიძლებოდა პოლიციის მიერ ყოფილიყო დაკავებული. გამოძიების საწყის ეტაპზევე შსს გამორიცხავდა პოლიციის ბრალეულობას მოცემულ საქმესთან დაკავშირებით.

სამწუხაროდ, დაზარალებულთა უფლებამონაცვლეების პოზიციის გამო, მოცემულ საქმეზე ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის განხორციელება შეუძლებელია. საია მიიჩნევს, რომ საქმეზე გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული გამოძიების ჩატარების უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვანია, გამოძიებამ გამოაქვეყნოს არსებითი ხასიათის მტკიცებულებები საქმეზე, რომელიც საზოგადოებას სათანადო შეფასებების გაკეთების შესაძლებლობას მისცემს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოძიების არაგამჭვირვალე პროცესი აჩენს დასაბუთებულ ეჭვებს გამოძიების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

5. 5. აქციის მონაწილის თემურ კაპანაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმე

26 მაისს აქციის დაშლის დროს პოლიციამ თემურ კაპანაძე სასტიკად სცემა, რის შედეგადაც მან სერიოზული ფიზიკური და ემოციური ტრამვები მიიღო. 26 მაისის შემდეგ თ. კაპანაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ექიმების დროული ჩარევისა და მკურნალობის მიუხედავად, აქციის დროს მიღებული ტრამვებით გამოწვეული ავადმყოფობით ის 8 დღის შემდეგ გარდაიცვალა.

5.5.1. აქციის დაშლის დროს თემურ კაპანაძის ცემასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები

თ. კაპანაძე სახალხო კრების აქტივისტი იყო და 2011 წლის 21 მაისიდან მოყოლებული მუდმივად დადიოდა სახალხო კრების მიერ ორგანიზებულ აქციებზე. 26 მაისს აქციის დაშლის დროსაც თემურ კაპანაძე აქციის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. 25 მაისს, ღამე, აქციის ტერიტორიაზე თ. კაპანაძის ყოფნის ფაქტს ადასტურებს მისი მეგობარი, დათო გაფრინდაშვილი[233] და, ასევე, სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი ნონა გაფრინდაშვილი.

აქციის დაშლის დროს თემურ კაპანაძის ცემისა და მისთვის მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანენების აღწერა ეფუძნება მისი მეუღლის ელისო შენგელიასა და დათო გაფრინდაშვილის ახსნა-განმარტებებს, ასევე თ. კაპანაძის სამედიცინო დოკუმენტაციების მონაცემებს.

ელისო შენგელია თავის ახსნა-განმარტებაში იხსენებს, რომ 25 მაისს თემურ კაპანაძე აქციაზე იმყოფებოდა. 26 მაისს იგი სახლში გამთენიისას დაახლოებით 2-ის ნახევარზე დაბრუნდა, თავიდან ბოლომდე სველი იყო და თავი, სახე და ტანსაცმელი სისხლიანი ჰქონდა. ელისო შენგელიას მისმა მეუღლემ უამბო, რომ აქციის დაშლის დროს მას გულ-მკერდის არეში ცრემლსადენი გაზის კაპსულა მოხვდა, რისი ზემოქმედების შემდეგაც ის ცუდად გახდა – ჰქონდა გაგუდვის შეგრძნება და რამდენიმე წამით გონებაც დაკარგა. როდესაც თ. კაპანაძემ გონზე მოსვლა შეძლო, მას სპეცრაზმელები ხელკეტებით სცემდნენ.[234]

---

[233] საიას მიერ დათო გაფრინდაშვილისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება, 13.07.2011.

[234] საიას მიერ ელისო შენგელიასგან აღებული ახსნა-განმარტება, 13.07.2011.

თ. კაპანაძის ცემისა და აქციის დაშლის დროს მისთვის გულ-მკერდის არეში გაზის კაფსულის მოხვედრის შესახებ ჰყვება დათო გაფრინდაშვილიც, რომელმაც თემურ კაპანაძე 26 მაისს მისავე სახლში მოინახულა.

როგორც ე. შენგელიასა და დ. გაფრინდაშვილისთვის თემურ კაპანაძის მონათხრობიდან ჩანს, მას სპეცრაზმელები მაშინ ურტყამდნენ, როდესაც გონება დაკარგული ჰქონდა და, შესაბამისად, რაიმე წინააღმდეგობას პოლიციას ვერ გაუწევდა.

ცემის შედეგად, თ. კაპანაძეს დაზიანებები აღენიშნებოდა თავისა და ზურგის არეში. ელისო შენგელია თავის ახსნა-განმარტებაში ისხენებს, რომ *„თემურს დაზიანებები ჰქონდა თავისა და ზურგის არეში, კერძოდ, თავი ჰქონდა გატეხილი და ზურგზე სისხლჩაქცევები აღენიშნებოდა. პირველ დღეს ზურგზე შეშუპებები და სიწითლეები ჰქონდა, მეორე დღეს კი უკვე ზურგის ზედა ნაწილი მთლიანად დაულურჯდა. თავზე ორ ადგილას ჰქონდა ნახეთქები, თუმცა, არც ისე ღრმა ჭრილობა იყო, რადგან ნაკერების დადება არ გამხდარა საჭირო. თუმცა, ჭრილობებიდან სისხლი მოსდიოდა.“*[235]

აქციის დაშლის დროს თ. კაპანაძის სხეულზე ცემის კვალსა და შესაბამის დაზიანებებს ადასტურებს შპს „პირველი კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ გაცემული სამედიცინო დოკუმენტებიც, სადაც მითითებულია, რომ თ. კაპანაძეს ეტყობა ცემის კვალი თხემზე. კერძოდ, აღენიშნება ექსკორაციები თხემზე და, ასევე, თავის ტვინის შერყევა.[236]

5.5.2. თემურ კაპანაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება 26 მაისის შემდეგ

სახლში დაბრუნების შემდეგ თემურ კაპანაძე შეუძლოდ გახდა. მას ჰქონდა ძლიერი ტკივილები გულ-მკერდის არეში და აწუხებდა ჰაერის უკმარისობა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, საჭირო გახდა სასწრაფო დახმარების გამოძახება. საიამ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოდან გამოითხოვა თ. კაპანაძის სამედიცინო დოკუმენტაცია. პაციენტის №681 სამედიცინო ბარათით დასტურდება, რომ 26 მაისს 20:36 საათზე თ. კაპანაძესთან სახლში სასწრაფო დახმარების მანქანა იყო გამოძახებული. სამედიცინო ბარათის შესაბამისად, პაციენტი უჩიოდა სუნთქვის გაძნელებას, ჰაერის უკმარისობასა და სიმძიმეს გულ-მკერდის არეში.[237] ელისო შენგელია თავის ახსნა-განმარტებაში იხსენებს, რომ სასწრაფო დახმარების ექიმების განმარტებით, თემურ კაპანაძეს ჰქონდა ტრავმული დაზიანებები და მათგან გამომდინარე ტკივილი გულ-მკერდის არეში.[238]

1. **26-27 მაისს №1 კლინიკურ საავადმყოფოში თ. კაპანაძისთის ჩატარებული მკურნალობა**

სასწრაფო დახმარების ბრიგადამ 26 მაისს თემურ კაპანაძე №1 კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც ის თერაპიულ განყოფილებაში მოათავსეს. №1 კლინიკური საავადმყოფოდან სამუშაო ჯგუფმა გამოითხოვა თ. კაპანაძის სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაცია. მოცემული სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად, ავადმყოფი კლინიკაში შესვლისას უჩიოდა ჰაერის უკმარისობას, ხველას, სისუსტეს, ტემპერატურის მომატებას 37 გრადუსამდე, ტკივილს გულ-მკერდის არეში.[239]

სამედიცინო გამოკვლევების შედეგად, თემურ კაპანაძეს დაუდგინეს: ორმხრივი პნევმონია, მწვავე კორონარული სინდრომი, ქრონიკული ობსტრაქციული ბრონქიტი, თავის ტვინის შერყევა, ექსკორაციები თხემზე. R გრაფიის შედეგად, თ. კაპანაძეს გულზე დაუდგინდა: სინუსური ტახიკარდია, მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფია და მწვავე კორონალური უკმარისობა. როგორც

[235] საიას მიერ ელისო შენგელიასგან აღებული ახსნა-განმარტება, 13.07.2011.

[236] თემურ კაპანაძის სამედიცინო ბარათი №647/399, გაცემული შპს პირველი კლინიკური საავადმყოფოს მიერ.

[237] თემურ კაპანაძის სამედიცინო ბარათი №681, გაცემული საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ.

[238] საიას მიერ ელისო შენგელიასგან აღებული ახსნა-განმარტება, 13.07.2011.

[239] თემურ კაპანაძის სამედიცინო ბარათი №647/399, გაცემული შპს პირველი კლინიკური საავადმყოფოს მიერ.

სამედიცინო დოკუმენტებში ჩანს, კარდიოლოგის კონსულტაციის შედეგად, ელისო შენგელიას შესთავაზეს მისი მეუღლის კარდიოლოგიურ კლინიკაში გადაყვანა, თუმცა, თ. კაპანაძის ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ ის მის მკურნალ ექიმთან სხვა კლინიკაში მიეყვანათ.

2011 წლის 27 მაისს თემურ კაპანაძე №1 კლინიკური საავადმყოფოდან გაწერეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელი იყო.

2. **ჯანმრთელობის მდგომარეობის შემდგომი გაუარესება და 31მაისიდან 2 ივნისამდე თემურ კაპანაძის მკურნალობის პროცესი ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში**

სახლში დაბრუნების შემდეგ თემურ კაპანაძეს კვლავ დაეწყო ტკივილები გულ-მკერდის არეში. 30 მაისს მისი ოჯახის წევრებს კიდევ ერთხელ მოუწიათ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების გამოძახება. პაციენტის №573 სამედიცინო ბარათის თანახმად, *„ავადმყოფი უჩივის ჰაერის უკმარისობას, საერთო სისუსტეს. აღნიშნული ჩივილები დაეწყო 5-6 დღის წინ. ავადმყოფს ანამნეზში აღენიშნება გ.ი.დ. პოსტ-ინფარქტული კარდიოსკლეროზი. რამდენიმე დღის წინ ავადმყოფს გადატანილი ჰქონდა პნევმონია, რის შემდეგაც მისი მდგომარეობა გაუარესდა."* [240]

31 მაისს თემურ კაპანაძის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. მას დაეწყო ძლიერი ტკივილები გულის არეში. იმავე დღეს თ. კაპანაძე ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც ის კარდიოლოგიურ განყოფილებაში მოათავსეს. საიას მიერ ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკიდან გამოთხოვილ სამედიცინო დოკუმენტების თანახმად, 26 მაისს, ღამე, პაციენტი მოჰყვა მიტინგის დაშლაში, რა დროსაც განიცადა მძიმე ფიზიკური და ფსიქოემოციური სტრესი, მას შემდეგ პაციენტი ყოველ დღე, ასევე კლინიკაში შესვლის დროს, უჩიოდა ჰაერის ძლიერ უკმარისობას, გულის ფრიალს, ადვილად დაღლას მცირე ფიზიკურ დატვირთვასა და მოსვენების მდგომარეობაში. ასევე, ჰქონდა ქვემო კიდურების შეშუპება კოჭ-წვივის სახსრებში. მისი პირველადი კლინიკური დიაგნოზი იყო: გ.ი.დ. მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი.[241]

31 მაისიდან 2 ივნისამდე პაციენტს უტარდებოდა მკურნალობა და მისი მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა.

2011 წლის 2 ივნისს ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში თემურ კაპანაძეს ჩაუტარდა კორონაროგრაფიული გამოკვლევა, რის შემდეგაც გადაწყდა თემურ კაპანაძისთვის ოპერაციის გაკეთება, კერძოდ, მარჯვენა კორონარული არტერიის ანგიოპლასტიკა, სტენტების იმპლემენტაცია.

2011 წლი 2 ივნისს 11:05 საათზე თ. კაპანაძეს ჩაუტარდა 3 სტენტის იმპლანტაცია. თუმცა, აღენიშნა ძირითადი ღეროს ოსტიალური სეგმენტის კრიტიკული სცენოზი, რის გამოც ღეროს ანგიოპლასტიკის ჩატარება მეორე ეტაპზე დაიგეგმა. ოპერაციის პირველი ეტაპის შემდეგ პაციენტს აღენიშნებოდა ტკივილი მკერდის ძვლის უკან. 11:40 საათზე თ. კაპანაძის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. ექიმების მიერ ჩატარებული ღონისძიებების მიუხედავად, 12:20 საათზე პაციენტი გარდაიცვალა.

ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის მიერ გაცემულ სამედიცინო დოკუმენტაციაში თემურ კაპანაძის სიკვდილის მიზეზად მითითებულია: მწვავე მიოკარდიული ინფარქტი, ქვედა კედლის IV კლასის კილიპის, გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი (2000), კანგავლითი კორონარული ანტიოპლასტიკა (02.06.2011), არტერიული ჰიპერტეზია II სტადია.[242]

[240] თემურ კაპანაძის სამედიცინო ბარათი №573, გაცემული საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ.

[241] თემურ კაპანაძის სამედიცინო ბარათი №1151, გაცემული თსსუ ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის მიერ.

[242] თემურ კაპანაძის სამედიცინო ბარათი №1151, გაცემული თსსუ ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის მიერ.

3. თემურ კაპანაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა 2011 წლის 26 მაისამდე

2011 წლის 26 მაისამდე თემურ კაპანაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების დროს ჩვენ ვეყრდნობით მისი მეუღლისგან აღებულ ახსნა-განმარტებასა და 26 მაისის შემდეგ კაპანაძისთვის გახსნილი სამედიცინო დოკუმენტების მასალებს. სამწუხაროდ, მანამდე თ. კაპანაძისთვის ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის ამსახველი სამედიცინო დოკუმენტები ვერ მოვიპოვეთ.

ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის მიერ გაცემულ სტაციონარული პაციენტის №1151 სამედიცინო ბარათში მითითებულია, რომ პაციენტის გადმოცემით, მან 2000 წელს გადაიტანა უკანა კედლის მიოკარდიუმის ინფარქტი, რის შემდეგაც მას მუდმივად აღენიშნებოდა სტენოკარდიული შეტევები. 2005 წელს მას ჩაუტარდა კორონაროგრაფიული გამოკვლევა და საჭირო გახდა ანგიოპლასტიკა 2 სტენტის იმპლანტაციით, თუმცა, მატერიალური მიზეზების გამო, სტენდირების ჩატარება ვერ მოხერხდა. 2010 წლიდან, ზომიერ ფიზიკურ დატვირთვაზე კვლავ აღენიშნებოდა რეტროსტერნული ტკივილის ეპიზოდები, რომელიც ნიტროგლიცერინის მიღების შედეგად ეხსნებოდა.[243]

როგორც ელისო შენგელია იხსენებს, ბოლო 5 წლის განმავლობაში თემურ კაპანაძის მდგომარეობა სტაბილური იყო და საჭირო არ გამხდარა მისი ექიმთან ვიზიტი. მას ჰქონდა მსუბუქი ჩივილები გულთან დაკავშირებით, რომელიც პრეპარატ „ნიტრომიტის“ მიღების შემდეგ მალევე ეხსნებოდა.[244]

5.5.3. თემურ კაპანაძის გარდაცვალების მიზეზების შეფასება

როგორც ფაქტობრივ გარემოებებში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, აქციის დაშლის დროს თ. კაპანაძემ მიიღო სერიოზული ფიზიკური დაზიანებები და ფსიქოემოციური სტრესი, რის შედეგადაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რადიკალურად გაუარესდა. კერძოდ, აქციის დაშლის დროს თ. კაპანაძე პოლიციამ ხელკეტებით სცემა. ცემის შედეგად კაპანაძეს ჰქონდა სერიოზული დაზიანებები თავისა და ზურგის არეში. ამასთან, აქციის დაშლის დროს მას გულმკერდზე მოხვდა ცრემლსადენი გაზის კაპსულა, რამაც მას გონება დააკარგვინა. აღსანიშნავია, რომ ცრემლსადენი გაზის მოქმედება ადამიანში იწვევს ჰაერის უკმარისობის შეგრძნებას, სიმშრალეს, ბრონქიალურ სინდრომს,[245] რაც, ცხადია, უარყოფითად აისახებოდა თ. კაპანაძის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

აქციის დაშლის დროს თ. კაპანაძის მიერ მიღებულმა ემოციურმა და ფიზიკურმა ტრავმამ განაპირობა მწვავე კორონალური სინდრომის გაჩენა, რომელიც გულსისხლძარღვოვან შეტევას წარმოადგენს. უკვე 26 მაისს №1 კლინიკური საავადმყოფოს მიერ გაცემული დოკუმენტები ადასტურებს თ. კაპანაძის მიმართ მწვავე კორონალური სინდრომის არსებობას.

26 მაისიდან პაციენტს უტარდებოდა მკურნალობა, თუმცა, ამის *მიუხედავად*, მუდმივად აღენიშნებოდა ტკივილი გულ-მკერდის არეში და ჰაერის უკმარისობა. 2011 წლის 2 ივნისს ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკაში თ. კაპანაძეს დაუდგინდა ახალი ინფარქტი. მანამდეც, კლინიკაში მოთავსების პირველ დღეს, კერძოდ, 31 მაისს, ექიმების მიერ დასმული პირველადი დიაგნოზი გ.ი.დ. მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტიყო. ჩვენ მიერ გამოთხოვნილი სამედიცინო დოკუმენტებიდან კონკრეტულად არ ჩანს, მანამდე ჰქონდა თუ არა პაციენტს გადატანილი ინფარქტი. თუმცა, სამუშაო ჯგუფის მიერ ექიმ-კარდიოლოგებისგან მიღებული ზეპირი განმარტებების მიხედვით, პაციენტის გულის არეში გახანგრძლივებული ტკივილები აჩვენებს, რომ მანამდე მას უნდა ჰქონოდა გადატანილი, როგორც მინიმუმ, არასტაბილური სტენოკარდია ან ე.წ. მიკროინფარქტი. კორონაროგრაფიული გამოკვლევის შემდეგ, 2 ივნისს,

---

[243] თემურ კაპანაძის სამედიცინო ბარათი №1151„ გაცემული თსსუ ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის მიერ.

[244] საიას მიერ ელისო შენგელიასგან აღებული ახსნა-განმარტება, 13.07.2011.

[245] http://en.wikipedia.org/wiki/Tear_gas

ექიმებმა გადაწყვიტეს თ. კაპანაძისთვის სტენდირების ოპერაციის ჩატარება. ოპერაციის დროს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ ექიმებმა ღერძის არეში სტენტის იმპლანტაცია ვეღარ მოახერხეს და ის მეორე ეტაპისთვის გადადეს. თუმცა, ოპერაციიდან საათ-ნახევარში თ. კაპანაძე გარდაიცვალა.

როგორც სამედიცინო ლიტერატურაშია მითითებული, სტენდირების ოპერაციის შედეგები წარმატებულია ავადმყოფთა 95%-ში. ოპერაციის შემდგომი გართულებები შესაძლებელია პაციენტების 5-7%-ის შემთხვევაში. სტენდირების ოპერაციის დროს სიკვდილიანობის ალბათობა არ აღემატება 1%-ს.[246] ექიმ-კარდიოლოგთა განმარტებით, მწვავე ინფარქტის დროს სტენდირების შემდეგ სიკვდილიანობის ალბათობა 3%-ს შეადგენს. სტენდირების შედეგად სიკვდილიანობის ალბათობის დაბალი კოეფიციენტის მიუხედავად, თ. კაპანაძის შემთხვევაში ის ლეტალურად დასრულდა.

სიკვდილის მიზეზებში, ექიმების მიერ, მიმდინარე დაავადებებთან – მწვავე მიოკარდიული ინფარქტი, კანგავლითი კორონარული ანტიოპლასტიკა (02.06.2011), არტერიული ჰიპერტეზიის II სტადია – ერთად მითითებულია 2000 წელს თ. კაპანაძის მიერ გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი. ცხადია, ამ უკანასკნელმა კიდევ უფრო გაართულა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა. თუმცა, მძიმე ფსიქოემოციური და ფიზიკური სტრესის შედეგად, ინფარქტი შეიძლება იმ პირსაც განუვითარდეს, რომლის შემთხვევაში საერთოდ არ არის დოკუმენტირებული გულის დაავადებების არსებობა, მაგრამ გააჩნია მიდრეკილება იშემიური დაავადებების მიმართ. შესაბამისად, 2000 წელს თ. კაპანაძის მიერ გადატანილმა მიოკარდიუმის ინფარქტმა უფრო დაამძიმა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, თუმცა, არ განაპირობა ახალი ინფარქტი, რომელიც კაპანაძეს 26 მაისს მიღებული სტრესის შედეგად განუვითარდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, 26 მაისამდე განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილური იყო და ის ნორმალურ რეჟიმში აგრძელებდა ცხოვრებას.

ამდენად, კაპანაძის გარდაცვალება, სავარაუდოდ, მის წინააღმდეგ პოლიციის მიერ გამოყენებული არაპროპორციული ძალის შედეგია. როგორც მოცემულ საქმეში ჩანს, პოლიციამ დაარღვია გაზის კაფსულის გამოყენებისთვის აუცილებელი წინდახედულობის წესი, რომელიც უნდა კრძალავდეს მის სროლას კონკრეტული პირის (პირთა ჯგუფის) მიმართ. გაზის იარაღი იძლევა მისი დისკრიმინირებული გამოყენების შესაძლებლობას. ამ კუთხით, შეფასებას მოითხოვს, რამდენად დაიცვა პოლიციამ გაზის იარაღის გამოყენების ინტენსივობა და კონცენტრაცია კონკრეტულ პერიმეტრზე. ამასთან დაკავშირებით, საია შეეცადა, შსს-დან მიეღო ინფორმაცია აქციის დაშლის დროს გამოყენებული სპეციალური საშუალებების სახეებისა და ოდენობის შესახებ, თუმცა, ამ დრომდე შსს-ს აღნიშნული ინფორმაცია არ მოუწოდებია.

[246] http://www.infarkta.net/patsientam/16321/16447/

მე-6 თავი. შსს-ს მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის სავარაუდო დარღვევა

შესავალი

2011 წლის 26 მაისს შსს-მ ოფიციალურად დაადასტურა აქციის დაშლისას ორი პიროვნების: შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის, ლეიტენანტ ვლადიმერ მასურაშვილის და აქციის მონაწილის, ნოდარ ცხადაძის გარდაცვალების ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადებები გამოქვეყნდა როგორც შსს-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე, კომენტარები გაკეთდა შსს-ს მაღალჩინოსნის, ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის შოთა უტიაშვილის მხრიდან.

პირველივე განცხადებებიდან ნათელი გახდა, რომ ორივე პიროვნების გარდაცვალებას შსს უკავშირებდა ივანე ჩიღვინაძესა და ზაქარია ზურაშვილს, რომლებიც იმავე დღეს დააკავეს.

6.1. უდანაშაულობის პრეზუმფცია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, *„ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი ბრალეულობა დამტკიცდება კანონით.“* უდანაშაულობის პრეზუმფცია დაძლეულია მხოლოდ კანონის შესაბამისად ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში. აღნიშნულს კი განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი, რომელიც აყალიბებს, ვის მიერ და სისხლის სამართლის პროცესის რომელ ეტაპზე შეიძლება პირი ცნობილი იქნეს დამნაშავედ. იგივე მუხლი ასევე განსაზღვრავს სასამართლოს განსაკუთრებულ როლს სისხლის სამართალწარმოებაში და ადგენს, რომ პირი მიიჩნევა უდანაშაულოდ მაშინაც კი, თუ ის დაკავებულია, ან მას თავისუფლება სხვაგვარად აქვს შეზღუდული. თუმცა, ჯერ არ არსებობს მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ *„უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება ჩაითვლება დარღვეულად, თუ საჯარო პირის განცხადება დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ის არის უდანაშაულო მანამ, სანამ მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.“* ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმფციით შებოჭილია არა მხოლოდ ის ორგანო, რომელიც უშუალოდ იძიებს ან იხილავს კონკრეტული პირის მიმდინარე ბრალდების საქმეს, არამედ სხვა საჯარო მოხელეებიც, რომლებიც აკეთებენ განცხადებებს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესახებ.[247] ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მეორე ნაწილი არ ზღუდავს ხელისუფლებას, მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება გამოძიების პროგრესის შესახებ. ამ პროცესში მთავრობა შეფასების თავისუფლებით სარგებლობს, თუმცა, ამასთან, ის ვალდებულია, დაიცვას მოთხოვნა უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებით.[248] ამ მიმართებით ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს საჯარო მოხელეების მიერ გამოყენებული სიტყვებისა და იმ კონტექსტის მნიშვნელობას, რომელშიც ეს განცხადება გაკეთდა.[249]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ორგანომ, რომელიც გამოძიებას ახორციელებს, პატივი სცეს და დაიცვას უდანაშაულობის პრეზუმფცია. მისი დაცვა, ერთი მხრივ, ემსახურება წინასწარ ჩამოყალიბებული რწმენის დაძლევას, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, ხოლო, მეორე მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა დაკავშირებულია პირის რეპუტაციასა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასთან. პირს, რომელიც ჯერ არ არის ცნობილი მსჯავრდებუ-

[247] *Allenet de Ribemont v. France*, application #15175/89, judgment of 10 February 1995, § 41 and *Daktaras v. Lithuania*, application #42095/98, judgement of 10 October 2000, §§ 41-43

[248] *Allenet de Ribemont v. France*, § 38..

[249] *Khuzhin and Others v. Russia*, application #13470/02, judgment of 23 October 2008, § 94, ასევე *Butkevičius v. Lithuania*, application #48297/99, judgement 26 March 2002, § 49.

ლად, არ შეიძლება მოექცნენ ან მიმართონ ისე, როგორც კონკრეტული დანაშაულის ჩამდენს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, გამოძიების ორგანოები დარწმუნებულები იყვნენ პირის ბრალეულობაში, სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე მათ ეკრძალებათ ისეთი შინაარსის განცხადებების გაკეთება, რომელიც ბრალდებულს საზოგადოების თვალში მსჯავრდებულად წარმოაჩენს. განსაკუთრებით სახიფათოა მსგავსი განცხადების გაკეთება, ვინაიდან არსებობს რისკი, მან გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს გამოძიების მწარმოებელ პირებსა და შემდგომში სასამართლოზე, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის გამოძიებისა და სასამართლოს მიუკერძოებლობას.

საქმეზე Allenet de Ribemont v. France ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციის ზოგიერთი უმაღლესი რანგის ოფიცრის განცხადება მოსარჩელის მიმართ, რომ ის მონაწილეობდა მკვლელობის ჩადენაში, როგორც ერთ-ერთი ორგანიზატორი და ასევე დამხმარე, არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციას მის მიმართ, რადგან ასეთი განცხადებები პოლიციის მხრიდან კეთდებოდა ყოველგვარი კვალიფიკაციისა და დათქმის გარეშე. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ პოლიციის ამგვარი განცხადებები მოსარჩელის დამნაშავეობის შესახებ, საზოგადოებას არწმუნებდა, რომ ის დამნაშავე იყო. ამასთან, მსგავსი წინასწარი შეფასება წარმოადგენდა სასამართლოს კომპეტენციაში ჩარევას.

6.2. შსს-ს ოფიციალური განცხადებები

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის სავარაუდო დარღვევის საკითხი გამოიკვეთა შსს-ს მიერ 26 მაისს და შემდგომ დღეებში გავრცელებულ 3 ოფიციალურ განცხადებაში, რომელთა შინაარსი ქვემოთ არის წარმოდგენილი.

1. **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 26 მაისის განცხადება**

„ [..] ნინო ბურჯანაძის ესკორტი გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა თავისუფლების მოედნის მიმართულებით, რა დროსაც ესკორტის 2 მანქანა, რომელთაგან ერთ-ერთს მართავდა ნინო ბურჯანაძის თანაშემწე ივანე ჩიღვინაძე, ხოლო მეორეს ნინო ბურჯანაძის პარტიის წევრი ზაქარია ზურაშვილი, შეეჯახა რამდენიმე ადამიანს. შეჯახების შედეგად, ადგილზე გარდაიცვალა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, ლეიტენანტი ვლადიმერ მასურაშვილი და მოქალაქე ნოდარ ცხადაძე. პირველადი დათვალიერებით, ორივე მათგანს აღენიშნება სხეულის მრავლობითი დაზიანებები, რაც დამახასიათებელია ავტო-საგზაო შემთხვევისას.“ [250]

2. **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის შოთა უტიაშვილის 26 მაისის განცხადება**

„[..] გვყავს კიდევ ერთი უდანაშაულო მსხვერპლი. გუშინ გარდაიცვალა 54 წლის ნოდარ ცხადაძე, ყოფილი პოლიციელი. როგორც გარდაცვალების ადგილის ანალიზი და დაზიანების ხასიათი მოწმობს, იგი სავარაუდოდ იმავე ავადსახსენებელი კორტეჟის მსხვერპლი გახდა და დაზიანება მიიღო იმავე ადგილას, სადაც პოლიციელმა, ანუ ოპერაციის ადგილიდან საკმაოდ მოშორებით, თავისუფლების მოედანზე...“ [251]

3. **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის შოთა უტიაშვილის მიერ 2011 წლის 02 ივნისს გაკეთებული განცხადება (გადაცემა „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“)**

„[..] ჩვენ დავაკავეთ იმ მანქანების მძღოლების ნაწილი, რომლებმაც გაიტანეს პოლიციელი და მშვიდობიანი მოქალაქე... არც ერთი ადამიანის სიკვდილი, არც პირდაპირ და არც ირიბად, არ

[250] http://www.police.ge/index.php?m=8&date=2011.5.26&newsid=2505

[251] http://www.1tv.ge/News-View.aspx?Location=22254&LangID=1

იყო პოლიციის ქმედების შედეგი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთო ჯამში ოპერაციამ სტანდარტების შესაბამისად ჩაიარა.“ [252]

6. 3. შსს-ს ოფიციალური განცხადებების შეფასება

ცხადია, პოლიცია ვალდებულია, თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას. საჯაროობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვა პოლიციის საქმიანობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ამა თუ იმ მოვლენის, საქმის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. 26 მაისის მოვლენები, განსაკუთრებით, აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში დაფიქსირებული სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები, წარმოადგენდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს. შესაბამისად, პოლიცია ვალდებული იყო, მოეხდინა საზოგადოების დროული და ადეკვატური ინფორმირება აღნიშნულ ფაქტებზე და მიეწოდებინა ინფორმაცია გამოძიების პროგრესის შესახებ. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლები ვალდებულები არიან, საზოგადოებას ისე მიაწოდონ ინფორმაცია, რომ დაიცვან უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნა.

შსს-ს მიერ გავრცელებული პირველი განცხადებით, ნათელი ხდება, რომ პოლიცია 26 მაისს ორი პიროვნების სიცოცხლის ხელყოფაში ბრალს ნინო ბურჯანაძის ესკორტის მძღოლებს, ივანე ჩიღვინაძესა და ზაქარია ზურაშვილს სდებდა. შსს-მ აღნიშნული განცხადება გააკეთა იმ პირობებში, როდესაც ჩიღვინაძე და ზურაშვილი ბრალდებულად იყვნენ ცნობილნი და მათ მიმართ არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენი. მეტიც, როგორც ნოდარ ცხადაძისა და ვლადიმერ მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე უკვე კანონიერ ძალაში შესული განაჩენები (2011 წლის 16-17 აგვისტო) ადასტურებს, ჩიღვინაძე და ზურაშვილი არ არიან მსჯავრდებულები ამ დანაშაულების ჩადენისთვის.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ შსს-ს 26 მაისის განცხადება არ იყო კვალიფიციური და ის არ ეფუძნებოდა კანონით დადგენილი წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. მეტიც, განცხადება არ შეიცავდა სათანადო ვარაუდისა და დათქმის პირობებს. კერძოდ, იგი არ შეიცავდა ინფორმაციას, თუ კონკრეტულად რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ადასტურებდა შსს ვლადიმერ მასურაშვილისა და ნოდარ ცხადაძის გარდაცვალებას, როგორც ივანე ჩიღვინაძის და ზაქარია ზურაშვილის ავტომანქანების შეჯახების შედეგს. განცხადების ტექსტი, **რომ პირველადი დათვალიერებით ორივე გარდაცვლილს აღენიშნება სხეულის მრავლობითი დაზიანებები, რაც დამახასიათებელია ავტო-საგზაო შემთხვევისას, არ იყო ის მტკიცებულება, რომელიც** ადასტურებდა გამოძიების ამგვარ შეფასებებსა და დასკვნებს. პირიქით, აღნიშნული ტექსტით იკვეთება, რომ განცხადების გაკეთების მომენტისათვის გამოძიებას არ გააჩნდა შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დაადგენდა გარდაცვალების რეალურ მიზეზებს. ამასთან, სათანადოდ არ იყო დამტკიცებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ დაზარალებულმა პირებმა სწორედ ივანე ჩიღვინაძისა და ზაქარია ზურაშვილის მართვის ქვეშ მყოფი მანქანების დაჯახების შედეგად მიიღეს სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები.

შსს-ს აღნიშნულმა განცხადებამ, რომელიც თავისი შინაარსით ძალიან კონკრეტული იყო და კონკრეტული პირების მიერ დანაშაულის ჩადენას ამტკიცებდა, შექმნა კონტექსტი შსს-ს მიერ ამ საქმეზე გაკეთებული შემდგომი განცხადებებისთვის, რომელიც სადავოს ხდის შსს-ს სხვა განცხადებებში უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.

26 მაისის ბრიფინგზე გაკეთებულ განცხადებაში შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა ხაზი გაუსვა და დაადასტურა მის მიერ მანამდე უკვე გაკეთებული განცხადება, რომ ნოდარ ცხადაძე „სავარაუდოდ იმავე ავადსახსენებელი კორტეჟის მსხვერპლი გახდა,“ რომელსაც პოლიციელის სიცოცხლე ემსხვერპლა. მოცემულ განცხადებაში შსს სიტყვა *სავარაუდოს* ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმის მიმართ იყენებს, ხოლო მასურაშვილის საქმეზე <u>მტკიცებითად</u> უთითებს, რომ პოლიციელის გარდაცვალება სწორედ კორტეჟის დაჯახების შედეგი იყო. ამ დროს ესკორტის არც ერთი მძღოლის მიმართ არ იყო დამდგარი საბ-

[252] http://www.1tv.ge/Video-View.aspx?VID=5152&Loc=58&CatID=1&LangID=1

ოლოო განაჩენი (ესკორტის მძღოლების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენები 2011 წლის 28-29 ივლისს, ნაწილი კი 2011 წლის 16-17 აგვისტოს დადგა).

2 ივნისს გადაცემაში „დიალოგი დავით პაიჭაძესთან" გაკეთებული განცხადებაში შოთა უტიაშვილმა მტკიცებითად მიუთითა, რომ პოლიციამ დააკავა მანქანების მძღოლების ის ნაწილი, რომლებმაც პოლიციელი და მშვიდობიანი მოქალაქე გაიტანეს. აღნიშნულ განცხადებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი დაკავებულ მძღოლებს პირდაპირ დამნაშავეებად აცხადებს, შესაბამისი დათქმისა და ვარაუდის მითითების გარეშე. მეტიც, იმ ვითარებაში, როდესაც გამოძიება აღნიშნულ საქმეებზე ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, შსს აცხადებდა, რომ არც ერთი სიცოცხლის ხელყოფის ფაქტი, რომელიც აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში დაფიქსირდა, არ იყო პოლიციის ქმედების შედეგი. ცხადია, ამგვარი განცხადება გავლენას ახდენდა გამოძიების მიუკერძოებლობაზე და საზოგადოებაში აჩენდა ეჭვებს გამოძიების ობიექტურობაზე.

ნოდარ ცხადაძის სიცოცხლის ხელყოფის საქმეში შსს-მ აღნიშნული განცხადებები გააკეთა ისე, რომ მას არ გამოუქვეყნებია მტიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ავტოკოლონის მანქანების მიერ ნოდარ ცხადაძის დაჯახებისა და *სწორედ* დაჯახების შედეგად მისი სიცოცხლის ხელყოფის ფაქტს. შესაბამისად, შსს-ს განცხადება არ აკმაყოფილებდა კვალიფიციურობის მოთხოვნას. ამასთან, ცხადია, ამგვარი განცხადებები ნეგატიურ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე და გამოძიებისა და სასამართლოს მიუკერძოებლობაზე.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სამივე ზემოთ მოყვანილი განცხადება მეტ-ნაკლები ხარისხით სწორედ იმის მიმანიშნებელია, რომ 26 მაისს და შემდგომ გაკეთებული განცხადებებით ირღვეოდა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი. აღნიშნული განცხადებებით ყოველგვარი წინასწარი დათქმისა და კვალიფიკაციის გარეშე დაკავებული პირები დამნაშავედ იქნენ წარმოჩენილნი მანამდე, სანამ მათი ბრალეულობა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგინდებოდა. ანალოგიურ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (Allenet de Ribemont v. France) მიიჩნია, რომ დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, რადგან მსგავსმა განცხადებებმა საზოგადოებას უბიძგა, მანამდე დაეჯერებინა განმცხადებლის დამნაშავეობა, სანამ საქმესთან დაკავშირებულ ფაქტებს სასამართლო შეაფასებდა და განიხილავდა.

რთულია იმის განსაზღვრა, 26 მაისს და შემდგომ გავრცელებული განცხადებები კონკრეტულად რას ისახავდა მიზნად – საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას თუ გამოძიების მწარმოებელ პირებსა და სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენას. ასევე, რთულია იმის თქმა, მიღწეული იქნა თუ არა დასახული მიზანი, თუმცა, ამის დადგენა არ არის აუცილებელი იმისათვის, რომ მოყვანილი მაგალითები შეფასდეს, როგორც უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევა.

მე-7 თავი. აქციის დაშლის პროცესში და მას შემდეგ სამართალდამცავთა მიერ მედიის საქმიანობისთვის ხელშეშლა

შესავალი

საია განცალკევებით განიხილავს 26 მაისს ჟურნალისტებისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელებისთვის ხელშეშლის ფაქტებს. ამგვარ დარღვევებზე ყურადღების გამახვილებით საია მიუთითებს იმ მნიშვნელობაზე, რაც მედიას გააჩნია მსგავს კრიზისულ სიტუაციებში. ასეთ შემთხვევებში მედიის როლი მნიშვნელობა განპირობებულია მისი ფუნქციით, ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას მიმდინარე მოვლების შესახებ, მოახდინოს ფაქტების დოკუმენტირება და აღწერა. იმგვარი ფაქტები, კი რაც სამართალდამცავთა მხრიდან გამოვლინდა, ზღუდავს ჟურნალისტების შესაძლებლობას, შეასრულონ საზოგადოების მიერ მათზე დაკისრებული უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. სწორედ ამიტომ, საია განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოხატავს იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჟურნალისტების მიმართ. საიას მიერ მოპოვებული ინფორმაციით, **29 ჟურნალისტის** მიმართ დაფიქსირდა სხვადასხვა ფორმის ინციდენტი (საია არ გამორიცხავს, რომ, გარდა ქვემოთ აღრიცხული შემთხვევებისა, სხვა ინციდენტებსაც ჰქონდა ადგილი, რომელთა მოძიებაც სამუშაო ჯგუფმა ვერ შეძლო). საია აქვე აღნიშნავს, რომ ყველა იმ შემთხვევაში, რომელიც წინამდებარე ანგარიშშია მოხმობილი, სამართალდამცავებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დაზარალებული ჟურნალისტები მომიტინგეებისგან განესხვავებინათ. ჟურნალისტების ნაწილს ეცვა ჟილეტი წარწერით „PRESS“ და გააჩნდა ჟურნალისტობის დამადასტურებელი დოკუმენტი – ე.წ. „პრესკარტა”, ხოლო მეორე ნაწილს – მხოლოდ ჟურნალისტობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც აჩვენებდნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს, თუმცა, ამას დაკავების მომენტში შედეგი არ გამოუღია.

აღნიშნული შემთხვევები შეგვიძლია დავაჯგუფოთ შემდეგი კრიტერიუმებით:

7.1. ჟურნალისტებისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა

26 მაისს აქციის დაშლისას ადგილი ჰქონდა ჟურნალისტებისთვის თავისუფლების აღკვეთას იმ მომენტში, როდესაც ისინი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, ან უსაფრთხოების მიზნით, ცდილობდნენ დაეტოვებინათ მოვლენების ეპიცენტრი. საიას ხელთ არსებული ინფორმაციით, დაზუსტებულია **ცხრა** შემთხვევა,[253] როდესაც ჟურნალისტებს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. აქედან, 2 შემთხვევაში, ისინი დაკავებიდან მალევე, რუსთაველის გამზირიდანვე გაათავისუფლეს, ხოლო 7 – თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს და შემდეგ გაათავისუფლეს.

25-26 მაისის ღამეს, აქციის დაშლის დროს, ძლიერი წვიმა იყო, რის გამოც ჟურნალისტების დიდი ნაწილი თავს კინოთეატრ „რუსთაველს“ აფარებდა. სამართალდამცავთა ერთი ნაწილი რუსთაველის ქუჩაზე თავისუფლების მოედნის სეგმენტიდან ახორციელებდა შეტევას აქციის

[253] (1) ნინო კახიშვილი (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - ნეტგაზეთი;
(2) მალხაზ ჭკადუა (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - ინტერპრესნიუსი;
(3) ანა გაბუნია (საიას მიერ თენგო ოკუჯავასთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - ექსპრესნიუსი;
(4) თენგო ოკუჯავა (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - ექსპრესნიუსი;
(5) ვლადიმერ ასტაკპოვიჩი (http://en.rsf.org/georgie-at-least-a-dozen-journalists-27-05-2011,40365.html) - რია ნოვოსტი;
(6) ანდრეი მალიშკინი (http://en.rsf.org/georgie-at-least-a-dozen-journalists-27-05-2011,40365.html) - რია ნოვოსტი;
(7) თეიმუაზ რაზმაძე (http://neotv.ge/?p=1004) - ნეო ტივი (ინტერნეტ ჟურნალი);
(8) ბექა სივსივაძე, გიორგი მამაცაშვილი - ასავალ-დასავალი (ყოველკვირეული გაზეთი) (სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი 2011 წლის 30 მაისს გაგზავნილი #1882/04-09/0670-11/-662-11/0664-11 წერილი, http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/sazogadoeba/4994-zhurnalitebma-darbevis-dros-mdzime-dazianebebi-miighes.html).

მონაწილეებზე. შესაბამისად, ჟურნალისტები მალევე მათთან ძალიან ახლოს აღმოჩნდნენ. სამართალდამცველებმა მედიის წარმომადგენლებს მოსთხოვეს, ეროვნული ბიბლიოთეკის მიმართულებით წასულიყვნენ. ამის შემდეგ ჟურნალისტები, გადაღების მიზნით, სხვადასხვა ქუჩიდან ცდილობდნენ რუსთაველზე დაბრუნებას. ამ დროს ისინი გადააწყდნენ სპეცრაზმელთა კორდონს, რის შემდეგაც მოხდა ჟურნალისტების ერთი ნაწილის დაკავება.

მალხაზ ოყუჯავა იხსენებს: *„სპეცრაზმი [...] მოგვიახლოვდა, ვუთხარით, რომ ჟურნალისტები ვიყავით და გვითხრეს, ჩავსულიყავით ბიბლიოთეკის მიმართულებით. ჩავედით თაბუკაშვილის ქუჩაზე, საიდანაც ქაშვეთის ეკლესიიდან ასვლას ვცდილობდით რუსთაველზე, თუმცა, სპეცრაზმს ჰქონდა გადაკეტილი. შემდეგ ვცადეთ „მარიოტთან“ ავსულიყავით, სადაც სპეცრაზმის 6-7 თანამშრომელი გამოგვეკიდა (სულ 4 ჟურნალისტი ვიყავით, შემდეგ ერთი სხვა მიმართულებით გაიქცა და ვერ დააკავეს). პარალელურად რეზინის ტყვიებს გვესროდნენ. რამდენიმე ასეული მეტრის შემდეგ დაგვეწივნენ, დაგვიწყეს ცემა და გვაყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას მიუხედავად იმისა, რომ ვაჩვენებდით ჟურნალისტის მოწმობებს, მალხაზ ჭკადუას კი პრესის ჟილეტი ეცვა. შემდეგ სამი მათგანი: მე, მალხაზ ჭკადუა და ანა გაბუნია გადაგვიყვანეს თაბუკაშვილის ქუჩაზე ახალგახსნილ პოლიციის შენობაში (სადაც დაახლოებით 30 წუთი ვიმყოფებოდით), შემდეგ კი – მთავარ სამმართველოში (დაკავების შემდეგ ფიზიკურ შეურაცხყოფას აღარ გვაყენებდნენ). დაკავების დროს და არც შემდეგ დაკავების მიზეზები ჩვენთვის არ განუმარტავთ, ეს მათ არც გათავისუფლების დროს უთქვამთ. მთავარ სამმართველოში სამარშრუტო ტაქსით გადაგვიყვანეს, რომელსაც არავითარი ამოსაცნობი ნიშანი, რომ ის პოლიციის საკუთრება იყო, არ გააჩნდა. [...] იქ დაახლოებით 2 საათის განმავლობაში ვიყავით [...] 2 საათის შემდეგ ცალკე ოთახში გადაგვიყვანეს, სადაც დაკავების ოქმებს ადგენდნენ. იქაც ვთქვი, რომ ჟურნალისტი ვიყავი. ამ დროს გამოვიდა ერთ-ერთი პოლიციელი და იკითხა, რომლები ვიყავით ჟურნალისტები. მე ვაჩვენე პრესკარტა, მალხაზ ჭკადუაზეც ვუთხარი, რომ ჟურნალისტი იყო, რის შემდეგაც გამათავისუფლეს. ანა გაბუნიაზე მითხრეს, რომ ყველა ქალი გაუშვეს, თუმცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა ისიც მთელი ღამე ჰყავდათ დაკავებული“* [254] (იმავეს ჰყვება მალხაზ ჭკადუა).[255]

ჟურნალისტების მეორე ნაწილი ერთ ადგილას არ იდგა. ისინი მუდმივად გადაადგილდებოდნენ ერთი წერტილიდან მეორეში. შესაბამისად, ისინი აქციის დაშლის დაწყებიდან მალევე ძალადობის ეპიცენტრში მოექცნენ. მათი დაკავება თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა, როდესაც ტერიტორიის დატოვებას ცდილობდნენ (ნინო კახიშვილი, ბექა სივსივაძე, გიორგი მამაცაშვილი. დანარჩენი ჟურნალისტების დაკავების ადგილის შესახებ სამუშაო ჯგუფმა ინფორმაციის მოპოვება ვერ შეძლო).

ნინო კახიშვილი დარბევის დაწყების დროს ჩიტაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა. მან სცადა, დაეტოვებინა ტერიტორია და უსაფრთხო ადგილისთვის შეეფარებინა თავი, თუმცა, გაზისგან მოიწამლა და სამართალდამცავი ორგანოების წამომადგენლებმა იგი თავისუფლების მოედანზე ერთ-ერთ სასწრაფო დახმარების მანქანასთან მიიყვანეს, სადაც სხვა პოლიციელმა დააკავა: *„მალევე პოლიციელმა [სასწრაფო დახმარების] მანქანიდან ჩამომსვა, ხელი მომკიდა და ჩქარი ნაბიჯით ყვითელი ავტობუსისკენ მიმიყვანა. მე ვაჩვენე პრესის დამადასტურებელი მოწმობა და ვთხოვე, გავეშვი. მითხრა, რომ პოლიციაში გაარკვევდნენ, ვინ ვიყავი. [...] როცა პოლიციის შენობასთან მივედით, დაკავებულები ჩაიყვანეს და მე მითხრეს, შენ ჯერ აქ იჯდებიო. [...] დაახლოებით 5 წუთში ჩამომსვეს და შენობის ფოიეში ამიყვანეს. [...] მე ისევ ვთხოვე ერთ-ერთ პოლიციელს, მალე გაერკვიათ ჩემი ამბავი და გამოვეშვი. მალე ერთ-ერთი თანამშრომელი მოვიდა ჩემთან და პრესკარტა მომთხოვა. ბოდიში მომიხადა, თქვენ აქ არ უნდა იყოთო და გამომიშვა.“* [256]

ბექა სივსივაძისა და გიორგი მამაცაშვილის შესახებ სახალხო დამცველის წერილში მითითებულია: „*ორივე მათგანმა სპეცრაზმელებს წარუდგინა პრესის მოწმობა. მიუხედავად ამისა,*

[254] საიას მიერ თენგიზ ოყუჯავასთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება.

[255] საიას მიერ მალხაზ ჭკადუასთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება.

[256] საიას მიერ ნინო კახიშვილისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება.

ისინი გადაიყვანეს თავისუფლების მოედნისკენ, სადაც დააწვინეს მიწაზე და ხელბორკილები დაადეს. ერთ-ერთი მათგანის აკრედიტაციის ბარათი წაიღეს, ხოლო მეორეს მათგანის მოწმობა გადააგდეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, სხვა დაკავებულებთან ერთად ავტობუსში აჰყავდათ, როდესაც ისინი ერთ-ერთმა პირმა იცნო." [257] ამის შემდეგ ორივე გაათავისუფლეს.

ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სამართალდამცავ ორგანოებს დაკავებული ჰყავდათ ვლადიმერ ასტაკპოვიჩი (მთელი ღამის განმავლობაში), ანდრეი მალიშკინი (5 საათის განმავლობაში).[258] ნეოტვ-ის ინფორმაციით, დაკავებული იყო თეიმურაზ რაზმაძეც, რომელიც ასევე პოლიციის სამმართველოში გადაიყვანეს.[259]

7.2. ჟურნალისტების სხეულის დაზიანება (რეზინის ტყვიებით ან სხვა საშუალებით), ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება

26 მაისს ადგილი ჰქონდა ჟურნალისტების ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, მათ მიმართ, გამიზნულად, რეზინის ტყვიების გამოყენებას, რაც რიგ შემთხვევებში არასათანადო მოპყრობის ინტენსივობას აღწევს (აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ქვეთავში არ მოხვედრილა ის შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტებმა დაზიანებები რეზინის ბრმა ტყვიების მოხვედრის შედეგად ან გაზით მოწამვლის გამო მიიღეს. ვინაიდან ამგვარი ქმედება წინასწარგანზრახულობის ტესტს არ აკმაყოფილებს, საია მათ არ განიხილავს ძალის გადამეტების საერთო სურათს მიღმა და არ ათავსებს ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელშეშლის კატეგორიაში). ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სხვადასხვაგვარად დაზარალებული ჟურნალისტების უმრავლესობის მიმართ კუმულატიურად ადგილი ჰქონდა ასევე წინამდებარე ქვეთავში აღწერილ ფაქტებს. საიას ხელთ არსებული ინფორმაციით, დაზუსტებულია **ოცდაოთხი** შემთხვევა.[260] ჟურნალისტე-

[257] სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი 2011 წლის 30 მაისს გაგზავნილი #1882/04-09/0670-11/-662-11/0664-11 წერილი.

[258] http://en.rsf.org/georgie-at-least-a-dozen-journalists-27-05-2011,40365.html

[259] http://neotv.ge/?p=1004

[260] (1) კონსტანტინე სტალინსკი (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - ნეტგაზეთი (ინტერნეტ გამოცემა);
(2) ზაირა მიქატაძე (http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=6407) - რეზონანსი (ყოველდღიური გაზეთი);
(3) დიანა ხოფერია (http://medianews.ge/index.php/ka/content/74386/) - ობიექტივი;
(4) ltv-ის (ინტერნეტ ტელევიზია) 2 ჟურნალისტი (საიას მიერ კონსტანტინე სტალინსკისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება);
(5) ნატო გოგელია (http://www.ick.ge/ka/rubrics/politics/6223-2011-05-25-20-44-26.html) - გურია ნიუსი (ყოველკვირეული რეგიონული გაზეთი);
(6) დავით მჭედლიძე (საია-მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - Media.Ge (ინტერნეტ გამოცემა);
(7) ლევან ქათამაძე და გიორგი ვიბლიანი (საია-მიერ ლევან ქათამაძისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - Sando.Ge (ინტერნეტ გამოცემა);
(8) მალხაზ ჭკადუა (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - ინტერპრესნიუსი;
(9) თენგო ოკუჯავა (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - ექსპრესნიუსი;
(10) თეიმურაზ რაზმაძე (http://neotv.ge/?p=1004) - ნეო ტივი (ინტერნეტ ჟურნალი);
(11) თამაზ კუპრეიშვილი (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - ნეტგაზეთი (ინტერნეტ გამოცემა);
(12) დარეჯან პაატაშვილი (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - ინტერპრესნიუსი;
(14) გიორგი როხაშვილი (სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი გაგზავნილი წერილი) - პირველი კავკასიური;
(15) სერგო გელაშვილი (სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი გაგზავნილი წერილი) - პირველი კავკასიური;
(16) დიმიტრი ლეზედევი (http://liberali.ge/26-maisi-gamodzieba) - კომერსანტი;

ბის უმრავლესობა მაშინ დაშავდა, როდესაც მოვლენების ეპიცენტრის დატოვებას ან/და მოვლენების ფირზე აღბეჭდვას ცდილობდა.

ლევან ქათამაძე იხსენებს იმღამინდელ მოვლენებს: *„აქციის დარბევის დაწყების დროს ვიმყოფებოდი ტრიბუნასთან, რის შემდეგაც ხალხის მასამ პარლამენტის შენობისკენ წამიყვანა. [...] ვინაიდან ჩემთან ერთად კიდევ რამდენიმე ჟურნალისტი იყო, სპეცრაზმს ვაჩვენეთ ჩვენი პრესკარტები და ვთხოვეთ, უსაფრთხო ადგილას გავეყვანეთ. თუმცა, ამის საპასუხოდ, ხელკეტის დარტყმა ვიგრძენი, რის შემდეგაც გავიქეცი. პარლამენტის კიბეებს ჯერ არ ვიყავით გაშორებული, როდესაც ჩემს კოლეგას, გიორგი ვიბლიანს (სანდო.გე) სპეცრაზმელმა რამდენჯერმე დაარტყა ხელკეტი მიუხედავად იმისა, რომ გიორგი აჩვენებდა ჟურნალისტის მოწმობას. ამის შემდეგ ერთმა სამართალდამცავმა გაგვიხსნა გზა და გვითხრა, რომ ქაშვეთის მიმართულებით წავსულიყავით. [...] ჩვენ გავიქეცით ქაშუეთისკენ, ხელში გვეჭირა პრესკარტები და ვყვიროდით, რომ ვიყავით ჟურნალისტები. მიუხედავად ამისა, ჩვენი მიმართულებით დამიზნებით ისროდნენ რეზინის ტყვიებს. მათგან სამი მომხვდა მე და 4-5 მოხვდა ჩემს კოლეგას. გვესროდნენ დაახლოებით 15-20 მეტრიდან. [თბილისი] მარიოტთან აღმოვჩნდით. იქ შედარებით სტაბილური სიტუაცია იყო, ვგულისხმობ, როდესაც ვეუბნებოდით, რომ ჟურნალისტები ვიყავით, გვატარებდნენ. ამის შემდეგ ვარდების მოედნის მიმართულებით წავედით. უკან ვეღარ დავბრუნდით, რადგან ამის საშუალება პოლიციამ არ მოგვცა.“* [261]

ბ. სივსივაძის დაზიანებები

რეზინის ტყვიებით დაცხრილეს ასევე ჟურნალისტები ბექა სივსივაძე და გიორგი მამაცაშვილი. სახალხო დამცველის მიერ საქართველოს მთავარი პროკურორისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: *„რუსთაველის გამზირზე მათ სპეცრაზმის წარმომადგენლებმა რეზინის ტყვიები ესროლეს. გიორგი მამაცაშვილის განმარტებით, ბექა სივსივაძეს 38-39 რეზინის ტყვია აქვს მოხვედრილი. რეზინის ტყვიებით მიღებული დაზიანებები ასევე ნათლად ჩანს. [მათ] სპეცრაზმელებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ორივე მათგანმა სპეცრაზმელებს წარუდგინა პრესის მოწმობა.“* [262]

კონსტანტინე სტალინსკი ასე აღწერს მასზე თავდასხმას: *„სპეცრაზმი მეტროდან ნელ-ნელა მოიწევდა პარლამენტისკენ, ანუ ჩვენი მიმართულებით. მე და კიდევ ერთი ჟურნალისტი ზურგით ვიდექით (პოლიციისგან) და მანიფესტანტებს ვიღებდით. ზურგზე ორივეს დიდი ზომის აბრა გვქონდა წარწერით PRESS. ცალ ხელში მეჭირა კამერა და გადაღებას ვცდილობდი, მეორე ხელში კი – პრესის ბარათი და მაქსიმალურად ზევით ვწევდი. ამ დროს ზურგზე რეზინის ტყვიის მოხვედრა ვიგრძენი. მე და ჩემი კოლეგა ვყვიროდით, რომ ჟურნალისტები ვიყავით. პარალელურად, ვცდილობდი მოვტრიალებულიყავი, რათა სპეცრაზმელებისთვის უკეთ დამენახვებინა ჩემი პრეს-ბარათი. ამ დროს ვიგრძენი ძლიერი ტკივილი ფერდის არეში, რაც ერთ-ერთი მოახლოებული სპეცრაზმელის მიერ დამიზნებით ნასროლმა რეზინის ტყვიამ გამოიწვია. [...] როდე-*

(17) გიორგი ედიშერაშვილი (http://neotv.ge/?p=1004) - ნეო ტივი (ინტერნეტ ჟურნალი);
(18) ბექა სივსივაძე; გიორგი მამაცაშვილი - ასავალ-დასავალი (ყოველკვირეული გაზეთი) (სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი 2011 წლის 30 მაისს გაგზავნილი #1882/04-09/0670-11/-662-11/0664-11 წერილი, http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/sazogadoeba/4994-zhurnalitebma-darbevis-dros-mdzime-dazianebebi-miighes.html);
(19) გოგიტა ხარებავა (სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი გაგზავნილი წერილი) - პირველი კავკასიური;
(20) ნესტან ცეცხლაძე (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - ნეტგაზეთი (ინტერნეტ გამოცემა);
(21) ანა გაბუნია (საიას მიერ თენგო ოკუჯავასთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - ექსპრესნიუსი;
(22) თელარა გელანტია (საიას მიერ თენგო ოკუჯავასთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - პირWელი;

[261] საიას მიერ ლევან ქათამაძისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება.

[262] სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი 2011 წლის 30 მაისს გაგზავნილი #1882/04-09/0670-11/-662-11/0664-11 წერილი.

კ. სტალინსკის დაზიანებები

საც მივხვდი, რომ ჟურნალისტობის მიუხედავად მაინც გვესროდა, შევეცადე, გადავფარებოდი ჩემს კოლეგას, ნაბიჯი სპეცრაზმელისკენ გადავდგი და კიდევ ერთხელ გავუმეორე, რომ ჟურნალისტი ვიყავი, თან თვალებში ვუყურებდი. ამ დროს ჩვენ შორის მანძილი 3-4 მეტრს არ აღემატებოდა. როდესაც ხმამაღლა კვლავ ვუთხარი, რომ ჟურნალისტი ვიყავი, თოფი დამიმიზნა და კიდევ ერთხელ მესროლა.“ [263]

თამაზ კუპრეიშვილი იხსენებს: *„ჩავედი თავისუფლების მოედნისკენ. მივხვდი, რომ სპეცრაზმელების ალყაში ვიყავი მოხვედრილი. ამ დროს ყვირილი ავტეხე, ჟურნალისტი ვარ-მეთქი და ჩემს სამკერდე ნიშანს ვაჩვენებდი. ამ დროს სპეცრაზმელებმა ცემა დამიწყეს, ძირს დავვარდი, მინიმუმ 10 კაცი მირტყამდა, თან სიტყვიერ შეურაცხყოფას მაყენებდნენ. ხელკეტებით და ფეხით მცემდნენ. მთელი ამ დროის განმავლობაში კამერა ჩართული მქონდა, მაგრამ სპეცრაზმელებმა კამერა წამართვეს და დაკეტეს. შემდეგ ფოტოაპარატსაც მართმევდნენ, ვცდილობდი არ მიმეცა. ამ დროს პოლიციის ფორმიანი პირი გამოჩნდა და მან შეაჩერა სპეცრაზმელები. პოლიციელმა სპეცრაზმელების კორდონი გახსნა და გამატარა. ამ მომენტში ფოტოაპარატი იქვე ხესთან დავდე, ვიფიქრე მერე ავიღებ მეთქი, მაგრამ ველარ მოვახერხე. სპეცრაზმელების კორდონში რომ გავდიოდი, ხან ერთ პოლიციელს გადამცემდნენ და ხან მეორეს. ამ დროს სპეცრაზმელები კეფასა და თავში მირტყამდნენ და იგინებოდნენ. ამ დროს შუბლზე დაზიანება მივიღე და სისხლი წამომივიდა.“* [264]

დავით მჭედლიძე ასე იხსენებს 26 მაისის ღამეს მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს: *„როგორც კი დამინახეს, ორი პოლიციელი მოვიდა და სანამ ერთი მამოწმებდა, მეორემ ჯოხით და წიხლებით დამიწყო ცემა, თან მაგინებდა. ფოტოაპარატი არ წაურთმევიათ და რამდენიმე ფოტოს გადაღება მაინც შევძელი.“* [265]

ზოგიერთ შემთხვევაში, ამგვარ ქმედებას ზემოაღნიშნულზე გაცილებით მძიმე შედეგები მოყვა. კვლავ კონსტანტინე სტალინსკის ახსნა-განმარტებიდან: *ჩემთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი ITV-ის ორი ოპერატორის დაშავების შესახებ, რომელთაგან ერთს ყბა აქვს მოტეხილი, ხოლო მეორეს ფეხი.*[266] სამუშაო ჯგუფი, ამ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, დაუკავშირდა აღნიშნულ ინტერნეტ-ტელევიზიას. მართალია ტელევიზიამ დაადასტურა ჟურნალისტების დაშავების ფაქტი, თუმცა, მათთან დაკავშირებაზე, მათივე სურვილის არარსებობის გამო, უარი გვითხრა. მედიით გავრცელებული ინფორმაციით, დაშავდა ასევე ჟურნალისტი დიანა ხოფერია,[267] რომელმაც საიასთან სატელეფონო საუბარში აღნიშნა, რომ თავის არეში მიყენებული დარტყმით გამოწვეული ჭრილობის შესახორცებლად სამი ნაკერი ადევს.

7.3. ჟურნალისტებისთვის კამერების ან ჩაწერის სხვა საშუალებების წართმევა ან დაზიანება, ასევე, ჩანაწერის წაშლა და მეხსიერების გარათების განადგურება

გარდა აღნიშნული დარღვევებისა 26 მაისს სამართალდამცავთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ჟურნალისტებისთვის პროფესიული აღჭურვილობის ან მისი ნაწილის ჩამორთმევასა და განადგურებას. საიას ხელთ არსებული ინფორმაციით დასტურდება **ცხრა** დაზუსტებული შემთხვევა (აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტებს წართმეული კამერა და ჩანაწერი არ დაბრუნებიათ);[268]

[263] საიას მიერ კონსტანტინე სტალინსკისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება.

[264] საიას მიერ თამაზ კუპრეიშვილისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება.

[265] საიას მიერ დავით მჭედლიძისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება.

[266] საიას მიერ კონსტანტინე სტალინსკისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება.

[267] http://medianews.ge/index.php/ka/content/74386/

[268] (1) თამაზ კუპრეიშვილი (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - ნეტგაზეთი;

საია მიიჩნევს, რომ ამგვარი ქმედებები, კერძოდ ჟურნალისტური აღჭურვილობა, ერთი მხრივ, სამართალდამცავებს უსპობს საშუალებას, თავი იმართლონ ჟურნალისტებისა და ჩვეულებრივი მანიფესტანტების აღრევით, ხოლო, მეორე მხრივ, ცხადი ხდება, რომ გადაღებული კადრების ჩამორთმევა ან განადგურება სამართალდამცავთა ერთი ნაწილის მხრიდან ემსახურებოდა ძალის გადამეტების მტკიცებულებების განადგურებას, რომელიც კონკრეტულ ჟურნალისტს გააჩნდა.

დათო მჭედლიძის ახსნა-განმარტებიდან: *„როგორც კი სპეცრაზმელები გამოჩნდნენ ჟურნალისტები ფურცელაძის ქუჩისკენ წავედით. [...] ფურცელაძეზე სპეცრაზმის სხვა ჯგუფი დაგვხვდა. ისინი ჟურნალისტებს კამერებს ართმევდნენ და იქიდან ჩიპებს იღებდნენ. დავინახე ერთ-ერთ ჟურნალისტს კამერიდან ჩიპი როგორ ამოაცალეს და ფეხით გასრისეს. ჩემს კოლეგას ნატო გოგელიას, რომელიც „გურია ნიუს“-ში მუშაობს, ასევე წაართვეს კამერა. ჩვენ ვუხსნიდით, რომ ჟურნალისტები ვიყავით და სამკერდე ნიშნებს ვაჩვენებდით, თუმცა, ეს არ ჭრიდა.“* [269]

სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი გაგზავნილ წერილში მითითებულია, რომ: *„ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და კამერა ჩამოართვეს ტელეკომპანია „პირველი კავკასიურის“ თანამშრომელს გიორგი როხაშვილს. [...] ვიდეო კამერა წაართვეს და დააკავეს „პირველი კავკასიურის“ თანამშრომელი სერგო გელაშვილი. [...] მას ვიდეოკამერა გათავისუფლების შემდეგ დაუბრუნეს, თუმცა, მისი განმარტებით, კამერიდან აქციის დაშლის ამსახველი კადრები წაშლილი იყო. ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და კამერა წაართვეს ინტერპრესნიუსის კორესპონდენტს დარეჯან პაატაშვილს. [...] ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ვიდეო კამერა და ფოტო აპარატი წაართვეს [...] თამაზ კუპრეიშვილს.“* [270]

7.4. ჟურნალისტებისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების სხვაგვარი ხელშეშლა, რაც, ამ შემთხვევაში, გულისხმობს ჟურნალისტისთვის მოვლენების გადაღების ხელშეშლას

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, ადგილი ჰქონდა ჟურნალისტისთვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების სხვაგვარ ხელშეშლასაც, რაც გამოიხატა მიმდინარე მოვლენების გადაღების აკრძალვაში. საიას მიერ მოპოვებული ინფორმაციით, დასტურდება ორი დაზუსტებული შემთხვევა.[271]

(2) დარეჯან პაატაშვილი (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - ინტერპრესნიუსი;
(3) ნატო გოგელია (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება) - გურია ნიუსი;
(4) ავთანდილ სურმავა (http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/sazogadoeba/5002-darbevisas-dazaralebulthashoris-qpalitra-tvq-is-zhurnalistebic-aghmochndnen.html) - პალიტრა TV (ინტერნეტ ტელევიზია);
(5) გიორგი როხაშვილი (სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი გაგზავნილი წერილი) - პირველი კავკასიური;
(6) სერგო გელაშვილი (სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი გაგზავნილი წერილი) - პირველი კავკასიური;
(7) ვლადიმერ ვორსობინი (http://en.rsf.org/georgie-at-least-a-dozen-journalists-27-05-2011,40365.html) - კომსომოლსკაია პრავდა
(8) დიმიტრი ლებედევი (http://liberali.ge/26-maisi-gamodzieba) - კომერსანტი;
(9) გიორგი ედიშერაშვილი (http://neotv.ge/?p=1004) - ნეო ტივი (ინტერნეტ ჟურნალი);

[269] საიას მიერ დავით მჭედლიძისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება.

[270] სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი 2011 წლის 30 მაისს გაგზავნილი #1882/04-09/0670-11/-662-11/0664-11 წერილი.

[271] (1) გოგიტა ხარებავა (სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი გაგზავნილი წერილი) - პირველი კავკასიური;
(2) დავით მჭედლიძე (სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი გაგზავნილი წერილი) – media.ge.

საქართველოს მთავარი პროკურორისადმი საქართველოს სახალხო დამცველის წერილში ვკითხულობთ: *„ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს* და *ვიდეო გადაღება აუკრძალეს ტელეკომპანია „პირველი კავკასიურის“ თანამშრომელს გოგიტა ხარებავას.*[272] სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი გაგზავნილ წერილში ასევე მითითებულია, რომ: *„გადაღების საშუალება არ მისცეს [...] დავით მჭედლიძეს.“*[273] სავარაუდოდ, ეს ორი შემთხვევა არ იყო იზოლირებული და ამგვარ ფაქტებს ადგილი სხვა შემთხვევებშიც ჰქონდა.

დამატებით ხაზგასასმელია, რომ, ზემოაღნიშნული შემთხვევების მიუხედავად, ჟურნალისტების ერთი ნაწილი (უმეტესად ტელეჟურნალისტები) ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ახორციელებდა საკუთარ პროფესიულ მოვალეობას. სამართალდამცავები არათუ ხელს არ უშლიდნენ მუშაობაში, არამედ ცდილობდნენ განერიდებინათ ისინი სახიფათო ზონებიდან. საიას, მის ხელთ არსებული მონაცემების გათვალისწინებით, უჭირს ჩასწვდეს ამგვარი დიფერენცირების ლოგიკასა და მოტივებს როგორც ინდივიდუალურ შემთხვევებში, ისე – ზოგადად.

დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის თანახმად, უზრუნველყოფილია გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს ჟურნალისტების მიერ ინფორმაციის თავისუფლად მოპოვებისა და გავრცელების შესაძლებლობას. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით „ყველას, [...] აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს [...] ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას.“ რაც შეეხება აღნიშნული უფლების შეზღუდვას კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჭიროა არსებობდეს შეზღუდვის მიზანი და მასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებები უნდა იყოს პროპორციული. ამ შემთხვევაში, აღნიშნული მოთხოვნაც უგულებელყოფილია. ვერავითარი მიზეზი ვერ დაასაბუთებს იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც ჟურნალისტები აქციის დაშლის გაშუქებისას წააწყდნენ. ამასთან, ადგილი ჰქონდა ჟურნალისტების მიმართ არასათანადო მოპყრობას, ცემასა და საკუთრების ხელყოფას.

სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ანუ მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია, ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან, დასჯად ქმედებას წარმოადგენს. შსს-ს ინფორმაციით, ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დარღვევების ფაქტებზე დაიწყო მოკვლევა,[274] თუმცა, გამოძიების კონკრეტული შედეგები საზოგადოებისთვის ამ დრომდე უცნობია. საიას დახმარებით, დაზარალებულმა ჟურნალისტებმა მიმართეს შსს-ს და გამოითხოვეს საჯარო ინფორმაცია იმის თაობაზე, დაეკისრათ თუ არა კონკრეტულ პირებს პასუხისმგებლობა აქციის დაშლის დროს ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელშეშლის ფაქტებზე. თუმცა, შსს-ს აღნიშნული ინფორმაცია ამ დრომდე არ მოუწოდებია.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, 26 მაისს აქციის დარბევის დროს და შემდეგ, ჟურნალისტების მიმართ ადგილი ჰქონდა გამოხატვის თავისუფლების, თავისუფლების უფლების, საკუთრების უფლების, არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის უფლების, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვის უფლების ხელყოფას.

[272] სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი 2011 წლის 30 მაისს გაგზავნილი #1882/04-09/0670-11/-662-11/0664-11 წერილი.

[273] სახალხო დამცველის მიერ მთავარი პროკურორისადმი 2011 წლის 30 მაისს გაგზავნილი #1882/04-09/0670-11/-662-11/0664-11 წერილი.

[274] შსს-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://police.ge/index.php?m=8&newsid=2649

მე-8 თავი. დაკავების შემდეგ აქციის მონაწილეების სავარაუდო წამებისა და მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტები

შესავალი

26 მაისის აქციის დაშლის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააკავეს აქციის მონაწილეები. მათი უმრავლესობა გადაყვანილ იქნა დიღომში, თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში. სამუშაო ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ დაკავებულ პირებს. როგორც მათი ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, დაკავებული პირების მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან სამმართველოში, რიგ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა სავარაუდოდ არაადამიანური მოპყრობისა და წამების ფაქტებს.

8.1. რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა

წამების აკრძალვა აბსოლუტურ უფლებათა რიცხვს განეკუთვნება. იგი გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება“.[275] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი ადგენს, რომ არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს.[276] სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი ასევე განსაზღვრავს, რომ არავინ უნდა განიცდიდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან მისი ღირსების დამამცირებელ მოპყრობასა თუ სასჯელს.[277] აღნიშნული ნორმები გამყარებულია სასამართლო პრაქტიკით, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებით, რომლებიც ხაზს უსვამს წამების აკრძალვის, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების მნიშვნელობას.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანი პრაქტიკა ჩამოაყალიბა, სადაც დიდი ადგილი ეთმობა სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავებულ პირთა წამების აკრძალვას. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ამგვარი პირები სამართალდამცავი ორგანოების სრული კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. შესაბამისად, არსებობს მათ მიმართ ძალადობის გამოყენების უფრო დიდი საშიშროება.[278]

ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, თავდაპირველად უნდა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა ადგილი ფიზიკურ ძალადობას პირის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად აუცილებელი იყო ძალის გამოყენება.[279]

ფიზიკური ძალადობის ფაქტი, როგორც წესი, დასტურდება სხეულის დაზიანებებით ან ფსიქოლოგიური ტრავმით. ასეთი ფაქტების არსებობის შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ მტკიცების ტვირთი, რათა დაასაბუთონ, რომ წამებას ადგილი არ ჰქონია და დაზიანებები დაკავებულმა სხვა გარემოებაში მიიღო. თუ სამართალდამცავი ორგანოები განაცხადებენ, რომ დაკავებულმა დაზიანება მიიღო ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის დროს, მათ უნდა დაადასტურონ, რომ ამგვარი დაზიანება გამოწვეული იყო თვით დაკავებულის მოქ-

[275] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17.

[276] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხლი 3.

[277] საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, მუხლი 7.

[278] Aisling Reidy, The Prohibition of Torture, A Guide to the Implementation of Article 3 of the European Convenrion on Human Rights, 2003, გვ. 23.

[279] Ribitsch v. Austria, 4 დეკემბერი, 1995, §34; Tekin v. Turkey, 9 ივნისი, 1998, §§52 და 53; Assenov and others v. Bulgaria, 28 ოქტომბერი, 1998, §94.

მედებით და გამოყენებული ძალა იყო აბსოლუტურად აუცილებელი.[280]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წამების დანაშაულის ჩადენისათვის. აღნიშნული მუხლის თანახმად, წამება, ე. ი. **პირის**, მისი ახლო ნათესავისა ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან **ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს, ფსიქიკურ ან მორალურ ტანჯვას და რომლის მიზანია** ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ანდა **პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის,** ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით შვიდიდან ათ წლამდე, ჯარიმით. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღნიშნული ქმედების ჩადენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, ან/და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წარმოადგენს დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებას.[281]

8.2. მოწმეთა ახსნა-განმარტებები, რომლებიც არაპირდაპირ მიუთითებენ სამმართველოში დაკავებული პირების წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე

აქციის დაშლის შემდეგ მონაწილეები გადაიყვანეს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში. რამდენიმე მათგანი არ უცემიათ, თუმცა, ისინი იხსენებენ, თუ როგორ ხდებოდა დაკავებულთა ცემა და მათ მიმართ სასტიკი მოპყრობა.[282] აქციის მონაწილე ანდრეი გორამ განაცხადა: *„დაკავების შემდეგ ვიმყოფებოდი დიღმის სამმართველოში. იქ მე აღარ მცემდნენ, ვინაიდან ძალიან ნაცემი ვიყავი. ჩემ მიმართ იყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ხოლო ჩემთან ერთად მყოფ პირებს სცემდნენ“.*[283]

აქციის მონაწილე გიორგი ოგბაიძემ ახსნა-განმარტებაში განაცხადა: *„ყვითელი სამარშრუტო ხაზის ავტობუსებით გადაგვიყვანეს დიღომში, პოლიციის სამმართველოში. ავტობუსიდან გადმოსული პირები შეგვიყვანეს სამმართველოს პირველ სართულზე, ჰოლში. იქ დაგვხვდა 100-150 ხელებშეკრული ადამიანი. პერიოდულად ამოდიოდნენ სპეცრაზმელები ლიფტიდან და ხელს ურტყამდნენ დაკავებულებს“.*[284] გია ბურჯანაძის ახსნა-განმარტებიდან ასევე ირკვევა, რომ თბილისის მთავარ სამმართველოში ადგილი ჰქონდა წამების ფაქტებს და აქციის მონაწილეებს სასტიკად უსწორდებოდნენ: *„გათენებისას მიგვიყვანეს თბილისის მთავარ სამმართველოში. შეგვიყვანეს ცენტრალური შესასვლელით. ფოიეში ლიფტებთან 10-12 კაციან ჯგუფებად დემონსტრანტები კედელთან ჰყავდათ მიყენებული. დაახლოებით იყო 100-120 დაკავებული. იქ ვნახე სოსო ჯაჭვლიანი, ლაშა ამირეჯიბი, სანდრო დონაძე და სხვები. უმეტესწილად ისინი იყვნენ ნაცემები. მე ამ ჯგუფებში არ ჩამაყენეს. სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირმა წამიყვანა მეხუთე სართულზე ლიფტით. იქ ვნახე ნინო ბურჯანაძის დაცვის წევრები, რომლებიც იყვნენ ნაცემები და ხელებშეკრულნი. ამის შემდეგ შემიყვანეს დერეფანში, სადაც იყო კაბინეტები. დამაყენეს დერეფანში. ოთახებიდან გამოდიოდა ღრიალის და წივილის ხმა. სადაც მე ვიდექი, იქ იყო განიერი ადგილი. დერეფანში ეყარა სისხლიანი ტანსაცმელი, ბინტები, სისხლიანი ბამბები, რეზინის ერთჯერადი საექიმო ხელთათმანები. დერეფნის კედელი სულ სისხლიანი იყო. დავინახე მურმან დუმბაძე, რომელიც მოჰყავდა ორ კაცს და სახიდან მოსდიოდა სისხლი. დავინახე ადამიანი, რომელიც ბრტყელტუჩათი და მაკრატლებით შედიოდა ოთახში. იმ კაბინეტიდან, საიდანაც მურმან დუმბაძე გამოიყვანეს, გამოვიდა სუსტი აღნაგობის სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირი. მან სისხლიანი რეზინის ხელთათმანები გაიხადა და ბამბებთან ერთად დააგდო. ამის შემდეგ ჩაიცვა ახალი ხელთათმანები და ისევ შევიდა კაბინეტში.*

[280] Tomasi v. France, 27 აგვისტო, 1992, §§108-111; Ribitsch v. Austria, 4 დეკემბერი, 1995, §34; Aksoy v. Turkey, 18 დეკემბერი, 1996, §61.

[281] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 144[1].

[282] ამ მიმართებით ასევე იხილეთ: http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1380

[283] ანდრეი გორა (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება).

[284] გიორგი ოგბაიძე (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება).

ამასობაში შემიყვანეს სხვა კაბინეტში. იქ შემომთავაზეს დაჯდომა, მაგრამ სისველის გამო ვერ დავჯექი. შემდეგ მოიყვანეს პოლიციელი და მითხრეს, რომ ის იქნებოდა ჩემი დამკავებელი. მითხრეს, რომ ადმინისტრაციულ სასამართლოში უნდა გადავეყვანე, ხოლო ის პოლიციელი, ვაკე-საბურთალოს სამმართველოდან, იქნებოდა ჩემი დამკავებელი. შეადგინეს სამართალდარღვევის ოქმი, რასაც ხელი მოვაწერე. დილის 11 საათზე ჩემს „დამკავებელ" პოლიციელთან და კიდევ ორ პირთან ერთად გადამიყვანეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. ჩამიყვანეს სასამართლოს სარდაფში, სადაც პირველად გავიხადე სველი ტანსაცმელი და 10-20 წუთი ვიყავი მარტო. ერთ-ერთმა პატრულმა მკითხა, შეიძლებოდა თუ არა ჩემთან სხვების შემოყვანა. 4 სასტიკად ნაცემი ახალგაზრდა ბიჭი შემოიყვანეს. გამოვკითხე მათი ამბები. წვერებიან კაცს ვკითხე, რომ მეცნობოდა, აღმოჩნდა ჩემი კარის მეზობელი. მას სახე ჰქონდა დეფორმირებული და ვერ ვიცანი."

8.3. დაკავებული პირების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ინდივიდუალური შემთხვევები

დაკავებული პირების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შეფასების პროცესში ჩვენ ვეყრდნობით დაზარალებული პირებისა და მოწმეებისგან აღებულ ახსნა-განმარტებებს, ასევე, სამედიცინო დოკუმენტებს, ვიდეო მასალასა და სხვა მტკიცებულებითი ხასიათის გარემოებებს, რომლებიც პირდაპირ ან/და არაპირდაპირ მიუთითებს კონკრეტული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობისა თუ, სავარაუდოდ, წამების ფაქტებზე. ქვემოთ წარმოვადგენთ პოლიციის სამმართველოებში არაადამიანური მოპყრობის რამდენიმე ინდივიდუალურ შემთხვევას.

8.3.1. მურმან დუმბაძის საქმე

აქციის მონაწილე მურმან დუმბაძემ თავის ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ: *„ქალაქის მთავარ სამმართველოში, დიღომში გადაგვიყვანეს შავი ჯიპით. დილამდე ვიმყოფებოდი ცალკე ოთახში, მე-5 სართულზე. მთელი ამ დროის განმავლობაში სისტემატიურად მცემდა რამდენიმე ადამიანი. მე ვეგდე იატაკზე ხელებზე ბორკილდადებული. ცემა ხორციელდებოდა ფეხით, ხელით, თეთრი ხელჯოხით. არ მირტყამდნენ მხოლოდ სახის არეში. დილას უკვე გადამიყვანეს ჩემი ვარაუდით მე-7 სართულზე პატარა ოთახში, სადაც 3-4 წუთის განმავლობაში 4-5 პოლიციელი განუწყვეტლივ მირტყამდა. ერთმა რეზინის ხელთათმანები ყურში მირტყა. შემდგომ გადამიყვანეს მომიჯნავე ოთახში, სადაც იმყოფებოდა რამოდენიმე პოლიციელი და ერთი სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ჩინოსანი, რომელმაც აუკრძალა ჩემი ცემა და წამება იქ მყოფ პოლიციელებს. შემდგომ ამ პიროვნებამ მასთან მიყვანა უბრძანა პოლიციელებს და მძლავრი ფეხის დარტყმით სახეზე მომაყენა ძლიერი დაზიანება, კერძოდ გამიტყდა ცხვირი, დავკარგე დიდი რაოდენობით სისხლი – 300-400 გრამი. ამის შემდეგ ერთ-ერთმა პოლიციელმა გამათრია აბაზანაში, წყლის ნაკადით ჩამომრეცხა სისხლი. ამის შემდეგ დაახლოებით 10:30-ისთვის გადამიყვანეს სასამართლოში. ავტობუსშიც გრძელდებოდა ჩემი ცემა იქ მყოფი პოლიციელების მხრიდან.*

მე დაზიანებული მქონდა თავი, ცხვირი, ნეკნები, კიდურები, თვალი. სამედიცინო დახმარება აღმომიჩინეს საიას ადვოკატების მოსვლის შემდეგ. მომდევნო დღეებში რამდენჯერმე იყო ექიმი. დეტალურად გამსინჯა. მივიღე ტკივილგამაყუჩებლები. ექიმის მიერ დასმული იქნა დიაგნოზი – ზოგადი დაჟეჟილობა. მიუხედავად იმისა, რომ ვითხოვდი შინაგანი ორგანოების სამედიცინო კვლევის ჩატარებას, ეს არ განხორციელებულა. ჩემი ყველა დაზიანების და ჭრილობის მიზეზი იყო უმოწყალო ცემა თბილისის მთავარ სამმართველოში".[285]

თბილისის მთავარ სამმართველოში მურმან დუმბაძის წამების ფაქტი, მისი ახსნა-განმარტების გარდა, რამდენიმე გარემოებით დასტურდება. ევრონიუსისა და რადიო თავისუფლების მიერ აქციის დაშლის შემდეგ გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ გამოჰყავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს მურმან დუმბაძე კინოთეატრ „რუსთაველიდან" და გადაჰყავთ

[285] მურმან დუმბაძე (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება).

იგი თავისუფლების მოედნის მიმართულებით.[286] ამ დროს მას სხეულზე არ აღენიშნებოდა დაზიანებები. თელავის იზოლატორში გადაყვანის შემდეგ მას შეხვდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი მარეხ მგალობლიშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ დუმბაძე სასტიკად იყო ნაცემი და მთელ სხეულზე დაზიანებები აღენიშნებოდა.

მურმან დუმბაძის სხეულის დაზიანების ფაქტი ასევე დასტურდება შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმით. მას აღენიშნებოდა ნახეთქი ჭრილობები ცხვირსა და თავზე, ასევე, სილურჯეები ორივე ფეხის არეში და მარცხენა ბეჭზე. პირველადი დათვალიერების შემდეგ, დაკავებულის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე, მას 3-ჯერ გაუწიეს პირველადი სამედიცინო დახმარება.

8.3.2. ბიძინა გეგიძის საქმე

აქციის მონაწილე ბიძინა გეგიძე დააკავეს 26 მაისს გამთენიისას. იგი გადაიყვანეს დიღომში, ქ. თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში. ბიძინა გეგიძემ თავის ახსნა-განმარტებაში განაცხადა: *„მივედით სამმართველოში, სადაც დავინახე როგორ იდგა ადამიანების რიგი, დაახლოებით 500 კაცამდე. მათ ჩაუვლიდნენ ხელკეტიანი ადამიანები, რომლებიც აფურთხებდნენ, აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ... მე და გია გაჩეჩილაძე აგვიყვანეს მე-6 სართულზე. ... პირველ სართულზე ვნახე ბევრი ნაცემი მეგობარი, სანამ ლიფტში შეგვიყვანდნენ. ხალხს სცემდნენ. მე-6 სართულზე გამოვედით ლიფტიდან, გაგვაჩერეს ფოიეში. როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან გამოვიდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები, რომლებმაც გვითხრეს, რომ ვიყავით ჭუჭყები, ვერ ვაფასებდით მიშას, არ გვიყვარს პოლიციელები, მიშა ღმერთმა გამოგვიგზავნა. ... ერთ-ერთმა გვითხრა, ის ბიჭი როგორ მოკალით, მაგას არ შეგარჩენთო. ... შემიყვანეს მე-7 სართულის ერთ-ერთ კაბინეტში. კაბინეტის წინ იყო ბევრი ხალხი. როცა კაბინეტში შემიყვანეს, დამხვდა ერთი ადამიანი, რომელსაც ეცვა თეთრი მაისური, სამხედრო შარვალი და ე.წ. „ბატინკები“. მან დაიწყო ჩემი ცემა. ძირს დავვარდი, რამდენჯერაც ვდგებოდი, იმდენჯერ მაგდებდნენ. მირტყამდნენ მძიმე საგანსაც, მცემდნენ ხელით, ფეხით. ყურის არეში მომხვდა რაღაც, რის შემდეგაც გრძნობა დავკარგე. ცემა რამდენიმე ეტაპად გრძელდებოდა: ჯერ მაყენებდნენ, მერე ერთი წუთით ისვენებდნენ და ისევ აგრძელებდნენ ჩემს ცემას. ეს გაგრძელდა 20 წუთი. ... ასევე მირტყამდნენ ნატკენ ფეხზე. ამის შემდეგ გამომიყვანეს კაბინეტიდან ფოიეში, სადაც იყო 40-მდე დაკავებული. თეთრხალათიანმა იმ 40 ადამიანს ჩემზე მიუთითა, ყველაფერი ამის ბრალია და პასუხი მას მოსთხოვეთო. 40 დაკავებულს სახეში ვუყურებდი, ვერც ერთი ვერ ვიცანი. მათი თანდასწრებით ჩამარტყეს წიხლი და ჩამიყვანეს ქვედა სართულზე.“*

8.3.3. ნიკა სამხარაძის საქმე

აქციის მონაწილე ნიკა სამხარაძემ თავის ახსნა-განმარტებაში მიუთითა: *„დაკავების შემდეგ ყვითელი ავტობუსით გადაგვიყვანეს დიღომში მდებარე ქ. თბილისის მთავარ სამმართველოში. სამმართველოში მიყვანისთანავე კიბეებზე დაგვაყენეს ჯგუფად. შსს-ს წარმომადგენლებს ჰქონდათ სია: სახელი, გვარი და ფოტოსურათი, რომელთა სახელებსაც იძახდნენ და ეძებდნენ კიბეზე შეკრებილ ჯგუფს შორის. როდესაც შეიტყვეს ჩემი ვინაობა, რომ მე ვიყავი ნიკა სამხარაძე, დამიწყეს ცემა. თავდაპირველად დამარტყეს თვალებში, მირტყამდნენ თავის არეში ხელჯოხებსა და წიხლებს. ცემა გაგრძელდა დაახლოებით 5-6 საათამდე. მაყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ვერ ვხედავდი, თუ რა ხდებოდა ჩემს გარშემო, რადგან ცემის შედეგად თვალები დამიზიანდა. ... იზოლატორში არ მცემდნენ, რადგან ისედაც ძალიან ნაცემი ვიყავი,*

[286] ევრონიუსის მიერ გადაღებული ვიდეოკადრები, იხ: http://www.youtube.com/watch?v=kwMAm9kAOAo&NR=1, (ბოლო განახლება: 25 ივლისი, 2011); რადიო თავისუფლების მიერ გადარებული ვიდეოკადრები, იხ: http://www.youtube.com/watch?v=T6IIpgNfjVU&feature=related, (ბოლო განახლება: 25 ივლისი, 2011).

ხოლო სხვა დაკავებულ პირებს სცემდნენ."[287] ნიკა სამხარაძის ცემის ფაქტი დადასტურებულია ასევე შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულის გარეგნული დათვალიერების ოქმით, რომლის თანახმად, ნიკა სამხარაძეს აღენიშნებოდა სახის არეში რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა და ესკორიაციები.

დასკვნა

სამმართველოში გადაყვანის შემდეგ დაკავებული პირების ცემისა და სასტიკი მოპყრობის ფაქტები დასტურდება არა ერთი დაკავებული პირის ახსნა-განმარტებიდან და სხვა რელევანტური მტკიცებულებებით. ამ პერიოდში დაკავებული პირები მოქცეულები იყვნენ პოლიციის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ, შესაბამისად, მათ მიმართ ძალის გამოყენება გაუმართლებელი იყო და, სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა მათთვის განზრახ ტკივილის მიყენებასა და დასჯას. ამგვარი მოპყრობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოყენებული ძალისა და მიყენებული ტანჯვის ხარისხის/ინტენსივობის გათვალისწინებით, არასათანადო მოპყრობად ან სავარაუდო წამებად შეიძლება შეფასდეს. ცხადია, ეს ეფექტიანი და დროული გამოძიების ჩატარებას საჭიროებს, რომელსაც კონკრეტული დამნაშავე პირების დასჯა უნდა მოჰყვეს.

[287] ნიკა სამხარაძე (საიას მიერ დაზარალებულისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება).

მე-9 თავი. 26 მაისის შემდეგ აქციის მონაწილეთა სავარაუდო გაუჩინარების შემთხვევების ანალიზი

შესავალი

ანგარიშის მომზადების დროს, ადამიანის უფლებათა დარღვევის სხვა შემთხვევებთან ერთად, საია დაინტერესდა 26 მაისის შემდეგ აქციის მონაწილეთა სავარაუდო გაუჩინარების ფაქტების შესწავლით. როგორც დადგენილია, 26 მაისს აქციის დაშლის შედეგად მოხდა აქციის მონაწილეების მასიური დაკავება. საწყის ეტაპზე მათი ადგილსამყოფელი და ბედი იყო უცნობი როგორც ოჯახის წევრების, ისე საზოგადოებისთვის. 26 მაისის შემდეგ აქციის მონაწილეების ოჯახის წევრები და ნათესავები ინტენსიურად უკავშირდებოდნენ საიას და თავიანთი ახლობლების ადგილსამყოფლის დადგენაში დახმარებას სთხოვდნენ. ამ პროცესში საიას, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის მიერ შეიქმნა და გავრცელდა *სავარაუდოდ* გაუჩინარებულ პირთა სიები. ამას გარდა, აქტიურად ხორციელდებოდა ამ ადამიანების შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და ადგილსამყოფლის დადგენის ღონისძიებები. საიას ადვოკატები, რეგიონების ჩათვლით, ახორციელებდნენ ყველა დმი-ს მონიტორინგს. აქციის დაშლის შემდეგ ისინი მთელი ღამის მანძილზე მორიგეობდნენ დმი-ებთან და ცდილობდნენ აქციაში მონაწილე კონკრეტული ადამიანების ადგილმდებარეობის დადგენას და მათთან შეხვედრას. თუმცა, დმი-ების ადმინისტრაციისგან მოთხოვნილ ინფორმაციას ვერ იღებდნენ და არც იქ შესვლის შესაძლებლობა ეძლეოდათ.

შექმნილი სიტუაციის გამო, გაჩნდა ეჭვები, რომ საქმე გვქონდა ადამიანთა გაუჩინარების შემთხვევებთან. საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, *იძულებითი გაუჩინარება არის დაპატიმრება, დაკავება, მოტაცება ან თავისუფლების შეზღუდვის სხვაგვარი ფორმა, რომელიც განხორციელდა სახელმწიფოს წარმომადგენლების, დაჯგუფებების ან იმ ადამიანების მიერ, რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილებით, მხარდაჭერით ან უბრალო თანხმობით, რასაც თან სდევს თავისუფლების შეზღუდვის ფაქტის უარყოფა, მსხვერპლის გადამალვა ან გაუჩინარებული პირის ადგილმდებარეობის გასაიდუმლოება, რაც გაუჩინარებულ პირს ტოვებს კანონით დაცული სფეროს მიღმა.*[289] 2011 წლის 27 მაისს შსს-მ გაავრცელა დაკავებული პირების სია (105 კაცი).[290] 2011 წლის 28 მაისს სახალხო დამცველმა ასევე გამოაქვეყნა დაკავებული პირების სიები დროებითი მოთავსების იზოლატორების მიხედვით.[291] ამ მონაცემების შემდეგაც, რჩებოდა 50-მდე ადამიანი, რომელთა ადგილსამყოფელი კვლავინდებურად დაუდგენელი იყო. თუმცა, რამდენიმე დღეში (აქციის დაშლიდან დაახლოებით 4-5 დღეში) ყველა ამ პირის ბედის გარკვევა მოხერხდა.

როგორც სიტუაციის შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, აქციის მონაწილეთა სავარაუდო გაუჩინარების ეჭვების გაჩენა განაპირობა რამდენიმე ფაქტობრივმა გარემოებამ, *მათ შორის:* 1. პოლიციის მიერ აქციის მონაწილეთა მასობრივი დაკავება მოხდა იმგვარად, რომ დაკავებულ პირებს არ მიეცათ ოჯახის წევრებისთვის ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა. 2. ადვოკატებისთვის გართულებული იყო დაკავებული პირების დროებითი მოთავსების იზოლატორებში ნახვის შესაძლებლობა, რადგან ხდებოდა დაკავებული პირების ინტენსიური და ქაოტური გადაყვანა ერთი დროებითი მოთავსების იზოლატორიდან მეორეში, რაც ართულებდა მათი მოძებნის შესაძლებლობას. 3. აქციის მონაწილეები, რომლებიც არ იყვნენ დაკავებულნი ან მალევე (სამართველოდან) გაათავისუფლეს, უსაფრთხოების განცდის უქონლობის გამო, ცდილობდნენ დამალულიყვნენ და საწყის ეტაპზე მათი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა.

[289] International Convention for the Protection of All Persons from Enforced Disappearance, Part I, Article 2;

[290] ხელმისაწვდომია შსს-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://police.ge/index.php?m=8&newsid=2515

[291] http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1380

9.1. პირის დაკავებისას მისი ოჯახის წევრისა ან მესამე პირისათვის დაკავების ფაქტის შეტყობინების უფლების შეზღუდვა

ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტების მიხედვით, პოლიციის მიერ დაკავებულ პირს ენიჭება 3 ფუნდამენტური უფლება:

- შეატყობინოს თავისი დაკავების ფაქტი მესამე მხარეს, რომელსაც თავად აირჩევს (ოჯახის წევრი, მეგობარი, საკონსულო);
- ჰყავდეს ადვოკატი;
- მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება იმ ექიმის მიერ, რომელსაც თავად აირჩევს (დამატებით, პოლიციის მიერ მოყვანილი ექიმის მიერ ჩატარებული ნებისმიერი შემოწმებისა).

კომიტეტის აზრით, ეს 3 უფლება არის დაკავებული პირების არასათანადო მოპყრობისაგან დამცავი ფუნდამენტური ბერკეტი, **რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს თავისუფლების შეზღუდვის პირველივე ეტაპზე**, არ აქვს მნიშვნელობა რა სახის იქნება თავისუფლების შეზღუდვა (დაკავება, დაპატიმრება თუ სხვა).[292]

გაეროს არასამართლებრივი, თვითნებური და გამარტივებული აღსრულების ეფექტური პრევენციისა და გამოძიების პრინციპების მიხედვით, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ თავისუფლებაშეზღუდული პირის ნათესავებსა და შესაბამის მესამე პირებს **დაუყოვნებლივ მიეწოდოთ ზუსტი ინფორმაცია დაკავებულთა ადგილსამყოფლის შესახებ**.[293]

ვინაიდან 26 მაისის აქციაში მონაწილეთა უმრავლესობის დაკავება მოხდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლით, მათზე გავრცელდა არა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები, არამედ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. აღნიშნული კოდექსი საკმაოდ ბუნდოვნად და არასაკმარისი სიზუსტით აყალიბებს დაკავებული ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას – თავისი დაკავების პირველივე წუთებში მიაწოდოს ინფორმაცია ოჯახის წევრებს ან მის მიერ არჩეულ მესამე პირს. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის მიხედვით: ***ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაკავებული პირის თხოვნით, მის ადგილსამყოფელს აცნობებენ ნათესავებს, ადმინისტრაციას სამუშაო თუ სწავლის ადგილის მიხედვით.*** ნორმაში არ არის დაზუსტებული, დაკავებიდან რა ვადაში უნდა მოხდეს ამ უფლების რეალიზება, მაშინ როდესაც, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მიხედვით, დაკავებულის ინტერესების დაცვისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს შეტყობინების უფლების *დაუყოვნებლივ* გამოყენებას. რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დმი-ების შინაგანაწესის, დებულებისა და საქმიანობის მარეგულირებელ ნორმებს, რომლებიც მხოლოდ ერთი ნორმატიული აქტითაა დარეგულირებული,[294] საერთოდ არაფერს ამბობს და ღიად ტოვებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაკავებული პირის მიერ მისი ფუნდამენტური უფლებით სარგებლობის საკითხს.

არსებულმა საკანონმდებლო ხარვეზებმა განაპირობა ის, რომ 26 მაისის აქციაში მონაწილე ადამიანთა დაკავებისას, მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს სახელმწიფოსაგან დროულად არ მიეწოდებოდათ სათანადო ინფორმაცია, რამაც, თავის მხრივ, შექმნა ამ ადამიანთა გაუჩინარების პირველადი შთაბეჭდილება. 26 მაისის აქციის დაშლის შედეგად დაკავებული ერთ-ერთი პირი ნიკა სამხარაძე აღნიშნავს: *„სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შემდეგ მომათავსეს დიღმის დროებითი მოთავსების იზოლატორში, საიდანაც გადამიყვანეს გარდაბნის დმი-ში, სადაც 5 დღე ვიყავი გათიშული. დაკავებიდან (26 მაისი) ხუთი*

[292] http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards.pdf - CPT standards, extract from the 2nd General Report [CPT/inf (92) 3], para. 36;

[293] http://www2.ohchr.org/english/law/executions.htm - Principles on the Effective Prevention and Investigation of Extra-legal, Arbitrary and Summary Executions, Prevention, para. 6.

[294] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1-ლი თებერვლის №108 ბრძანება.

დღის შემდეგ აცნობეს ჩემს ოჯახს.“[295] ნიკა სამხარაძის ადვოკატსა და ოჯახს მხოლოდ დაკავებული პირის გონზე მოსვლის შემდეგ მიეწოდათ ინფორმაცია, მანამდე კი მისი ადგილსამყოფელი და ჯანმრთელობის მდგომარეობა მათთვის უცნობი იყო. ალექსანდრე დევდარიანის მიერ საიასთვის მიცემული ახსნა-განმარტებით, დიღმის პოლიციის სამმართველოში გადაყვანის შემდეგ, ახლობლებისთვის მისი დაკავების ფაქტი არავის უცნობებია.[296]

კიდევ ერთი დაკავებული დემონსტრანტი ბესიკ ტაბატაძე თავის ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ დაახლოებით ღამის 1-ლი საათისთვის გადაიყვანეს დიღმის პოლიციის სამმართველოში, დილის 7 საათისთვის კი, სასწრაფო დახმარების მანქანის მოსვლისას, მხოლოდ ექიმის ტელეფონის მეშვეობით შეძლო ოჯახის წევრებთან დაკავშირება.[297] აქციის მონაწილე გიორგი ოგბაიძე თავის ახსნა-განმარტებაში წერს: *„სამმართველოს შენობაში ყოფნისას, მოვითხოვე ადვოკატთან შეხვედრა, ასევე, ოჯახის წევრებისათვის ჩემი ადგილსამყოფლის შეტყობინება, რაზედაც არაფერი უთქვამთ.“*[298] ზურაბ კიკილაშვილისა და ლაშა ჯავახიშვილის ოჯახის ინფორმირება მოხდა მხოლოდ საიას ადვოკატების დახმარებით.[299] ოჯახთან დაკავშირების საშუალება არ მიეცა არც ანდრეი გორას[300] და არც მურმან დუმბაძეს, რომელიც ოჯახს მხოლოდ სასამართლო პროცესზე დაუკავშირდა.[301] სამწუხაროდ, დაკავებულთა ნათესავები დაგვიანებით, ისიც სახალხო დამცველის წარმომადგენლებისა და საიას ადვოკატების მეშვეობით იღებდნენ ინფორმაციას თავიანთი ახლობლების შესახებ.

9.2. დაკავებისას და პატიმრობის პირველ ეტაპზე ადვოკატთან შეხვედრის უფლების შეზღუდვა

ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) ჩამოყალიბებული სტანდარტით, პოლიციის მიერ დაკავებული პირისათვის მინიჭებული ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა ადვოკატის ყოლის უფლება, რომელიც დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა იქნეს რეალიზებული.

კომიტეტი განმარტავს, პოლიციის მიერ დაკავებისას ადვოკატის ყოლის უფლება გულისხმობს ადვოკატთან კონტაქტისა და ადვოკატის მიერ მონახულების (ორივე შემთხვევაში შეხვედრების კონფიდენციალურობა გარანტირებული უნდა იყოს), ასევე, დაკავებულის დაკითხვისას, მისი ადვოკატის დასწრების უფლებას.[302]

კომიტეტი, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თავისუფლების შეზღუდვის პირველივე წუთები არის პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის ყველაზე მაღალი რისკის შემცველი პერიოდი. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდში, დაკავებული ადამიანის უფლება, შეხვდეს ადვოკატს, არის ფუნდამენტური ბერკეტი მის მიმართ არასათანადო მოპყრობის გამოყენების წინააღმდეგ. მსგავსი უფლების არსებობა მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს იმ ადამიანებზე, რომლებმაც შესაძლოა დაკავებულის მიმართ არასათანადო ძალა გამოიყენონ. იმ შემთხვევაში კი, თუკი არასათანადო მოპყრობას მაინც ექნება ადგილი, დაკავებულის ადვოკატს შესაძლებლობა ექნება, ამაზე შესაბამისი რეაგირება მოახდინოს.[303]

[295] ნიკა სამხარაძე, საიას მიერ ჩამორთმეული ახსნა-განმარტება.

[296] ალექსანდრე დევდარიანის მიერ საიასთვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან.

[297] ბესიკ ტაბატაძის მიერ საიასთვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან.

[298] გიორგი ოგბაიძის მიერ საიასთვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან.

[299] ზურაბ კიკილაშვილისა და ლაშა ჯავახიშვილის მიერ საიასთვის მიცემული ახსნა-განმარტებებიდან.

[300] ანდრეი გორას მიერ საიასთვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან.

[301] მურმან დუმბაძის მიერ საიასთვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან.

[302] http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards.pdf - CPT standards, extract from the 2nd General Report [CPT/inf (92) 3], para. 38.

[303] http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards.pdf - CPT standards, extract from the 6nd General Report [CPT/inf (96) 21], para. 15.

კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ ადვოკატის ყოლის უფლება შეეხება არა მხოლოდ ეჭვმიტანილებს, არამედ ნებისმიერ პირს, რომელსაც სამართლებრივი ვალდებულება გააჩნია, იმყოფებოდეს პოლიციის დაწესებულებაში, იქნება ეს მოწმე თუ სხვა პირი (მაგალითად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირი).[304]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 26 მაისის აქციაში მონაწილეთა უმრავლესობის დაკავება მოხდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლით, რის გამოც მათზე არ გავრცელდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გარანტიები. ამ ადამიანთა უფლებრივ მდგომარეობას არეგულირებდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1-ლი თებერვლის №ზ108 ბრძანება, რომელიც თავისი არასრულყოფილებისა და ბუნდოვანების გამო, ცალსახად ვერ უზრუნველყოფს არასისხლისსამართლებრივი დანაშაულისათვის თავისუფლებაშეზღუდული პირის საერთაშორისოდ აღიარებული დაცვის სტანდარტებით აღჭურვას.

26 მაისის აქციის დაშლის შემდეგ დაკავებული პირები გადაყვანილ იქნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს დმი-ებში, სადაც მთელი ღამის განმავლობაში მორიგეობდნენ საიას ადვოკატები, თუმცა, მათ არ ეძლეოდათ საშუალება, იზოლატორში შესულიყვნენ და დაკავებულ პირებს შეხვედროდნენ. ადვოკატები იზოლატორებთან იყვნენ დაახლოებით დილის 7 საათამდე, რის შემდეგაც დაიწყო დაკავებულ პირთა გადაყვანა სასამართლოს შენობაში.[305]

აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ 26 მაისის აქციაში მონაწილე პირებს არ მიეცა შესაძლებლობა, ესარგებლათ ადვოკატთან შეხვედრის უფლებით და დაეცვათ საკუთარი ინტერესები პოლიციის სრული კონტროლის ქვეშ ყოფნის პერიოდში. შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობის გარდა, საქმე გვაქვს საქართველოს კონსტიტუციით დაცული უფლებების დარღვევასთან – ***დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს [...] დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.***[306]

ერთ-ერთი დაკავებული გიორგი ოგბაიძე იხსენებს: [პოლიციის] *სამმართველოს შენობაში ყოფნისას, მოვითხოვე ადვოკატთან შეხვედრა, [...], რაზედაც არაფერი უთქვამთ.*[307]

დაკავებულმა ლაშა ჯავახიშვილმაც მოითხოვა ადვოკატი, თუმცა, ამ უფლებით სარგებლობაზე მასაც უარი ეთქვა.[308]

26 მაისის აქციის კიდევ ერთი მონაწილე მურმან დუმბაძე მხოლოდ სასამართლო პროცესზე დაუკავშირდა თავის ადვოკატს.[309]

კიდევ ერთი დაკავებული, ჟურნალისტი ანა გაბუნია, რომელიც სამმართველოდან მალევე გაათავისუფლეს, აღნიშნავს: „*დაკავებისას და შემდეგ, მთელი ხნის განმავლობაში, რაც დაკავებული ვიყავი, არ მაძლევდნენ ტელეფონის გამოყენების უფლებას. ადვოკატზე საუბარიც არ ყოფილა. ჩემთვის უფლებებიც არავის გაუცნია*“.[310]

გარდა დაკავების საწყისი პერიოდისა, დაკავებულ პირებს დმი-ებში ყოფნის მომდევნო დღეებშიც ეზღუდებოდათ ადვოკატთან შეხვედრის უფლება, ვინაიდან გამუდმებით ხდებოდა მათი გადაყვანა ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებით არსებულ იზოლატორებში, რის შესახებაც დროულად არ მიეწოდებოდათ ინფორმაცია არც დაკავებულთა ოჯახის წევრებს და არც მათ

[304] http://www.cpt.coe.int/en/documents/eng-standards.pdf - CPT standards, extract from the 12nd General Report [CPT/inf (2002) 15], para. 41.

[305] საიას ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან.

[306] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 18, პუნქტი 5.

[307] გიორგი ოგბაიძის მიერ საიასთვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან.

[308] ლაშა ჯავახიშვილის მიერ საიასთვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან.

[309] მურმან დუმბაძის მიერ საიასთვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან;

[310] ანა გაბუნიას მიერ საიასთვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან.

ადვოკატებს. საიას იურისტები რამდენიმე დღიანი ძიების შემდეგ ახერხებდნენ თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების მოძებნას და მათთან შეხვედრას.[311]

9.3. დაკავებული პირების ხშირი ადგილმონაცვლეობა სხვადასხვა დროებითი მოთავსების იზოლატორში

დაპატიმრებული პირების უმრავლესობა მიუთითებდა, რომ ხდებოდა მათი ადგილსამყოფლის მრავალჯერადი ცვლა და ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებით არსებულ დროებითი მოთავსების იზოლატორებში გადაყვანა.[312] ადგილმონაცვლეობის ასეთი ფაქტები განსაკუთრებით ხშირი პატიმრობის პირველ ეტაპზე იყო. საგულისხმოა, რომ გადაყვანის შესახებ წინასწარ ინფორმირებული არ იყვნენ არც თავად დაპატიმრებული პირები და არც მათი ოჯახის წევრები. ეს გარემოება ადვოკატებისთვის ართულებდა მათი მოძებნის პროცესს, რაც დაპატიმრებულთა ოჯახის წევრებს ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებდა, რაც პირველ დღეებში, ცხადია, აძლიერებდა ეჭვებს დაკავებული პირების გაუჩინარების შესახებ.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 26 მაისის აქციის დაშლის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ადამიანთა გაუჩინარების შემთხვევებს, თუმცა, კონკრეტულმა უფლებათა დარღვევის ფაქტებმა და არასწორმა პრაქტიკამ შექმნა აქციაში მონაწილე ადამიანთა გაუჩინარების პირველადი შთაბეჭდილება. კერძოდ, აქციის დაშლის შემდეგ დაკავებულ ადამიანებს, რომლებიც გადაყვანილ იქნენ თბილისის პოლიციის სამმართველოში და შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში, არ მიეცათ უფლება, დაკავშირებოდნენ თავიანთ ახლობლებს და ეცნობებინათ მათი დაკავების ფაქტი და ადგილმდებარეობა. ამასთან, დაკავების პირველ ეტაპზე და შემდგომშიც, ხშირად ხდებოდა დაპატიმრებული პირების ადგილმდებარეობის შეცვლა და მათი გადაყვანა ერთი დმი-დან მეორეში იმგვარად, რომ ამის შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდებოდათ არც დაპატიმრებულთა ახლობლებს, არც მათ ადვოკატებს. ამ მოცემულობაში ოჯახის წევრები იმყოფებოდნენ ინფორმაციულ ვაკუუმში, არაფერი იცოდნენ მათი ახლობლების ბედის შესახებ, რაც მათში გაურკვევლობასა და შფოთს იწვევდა. ამასთან, დაკავებული პირების ადგილსამყოფლის დადგენის პრობლემებმა დაკავებულებს შეუზღუდა უფლება ადვოკატის ხელმისაწვდომობასა და დაცვის უფლების ეფექტიან განხორციელებაზე.

[311] საიას ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

[312] საიას ოზურგეთის, ქუთაისისა და თელავის რეგიონული ოფისების ადვოკატების მიერ მოწოდებული მონაცემები.

მე-10 თავი. აქციის დაშლის შემდეგ დაკავებული პირების სასამართლო პროცესების ზოგადი მიმოხილვა

საიას ადვოკატებს სასამართლოში სერიოზული დაბრკოლებები შეექმნათ დაკავებული პირების შესახებ ინფორმაციის მოძიებასთან დაკავშირებით. ამასთან, მათ თავიდან არ მიეცათ დაცვის განხორციელების შესაძლებლობა. სასამართლოს კანცელარია თავდაპირველად არ გასცემდა ინფორმაციას იმის თაობაზე, მიიყვანეს თუ არა აქციის დროს დაკავებული პირები სასამართლოში. ადვოკატები დაკავებულებს პირველად ხვდებოდნენ სასამართლო სხდომის დარბაზში პროცესის დაწყებამდე. საიას იურისტებს არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონიათ მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან დარბაზს გარეთ შეხვედრის და, ამ გზით, დაცვის სტრატეგიის დაგეგმვის შესაძლებლობა. სასამართლო პროცესის დაწყებისას ადვოკატებს ეძლეოდათ 15 წუთი, რათა გასცნობოდნენ საქმის მასალებს.

ცხადია, მაშინ, როდესაც კანონმდებლობით სასამართლო ვალდებულია, აღნიშნული ტიპის საქმე განიხილოს ერთი დღის ვადაში, თანაც 2011 წლის 26 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოუწია 90-მდე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის საქმეებთან შეხება, მას უწევდა სტრესულ ვითარებაში მუშაობა, რათა დაცული ყოფილიყო კანონით დადგენილი ვადა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სისწრაფის მიზეზი შესაძლოა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ვეძებოთ, მივუთითებთ, რომ დროის სიმცირე არ ამართლებს დაცვის უფლების დაკნინებას, ვინაიდან ადამიანის უფლებათა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ყოველ პირს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად.

დაკავებულ პირებს აღენიშნებოდათ ფიზიკური დაზიანებები. მოსამართლეების მხრიდან, როგორც წესი, აღნიშნული ფაქტები რეაგირების გარეშე რჩებოდა – ისინი არ ინტერესდებოდნენ, თუ რა ვითარებაში მიიღეს მათ აღნიშნული დაზიანებები. მხოლოდ ადვოკატები მიუთითებდნენ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირებისათვის პოლიციის მიერ დაზიანების მიყენებასთან დაკავშირებით, თუმცა, მინიშნებები მოსამართლის მხრიდან უყურადღებოდ რჩებოდა. არადა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო ხელისუფლება, რომლის წინაშეც ხდება დაკავებული პირის წარდგენა, ვალდებულია გაარკვიოს, თუ რა გარემოებებში მიიღო დაკავებულმა პირმა დაზიანება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე ერთადერთი მტკიცებულება, რომელსაც სასამართლო ეყრდნობოდა, იყო პოლიციის თანამშრომლის ახსნა-განმარტება. სამწუხაროდ, სასამართლო არ ინტერესდებოდა დამატებითი მტკიცებულებების არსებობის ფაქტით. ხშირ შემთხვევაში, სასამართლოს მხრიდან არ ხდებოდა იმის გამორკვევა, კონკრეტულად რაში გამოიხატება დაკავებულის მხრიდან პოლიციის მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა.

მაგალითად, პასუხისგებაში მიცემულ ერთ-ერთ პირს, რომელმაც უარი განაცხადა ადვოკატის დახმარებაზე, მოსამართლემ ჰკითხა, აღიარებდა თუ არ პოლიციელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს. მოსამართლის მიერ აღნიშნული კითხვის დასმას წინ უძღოდა ოქმის შემდგენელი პატრულის განმარტება, რომელიც მოიცავდა შემდეგ შაბლონურ გამონათქვამს: პასუხისგებაში მიცემული პირი არ ემორჩილებოდა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას, რის გამოც მოხდა მისი დაკავება. ის, თუ კონკრეტულად რა ქმედებას სჩადიოდა პასუხისგებაში მიცემული პირი, კონკრეტულად რა მოთხოვნა წარუდგინა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელმა და რაში გამოიხატებოდა დაუმორჩილებლობა, ამის შესახებ პოლიციელს არაფერი უთქვამს. ამიტომ უცნაური იყო თავად მოსამართლის მიერ დასმული შეკითხვა იმის თაობაზე, ეთანხმებოდა თუ არა პასუხისგებაში მიცემული პირი პოლიციელის მიერ მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს, ვინაიდან პოლიციელს სასამართლო პროცესზე არავითარ ფაქტობრივ გარემოებაზე არ უსაუბრია. პასუხისგებაში მიცემულმა პირმა დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა, რაც საკმარისი გახდა, რომ მოსამართლეს მისთვის 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა დაენიშნა.

საპროტესტო აქციის დროს დაკავებული ყველა პირი პასუხისგებაში იქნა მიცემული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს პასუხისმგე-

ბლობას სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის, სანქციის სახით კი – ჯარიმას 400 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით.

პოლიციის თანამშრომლების მიერ შედგენილი და სასამართლოზე წარმოდგენილი სამართალდარღვევის ოქმები, რომლებიც ამგვარი პროცესებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს, აბსოლუტურად იდენტური იყო და განსხვავდებოდა მხოლოდ დაკავებული პირების საიდენტიფიკაციო მონაცემების ნაწილში. ხშირად ბუნდოვანი იყო თავად პოლიციელთა მიერ მიცემული განმარტებები. მაგალითად, დაკავებულ ლერი ბიწაძის საქმეში პოლიციელის განმარტება შემდეგნაირად გამოიყურებოდა: *პასუხისგებაში მიცემული პირი იქცეოდა აგრესიულად, პოლიციამ მოსთხოვა აღნიშნული ქმედების შეწყვეტა, რასაც პირი არ დაემორჩილა, რის გამოც იგი დააკავეს.* ეს განმარტება ტიპიურია ყველა სხვა სასამართლო პროცესებისათვის. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებების კონკრეტიზაციის ფუნქცია მოსამართლე გიორგი ტყავაძემ საკუთარ თავზე აიღო. მოსამართლემ პატრულისგან (ბრალმდებლისაგან დამოუკიდებლად) დაადგინა, რომ ლერი ბიწაძე იმყოფებოდა უკანონო აქციაზე (არ იყვნენ საკმარისი რაოდენობის დემონსტრანტები, რაც არ წარმოადგენდა გზის სავალი ნაწილის გადაკეტვის საფუძველს და, იმავდროულად, გაფრთხილება ვადაგასული იყო), პოლიციამ მოითხოვა აქციის დაშლა და გზის გახსნა. ლერი ბიწაძე, როგორც აქციის ერთ-ერთი მონაწილე არ დაემორჩილა აღნიშნულ მოთხოვნას, რის გამოც ეს უკანასკნელი იქნა დაკავებული და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული. საქმე ისაა, რომ უკანონო აქციაზე პოლიციას ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. სამაგიეროდ, აღნიშნული გარემოებით იხელმძღვანელა მოსამართლემ, სასამართლო პროცესზე ინკვიზიციურობის პრინციპის საფუძველზე.

იგივე პრინციპზე დაყრდნობით, მოსამართლეს არ გამოუკვლევია ის გარემოება, რომ პასუხისგებაში მიცემული პირი ვერ შეძლებდა პოლიციის კანონიერი მოთხოვნის შესრულებას – დაშლილიყვნენ, ვინაიდან ყველა გასასვლელი გზა ჩაკეტილი იყო.

რიგ შემთხვევაში, დაფიქსირდა არათანაბარი მოპყრობა დაკავებულ პირებთან მიმართებით. კერძოდ, თავდაპირველად დაკავებული პირების მიმართ, რომლებიც აღიარებდნენ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, სახდელის სახედ გამოიყენებოდა პატიმრობა (უმეტესობის მიმართ 30 დღის ვადით), ხოლო მოგვიანებით – იდენტური გარემოებების მქონე საქმეებში სანქციად იყენებდნენ ჯარიმას.

ზემოხსენებული გარემოებები ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანებმა ვერ ისარგებლეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით იმგვარად, რომ შეჯიბრებითი პროცესის პრინციპებიდან გამომდინარე (ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნა), დაცვის უფლება ადეკვატურად ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

თავი მე-11. დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული პატიმრობის პირობების შეფასება

შესავალი

2011 წლის 26 მაისს რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დაშლის შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 172 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე იქნა განხილული, საიდანაც 170 პირი სამართალდამრღვევად ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით, ხოლო 2 პირი – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-174 მუხლებით.[313] სასამართლომ 75 პირის მიმართ გამოიყენა ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით, ხოლო 97 პირს შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა.[314]

პირები, რომლებსაც თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქვეყნის მასშტაბით არსებულ სხვადასხვა იზოლატორში გადაანაწილა.

საია მიიჩნევს, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებული პირების მიმართ მოპყრობა არ იყო ერთგვაროვანი და, მთელ რიგ შემთხვევებში, ადგილი ჰქონდა არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს, რაც წარმოდგენილი ანგარიშის წინამდებარე თავშია ასახული.

11. 1. დაკავებულებისთვის ნათესავებსა და ადვოკატებთან კომუნიკაციის შეზღუდვა

აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური იყო 26 მაისს განხორციელებული დაკავებებიდან პირველი დღეების განმავლობაში.

საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიხმოთ 2011 წლის 26 მაისს დაკავებულ პირთა მიერ ახსნა-განმარტებებში მოყვანილი შემდეგი შემთხვევები. გიორგი ოგბაიძე იხსენებს, რომ მისი იზოლატორში ყოფნის ფაქტი არ შეუტყობინებიათ ოჯახის წევრებისათვის.[315] ლაშა ჯავახიშვილის განცხადებით, მისი იზოლატორში ყოფნის შესახებ ოჯახის ინფორმირება ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მოხდა.[316] დაკავებული ანდრეი გორას ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ პოლიციის მხრიდან მისი დაკავების შესახებ ოჯახის ინფორმირება არ მომხდარა. ისევე, როგორც ლაშა ჯავახიშვილის, ანდრეი გორას შემთხვევაშიც, ამ უკანასკნელის დაკავების და იზოლატორში ყოფნის შესახებ ოჯახის წევრებმა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საშუალებით გაიგეს.[317] არსებითად იმავეს შესახებ მიუთითებდა თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი პატიმარი ზურაბ კიკილაშვილი, რომლის განცხადებითაც, ინფორმაცია მისი დაპატიმრების შესახებ ოჯახმა საიას საშუალებით შეიტყო. [318]

2011 წლის 26 მაისს დაკავებულების მიერ დაცვის უფლების განხორციელების და ადვოკატებთან კომუნიკაციის პროცესში შექმნილი პრობლემების შესახებ მიუთითებდა საქართველოს სახალხო დამცველიც. 2011 წლის 27 მაისს გავრცელდა სახალხო დამცველის რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მისამართით, სადაც 26 მაისს განხორციელებულ დაკავებებთან დაკავშირებული სხვა რეკომენდაციების პარალელურად საუბარია იმის შესახებაც, რომ აუცილებელია: *დაკავებულ პირებს მიეცეთ საშუალება, დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებს და ადვოკატებს*.[319]

---

[313] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 19 ივნისის #15-684-11.1882 კორესპონდენცია.

[314] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 19 ივნისის #15-684-11.1882 კორესპონდენცია.

[315] გიორგი ოგბაიძის ახსნა-განმარტება, 07.07.2011 წ.

[316] ლაშა ჯავახიშვილის ახსნა-განმარტება, 23.06.2011 წ.

[317] ანდრეი გორას ახსნა-განმარტება 23.06.2011 წ.

[318] ზურაბ კიკილაშვილის ახსნა-განმარტება 23.06.2011 წ.

[319] http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1379 სახალხო დამცველის რეკომენდაცია შინაგან საქმეთა მინისტრს.

2011 წლის 27 მაისს მსგავსი შინაარსის განცხადება გავრცელდა საიას მიერაც. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ საიას იურისტებს არ ეძლეოდათ შესაძლებლობა, შესულიყვნენ დროებითი მოთავსების იზოლატორებში და მოენახულებინათ მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირები.[320]

მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ არ ვრცელდებოდა ინფორმაცია 26 მაისს დაკავებულ პირთა ადგილსამყოფლის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, შეგვიძლია მოვიხმოთ ისევ 2011 წლის 27 მაისს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის გაგზავნილი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, 27 მაისის მდგომარეობით: *„რამდენიმე ათეული პირის ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში, გამომძიებლები დაუკავშირდნენ დაკავებულების ოჯახს და შეატყობინეს მათი ახლობლის დაკავების და მისი ადგილსამყოფლის შესახებ.*“[321]

2011 წლის 26 მაისს დაკავებულ პირთა მიმართ მსგავსი მოპყრობის ფონზე, იკვეთება საქართველოს კონსტიტუციის გარანტირებული დაცვის უფლების ხელყოფა.[322] საია ასევე მიუთითებს ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) მიერ დაკავებულთათვის მინიჭებული ისეთი მნიშვნელოვანი უფლებების დარღვევაზე, როგორიცაა დაკავების ფაქტის შეტყობინება მესამე მხარისთვის, რომელსაც თვითონ დაკავებული არჩევს (ოჯახის წევრი, მეგობარი, საკონსულო) და უფლება ადვოკატზე.

11. 2. არასათანადო პირობები დროებითი მოთავსების იზოლატორებში

საია აღნიშნავს, რომ მოპყრობა 2011 წლის 26 მაისს დაკავებული პირების მიმართ, რომლებსაც შეეფარდათ ადმინისტრაციული პატიმრობა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განაწილებულ იქნენ დროებითი მოთავსების იზოლატორებში საქართველოს მასშტაბით, არ იყო ერთგვაროვანი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №108 ბრძანებით დამტკიცდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპიური დებულება, იზოლატორის შინაგანაწესი და იზოლატორის საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქცია. დებულების მე-4 მუხლის მიხედვით, იზოლატორში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური და საერთო პირობები უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის ღირსეულ არსებობას, მისი პატივისა და ღირსების პატივისცემას, პიროვნების ხელშეუხებლობას, საკუთარი ინტერესების დაცვის უნარს.[323]

ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად, სხვა მოვალეობების პარალელურად, იზოლატორის ადმინისტრაციას ასევე ევალება:

- დაკავებულ პირთა საკნებში საძილე პირობების ჯანმრთელობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- დაკავებული პირისთვის საკუთარი სახსრებით საკვების და ტანსაცმლის შეტანის უფლების უზრუნველყოფა;
- იზოლატორებში სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა.[324]

ყურადღებას იმსახურებს, 2011 წლის 26 მაისს განხორციელებული დაკავებების შედეგად ად-

[320] http://საია.ge/index.php?option=com_content&view=article&id=921%3A2011-05-27-13-36-56&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang=ka

[321] http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1379 სახალხო დამცველი რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

[322] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42, პუნქტი 3.

[323] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 1 თებერვლის #108 ბრძანება. მუხლი 4, პუნქტი 1.

[324] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 1 თებერვლის #108 ბრძანება. მუხლი 4, პუნქტი 2, „ა“, „ე“, „ზ“ ქვეპუნქტები.

მინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირებთან დაკავშირებით, პატიმრობის პირველ დღეებში საიას რეგიონული ოფისების ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, მაგალითად: *„თელავის იზოლატორში მყოფი დიაბეტით დაავადებული პატიმარი კახა ბუაჩიძე ოჯახის წევრებმა 31 მაისს თავად უზრუნველყვეს შესაბამისი წამლებით, ხოლო თელავის იზოლატორში მყოფი დიაბეტით დაავადებული მეორე პატიმრის რამაზ ლატარიას განცხადებით, მას არავინ ჰყავს, რომ ინსულინის ნემსი მიაწოდოს. იზოლატორის ადმინისტრაციის განცხადებით, ადმინისტრაცია ვერ უზრუნველყოფს ინსულინით“.*

ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირთა კვების და სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის, ასევე, დაპატიმრებულ პირთა ნათესავებსა და ადვოკატებთან კომუნიკაციის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური იყო 2011 წლის 26 მაისს განხორციელებული დაკავებიდან პირველ დღეებში.

საიას ადვოკატისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ლაშა ჯავახიშვილი იხსენებს: *„თელავის იზოლატორის საკნის ფართობი არის დაახლოებით 10 მ^2, სადაც ვიმყოფებით 4 დაკავებული. განათება ნორმალური, ვენტილაცია ნორმალური. კვება ოჯახის ხარჯზე. პირადი მოხმარების ნივთები (ჰიგიენური) არაფერი გამაჩნია, შხაპი 29 დღის განმავლობაში არ მიმიღია. გასეირნება რამდენჯერმე გვქონდა 15-20 წუთის განმავლობაში.“*[325]

თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი კიდევ ერთი პატიმარი ზურაბ კიკილაშვილი ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ: 10 მ^2 ფართის საკანში 4 ადამიანი იყო. განათება – საშუალო, ვენტილაცია – კარგი. საკანს ჰქონდა პატარა სარკმელი. კვება ხორციელდებოდა ოჯახის წევრების ხარჯზე. პირველადი მოხმარების ნივთები არ ჰქონია. არ იყო შხაპის მიღების საშუალება. წყალი მუდმივად იყო. პერიოდულად ხდებოდა გასეირნება.[326]

თელავის დროებით მოთავსების იზოლატორში იმყოფებოდა ასევე ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული ანდრეი გორა იზოლატორის აღწერისას ამბობს: *„თელავის იზოლატორში საკნის ფართობი შეადგენს დაახლოებით 18 მ^2-ს, სადაც ვიმყოფებით 4 პირი, განათება – ნორმალური, ვენტილაცია – ნორმალური, კვება ძირითადად ახლობლების შემოგზავნილი, ადმინისტრაციის მხრიდან არ მოგვეწოდება საკვები. პირველადი მოხმარების საგნები არავის გააჩნია. 29 დღის განმავლობაში არ გვიბანავია. გასეირნებით ხანდახან გვასეირნებდნენ, დაახლოებით 20-30 წ.“* [327]

თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში მურმან დუმბაძე საიას თელავის ოფისის ადვოკატისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში იხსენებს: *„ფართობი 7-8 მ^2. საკანში ვიმყოფებით 4 ადამიანი. ერთხელ მოხდა საკნის შეცვლა. განათება – საშუალო. ვენტილაცია მუშაობს ღამის საათების გარდა. პირველი სამი დღე კვება არ ყოფილა. შემდგომ კვებას უზრუნველყოფდნენ ოჯახის წევრები. რამდენიმე დღის განმავლობაში გამოვიყენეთ კბილის პასტა და ჯაგრისი. შხაპის საშუალება არ იყო. გასეირნება ხდებოდა პერიოდულად.“* [328]

ზურაბ ღონღაძის განცხადებით დროებითი მოთავსების იზოლატორის საკანი, სადაც უხდებოდა ყოფნა 12 მ^2-ს შეადგენდა, საკანში 4 ადამიანი იმყოფებოდა. განათება – საშუალო. იყო ვენტილაციაც, გარდა ღამის საათებისა. საკანს ჰქონდა პატარა სარკმელი. კვებას ოჯახის წევრები უზრუნველყოფდნენ. იყო საპონი და წყალი. შხაპის მიღების საშუალება არ ჰქონია. პატიმრობის პერიოდში რამდენჯერმე მოხდა გასეირნება.[329]

მარნეულის დროებითი მოტავსების იზოლატორში მყოფი გიორგი ოგბაიძე, იზოლატორზე საუბრის დროს აღნიშნავს: *„იზოლატორში შეყვანის მეორე დღიდან ბოლომდე 16 მ^2-ში მოთავსებული ვიყავით 6 კაცი. მანამდე 4 კაცი ვიმყოფებოდით 8 მ^2 -იან საკანში. იყო ხელოვნური გა-*

[325] ლაშა ჯავახიშვილის ახსნა-განმარტება 23.06.2011 წ.

[326] ზურაბ კიკილაშვილის ახსნა-განმარტება 23.06.2011 წ.

[327] ანდრეი გორას ახნა-განმარტება 23.06.2011 წ.

[328] მურმან დუმბაძის ახსნა-განმარტება 23.06.2011 წ.

[329] ზურაბ ღონღაძის ახსნა-განმარტება, 23.06.2011 წ.

ნათება, ერთი ყვითელი ნათურა. საკანი ნიავდებოდა დღეში ერთი საათით. ჭერის სიმაღლე იყო 2 მეტრი. პირველი ათი დღე ვიღებდით იზოლატორის მიერ მოწოდებულ პურს და გაურეცხავ კიტრს. 10 დღის შემდეგ ახლობლებს შემოჰქონდათ სხვადასხვა ასორტიმენტის შეზღუდული რაოდენობის საკვები, პირველადი მოხმარების საგნები (საპონი, კბილის ჯაგრისი და სხვა). შხაპი მივიღე პატიმრობის 29-ე დღეს, გასეირნება 30 დღის განმავლობაში არ ყოფილა. [330]

როგორც საიას ადვოკატების მიერ 2011 წლის 26 მაისს დაკავებულ პირთათვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტებებიდან იკვეთება, ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირთა ნაწილზე დროებითი მოთავსების იზოლატორებში 4 m^2-ზე ნაკლები მოდიოდა.

მოცემულ შემთხვევებთან დაკავშირებით, საია მიუთითებს საქმეზე *„მხითარიანი სომხეთის წინააღმდეგ“* (სომხურმა სასამართლომ ბოროტი დაუმორჩილებლობისათვის მხითარიანს შეუფარდა 10 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან დაცვის უფლების დარღვევა (კონვენციის მე-3 მუხლი), ვინაიდან პოლიციის განყოფილებაში მოთავსებულ ადმინისტრაციულ პატიმარს პირველი ორი დღის განმავლობაში ეკავა 0,75 m^2 ფართი, ხოლო მესამე დღეს გადაიყვანეს 1,8 m^2-ის ფართის საკანში. აღნიშნული მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა CPT-ის სტანდარტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს (პატიმარზე – 4 m^2, შიდა კანონმდებლობის მიხედვით კი – 2,5 m^2). განმცხადებელი არ გაჰყავდათ საკნის გარეთ. სავარაუდოდ, პატიმართან შედიოდა სასმელად უვარგისი ხარისხის წყალი და აჭმევდნენ დღეში მხოლოდ ერთხელ. აღნიშნულმა პირობებმა კუმულატიურად განაპირობა ის, რომ სომხეთის ხელისუფლებამ მხითარიანის მიმართ დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი.

გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ, ასევე, დროებითი მოთავსების იზოლატორებში 2011 წლის 26 მაისს განხორციელებული დაკავებების შედეგად ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირთა სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის კუთხით არსებულ ხარვეზებზე.

ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) მიერ დაკავებულთათვის მინიჭებული უფლებაა, მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება იმ ექიმის მიერ, რომელსაც აირჩევს (დამატებით, ნებისმიერი სამედიცინო შემოწმება პოლიციის მიერ მოყვანილი ექიმის მიერ). ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 თებერვლის №108 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპიური დებულების მიხედვით, იზოლატორის ადმინისტრაციის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა იზოლატორებში სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა.[331] ამავე ბრძანებით დამტკიცებული იზოლატორის საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის მიხედვით კი, იზოლატორში ყოფნის დროს, დაკავებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, იზოლატორის მორიგე ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოიძახოს მედპერსონალი და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ გააკეთოს ჩანაწერი იზოლატორში განთავსებულ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარების რეგისტრაციის ჟურნალში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს დაკავებული პირის გადაყვანა შესაბამის სტაციონარულ დაწესებულებაში ბადრაგის თანხლებით.[332]

საიას ხელთ არსებული ინფორმაციით, დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო მომსახურების კუთხით პრობლემები შექმნათ ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ მურმან დუმბაძეს და გიორგი ოგბაიძეს.

მურმან დუმბაძე ახსნა-განმარტებაში იხსენებს: *„მე დაზიანებული მქონდა თავი, ცხვირი, ნეკნები, კიდურები, თვალი. სამედიცინო დახმარება აღმომიჩინეს საიას ადვოკატების მოს-*

[330] გიორგი ოგბაძის ახსნა-განმარტება, 07.07.2011 წ.

[331] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 1 თებერვლის #108 ბრძანება. მუხლი 4, პუნქტი 2, „ზ“ ქვეპუნქტი.

[332] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 1 თებერვლის #108 ბრძანება. იზოლატორის საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქცია, მუხლი 5, პუნქტი 4.

ვლის შემდეგ. მომდევნო დღეებში რამდენჯერმე იყო ექიმი. დეტალურად გამსინჯა. მივიღე ტკივილგამაყუჩებლები. დასმული იქნა დიაგნოზი – სხეულის ზოგადი დაჟეჟილობა, ტკივილის სინდრომი. მიუხედავად იმისა, რომ ვითხოვდი შინაგანი ორგანოების და თვალის სამედიცინო გამოკვლევას, ეს არ განხორციელებულა.“[333]

გიორგი ოგბაიძე საიას იურისტისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს: *„დაზიანებული მქონდა ნეკნი, ზურგი, ფეხი და მოვითხოვე ექიმთან შეხვედრა, რაზედაც მეთქვა უარი.“* [334]

11.3. პატიმრების გადაყვანა დროებითი მოთავსების ერთი იზოლატორიდან მეორეში

საიას უჭრის, დაასახელოს იმ პატიმრების ზუსტი რაოდენობა, რომლებსაც 2011 წლის 26 მაისის დაკავებების შემდეგ ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდათ და პატიმრობის აღსრულების პროცესში გადაყვანილნი იქნენ დროებითი მოთავსების ერთი იზოლატორიდან მეორეში.

პატიმრობაშეფარდებულ პირთა დროებითი მოთავსების ერთი იზოლატორიდან მეორეში გადაყვანამ კიდევ უფრო გაართულა დაკავებულთათვის ისეთი მნიშვნელოვანი უფლებით სარგებლობა, როგორიც არის დაცვის უფლება. ამასთან, 2011 წლის 26 მაისს განხორციელებული დაკავებების პირველ დღეებში, პატიმრების დროებითი მოთავსების ერთი იზოლატორიდან მეორეში გადაყვანამ ისე, რომ აღნიშნულის შესახებ დაპატიმრებულთა ოჯახის წევრებმა არაფერი იცოდნენ, შექმნა ე.წ. „გაუჩინარებულ ადამიანთა“ სია.

ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებულ პირთა დროებითი მოთავსების ერთი იზოლატორიდან მეორეში გადაყვანის ფაქტებზე საუბრობდა სახალხო დამცველიც, რომელიც 2011 წლის 27 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის გაგზავნილ რეკომენდაციაში აღნიშნავს შემდეგს: *„26 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მოინახულეს თბილისის №2, მცხეთის, კასპის დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და შიდა ქართლის რეგიონულ დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსებული პირები. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, თბილისის №2 დმი-ში განთავსებული პირები იმავე დღეს გადაიყვანეს სხვა იზოლატორებში. შესაბამისად, ადვოკატებმა ვერ შეძლეს მათი მონახულება. ამჟამად სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს სხვა იზოლატორების მონიტორინგს, თუმცა, როგორც 26 მაისის პრაქტიკამ აჩვენა, გამორიცხული არაა, ადმინისტრაციულ პატიმრობა შეფარდებულ პირებს კვლავ შეუცვალონ ადგილსამყოფელი.“*[335]

ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული ზურაბ ღონღაძე ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს: *„სასამართლოს შემდეგ ერთი დღე გავატარე თბილისის დმი-ში. შემდეგ გადმომიყვანეს თელავში.“*[336]

პრაქტიკულად, იმავეს აცხადებენ ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი მურმან დუმბაძე და ზურაბ კიკილაშვილი. მურმან დუმბაძემ აღნიშნავს: *„დროებით ვიყავი თბილისის იზოლატორში, შემდეგ კი – თელავის დმი-ში.“*[337] ზურაბ კიკილაშვილის თქმით, თავდაპირველად ისიც თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში იყო, სადაც დაახლოებით 4-5 საათი დაჰყო. შემდეგ გადაიყვანეს თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში.[338]

გიორგი ოგბაიძე თავის ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს: *„თბილისის იზოლატორში ვიყავით დაახლოებით 5-6 საათი. ამის შემდეგ გადაგვიყვანეს ჩვენთვის უცნობ ადგილას. როგორც მეო-*

[333] მურმან დუმბაძის ახსნა-განმარტება 23.06.2011 წ.

[334] გიორგი ოგბაიძის ახსნა-განმარტება 07.07.2011 წ.

[335] http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1379 -სახალხო დამცველის რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

[336] ზურაბ ღონღაძის ახსნა-განმარტება, 23.06.2011 წ.

[337] მურმან დუმბაძის ახსნა-განმარტება, 23.06.2011 წ.

[338] ზურაბ კიკილაშვილის ახსნა-განმარტება, 23.06.2011 წ.

რე დღეს გავარკვიეთ, ეს იყო მარნეულის დროებითი მოთავსების იზოლატორი.“[339]

კიდევ ორი პატიმრის, ანდრეი გორას და ლაშა ჯავახიშვილის განცხადებით. ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შემდეგ, ისინი ჯერ დიღმის სამმართველოში იყვნენ, ხოლო შემდგომ გადაიყვანეს თელავის დროებითი მოთავსების იზოლატორში. [340]

დასკვნა

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ 2011 წლის 26 მაისის აქციის დაშლის შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირები იმყოფებოდნენ არასათანადო პირობებში, რაც, უშუალოდ დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის ინდივიდუალური შემთხვევების გარდა, გამოწვეული იყო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებით, რომელიც არ ითვალისწინებს შესაბამის პროცესუალურ და მატერიალურ გარანტიებს ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირების მიმართ. საია მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საკანონმდებლო ხარვეზებს სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. 26 მაისს აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში დაკავებული პირების მიმართ დროებითი მოთავსების იზოლატორებში არასათანადო მოპყრობის ინდივიდუალური შემთხვევები კი, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ეფექტურ და ობიექტურ გამოძიებას მოითხოვს.

[339] გიორგი ოგბაიძის ახსნა-განმარტება, 07.07.2011 წ.

[340] ანდრეი გორას და ზურაბ კიკალიშვილის ახსნა-განმარტებები

ბოლოთქმა

როგორც ანგარიშში წარმოდგენილმა ფაქტობრივმა გარემოებებმა და შესაბამისმა სამართლებრივმა შეფასებებმა აჩვენა, 2011 წლის 26 მაისს აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებს. აქციის დაშლის ოპერაცია პოლიციამ იმგვარად დაგეგმა და განახორციელა, რომ დემონსტრანტებს არ მისცა აქციის ტერიტორიის დატოვების საშუალება და მათ მიმართ *მასობრივ*ად აშკარად არაპროპორციული ძალა გამოიყენა. აქციის დაშლის პროცესი, მისი დაგეგმვისა და აღსრულების სტადიაზე, ისე განხორციელდა, რომ არ მოხდა აქციის მონაწილეებისა და, ასევე, პოლიციელების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკების ეფექტური პრევენცია, რის გამოც აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში დაფიქსირდა 5 ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტი.

ადამიანის უფლებათა დარღვევების მტკიცების, ასევე, აქციის დაშლისას ხელისუფლების გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების შეფასების პროცესს ართულებდა ის გარემოება, რომ სახელმწიფომ, არა ერთი მოთხოვნის მიუხედავად, არსებითი მნიშვნელობის საკითხებზე არ გასცა საჯარო ინფორმაცია. აქციის დაშლის ოპერაციის მომზადებისა და განხორციელების პროცესთან დაკავშირებით არსებით გარემოებებზე შსს-მ არ გაასაჯაროვა ინფორმაცია. *მათ შორის,* შსს-მ საიას არ მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, აქციის დაშლის დროს პოლიციამ დატოვა თუ არა ღია გასასვლელი აქციის მონაწილეებისთვის. ამასთან დაკავშირებით, საია შსს-ს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას სთხოვდა. შსს-მ ასევე არ გაასაჯაროვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ტიპის და ოდენობის სპეციალური საშუალებები გამოიყენა პოლიციამ აქციის დაშლის დროს.

აქციის დაშლის მოვლენებთან კავშირში სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, გამოძიებამ არ გამოაქვეყნა არც ერთი არსებითი ხასიათის მტკიცებულება, რომლებიც მომხდართან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებულ შეკითხვებსა და ეჭვებს გაფანტავდა. მოცემულ საქმეებთან მიმართებით, რეალურად ვიღებთ სურათს, როდესაც საზოგადოებისთვის დახურული რჩება, თუ რა პირობებში და როგორ მოხდა კონკრეტული ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და რა სარწმუნო და მყარი მტკიცებულებებით დასტურდება აღნიშნული ფაქტი. ხოლო გარემოება, რომ გამოძიება არ აკმაყოფილებს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს, კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვებს გამოძიების შემაჯამებელ დასკვნებთან დაკავშირებით.

აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის მასშტაბისა და ხარისხის გათვალისწინებით, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული ფაქტების ეფექტური და დამოუკიდებელი გამოძიება. გამოძიების მიზანი უნდა იყოს ყველა იმ თანამდებობის პირის დასჯა, რომელიც უფლებამოსილების განხორციელების დროს გასცდა მისი კომპეტენციის ფარგლებს ან ბოროტად გამოიყენა იგი. ასევე, საია მიიჩნევს, რომ შესაბამისი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ მაღალი თანამდებობის პირებს, რომლებმაც დაგეგმეს აქციის დაშლის ოპერაცია და ხელმძღვანელობდნენ მის აღსრულებას.

პოლიცია აქციის მონაწილეების მიმართ იყენებდა აშკარად არაპროპორციულ ძალას მაშინ, როდესაც ისინი პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ და სამართალდამცავებს არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდნენ. აღნიშნული ფაქტები აქციის დაშლის ოპერაციის დროს მასობრივად დაფიქსირდა და მას პრაქტიკის ხასიათი ჰქონდა. მეტიც, უკვე დაკავებული დემონსტრანტების მიმართ პოლიციის სამმართველოსა და შემდგომ დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაფიქსირდა არაადამიანური მოპყრობის სერიოზული შემთხვევები. ყველა ფაქტი სახელმწიფოს მხრიდან დროულ და სათანადო გამოძიებას მოითხოვს.

თუმცა, სახელმწიფოს რეაგირება 2011 წლის 26 მაისს და მასთან კავშირში ჩადენილ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე იყო არაადეკვატური და უსამართლო. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ დროისთვის შსს-ს არც ერთი თანამშრომლის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე. ამ მიმართებით, შსს შემოიფარგლა მხოლოდ მისი რამდენიმე თანამშრომლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებით, რაც არაადეკვატური და არასაკმარისი რეაგირებაა სახელმწიფოს მხრიდან. აღსანიშნავია, რომ საიას მიმართვისა და ამ

საკითხზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, შსს-მ არ გაასაჯაროვა ინფორმაცია იმის თაობაზე, კონკრეტულად რომელ დარღვევებთან დაკავშირებით დაეკისრათ შსს-ს აღნიშნულ თანამდებობის პირებს პასუხისმგებლობა და კონკრეტულად ვინ იყვნენ ეს თანამშრომლები (იხ. დანართი №5).

სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პირების დასჯა მნიშვნელოვანია საზოგადოების წინაშე სახელმწიფოს ანგარიშვალდებულებისთვის და ხელს შეუწყობს პოლიციის მხრიდან მომავალში ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკების პრევენციას. თუმცა, ეფექტური გამოძიების ეს მოთხოვნა, მოცემულ შემთხვევაში, არ განხორციელდა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საია მიიჩნევს, რომ მომავალში ადამიანის უფლებათა მსგავსი დარღვევების პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ უზრუნველყოს ზოგადი ხასიათის ღონისძიებების (მათ შორის, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ხასიათის ზომების) განხორციელება. ამ მიმართებით, განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს პოლიციის მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენების პირობებისა და წესის, ადმინისტრაციული პატიმრებისთვის სათანადო პროცესუალური გარანტიებისა და პატიმრობის პირობების რეგულირების საკითხები, რომელთა მნიშვნელობა და სიმწვავე განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა 26 მაისს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევების შეფასების დროს.

საია იმედოვნებს, რომ ანგარიშში წარმოდგენილ სამართლებრივ შეფასებებს სახელმწიფო მომავალში გაითვალისწინებს მსგავსი ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების დროს და პრაქტიკისა და კანონმდებლობის რეგულირებას მოახდენს ისე, რომ მინიმიზებული იყოს პოლიციის მიერ ძალის გამოყენების პროცესში სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანების რისკები.

აქციის დაშლის დროს და მას შემდეგ, აქციის მონაწილეების მიმართ ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები მოითხოვს სათანადო და ეფექტურ გამოძიებას. უფლებათა დარღვევის კონკრეტული ფაქტებზე საია კიდევ ერთხელ მიმართავს პროკურატურას და სთხოვს ეფექტური გამოძიების ჩატარებას. ამ კუთხით, საია მზადაა, (შესაბამისი პირების ინტერესების გათვალისწინებით) პროკურატურაში წარადგინოს ყველას ის ფაქტობრივი გარემოება და მტკიცებულებითი ხასიათის მქონე ინფორმაცია, რომელიც კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით მას გააჩნია.

დანართი №1

27-04-11

ქალაქ თბილისის მერია
TBILISI CITY HALL

№ 11/83604-7
-13- 07 2011

საქართველოს ახალგაზრდა
იურისტთა ასოციაციის
თავმჯდომარეს
ქალბატონ თამარ წუკოშვილს

ქალბატონო თამარ,

ქ.თბილისის მერიაში 2011 წლის 5 იელისს შემოსული თქვენი განცხადების g-04/142-11 (11/83604) პასუხად გაცნობებთ, რომ არარეგისტრირებულ კავშირ „წარმომადგენლობითი სახალხო კრების" მიერ შეკრებისა და მანიფესტაციის ჩატარების თაობაზე შემოსული გაფრთხილების თანახმად, შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვა დაგეგმილი იყო 2011 წლის 21 მაისიდან-2011 წლის 25 მაისის ჩათვლით.

„შეკრებებისა და ნამიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შეკრება ან მანიფესტაცია ტარდება გაფრთხილებაში აღნიშნულ დროსა და ადგილას, მასში მითითებული მიზნებისა და სლოგანების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კი, შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირები და მონაწილენი მოვალენი არიან დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და შეასრულონ გაფრთხილებით ნაკისრი ვალდებულებანი.

ამასთან, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხელისუფლება უფლებამოსილია შეწყვიტოს შეკრება ან მანიფესტაციები, რომელიც კანონის მოთხოვნათა დარღვევით იმართება, ხოლო ამავე კანონის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, შეკრება ან მანიფესტაცია უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ, კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნისთანავე, „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, პოლიცია საკუთარი ვალდებულებების შესრულების მიზნით, უფლებამოსილია აღკვეთოს უკანონო მიტინგი.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

ოთარ ტატალაშვილი

დანართი №2

საქართველო, ქ.თბილისი, ცაგარელის ქ. N64ა
ტელ.:+995 (32) 18 40 36, 18 40 37

TSAGARELI st. N64a, TBILISI, GEORGIA
Tel.: +995 (32) 18 40 36, 18 40 37

ქალაქ თბილისის მერიას

არარეგისტრირებულ კავშირ

"წარმომდგენლობითი სახალხო კრების"

მის: ცაგარელის ქ. #64ა, ტელ: 184036_37

გაფრთხილება

(მანიფესტაციის მოწყობის თაობაზე)

მოგმართავთ "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით და გაცნობებთ, რომ 2011 წლის 21 მაისს იგეგმება არარეგისტრირებულ კავშირ "სახალხო კრების" მიერ ორგანიზებული მანიფესტაცია.

გაწვდით "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ ყველა აუცილებელ მონაცემს.

მანიფესტაციის მიზანი: პროტესტის გამოხატვა საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე.

მანიფესტაციის ფორმა: დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა პროტესტის გამოხატვის მიზნით.

ჩატარების ადგილი: მანიფესტაცია იწყება ერთდროულად შემდეგ ადგილებში: თავისუფლების მოედანი, გმირთა მოედანი, ვარდების მოედანი, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორია, აეროპორტის მეტროსადგურის მიმდებარე ტერიტორია, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია, პრეზიდენტის რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორია, ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორია.

შეკრება: სასტუმრო ქორთიარდ მარიოტის მიმდებარე ტერიტორია.

დაწყების თარიღი: 2011 წლის 21 მაისი

დამთავრების თარიღი: 2011 წლის 25 მაისი

შეკრების დრო: 24 საათი, ყოველდღიურად

მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა: 60000 ადამიანი

შეკრების და მანიფესტაციის მართმუნებელი: არარეგისტრირებულ კავშირი "წარმომადგენლობითი სახალხო კრება", წარმოდგენილი მისი თავჯდომარის ნონა გაფრინდაშვილის სახით.

შეკრების და მანიფესტაციის რწმუნებული: ალექსანდრე დონაძე, პირადი #01008003873, მის: ფალიშვილის ქ. #21, ტელ: 899 620406.

შეკრების და მანიფესტაციის ორგანიზატორი: ირაკლი ბათიაშვილი #01008013199, მის: ჭავჭავაძის გამზ.#11, ტელ: 899 941111

გაფრთხილების შეტანის დრო და თარიღი 2011 წლის 13 მაისი, _____ სთ.

შეკრების და მანიფესტაციის რწმუნებული:

ალექსანდრე დონაძე

შეკრების და მანიფესტაციის ორგანიზატორი:

ირაკლი ბათიაშვილი

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს გაეგზავნა შესაბამისი შეტყობინება.

13.05.2011

დანართი №3

თბილისის საქალაქო სასამართლო

№15-684-11_1882 19 ივნისი 2011 წელი

ქალბატონ თამარ ჩუგოშვილს
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის თავმჯდომარეს
მის: თბილისი, ჯ.კახიძის ქ. №15

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2011 წლის 13 ივნისის №g-04/127-11 განცხადების (რომელიც ჩვენთან რეგისტრირებულია 2011 წლის 13 ივნისს, სარეგისტრაციო ნომრით 15-684) პასუხად, გაცნობებთ, რომ 2011 წლის 26 მაისს თბილისში თავისუფლების მოედანზე გამართული აქციის დაშლის შედეგად თბილისის საქალაქო სასამართლოში განხილული იქნა 172 (ას სამოცდათორმეტი) პირის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე. მათგან 170 (ას სამოცდაათი) პირი სამართალდამრღვევად ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით; ხოლო 2 (ორი) პირი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-174-ე მუხლებით. ასევე გაცნობებთ, რომ 75 (სამოცდათხუთმეტი) პირის მიმართ გამოყენებული იქნა ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით, ხოლო 97 (ოთხმოცდაჩვიდმეტი) პირს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა.

ამასთან განგიმარტავთ, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან შემოსულ ანალოგიური შინაარსის განცხადებაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2011 წლის 10 ივნისის გაცემულ იქნა შესაბამისი პასუხი.

რაც შეეხება თქვენს მოთხოვნას, სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავებულ ადამიანთაგან რამდენმა აღიარა სასამართლოს წინაშე სამართალდარღვევის ფაქტი, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია სასამართლოს მიერ არ არის დამუშავებული და შესაბამისად მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

პატივისცემით,

ალექსანდრე წულაძე
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
ბიუროს უფროსის მ/შემსრულებელი

დანართი №4

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

№ 1113306 „01" 09 2011 ।

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

თავმჯდომარეს

ქალბატონ თამარ ჩუგოშვილს

ქალბატონო თამარ,

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2011 წლის 10 აგვისტოს №677 ბრძანების საფუძველზე გაცნობებთ:

1. 2011 წლის 26 მაისს, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე უკანონო აქციის დაშლის დროს გადაღებას აწარმოებდა შს სამინისტროს ორი ოპერატორი, მათ არ ჰქონდათ მითითება გადაღება ეწარმოებინათ ერთი კონკრეტული ადგილიდან, ისინი დამოუკიდებლად გადაადგილდებოდნენ მეტრო თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე;
2. შს სამინისტროს გარდა იმ მასალისა, რომლებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ანდა დაერთო სისხლის სამართლის საქმეს არ გააჩნია სხვა ვიდეო მასალა, ვინაიდან არ ხდება გადაღებული ვიდეომასალის არქივირება;
3. აქციის დაშლის გეგმა და შსს თანამშრომელთა განლაგება არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას;
4. ჩვენი ინფორმაციით 2011 წლის 26 მაისს, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე უკანონო აქციაში მონაწილეობას იღებდა 800-1200 პირი;
5. 2011 წლის 26 მაისის ღამეს ქ. თბილისში რუსთაველის გამზირზე იმყოფებოდა შს სამინისტროს 5000 თანამშრომელი, აქედან უკანონო მიტინგის დაშლაში მონაწილეობა მიიღო 1000 თანაშრომელმა, ხოლო დანარჩენი აქციის დაშლის შემდეგ აღლუმის ჩატარებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფდა აღნიშნული ტერიტორიის დაცვას;
6. უკანონო აქციის დაშლის დროს მონაწილეობას ღებულობდა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები.
7. მერიის თანამშრომელმა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად საჯაროდ გააფრთხილა მიტინგის მონაწილეები, რომ მიტინგი გაგრძელების შემთხვევაში იქნებოდა უკანონო და განხორციელდებოდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.
8. სპეციალური საშუალებების გამოყენებას პოლიციელს ასწავლიან პოლიციის აკადემიაში.
9. 2011 წლის 26 მაისის ღამეს ქ.თბილისში რუსთაველის გამზირზე უკანონო მიტინგის დაშლისას გამოყენებულ იქნა კანონით გათვალისწინებული საშუალებები: რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი და წყალსატყორცნი.
10. 2011 წლის 26 მაისის ღამეს ქ.თბილისში რუსთაველის გამზირზე უკანონო მიტინგის დაშლისას დაკავებულ და შემდგომ სასამართლოს მიერ პატიმრობა შეფარდებულ პირთა ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა იზოლატორებში გადაყვანა განპირობებული იქნა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, ვინაიდან ქ.თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორში არ იყო შესაბამისი ადგილები.

პატივისცემით,

ზ. ასანთაძე

ზვიად თავართქილაძე

ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე

დანართი №5

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 1474839 18/11 2011 წ.

0114, თბილისი, გ.გულუას ქ.10 ; ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (+995 32) 2411017
10, .G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.:(+995 32) 2411068 / Fax: (+995 32) 2411017

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

აღმასრულებელ დირექტორს

ქალბატონ ეკატერინე ფოფხაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენი 2011 წლის 21 ოქტომბრის გ-04/235-11 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიმართ გენერალური ინსპექციის მიერ წარმოებული დისციპლინური წარმოების მასალები და მასზე მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს საიდუმლოს, შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ თქვენს მიერ მოთხოვილი ინფორმაცია.

ამასთან, გაცნობებთ, რომ შსს სხვა თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური წესდების დარღვევის ფაქტზე მოკვლევა არ მიმდინარეობს.

პატივისცემით,

ზ. ასანიძე

ზვიად თავართქილაძე

ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე